

ISSN 2346-8416

# აქტალანი

აღმოსავლური ჟურნალი

გამოცის წელიწადში ორჯერ

1

მარტი

თბილისი

2018

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოღებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

შურინალი დაარსებულია 2016 წელს  
მაგალითობულას  
მიერ

რედაქტორი  
მზია ბურჯანაძე

სწავლული მდივანი  
ნანა ჯანაშია

დამკაბადონებელი  
ნანა ყანდაშვილი

მომკაზმველი  
ირაკლი უშვერიძე



କୁଳାଙ୍ଗାଲ୍ପନ ପ୍ରଦତ୍ତାକୁଳାଙ୍ଗାରୀ



## ალ-ჯაჰაზი

### (VII ს.)

ალ-ჯაჰაზი არაბულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც „მჭევრმეტყველი იმამი“. მისი წიგნი ძუნწებზე შეიცავს არა მარტო თავშესაქცევ ამბებს სიძუნნით გამორჩეულ მოქალაქეებზე, არამედ ძალიან საინტერესო ორ ეპისტოლეს, რომელთაგან ერთი ეპისტოლეა აბუ ალ-ასა იბნ აბდ ალ-ვაჰაბ იბნ აბდ ალ-მაჟიდ ას-საკაფისა, ხოლო მეორე ეპისტოლე წარმოადგენს იბნ ათ-თავამას პასუხს პირველ ეპისტოლეზე. მეორე ეპისტოლეს ავტორის ვინაობა ვერ დადგინდა. შესაძლებელია, რომ ეს ეპისტოლე მას თვით ჯაჰაზიმა მიაწერა. აღსანიშნავია, რომ ორივე ეპისტოლე წარმოადგენს მსჯელობას ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჩვენს თანამედროვეობას ესადაგება.

## აპუ ალ-ასა იბნ აბდ ალ-ვაჰაბ იბნ აბდ ალ-მაჟიდ ას-საკაფის ეპისტოლე ას-საკაფისადმი

### სახელითა ალაჰისა, მოწყალისა მწყალობელისა

შემდეგ კი, აი, რა: შენი ურთიერთობა ალ-ასმაისთან, აღფრთოვანება საჰლ იბნ ჰაზუნით, კეთილგანწყობა ისმაილ იბნ ლაზვანისადმი და შენი გამოხტომები მუვაის იბნ იმრანის წინააღმდეგ, მეგობრობა აბუ მუშარიქთან თუ უთანხმოება იბნ ათ-თავამასთან, განუწყვეტელი საუბარი ქონებაზე, მის გაზრდაზე, გაძლოლის წესზე, საკუთარი მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ დააბანდო ფული, როგორ დააგროვო, როგორ მოუარო მას – ყველაფერი ეს შენი გულლვარდლიანობის მაჩვენებელი და შენი ნაკლის დამამტკიცებელია. ადრე ძუნწებზე საუბარი უსიამოვნებას განიჭებდა, მათი საქციელი ულირსად მიგაჩნდა, გან-ცვიფრებას და სიძულვილს იწვევდა შენში.

სიმდიდრის დაგროვებისკენ მოუწოდებს ის, ვისაც ქონების დახვავება განუზრახავს, სიძუნნისკენ მიისწრავის ის, ვისაც ხელგაშლილთა საზოგადოება მობეზრებია. შენ კარგად შეგითვისებია საჰლ იბნ ჰაზუნის სიტყვები: „სანამ დრო არის, ვემზადოთ მომავლისათვის და გვქონდეს რწმენა. ყველაზე მძიმეა ახალგაზრდობის წლებში დაშვებული შეცდომები. ყველაზე გონივრული და სწორია, აღლო აუღო ბედის უკულმართობას, დაიცვა მისგან თავი და შეიქმნა მტკიცე საყრდენი იმით, რაც სხეულის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების

შემდეგ გადაგრჩება. თუ კეთილდღეობის საფუძველს არ უზრუნველყოფთ და ზომიერებას არ დავიცავთ, ამით ვამტკიცებთ, რომ ბრძენის სახელს ვერ მოვიპოვებთ. ქედს იხრი საჰლ იბნ ჰაზუნის წინაშე და მისი ცხოვრების გზას მიჰყვები.

შენ გაიზიარე ალ-ასმაის შენიშვნა: „ჯოჯოხეთში მოხვედრილთა უმრავლესობა ქალები და ღარიბები არიან, სამოთხის მკვიდრნი კი – სულელები და მდიდრები“, და რომ „ჯილდოებს მდიდრები იტაცებენ“. ამან ერთხელ კიდევ დაგვიდასტურა ჩვენი აზრი შენზე.

შენ ეთანხმები იბნ ლაზვანს, რომელიც ამბობს: „თქვენ ტკბებით რჩეული საჭმლით, მდიდრული ტანსაცმლით, ტკბილი სასმელებითა და მხიარული სიმღერებით. ჩვენ – სიმდიდრის ძლიერების შეგრძნებით, მომავლის წინასწარი განჭვრეტის კარნახით და დიდძალი ფულით; იმ იმედით, რომ ჩვენს ქონებას ხიფათი არ მოელის და არც ჩვენ გველის დამცირება ხალხის წინაშე; იმის შეგნებით, რომ მუდამ შევძლებთ ოჯახის რჩენას. ის თქვენი სიტკბოებაა, ეს – ჩვენი. ჩვენ ვცდილობთ, თავი დავაღწიოთ დაცინვას, თქვენ კი ცდილობთ, რაც შეიძლება, მეტი დიდება მოიპოვოთ. დიდებით სარგებლობა მხოლოდ საღი, ნათელი გონების პატრონს შეუძლია, სიამოვნებით დატ-

კბობა – ჯანსაღი, გულწრფელი გრძნობების ადამიანს. რაც შეეხება ღარიბსო, რა ზედმეტია მისთვის ყოველივე ეს! რაოდენ აკლია მას სწორედ ის, რაც ასე აუცილებელია სიმშვენიერის შეგრძნებისათვის! საჭმელი, რომელსაც თქვენ ასე ირჩევთ, განავლად იქცევა, სასმელი – შარდად, შენობა – ნანგრევებად; შექება წუთიერი ნიავია, რომელიც სიმტკიცეს გართმევს. იგი სისულელეა, რომელიც გხრწნის. იგი ხმაა, რომელიც იკარგება. თქვენი სიტკბოება სიღარიბეს გიმზადებთ და მხნეობას გიკარგავთ, ჩვენი სიტკბოება სიმდიდრეს გვიქმნის და მხნეობას გვმატებს. ჩვენ ვაშენებთ – თქვენ ანგრევთ, ჩვენ ვქმნით – თქვენ ანადგურებთ, ჩვენ მუდმივ სიმდიდრეს ვეძებთ და ზოგიერთ სიტკბოებაზე უარს ვამბობთ, თქვენ თავს იმცირებთ და სიმტკიცეს კარგავთ“.

მე კარგად მესმის ამ სიტყვების აზრი. იმ აბდაუბდაშიც გავერკვიე, რომელსაც ასე ქადაგებ. ყველაფერი შენს მერყევ ხასიათსა და აზრთა ცვალებადობაზე მიუთითებს. დღეს მოგწონს ის, რაც გუშინ არ მოგწონდა და გიყვარს ის, რაც გეჯავრებოდა. განმშორდი! ალაპი ღუპავს მხოლოდ მას, ვინც უსამართლობას სჩადის. თითქოს გრძნობდა პოეტი, რომ მსგავსი ადამიანები იარსებებდნენ ამქვეყნად და თქვა:

„როდესაც გაიგებ ძუნნის  
სიკვდილს, თქვი:  
ეშმაკმა წაიღოს და დაიკარგოს  
დალუპული და დაკარგული!  
მისი მემკვიდრეობა სამოთხეა  
მემკვიდრეთათვის,  
მისი სხეული მიწისა და მატლებისაა.“

მეორე პოეტს უთქვამს:  
„მისი სახის მშვენიერება საფლავში  
გაიხრწნება,  
მისი ქონება მტრებს შორის  
დანიავდება“.

დიდება ალაპს, რომ არ მომკლა და დამანახა, როგორ გადაიქეცი ქონების მონად და შენი მემკვიდრის დაქირავებულ მუშად. შენ დააჩქარე შენი სიღარიბე და იმ ადამიანს დაემსგავსე, რომელიც დანაშაულისთვის გაიროზგა და ვერ შეირგო სიამოვნება.

შენ ბევრად არ განსხვავდები იმ ადამიანისგან, რომელმაც ქონება გაანიავა, ოჯახი გააღატაკა და მტერი გაახარა, ვისი გაჭირვებაც ყველასათვის აშკარა გახდა. შენ მეგობრები გაგირბიან, ოჯახის წევრები სიძულვილით გეპყრობიან, რადგან უხეში ტანსაცმლის ტარება და ნარჩენების ჭამა უხდებათ.

ხელგაშლილი კაცი დიდებას იხვეჭს და კეთილდღეობით სარგებლობს. მისი ქონება უმოქმედოდ არ დევს – ყოველი სურვილის შესასრულებლად ფულის გარკვეული ნაწილი აქვს გადადებული. ძუნნი კი წვალობს, ბევრ რამეზე თავს იყავებს, სხვისთვის შრომობს, მუდამ თავის მართლებაშია, კეთილშობილებას კარგავს და გაკიცხვას იმსახურებს. იგი იძულებულია, შავი ნაღველის მოქმედებას დაექვემდებაროს, დაუმორჩილოს მას თავისი ღირსება და საშუალება მისცეს, მის ცხოვრებასა თუ გულის მოთხოვნებს უხელმძღვანელოს.

ეტყობა, შენში რაღაც უცხო თესლმა იხარა. ძარღვებში სისუსტე შეგპარვია – მათ რაღაც ჭია ღრღნის და ბოროტი ძალა ანადგურებს. ასეთი საქციელი ნამდვილ საკიფიტს<sup>1</sup> და ნამდვილ ყურეიშიტს<sup>2</sup> არ შეჰვერის. შენ სისხლის შერევამ გაგაფუჭა. მუავიას უთქვამს: „აბდ ალ-მუტალიბის შვილებს შორის თუ ვინმე გულუხვი არ აღმოჩნდა, ის უთუოდ უცხო გვარისა იქნება. აზ-ზუბაირის მოდგმაში თუ ვინმე ჯაბანია – გარეშე პირია. ვინც ალ მულირის შვილებში ამაყი არ არის, თვითმარქვიაა“. სალმ იბნ კუთაიბმა თქვა: „თუ ნახავ მდიდარ და პურძვირ საკიფიტს, რომელიც ინახავს და არ ხარჯავს, აღმფოთდი და ზურგი შეაქციე“.

<sup>1</sup> საკიფი – ერთ-ერთი არაბული ტომი ბასრიდან.

<sup>2</sup> ყურეიშიტი – ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტომი მექის მიდამოებში, რომლის წარმომადგენელი იყო მუჰამედი და საიდანაც დაიწყო ისლამის ქადაგება.

იბნ აბუ ბურდამ თქვა, – „საკიფის ტომის ახალგაზრდათა დაუდევრობა რომ არა, ბასრელებს ქონება არ ექნებოდათ“.

ალაჰი გულუხვია – არასდროს ძუნობს, სიმართლის მთქმელია – არასდროს ცრუობს, ერთგულია – არავის ღალატობს, მომთმენია – აჩქარება არ უყვარს, სამართლიანია – არავის ჩაგრავს. მან გულუხვობისაკენ მოგვიწოდა – ძუნნობა აგვიკრძალა, სიმართლის თქმა გვიპრძანა – ტყუილი აგვიკრძალა, მოთმინებაზე მიგვითითა – სულსწრაფობა აგვიკრძალა, სამართლიანობა და ერთგულება მოგვთხოვა – უსამართლობა და ღალატი აგვიკრძალა. იგი მხოლოდ იმისკენ მოგვიწოდებს, რასაც თვითონ აღიარებს და გვიცავს იმისგან, რაც არც თავისთვის სურს. ყველა ერთხმად ამბობს: „ჭეშმარიტად ალაჰი გულუხვია გულუხვთა შორის და კეთილშობილი – კეთილშობილთა შორის“.<sup>1</sup> როგორც ამბობენ: „იგი არის უმოწყალესი მოწყალეთა შორის და საუკეთესო შემოქმედთა შორის“. ხშირად იტყვიან ხოლმე გლახაკთა შესაგონებლად და ხელგაშლილთა დასარიგებლად: „ნუ შეეჯიბრები ალაჰს გულუხვობაში, რამეთუ ალაჰი, – დიდებულიმც არს ხსენება მისი, – ყველაზე კეთილშობილი და ყველაზე გულუხვია“.<sup>2</sup> იდიდოს მისმა დიდებულებამ და წმინდა იყოს სახელი მისი, – ასე უწოდა თავის თავს: „დიდ წყალობათა მეუფეთა იგი“<sup>1</sup>, „არა არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა“<sup>2</sup>, „მორქმითა და დიდებით გარემოცული“<sup>3</sup>. გაიხსენებდნენ წინასწარმეტყველს, – ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, – და იტყოდნენ: „დირჰამი დირჰამზე არ დაუდევს და აგური – აგურზე, მთელ არაბეთს მართავდა, ძვირფასეულობა არ აკლდა, მისთვის გროვდებოდა ხარკი

ღადრ ალ-ირაკიდან შაპრ ომანამდე და იემენის შორეულ ოლქებამდე. მაგრამ გარდაცვალების შემდეგ დარჩა ვალი, რომლის გასასტუმრებლად მისი აბჯარიც კი დააგირავეს. „არას“ არასდროს გეტყოდა, თუ რამეს სთხოვდი, შეგისრულებდა. მისი პირობა საქმეს უდრიდა, იმედის მიცემა – სურვილის შესრულებას. პოეტები ადიდებდნენ მის გულუხვობას, მეხოტებენი ხოტბას ასხამდნენ მის კეთილშობილებას. მას შეეძლო, ადამიანისთვის ცხვრის მთელი ფარა ან აქლემების ჯოგი ეჩუქებინა. ძველად, როდესაც არაბეთის მეფე ვინმეს ას აქლემს უწყალობებდა, უმალვე აღნიშნავდნენ, ასი აქლემი აჩუქაო და ამ სიტყვებით უსაზღვრო აღტაცებას გამოხატავდნენ. ერთხელ წინასწარმეტყველმა ერთ კაცს ათასი აქლემი უსაჩიუქრა. კაცმა ველზე შეჯგუფებული ჯოგი რომ დაინახა, წამოიძახა, მწამს, ჭეშმარიტად წინასწარმეტყველი ხარ. უბრალო მოკვდავი ასე ხელგაშლილი არ იქნებაო. ჰაშიმიტებს<sup>4</sup> თავი მოჰკონდათ ყურეიშიტთა შორის და ამბობდნენ: „ჩევნ ყველაზე გულუხვი მასპინძლები ვართ და ყველაზე გულადი მეომრები“. ზოგიერთი ასე იხსენებდა მათ: „ყველაზე გულუხვნი, კეთილშობილი და ენამახვილი“.

ყველა ეროვნების ადამიანი, ძუნნი იქნება ის, გულუხვი, თუ არც ერთი და არც მეორე, ერთმანეთს წააგავს. ყველა აძაგებს ძუნნობას და აქებს გულუხვობას, გმობს ტყუილს და ადიდებს სიმართლეს. ამბობენ, ყველაზე დასაფასებელი სურვილის წინააღმდეგ ჩადენილი გულუხვობააო. უქონელის გულმოდგინებაზეც მიუთითებენ ხშირად, რომელიც არაფერს იშურებს, იქნებ როგორმე ხელგაშლილობა გამოიჩინოს. არც იმას ივიწყებენ, ვინც ძალ-ლონეს არ

<sup>1</sup> და არ ისურვებენ ისინი, ვინც ურნმუნონი იყვნენ წიგნის მქონეთაგან და არც წარმართნი, რომ ზეგარდმოევლინოს თქვენზე სიკეთე თქვენი უფლისაგან. ხოლო ალაჰი მიანიჭებს თავის წყალობას იმას, ვისაც ინებებს. ალაჰი უდიდესი მადლით მოსილია. ყურანი, სურა II, აია 99 (105). აქაც და შემდგომშიც ამონარიდები ყურანიდან მითითებულია გიორგი ლობჟანიძის თარგმანიდან: ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო გიორგი ლობჟანიძემ, თბ., კავკასიური სახლი, 2006, გვ. 111.

<sup>2</sup> არა არს ღმერთი თვინიერ მისისა და მასთანაა თავშესაფარი. იქვე, სურა XL, აია 3, გვ. 299.

<sup>3</sup> და დარჩება სახე უფლისა შენისა ბრნყინვალე, დიდებული. იქვე, სურა LV, აია 27, გვ. 331.

<sup>4</sup> ჰაშიმიტები – ყურანის ტომის ჰაშიმის გვარის წევრები.

ზოგავს და გიმასპინძლდება იმით, რაც გააჩნია. უპირატესობა ყოველთვის იმ ადამიანს ენიჭება, რომელიც თავს წირავს და არა – იმას, ვინც ქონებას წირავს. ფარაზდაკმა<sup>1</sup> თქვა:

„ჰათიმი რომ ახლა აქ იყოს, მისი სული მაინც იძუნწებდა, მიუხედავად მისი გულუხვობისა“.

ფარაზდაკმა აქ არ მოიყვანა ქაბ იბნ მა-მის მაგალითი, რომელმაც სიცოცხლე შესწირა წყლის განაწილებას. არცერთ არაბს არ ჩაუთვლია ჰათიმისათვის უგნურებად ქონების დახარჯვა და ქაბისათვის თავის გაწირვა. პირიქით, ქაბის საქციელი იადის ტომის საგმირო საქმეთა შორის იხსენიება, ჰათიმისა – ტაიის ტომის. არ მეგულება ქვეყნად არავინ, ვინც სტუმართმოყვარე კაცის მიმართ სიძულვილსა და ზიზღს განიცდიდეს. ხალხს უყვარს გულუხვი ადამიანი, ხოგბას ასხამს მას და მისი სიყვარულით მთელ მის შთამომავლობასაც პატივისცემით ეპყრობა. არასოდეს გაუკიცხავთ იგი ზედმეტი ხელგაშლილობისათვის, პირიქით, მხოლოდ მიუბაძავთ. ხშირად გაუგონარი სიკეთე და განსაცვიფრებელი გულუხვობა მიუწერიათ მისთვის. ამიტომ ამბობენ, ქება ერთიორად აგინაზლაურდება ამქვეყნად ისევე, როგორც ერთიორად მოგეზღვება კეთილი საქმენი იმქვეყნადო. დიახ, ხალხი გულუხვს მრავალ სანაქებო საქმესა და ბევრ ისეთ ქველმოქმედებას მიანერს, რაც შესაძლოა, სულ სხვა პიროვნებისგან მოდიოდეს. სრულიად სხვაგვარად ექცევიან ძუნწს. იგი სძულთ, ეზიზღებათ. ასეთივე გრძნობა აქვთ მისი ნათესაობის მიმართაც. წუნურაქს ყოველგვარ დამამცირებელ საქციელს და წარმოუდგენელ სიძუნწს მიანერენ. თუკი გულუხვს ზედმეტად აქებენ, ძუნწს ორკეცად აძაგებენ. არა გვგონია, რომ გულუხვის ქონებას უფრო ჩქარა დაატყდეს უბედურება, ვიდრე ძუნწისას. გაკოტრებულთა შორის ძუნწი გულუხვზე ნაკლებად არ გვხვდება.

ხალხი ძუნწის სახელით მარტო იმას არ ნათლავს, ვინც თავის მიმართ იჩენს სიძუ-

ნეს. ძუნწად ითვლება და დაცინვის საგანი ხდება ისიც, ვინც ყველა სურვილს იკმაყოფილებს, არცერთ წადილზე უარს არ ამბობს და სწორედ ისეთ რამეზე შეიკავებს თავს, რაც ქება-დიდებას მოუტანს და რომლის საზღაურიც იქ, ზეცაში ელოდება.

ზოგჯერ ძუნწი უმიზნო ხარჯებს ეწევა: იმდენ მონასა და მხევალს, შინაყმასა და საქონელს გაიჩენს, იმდენ ძვირფას ჭურჭელს, არაჩეულებრივ ქსოვილსა და შესანიშნავ სამკაულს შეიძენს, რომ მისი ხარჯები ორჯერ უფრო აღემატება ხელგაშლილი, მდიდარი კაცის ხარჯებს. ძუნწის ქონება ნიავდება, ის კი დაცინვის მეტს ვერაფერს იმსახურებს. იცვლება მისი მდგომარეობა, მას კი ისევ აძაგებენ. ზოგჯერ მომღერალი ქალებისადმი სიყვარული შეიპყრობს, საჭურისებით იხიბლება, შესაძლოა, ნადირობისა და ცხენოსნობის ტრფიალმა გაიტაცოს. ხშირად თავის ქონებას ქორნილებში, ნადიმებსა თუ წინადაცვეთის დღესასწაულებში ხარჯავს, ხანდახან მთელი ქონება გირაოში ეღუპება. ზოგიერთი ძუნწი მეტად ამპარტავანია, მაშინ მისი სიძუნწე უფრო ბილწი და აუტანელი ხდება. იგი ფანტავს ქონებას, აცარიელებს სკივრებს, მაგრამ მაინც ვერ აღწევს სასურველს და თავს ვერ იზღვევს გაკიცხვისაგან. ნუთუ არასდროს შეგვხვედრია ხელმოცარული ძუნწი, ძუნწი-უგნური, ძუნწი-მფლანგველი, ძუნწი-ბაქია? ძუნწი, რომელსაც მთელი თავისი ქონება მშენებლობაზე, ალქიმიაზე დაუხარჯავს, თავის უაზრო მისწრაფებათა შესასრულებლად და აუხდენელ ოცნებათა განსახორციელებლად გაუფლანგვას. ძუნწი, რომელსაც ძალაუფლების ხელში ჩაგდება უფრო იზიდავს, ვიდრე – ოქრო და ვერცხლი.

მინახავს ძუნწი, რომელსაც ათასი დირჟამის სუფრა გაუშლია, მის სახლში დღენი-ადაგ წვეულება და ნადიმი ყოფილა, მაგრამ მთელი აყალმაყალი აუტეხავს, თუ რომელიმე სტუმარს პურის დამატება მოუთხოვია. ის, ალბათ, თანახმა იქნებოდა, ისლამის საწრმუნოებისათვის ჩაეცათ მახვილი, ოღონდ კი მის პურს არ შეჰებოდნენ. ასე-

<sup>1</sup> ფარაზდაკმა – ომიადების ეპოქის პოეტი, განთქმული შხამიანი სატირული გამოხდომებით.

თი ადამიანისთვის სინდისის შებღალვაზე უფრო დიდი შეურაცხყოფა მისი შეჭამან-დის შებღალვა იქნებოდა.

გასაჭირი ძუნნის ქონებას უფრო სწრაფად ატყდება თავს და უბედურებაც დაუ-ზოგავად ანადგურებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ძუნნს ალაპის იმედი არ აქვს, ნაკლებად ფიქრობს მის წყალობაზე. გულუხვი იმედს ალაპზე ამყარებს, მისგან მოწყალებას მოელის. იგი ძუნნზე უფრო მორნმუნეა, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, დაემსგავსოს მორნმუნეს. როგორც უნდა წარიმართოს გულუხვის საქმე და რა მდგომარეობა-შიც უნდა აღმოჩნდეს, იგი არასოდეს არ ამყარებს იმედს მხოლოდ თავის გონიერებასა, შორსმჭვრეტელობასა და წინდახედუ-ლობაზე. ძუნნის ჩივილები ბედის უკუღ-მართობაზე მოწმობს მის უნდობლობას ბე-დის უკუღმართობათა შემოქმედის მიმართ, იმის მიმართ, ვინც შექმნა ეს დროება და ხალხი ამ დროებისათვის. განა მომზდარა ქვეყნად რაიმე შემოქმედის წინასწარგან-საზღვრის გარეშე, შეცვლილა ოდესმე ერ-თი დრო მეორით, იმის ბრძანების გარეშე, ვინც იგი შექმნა? განა ჩვენ თვითონ, მიუხე-დავად იმისა, რომ არ ვიცით ამის მიზეზი, დარწმუნებულები არა ვართ, რომ ყველა-ფერი დასასრულისკენ მიისწრაფვის შეუჩე-რებლად?

ხალხს სიძუნნისკენ სიღარიბის შიში არ უბიძებს, ხელმოჭერილობა და გაუმაძღრობა თვითონ ადამიანის ბუნებაშია. ავი-ლოთ მეფე, რომელიც ვეებერთელა სახელ-მწიფოს განაგებს, დიდი ქონების პატრონია, მტრებიც დათრგუნვილი ჰყავს და მა-ინც ძუნნია. მეორე, უფრო გონიერი, რომ-ლის სახელმწიფო მეტად პატარაა, ხაზინა – ცარიელი, გააფთრებული მტერი კი ყოველი მხრიდან უტევს, მაინც გულუხვი და ხელ-გაშლილია. ზანგებს ყველაზე ნაკლებად აქვთ განვითარებული აზროვნება და სრუ-

ლიად ვერ ითვალისწინებენ მოვლენათა შე-დეგებს. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ზანგების გულუხვობა გონების სიჩლუნგის, უკიცობის და ჭკუის ნაკლებობის შედეგია, მაშინ სპარსელები ბიზანტიელებზე ძუნნები უნ-და იყვნენ, ბიზანტიელები კი – სლავებზე უფრო ძუნნები, მამაკაცები ქალებს უნდა აჭარბებდნენ სიძუნნით, ახალგაზრდა ვა-ჟები ქალიშვილებს უნდა აღემატებოდნენ გულუხვობით. ყველაზე უჭკუო ძუნნი უფ-რო ჭკვიანი უნდა იყოს, ვიდრე ყველაზე გონიერი გულუხვი. ძალლი, რომელიც სი-ძუნნითაა ცნობილი, უკეთესად უნდა ერ-კვეოდეს ყველაფერში, ვიდრე მამალი, რო-მელსაც ანდაზებით ვიცნობთ, როგორც გულუხვს; ამბობენ: „მამალზე გულუხვია“, „ძალლზე ხარბია“. იტყვიან: „დაამშიე ძალ-ლი და უკან გამოგიდგება“, „პატრონის უბედურება ძალლის კეთილდღეობაა“, „გა-ასუქე ძალლი და შენც შეგჭამს“, „ჰავმალის ძუნაზე მშიერია“, „ძალლზე მეტს ყეფს“, „ავი ძალლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევს“. ერთმა პოეტმა თქვა:

„ლამის ერთი ნაწილი სიარულში გაატა-რა, შემდეგ ალ-არჯაში გაჩერდა, ძალლზე უფრო ძუნნ კაცთან“.

თქვა ალაპმა, – დიდებულიმც არს ხსე-ნება მისი! – „იგი ჰგავს ძალლსა, რომელიც ჰყეფს, როცა ნანადირევს აძლევ და რომე-ლიც მაშინაც ჰყეფს, როცა შორდები“.<sup>1</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ მერველები ყველაზე გონივრებად, ხორას-ნელები კი ყველაზე განსწავლულებად უნ-და ვაღიაროთ.

არ შევხედრივარ ხელგაშლილს, რომე-ლიც გაურბოდეს „გულუხვის“ ნაცვლად ნათქამ სახელს „მფლანგველი“. მაგრამ შევხედრივარ ძუნნს, რომელსაც აშინებს „მომჭირნეობის“ ნაცვლად ნახმარი სიტყვა „სიძუნნე“. ისევე, როგორც მორიდებულს არ მოსწონს, თუ მასზე თქვეს „მორცხვია“;

<sup>1</sup> და, რომ გვენებებინა, ავამაღლებდით მას მათით (ჩვენი სასწაულებით), მაგრამ იგი ქვეყნისაკენ იღტვოდა და საკუთარ გულისთქმას აჰყვა, იმ ძალლის არ იყოს, რომელსაც თუ თავს დაესხმი, ენას გადმოაგდებს და, თუ თავს დაანებებ, მაინც ენას გადმოაგდებს. ეს არის იგავი იმ ხალხისა, ვინც არ დაუკერა ჩვენს აიებს; და უამბე მათ ეს ამბავი, რათა ეგების კეთილგანსაჯონ. ყურანი, სურა VII. აია 175, გვ. 173.

გულადს, თუ იტყვიან „ნინდაუხედავია“ და არც გაბედულ ორატორს, თუ თავხედს უწოდებენ. ფული გვხიბლავს – სული მისკენ მიიღოს. სიმდიდრის მოპოვება ძნელია, მაგრამ სული მუდამ მიუწვდომლისკენ მიისწრაფვის. ადამიანს ძარღვებში უდუღს ქონების დაგროვების მამოძრავებელი ძალა. ამიტომ არის, რომ ისიც კი, ვისაც ჭკუა და გონება არ აწუხებს, პატივისცემით ეპყრობა მდიდარს, მაშინაც, თუ იცის, რომ მისგან ვერაფერს მიიღებს.

ერთმა ძველმა პოეტმა თქვა:

„მიუწვდომლობამ უფრო  
სასურველი გახადა იგი.  
აკრძალული ყველაზე ტკბილია  
კაცისათვის.“

სპარსელთა ერთ-ერთ წიგნში ნათქვამია: „ყოველივე ძვირფასის ღირებულება ეცემა, თუ ის ადვილად მისაწვდომია“.

მუაზა ალ-ადავიამ თქვა: „ყველაფერი, რაც იოლად მოსაპოვებელია, ჩვენში სიძულვილს და ზიზღს იწვევს მხოლოდ“.

თუ ძუნები ქონებას შვილებისათვის აფროვებენ, მათთვის შრომობენ და თავიანთ სიმდიდრეს მათ უნახავენ, მაშინ რაღად ტოვებენ უყურადღებოდ ბავშვების თხოვნას, რატომ არ იმეტებენ უფრო მეტ ფულს მათთვის და რად უანგარიშებენ ხოლმე ყოველ წვრილმანს? ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმ დიდი სიძულვილისა, რასაც ახალი თაობა ძველი თაობის მიმართ განიცდის მუდამ და რაც სურვილს უკარგავს ახალგაზრდას, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვოს ხანშიშესულ ადამიანს. თუ მართლა შვილებისთვის ზრუნავენ ძუნები, მაშინ რაღად აგროვებენ ქონებას საჭურისნი, რატომ არ არიან თავისუფალნი ამ დამამცირებელი საქმიანობისაგან ბერ-მონაზენები და უშვილონი? რატომ ხდება, რომ ძუნები შვილის სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს ქონების დახვავებას და არ ღალატობს თავის სიძუნებს?

უბრალო ხალხი თავაუღებლად შრომობს ლუკმაპურისათვის. გადამყიდველები და ძუნებიც არ ზოგავენ ძალ-ლონეს და სულ უფრო მეტი და მეტი ქონებისაკენ მიიღოვიან, სიხარბე და ქონებისადმი მისწრაფება არ იკლებს მაშინ, როდესაც წარმოუდგენელ სიმდიდრეს დააგროვებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი არ ფიქრობენ, წუთიერ ქვეყანაში ვიმყოფებით, საიდანაც სულ სხვა მხარეში გადავალთო. სამუდამო ცხოვრება რომ იწამონ, მაშინ ზედმეტი ქონების დაგროვებას თავს დაანებებენ. ძუნება მშვენივრად იცის ყველა კანონი, არც უბრალო კაცია უვიცი. ის, ვინც წინ არ აღუდგება ყოველივე ზემოთ-ქმულს, მის წინააღმდეგ არ მიმართავს მთელს თავის შორსმჭვრეტელობასა და ხასიათის სიმტკიცეს, უბრალო მდაბიო ან უბადრუკი ძუნები იქნება მხოლოდ.

ალაპის მოციქულმა, ალაპიმც აკურთხებს და მიესალმება მას, უთხრა ერთ გულუხვ კაცს, რომელმაც მისი თანდასწრებით ტყუილი იკადრა: „შენი ის თვისება რომ არა, რის გამოც ალაპმა შეგიყვარა, ჭეშმარიტად აქედან გაგაძევებდი“. წინასწარმეტყველს ჰკიოთხეს (ალაპიმც აკურთხებს და მიესალმება მას): „ხომ არ ისურვებ თეთრ ქალებს და წაბლისფერ აქლემებს?“ წინასწარმეტყველმა იკითხა, ვის ეკუთვნიან ისინი. „ბანუ მუდლიჯის თემს“, – უპასუხეს მას. „ამის უფლებას არ მაძლევს მათი სტუმართმოყვარეობა და ნათესაური კავშირი“, – თქვა წინასწარმეტყველმა და დაუმატა: „როდესაც ისინი ზვარაკს სწირავენ, ირგვლივ სისხლის ღვარი დგას. როდესაც ამბობენ: „აი, შენ წინაშე ვარ“, აუცილებლად მთელი ხმით გაჟყვირიან“. მანვე ჰკიოთხა ანსარებს: „ვინ არის თქვენი მეთაური?“ „ჯად იბნ კაისი<sup>1</sup>, მაგრამ მას ჩვენთან ძუნების სახელი აქვს გავარდნილი“, – უპასუხეს ანსარებმა<sup>2</sup>. „რა ავადმყოფობა შეიძლება იყოს სიძუნეზე უარესი“, – წამოიძახა წინასწარმეტყველმა. მან სიძუნე ავადმყოფობას შეადარა. ერთხელ ანსარებს უთხრა: „ვფიცავ ალაპს, მე მხოლოდ ერთი რამ

<sup>1</sup> ჯად იბნ კაისი – მუჰამედის თანამოაზრე, მედინაში ცნობილი მლიქენელობით.

<sup>2</sup> ანსარები – მუჰამედის თანამოაზრები მედინაში.

ვიცი: თქვენ ერთად ხართ, როცა საფრთხე მოგელით, მაგრამ საკვების განაწილების დროს ცოტანიღა რჩებით<sup>1</sup>. მანვე თქვა: „ადამიანს თავის სიხარბე ზღვას გადაალახვინებს“ და კიდევ: „ადამის ძეს ორი დიდი მთისოდენა სიმდიდრე რომ ჰქონდეს, უთუოდ მესამესაც მოინდომებს. მას მხოლოდ მინის მტვერი გააძლობს. ალაპი მიიღებს იმის მონანიებას, ვინც მოინანიებს. გულუხვობა თავმდაბლობიდან მოდის, თავმდაბლობა – რწმენიდან. ალაპი გულუხვია და უყვარს ხელგაშლილობა“ მანვე თქვა: „დახარჯე, ო, ბილალ!<sup>1</sup> ნუ გეშინია ტახტის მფლობელის, არ მოგაკლებს თავის

წყალობას“. „ნუ უანგარიშებ, შენც გეანგარიშება. ნუ შეკრავ, შენც შეგევვრის“.

ასე ამბობენ: სურსათის ნარჩენებს ვეღარაფერში გამოიყენებო.

წინასწარმეტყველმა ოქროსა და ვერცხლს ორი ქვა უწოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ღირებულება დაემცირებინა და ახალი ეხსნა ცოტნებისაგან. კაის იბნ ასიმს უთხრა: „შენია ყველაფერი, რასაც შეჭამ და გაანადგურებ, რასაც ჩაიცვამ და გაცვეთ, რასაც გასცემ და დახარჯავ: დანარჩენი მეტყვიდრისაა“.

ან-ნამირ იბნ თავაბმა თქვა:

„ის მოითხოვდა, მეგროვებინა ქონება და არ მეხარჯა,  
ბედის უკუღმართობამ დამარწმუნა მის სიცრუეში.  
ბევრჯერ გვინახავს გაკოტრებული  
ლირსეული, დიდსულოვანი, კეთილშობილი და დიდგვაროვანი.  
შენ ჩემთან იყავი, ისინი კი შორს იყვნენ.  
უმჯობესი იქნებოდა, ისინი ყოფილიყვნენ ახლოს და არა – შენ.  
ო, შენ, რომელმაც საყვედურით ამავსე!  
როცა ჩემი „ბუ“ უდაბნოში გამოჩნდება,  
მეგობრები და ახლობლები გამშორდებიან.  
შენ დაინახავ, რომ მე არ ვყოფილვარ  
იმის ბატონ-პატრონი, რაც დამრჩა.  
ჩემი წილი მხოლოდ ის ყოფილა, რაც დავხარჯე.  
ჩვენ გვინახავს აქლემების პატრონი, რომელიც  
თავს ევლება ჯოგს, თავისად თვლის, გულმოდგინედ  
უვლის, წყალს ასმევს...  
მერე კი აქლემები მიდიან და სხვა პატრონი მიერეკება მათ“.

მეორე პოეტმა თქვა:

„მან ტირილი დაიწყო, როდესაც ბებერი აქლემი  
ერთ ტიკსა და ჩაფ ლვინოზე გადავცვალე და ყმაწვილებს შევასვი.  
ნადიმზე მათ ოთხი დედალი აქლემით გავუმასპინძლდი,  
ნადიმის შემდეგ – კიდევ ოთხი დედალი აქლემით.  
ნუთუ შეიძლება ტირილი ასეთ უბრალო რამეზე.  
როცა თვალებს ცრემლი არ ასველებს, ეს ტირილი არ არის.  
როდესაც ჩემთან მოვლენ ჩემი ძმები, ნება დართე მათ,  
დატკბნენ ცხოვრებით, იმხიარულონ.  
ნუ გააძევებ ჩემი სახლიდან.  
დადგება დღე და დაცარიელდება ჩემი სარეცელი.  
ნუთუ არაფერი გსმენია ადიასა და მის სახლზე,  
მის ცხენებსა და ლვინოზე, რომლებსაც არავის არ უკავებდნენ?!“

<sup>1</sup> ბილალი – მუჰამადის მუეზინი, ბრმა.

თქვა ჰარის იბნ ჰილიზამ<sup>1</sup>:

„როდესაც ახალგაზრდა თვითონ შრომობს, სხვებიც შრომობენ მისთვის.  
მის შრომას უცბად შეწყვეტს სიკვდილი  
და ტოვებს იგი ყოველივეს, რასაც მომავლისთვის ქმნიდა;  
უტოვებს დამშეულ მხეცებს გასანადგურებლად!  
ნუ გენანება, გაეცი მაკე აქლემები.  
არავინ იცის, ვინ მიიღებს ახლად შობილებს“.

ერთმა ჰუზაილიტმა თქვა, რომ

„გულუხვნი გეჯიბრებიან სახელის მოხვეჭაში – აჯობე მათ.  
მიეცი სამემკვიდრო, დანარჩენი კი ფლანგე –  
რასაც ქარი დაპბერავს, ყველაფერი დაიკარგება“.

ერთმა ქალმა თქვა:

„აი, შენ მიუძღვენი ახალგაზრდას დარახტული ცხენები,  
აქლემები, რომლებიც ანცვიფრებენ მწველავებს.  
ცხვრები – უთვალავი, როგორც მფრინავი კალის გუნდი.  
მაგრამ ამით ის ისარგებლებს რამდენიმე დღეს,  
შემდეგ ყოველივე დაიღუპება“.

თქვა იამიმ იბნ მუკბილმა:

გადადე მემკვიდრის წილი და სხვა გაფლანგე, ქონება სესხია.  
მოიხმარე იგი ბედისწერასთან ერთად, რომელიც  
სულერთია, მას გაანადგურებს“.

აბუ ზარამ თქვა, რომ

„ქონებაში ორი თანამოზიარე გყავს – მემკვიდრე და ბედის უკულმართობა“.

თქვა ალ-ჰუტაიმ:

„ვინც სიკეთეს სთესს, ჯილდოს გარეშე არ დარჩება,  
ალაპთან და ხალხთან კეთილი საქმე არ იკარგება“.

ერთ-ერთი თქმულება გვეუბნება:

„ამქვეყნად კეთილისმყოფელი იმქვეყნად სიკეთეს მიიღებსო“.

ანდაზაში ნათქვამია: „სიკეთე ჰემენ, თუნდაც ძალლისთვისო“.

ალაპი, დიდ არს ხსნება მისი, სულ მცირე სიკეთისაკენ მაინც მოუწოდებდა ხალხს  
და ამბობდა: „ვინც ერთი ცახე წონა კეთილი ჰემნას, იხილოს იგი, მანცა, ვინც ერთი ცახე წონა ბოროტი ჰემნას, აგრეთვე იხილოს იგი“<sup>2</sup>. სალმ იბნ კუთაიბამ თქვა: „ზოგიერთს მცირედის შეთავაზება ერიდება,

ბევრს კი ვერ იმეტებს“. თქვა წინასწარმეტყველმა, ალაპიმც აკურთხებს მას და მიესალმება: „ნუ გაისტუმრებ უარით მათხოვარს, დამწვარი ფლოქვი მაინც მიეცი“. მანვე თქვა: „ნუ დაუკავებ მათხოვარს თუნდაც ცხვრის ჩლიქს“. მასვე უთქვამს: „ლუკმას ნუ დაინანებ. იცოდე, იმქვეყნად ეს ლუკმა

<sup>1</sup> ჰილიზა – ისლამამდელი პოეტი, ერთ-ერთი მუყალლაკის ავტორი.

<sup>2</sup> და ვინც ერთი ნამცეცის მისხალი სიკეთე მაინც ქმნა, ნახავს მას უთუოდ და ვინც ერთი ნამცეცის მისხალი სიავე მაინც ჩაიდინა, ნახავს მას უთუოდ. ყურანი, სურა XCIX, (99) აია 7, 8, გვ. 367.

დიდი მთისოდენად გადაიქცევა“. მან თქვა იგივე, რაც ალაჰმა, დიდ არს ხსენება მისი: „ღმერთმა ვახში მოსპო და ვახშით ამრავ-ლებს სამოწყალოს ფასასა“<sup>1</sup>. ამბობენ: „როცა ძუნნი რამეს ითხოვს, ითხოვს დაუინებით, როცა მას სთხოვენ, ყურს იყრუებს“. წინასწარმეტყველმა, ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, თქვა: „ციდან ყოველ-დღე ორი მაცნე ღაღადებს. ერთი ამბობს: „ო, უფალო! დააჩქარე საზღაური მფლან-გველისათვის“. მეორე ამბობს: „ო, უფალო! დააჩქარე აღსასრული ძუნნისათვის“. ძუნ-ნზე ამბობენ: „არ გისმენს და უარს გეუბნება, არ ესმის და მაინც გირისხდება“.

ამბობენ: „ძუნნი უგრძნობელია თხოვ-ნისადმი, გულუხვი მგრძნობიარეო“.

ალაჰმა, დიდებულმც არს ხსენება მისი, თქვა: „რომელნიც ძუნნობენ და რომელნიც სხვებს სიძუნნეს ურჩევენ<sup>2</sup>. თუ კაცს გაჭირვება ძუნნთან მიიყვანს სათხოვნელად, არაბები იტყვიან, „რა გაგიჭირდა, ტვინს რომ მყესში ეძებ“.

წინასწარმეტყველმა, ალაჰიმც აკურ-თხებს მას და მიესალმება, თქვა: „სიმარ-თლე თქვი და ნამატი მოგვეცი“.

თქვა ალაჰმა, ძლიერმა და დიდებულმა: „რომელნიც თუმცა შეჭამადისთვის ოხ-ვრენ, საჭმელს მიაწოდებენ საწყალს, ობოლს და ტყვესა“<sup>3</sup>. მანვე თქვა: „სრულს ღვთისნიერებას მისწვდეთ მხოლოდ მაშინ, როცა სამოწყალო გაიღოთ მისგან, რაც ყველაზე უფრო გეძვირფასებათ“.

ამბობენ, „დამის ფათერაკს დილით აქე-ბენ“; „თავს გვატყდება უბედურება, მაგრამ დასასრული მასაც აქვს“, და განსაცდელი-სას თავშეკავებას მოუწოდებენ. ალ-ხოზა-მიმ თქვა: „გულუხვობის მისადგომთან

მთის ფერდობია გადასასვლელი – ქვიანი და ოღონილობია, ჩამოსასვლელი ვაკეა გაშლილი“.

ყოველი გულოვანი ჭაბუკი, როცა რამეს დაიპყრობს, იტყვის:

„ნეტავ კიდევ უფრო ძნელი მისაღწევი ყოფილიყო“.

ამბობენ: „ყველაზე კარგია ის ადამიანი, რომელიც კარგია თვითონ ადამიანისათ-ვის. ყველაზე ცუდია ადამიანი, რომელიც ცუდია თვითონ ადამიანისთვის“.

იტყვიან ხოლმე: „კარგია ის ქონება, რომელსაც შენთვის სარგებლობა მოაქვს“.

ამბობენ: „რა საოცრად ეხამება ერთმა-ნეთს სიბერე და სურვილთა სიჭაბუკე!“

პოეტმა რაჯაზიმ თქვა: „თითოეულ ჩვენგანს სიცოცხლის გახანგრძლივების იმედი აქვს, მაგრამ სიკვდილი სპობს ყველა იმედს“.

თქვა უბაიდალაპ იბნ იქრაშმა: „დრო ცბიერია, ხაზინადარი – ხარბი, მემკვიდრე ფხიზლობს. ნუ ენდობი ცბიერს და თვითონ გახდი ფხიზელი მემკვიდრე“. მანვე თქვა: „ხანი ემატება ადამის ძეს და სულ უფრო უძლიერდება ორი თვისება – სიხარბე და იმედი“.

კიცხავენ ადამიანს, რომელიც მარტო შეექცევა საჭმელს და ამბობენ: „იბნ ომარი არასდროს არ ჭამდა მარტო“, ან კიდევ: „ალ-ჰასანი არასდროს არ ჭამდა მარტო“, მუჟამ არ-რაბიამ ყური მოჰკრა, ძუნნი უფ-რო იმსახურებს პატივებას, ვიდრე მოძალა-დეო და თქვა: „ალაჰიმც შეარცხვენს ისეთ ორ საქმეს, რომელთა შორის საუკეთესო სიძუნნეა“. ბაქრ იბნ აბდალაპ ალ-მუზანიმ თქვა: „ეს მეჩეთი სავსე რომ იყოს მორწმუ-ნებით და მკითხონ, ვინ არის მათ შორის

<sup>1</sup> ალაჰიმც მკაცრად ძირკვავს მევახშეობას და ნერგვავს მოწყალების გაღებას. ალაჰს არ უყვარს ურ-ნებუნონი და ცოდვილინი. ისინი კი, რომელთაც ირწმუნებს და იქმოდნენ სიკეთეს, დგებოდნენ ლოცვად და გასცემდნენ ზაქათს, – მათი საზღაური მათ უფალთანაა; შიში არ ექნეთ, არ ინალ-ვლონ. ყურანი, სურა II, აია 277 (276), გვ. 123.

<sup>2</sup> ნატრობენ, რომ თქვენც ურწმუნონი იყოთ ისევე, როგორც თვითონ არ ირწმუნებს, რათა თანას-ნორნი შეიქნათ. და ნუ აირჩევ მათვან მევობრებს, ვიდრე სამშობლოდან გადასახლდებოდნენ ალაჰის გულისათვის, და თუ უკან მობრუნდნენ, აიღეთ და ხოცეთ ისინი, სადაც წააწყდებით. და ნუ აირჩევ მათვან მეოხს და ნურცა შემწეს. ყურანი, სურა IV, აია 91, გვ. 141.

<sup>3</sup> (იგი ქმნის) ცხენებს, ვირებსა და ჯორებს, რათა დასხდეთ მათზე თუ სამშვენისად, და ქმნის იმას, რაც არ იცით. ყურანი, სურა LXXVI (76), აია 8.

ყველაზე კარგიო, ვუპასუხებდი: „ის, ვინც კარგია მათვის“. თქვა წინასწარმეტყველ-მა, ალაპიმც აკურთხებს მას და მიესალმება: „გითხრათ, ვინ არის თქვენ შორის ყველაზე კარგი“, გვითხარიო, სთხოვეს მას. „ის, ვინც მარტო ჭამს, ვინც არ განიკითხავს და ის, ვინც როზგავს თავის მონას“. ერთმა ქალმა, მავანის დამარცხებაზე, თქვა: „ო ალაპ! ნუთუ მისი ქონება მის მუცელს არ ემსახურებოდა და მისი ცოლი მის ბრძანებას არ ასრულებდა?!“

იბნ ათ-თავამას ეპისტოლე.

როცა ამ ეპისტოლემ იბნ ათ-თავამას-თან მიაღწია, მან აბუ-ლასასთვის პასუხის გაცემა არ მოისურვა. დავას და უსიამოვნებას თავი აარიდა, თან ეშინოდა, კიდევ უარესი არაფერი მოჰყოლოდა ამას, ამიტომ ასეთი წერილი გაუგზავნა ას-საკიფს: „სახელითა ალაპისა, მოწყალისა მწყალობელისა. შემდეგ კი, აი რა. გავიგე, როგორ მოგვიხსნია აბუ-ლ ასამ და როგორ მოსცხო ჩირქი ჩვენს სახელებს. ჩვენ ხელს არაფერი გვიშლიდა და შეგვეძლო, პირადად მისთვის მიგვენერა წერილი, მაგრამ თავი შევიკავეთ. ჩვენს პასუხს უპასუხოდ არ დატოვებდა და იძულებული გავხდებოდით, მის მეორე პასუხს უფრო მეცრად გამოვხმაურებოდით, ვიდრე პირველს. ამგვარად, დაინყებოდა ერთმანეთისთვის წერილების წერა, ჩავებმებოდით კამათში. კამათისა და დავის მოყვარული თავის ხვედრად სიჯიუტეს და შეუგნებლობას ირჩევს მხოლოდ. ვინც იცის უბედურების მიზეზი, სიჯიუტეს მოერიდება. ვინც დაიფარა ალაპმა გულზვიადობის, გონებაჩლუნგობის, სიჯიუტისა და მათთან დაკავშირებული ყველა უსიამოვნებისაგან, იმ ადამიანში თანაზომიერად იქნება შეზავებული ხასიათის ძირითადი თვისებები: აზროვნების სიდინჯე და საქმეში ზომიერება. ბოროტ ადამიანს ვერაფერი გარდაქმნის სიკვდილის მეტი. თავდაჯერებულს ერთი მიმართულება აქვს, მასზე ვერავითარი თილისმით ვერ იმოქმედებ. ცვალებადი ბუნების ადამიანისათვის ყველა გზა ხსნილია, საითაც ქარი დაუბე-

რავს, იქით გადაიხრება. შეწყვიტე მასთან ურთიერთობა, იგი ხარბი და გაუმაძლარია, არცერთი კარგი თვისება არ გააჩნია. ერი-დე ავზნიან ცხენზე ჯდომას, მისი გზა დამღუპველია. სახარბიელო არც მერყევი ადა-მიანია, რომელმაც უეცრად იცის აღფრთოვანება; არც – ჯიუტი, რომელიც მეტად და-უინებული და თავისნათქვამაა, მაგრამ მერყევი ადამიანი კიდევ უფრო უარესია, ვიდრე თავისნათქვამა – ვერ გაუგებ, რა ამოძრავებს, რისკენ მიისწრაფვის. ჭკვიანი ჭკვი-ანს ატყუებს, სულელს კი – ვერა. იმიტომ, რომ ჭკვიანის ყოველი მოძრაობა, ყველა მისი ხერხი გასაგებია, მისი მოქმედება განსაზღვრული და გაანგარიშებულია, მისი აზ-რებისაკენ მიმავალი გზები გაკაფულია. სულელის საქციელს, მის აზრებს ერთი მიმართულება არა აქვს. ვინც სხვადასხვაგვარად ფიქრობს, ცდება, სიმართლე ყოველთვის ერთია, სიცრუე კი – უთვალავი. ჯიუტი ერთი დარტყმით კლავს, მერყევი – წამებით.

ამას ჩვენ მხოლოდ აბუ-ლ ასაზე არ ვამბობთ და მთელი ეს საბუთები მარტო მის წინააღმდეგ არ მოგვყავს. ჩვენ შენ გვყავ-ხარ მხედველობაში და შენ გაძლევთ რჩევას. ასე უთქვამთ: „შეინახე შენი საიდუმლო, რამეთუ სისხლია შენი“. რა განსხვავებაა, შენი სული დაიღუპება თუ ის, რაც შენი სულის საყრდენს შეადგენს. მუნჯაბ ალ-ან-ბარმა თქვა: „უბედურება არ არის ის, რა-საც ფულით უშველი“. იმის დაკარგვა უფრო მიიმეა, რითაც საქმეებს აგვარებ, ვიდრე – თვითონ ამ საქმეების. ყველამ კარგად იცის, რომ სიმდიდრის შენარჩუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი შეძენა. ამაზე უთქვამს პოეტს: „უფრო ძნელია ქონების დაცვა, რომლის შეგროვებაზეც იწვალე, ვიდრე მისი შეგროვება“.

მინის გამყიდველმა უთხრა მყიდველს: „გაძლევ იმას, რაც ანაზღაურებას გვიგვიანებს და ხარჯს ბევრს მოითხოვს“. მყიდველმა უბასუხა: „მე კი გაძლევ ძნელად მოსაპოვებელს და ადვილად დასახარჯს“.

დირჰამი ლერძია, რომლის გარშემოც ამ ქვეყნის წისქვილის ქვა ბრუნავს. კარგად შეისწავლე დირჰამის ყველა თვისება. მას მეტად ცვალებადი ბუნება და ხელიდან

დასხლტომის დიდი უნარი აქვს. თუ დირჰა-მის მფლობელი საღად აზროვნებს, როგორც კი დირჰამი ხელიდან დაძვრომას დაუპირებს, უმალვე ბორკილებს დაპდებს და საიმედოდ შეპბოჭავს. ჩვენ არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რომ უძლურია დირჰამის მფლობელი და რა მოუსვენარია მის ხელში დირჰამი. არ შეგაცდინოს არაბების გამოთქმამ: „ქონება მდუმარეა“. იცოდე, იგი უფრო მჭევრმეტყველურია, ვიდრე ქადაგი; უფრო განვრთნილია ენატანიობაში, ვიდრე ჭორიკანა. ნურც იმას დაიჯერებ, რომ „ეს ორი ქვაა“ (იგ. ოქრო და ვერცხლი). მცდარია წარმოდგენა, თითქოსდა ისინი უამრავნი, მდუმარენი იყვნენ და ერთ ადგილას დიდხანს შეეძლოთ ყოფნა. იცოდე, მათი შემოქმედება ადამიანის ბუნებაზე მაშინ უფრო ძლიერია, როდესაც მდუმარედ და უძრავად არიან. მაშინ ისინი ემსგავსებიან მომაკვდინებელ შხამს და გამდვინვარებულ მხეცს. თუ ყველა მათ ოინს სიამოვნებით მიადევნებ თვალს და ხელსაც შეუწყობ, თუ არ გამოიჩენ გამჭრიახობას და ვერ აჯობებ სიეშმაკეში, მაშინ სამარე ამჯობინე სიღარიბეს და საპყრობილე – დამცირებას. ჩემი სიტყვები მწარეა, მაგრამ სამუდამო სიტყბოებას მოგიტანს. ალივსე ნდობით. შენს სიტყვებს სიტყბოების შემდეგ სიმწარე მოჰყვება. ალივსე სიმტკიცით და ნუ დაუშვებ, რომ ქამელეონი, რომელიც ტოტზე დაცოცავს, შენზე გონიერი აღმოჩნდეს.

პოეტი ამბობს:

„მე გავუგზავნი მას თანდუბის ქამელეონს,

რომელიც არ უშვებს ტოტს, ვიდრე მეორეს არ ჩაეჭიდება“.

უფროთხილდი, ნუ გაუშვებ ხელიდან დირჰამს, ვიდრე არ დარმწუნდები, რომ ახალ ადგილას თავს უკეთესად იგრძნობ, არ შეგაცდინოს მისმა სიმრავლემ. ალიჯის ქვიშაც გაქრება სრულიად, თუ მხოლოდ მოაკელი და არაფერი მიუმატე. ადამიანები ბევრს ლაპარაკობენ გულუხვობასა და დიდსულოვნებაზე, პირველი დიდ ღირსებად მიაჩნიათ, მეორე – კეთილშობილებად. ხშირად მფლანგველობა სისუსტისა და ბაქიაობის ნაყოფია. ხელგაშლილობა მფლან-

გველობად იქცევა, თუ გონიერების საზღვრებს გადასცდა. გონიერებას გადასული დიდსულოვნება აღარაფრად ღირს. მფლანგველობა ცოდვაა, ალაპიმც დაგიფარავს! ალაპის მიმართ ცოდვის ჩადენა რომ დიდსულოვნება იყოს, მისდამი მორჩილება სულმდაბლობა იქნებოდა.

თუკი ამ ორ თვისებას ერთი სახელწოდების ქვეშ აერთიანებენ და ერთი განსაზღვრებით აკავშირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ისევე განსხვადებიან ერთიმეორისაგან, როგორც გონიერება და უგუნურება, სიმართლე და სიცრუე, ერთგულება და გამცემლობა, ძალადობა და სამართლიანობა, ცოდვა და უვიცობა, მაშინ გავაერთიანოთ ყოველივე ზემოჩამოთვლილი და ერთი განსაზღვრებით დავაკავშიროთ ისინიც.

ალაპი გმობს მფლანგველობას, მედიდურობასა და მიკერძოებას, მაგრამ განსაკუთრებით გამოჰყოფს მფლანგველობას და არა – მედიდურობას. „მედიდურობა“ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობით იხმარება. „მფლანგველობას“ და „მიკერძოებას“ მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა აქვს.

სახელი „მფლანგველი“ სიამოვნებას ანიჭებს მხოლოდ სულს, რომელსაც არაფერი ესმის, ან ადამიანს, რომელსაც მფლანგველს უწოდებენ მაშინ, როდესაც მისი ხელგაშლილობა ზომიერების საზღვრებს გასცდება და გონივრული საქციელი უგუნურებად გადაიქცევა.

ბევრს ლაპარაკობენ დიდსულოვნებაზე. დიდსულოვნებაც იმ სანაქებო თვისებებს წააგავს, რომლებშიც ზოგი რამ მაინც უარყოფითია. ამქვეყნად უნაკლო არაფერია. ძველთაგან გვსმენია: გადაჭარბებულ დიდსულოვნებას გონებაჩლუნგობა მოჰყვება, გონებაჩლუნგობას – ჭკუასუსტობა, ჭკუასუსტობის იქით კი – ადამიანის სრული გამოფიტვა.

ხოსროს უთქვამს, უფრთხილდი მშიერი გულუხვისა და მაძლარი ძუნნის სიშმაგესო. როდესაც გულუხვს შია, გავინროებს, უსამართლოდ გექცევა, შეურაცხყოფას გაყენებს, იტყუება, ხან თავს იმცირებს და ფეხ-

ქვეშ გეგება; ამ დროს მისთვის სულერთია, ვის ექცევა უსამართლოდ, თავის თავს თუ სხვას. უსამართლობა სიმდაბლეა, ასე რომ არ იყოს, სამართლიანობა კეთილდღეობა აღარ იქნებოდა. თუკი ხელგაშლილობას იმის მიმართ, ვინც ამას არ იმსახურებს, კეთილშობილებად ჩავთვლით, მაშინ ღირსეულის მიმართ ჩადენილი ხელგაშლილობა კეთილდღეობა აღარ იქნება. როცა ადამიანის გულუხვობა მიმართულია ალაპისადმი, ეს მისდამი მადლობის გამოხატვას ნიშნავს; მადლიერების გრძნობა კეთილშობილებაა, მაგრამ როგორ შეიძლება, გულუხვობა მივიჩნიოთ კეთილდღეობად, როცა იგი მხოლოდ და მხოლოდ ცოდვაა? კეთილშობილება ალაპისადმი მორჩილებაა, კეთილშობილება არ არის ის, რაც მადლიერებას არ იმსახურებს. თქვენ თუ მდაბიო ხალხის მიხედვით მსჯელობთ, უნდა იცოდეთ: მდაბიო სამაგალითოდ არ გამოდგება. განა შეიძლება სამაგალითო იყოს ის, ვინც თვალყურს არაფერს ადევნებს, არაფერს შეისწავლის, არ უკვირდება, არ შეუძლია მოვლენათა თვალნათლივ წარმოდგენა?! თუ პოეტებისა გჯერათ, ან ჯაპილიის პერიოდის<sup>1</sup> უვიცი ხალხის აზრებს უწევთ ანგარიშს, ესეც იცოდეთ: მათზე ყურადღების შეჩერება და მათი შეხედულებების გაზიარება არ ღირს. ისინი ხომ ხშირად სიმახინჯედ თვლიდნენ იმას, რომლის სიმშვენიერებიც ეჭვი არავის ეპარებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გულუხვი მადლიერებას იმკის, ძუნწი – გაკილვას.

ძლვენი მოწყალებად არ ჩაეთვლება ადამიანს, თუ მას რაღაც გარკვეული მიზანი ამოძრავებს. იგი მადლობას მხოლოდ მაშინ დაიმსახურებს, როცა რაიმეს კეთილი განზრახვით გიძლვნის. ვინც წყალობას გასცემს, წყალობავე უბრუნდება, ეს ასე რომ არ იყოს, მოწყალებას აღარავინ გაიღებდა, ანაზღაურება რომ ამის გარეშე ხდებოდეს, შენ აღარავინ გაგიხსენებდა. მან თავისი სურვილის შესასრულებლად ხიდად გამოგიყენა. იგი მადლიერების გრძნო-

ბით უნდა იყოს აღვსილი და მადლობას უნდა გიხდიდეს. შენგან კი, მიუხედავად იმისა, რომ შენს სასარგებლოდ მოქმედებდა, მადლობა არ ეკუთვნის, რადგან ასე იქცეოდა მხოლოდ საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. სარგებლობის მიღება სხვა საშუალებით რომ შესძლებოდა, ხელიდან არ გაუშვებდა და შენ აღარ მოგმართავდა.

გონივრულად მოიქცევი, თუ გულუხვად მიიჩნევ და მადლობას შესწირავ იმას, ვინც ხელგაშლილია შენ მიმართ, ყურადღებას არ გაკლებს მაშინაც კი, როცა შენგან არაფერს ელის. ასეთი მხოლოდ ალაპია ერთადერთი და არ ჰყავს ბადალი.

მხოლოდ და მხოლოდ ორი რამ გვიბიძებს, მადლობა გადავუხადოთ ადამიანებს იმ მცირედისთვის, რასაც მათგან ვიღებთ: ერთია ღვთისმოსაობა – ის, რაც გვაიძულებს, პატივი ვცეთ მშობლებს, მაშინაც კი, როცა ისინი სატანის კერძნი არიან და ჩვენზე უფროსებს, მაშინაც, როცა ჩვენ მათზე გაცილებით ღირსეულნი ვართ. მეორეა სული კაცისა, რომელიც ვერ ერკვევა საქმის ვითარებაში, ვერ სწვდება მოვლენათა სიღრმეს, უმაღვე სიყვარულის გრძნობით იმსჭვალება მის მიმართ, ვისგანაც სიკეთეს მიიღებს და აღარ აქცევს ყურადღებას, თუ რა ამოქმედებს იმ ადამიანს. მეგობარი მეგობარს ძლვენს სთავაზობს ან ალაპის სახელით, ან ალაპის სახელის გარეშე. თუ ძლვენი ალაპის სახელითაა, მისი ანაზღაურება ალაპზეა. მე კი ვერაფრით ვერ მაიძულებს ჩემი გონება, მადლობა ვუთხრა ძლვენზე მეგობარს, რადგან ვიცი, ჩემ მაგივრად გზაზე სხვა რომ შეხვედროდა, არც ცხენზე შესვამდა და არც არაფერს მისცემდა.

საჩუქარს ხშირად სახელის მოსაპოვებლად გიძლვნიან. თუ ეს ასეა, მაშინ მას თავისი მიზანის მისაღწევად გამოვუყენებივარ! შესაძლოა, ჩემდამი სიბრალულის გრძნობა ამოქმედებდეს, გული შესტკიოდეს და ამან აიძულოს მიწყალობოს რაიმე. ასეთ შემთხვევაში იგი მხოლოდ საკუთარ თავს ევ-

<sup>1</sup> ჯაპილიის პერიოდი – პოეზიაში ისლამამდელი პერიოდი.

ლინება შემწედ და იმ ადამიანს ემსგავსება, რომელიც იხსნის საყელოს, თუკი ის უჭერს. როცა ვინმე ძლვენს ანაზღაურების იმედით გაიღებს – ბუნებრივია, როცა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ენის ეშინია ანდა ჩემი მხარდაჭერა სჭირდება, მაშინ ეს ზუსტად ის არის, რაზედაც ზევით ვისაუბრეთ.

სიტყვა „გულუხვობას“ ორი აზრი აქვს. ერთი მის ნამდვილ მნიშვნელობას გადმოსცემს, მეორე – უფრო ხატოვანს. ნამდვილი ის არის, რაც ალაპისგან მოდის, ხატოვანი კი – ნამდვილიდან ნაწარმოები და მასთან დაკავშირებული. ის, რაც ალაპისთვის კეთდება, სანაქებოა, ეს მორჩილებაა ალაპისა. თუ წყალობა ალაპისგან არ მოდის, ან ალაპისათვის არ კეთდება, მას გულუხვობას ვერ ვუწოდებთ. კარგად ჩაუკვირდი იმას, რასაც ახლა გეტყვი. ძალიან გავრცელებულია აკრძალული ხერხებით და ფლიდობით სარგებლობის მიღება და გამდიდრება, ობოლთა ქონების მითვისება. ბევრმა, რომელსაც ამჟამად პატიოსანს, კეთილშობილსა და ლვთისნიერს უწოდებენ, თავის კეთილდღეობას მხოლოდ ამ გზით მიაღწია. მაშინ, რაღა ვიფიქროთ ბრძოზე? რაღა ვთქვათ პოეტებსა და მეხოტეებზე, რომლებმაც მჭევრმეტყველება მხოლოდ იმიტომ შეისწავლეს, რომ შემოსავლის წყაროდ ექციათ. ეს ის ხალხია, რომელიც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, იქნებ მდიდრები უდარდელ ცხოვრებას მიეცნენ, ქონება უყურადღებოდ მიატოვონ და იოლად ჩავიგდოთ ხელშიო. ერიდე მათ, თვალს ნუ მოგტაცებს მათი ჩაცმულობა. იცოდე, დარიბი ნაკლებად მომთხოვნია. ნურც მისი გარეგნობა შეგიყვანს შეცდომაში – მათხოვარი სულით უფრო წმინდაა. მდიდრის სამოსელი ბრნყინვალეა, სული კი – ბილნი. მართალია, მდიდართა და ლარიბთა მოთხოვნები, გამოძალვის ხერხები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ისინი ერთნაირად საცოდავნი არიან. ერთნი ძვირფასეულობას ითხოვენ, მეორენი – ძონებს. ერთნი – დანიკებს, მეორენი – ათასებს, მათ ერთნაირი მისწრაფები და გამორჩენის საშუალებები აქვთ. ისინი მხოლოდ იმის მიხედვით განსხვავდებიან, თუ რა მოთხოვნებს გიყე-

ნებენ, რა ხერხებს მიმართავენ ამ მოთხოვნათა შესასრულებლად და რამდენად მოქნილნი არიან. ერიდე მათ თილისმას და მათ მიერ დაგებულ მახეს. დაიცავი შენი კეთილდღეობა და თავი აარიდე ყველა იმ მზაკვრობას, რასაც გიწყობენ. ეცადე, თილისმამ არ მოადუნოს შენი გონება და არ დაგიბნელოს მზერა. ალაპის მოციქულს უთქვამს, ალაპიმც ადიდებს მას და მიესალმება: „ენამჭევრობა მისნობაა“. ერთი კაცი თავის გაჭირვებაზე ჰყვება, აბრ იბნ ალ-აზიზმა უური მოკერა და წამოიძახა: „ვფიცავ ალაპს, ეს ხომ მისნობაა, კანონით ნებადართული“. ალაპის მოციქულმა, ალაპიმც აკურთხებს და მიესალმება მას, თქვა: „ლამაზი სიტყვებით მოხიბვლის გარეშე!“ ნუ ისმენ მოთმინებით მათ ქება-დიდებას, პირში მაქებარის მოსმენა საკუთარი თავის ქებაა.

შენი ქონება ყველას ვერ გასწვდება, ყველა მსურველს ვერ მიაგებ მადლს. თუ ერთი ნაწილი დააკმაყოფილე და დანარჩენები განარისხე, „ნამდვილ ზარალში ჩავარდები, რადგან განაწყენებულთა რიცხვი უფრო მეტი იქნება, ვიდრე კმაყოფილთა. უმაღურთა დაცინვა უფრო მეტ ზიანს მოგიტანს, ვიდრე კმაყოფილთა ქება-დიდების დაკარგვა. როდესაც შენით უკმაყოფილონი მახვილების ცემას დაგინყებენ და ისრების წვიმას დაგაყრიან, ნუ იმედოვნებ, რომ მადლიერნი მხარს დაგიჭერენ და შენ გამორმელიმე პოეტს სასაცილოდ აიგდებენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ შენ გასიამოვნონ. პირიქით, ისინი მათი ისრებისა და მახვილების სამიზნედ გაგხდიან და იტყვიან, უფრო უურადღებიანი რომ ყოფილიყო, ეს არ დაემართებოდაო. წინაპრებს უთქვამთ, „განა შეიძლება ერთმანეთისგან ძირფესვიანად განსხვავებული ადამიანების მომადლიერება?!“. მათვე უთქვამთ: „უარი უთხარი ყველას და ყველას დააკმაყოფილებ“. მე მსურს მოტყუებულთა ხევდრი და იმედგაცრუებულთა უძილო ლამეები აგაცდინო. შენ იმათ არ ჰგავხარ, ვინც გაჭირვებას ითმენს, წვეთ-წვეთად სვამს სიმნარეს, მხრებით ატარებს ცხოვრების სიმძიმეს და დამცირების ფიალას ცლის. ყოვე-

ლივე ამას თანდათან ეჩვევა მათი სხეული, გული კი მშვიდდება. შენნაირი კაცის გაღატა-ტაკება ორჯერ უფრო მძიმეა და იმ ადამიანის მწუხარება, ვინც არ იცოდა, რა იყო უბედურება, – ორჯერ უფრო ძლიერი. ღა-რიბი კაცისათვის უცხოა ნიშნის მიგება, მოშურნეთაგან მიყენებული უსიამოვნება. მას არავინ საყვედურობს, ჭკუას არავინ ას-წალის, სამაგალითოდ არ მოჰყავს, მსჯე-ლობის საგანი არ ხდება, შთამომავლობა არ წყევლის სიკვდილის შემდეგ. ო, დამიფარე ქონების მიმთვისებელთა მლიქვნელობისა და ცბიერთა თილისმისაგან.

ხალხი მუდამ იცავს თავის ქონებას გა-უთვალისწინებელი ხარჯებისაგან და შეძლებისდაგვარად უმალავს ფუქსავატ ადა-მიანს. ნუ მომიყვან მაგალითად იმას, რაც სხვადასხვა მოგონილ, შეთხზულ ამბავში და იგავთა წიგნებში გვხვდება მხოლოდ. ერთმა ჩვენმა თანამედროვემ თქვა, „გაქრა კეთილშობილება, მას მხოლოდ წიგნებში თუ შეხვდები“. მისდიე იმას, რაც იცი და მოეშვი იმას, რაც არ იცი.

თუ გინახავს ოდესმე გაღატაკებული ადამიანი, რომელსაც სალამზე პასუხი მა-ინც მიეღო იმათგან, ვისაც მთელი თავისი ქონება შესწირა და თვით გაღატაკდა მათი ალზევებისათვის. ნუთუ არ შეგიმჩნევია, რომ ასეთ კაცს, როგორც სულელს, ისე უყურებენ და გვერდს უვლიან. ზოგიერთი ნიშნის მოგებით იტყვის: „შესჩივლე თავის გასაჭირო მავანს და მავანს? მას ხომ მუდამ უპირატესობას ანიჭებდი, მეტ პატივს სცემდი და განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდი“. შესაძლოა, ვინმემ თავის მარ-თლების მიზნით ტყუილად დასდოს რამე ბრალად და ამით ახსნას თავისი უყურად-ღებობა. ალაპმა თქვა, დიდ არს ხსენება მი-სი: „... იმ დღეს, ოდეს ფეხ შიშველ იქმნენ, სალოცველად მოუწოდონ მათ, მაგრამ სა-

ჭირო ძალ-ღონე აღარ ექმნესთ. თვალებ-ქვე დახრილებს და სახეებ დარცხვენი-ლებს, სალოცველად იწვევდნენ მათ, როცა ჯანმრთელ და უვნებელ იყვნენ, მაგრამ კი არ მიდიოდნენ<sup>1</sup>. მე გარიგებ, გაფრთხილებ, გიბრძანებ და გიკრძალავ. შენ საღი გონება და სუფთა სინდისი გაქვს, შენი ქონება ურიცხვია და მდგომარეობა – ბრწყინვალე. უფრთხილდი, არ აგავსო ლანძღვითა და საყვედურით, გაყიცხვითა და გინებით ხვალ, როდესაც შენს გულს ნაღველი მოიცავს, სინდისი შებლალული გექნება, ქონება – განიავებული და მდგომარეობაც შე-გერყევა. ადვილად გადასატანია უბედურე-ბა, როცა კისერგანვდილი ელოდები მახვი-ლის დაცემას, მაშინ გრძნობა დახშული გაქვს და ფიქრისთვის დრო ძალიან მცირეა. უფრო მძიმეა უბედურება, რომელიც სილა-რიბეს მოაქვს. ის დიდხანს გრძელდება და ყოველგვარი თვალთმაქცეობა ამაოა თავის დასალწევად. ასეთ დროს საიდანდაც გაჩ-ნდება მეგობარი, რომელიც ხელიდან არ გაუშვებს ამ შემთხვევას და საყვედურით აგავსებს; ბიძაშვილი, რომელიც გაიხარებს შენი უბედურებით, მეზობელი იზეიმებს, ახლობელი მტრად გადაგექცევა, ცოლი ხელს გკრავს, მხევალი მოგთხოვს, სხვას მიმყიდეო, მონა ზიზლით დაგინყებს ყურე-ბას, შვილი სიტყვას შეგიბრუნებს. კარგად დაუფიქრდი: სად ქება-დიდების დაკარგვა და სად ცველა ის უსიამოვნება, რაც ზევით ჩამოვთვალეთ. სახელის განთქმა ის ნუგბა-რი საკვებია, რომელიც, შესაძლოა, ვერ იგემო, ქება-დიდება კი ისეთი სარჩოა, რომ-ლის მოპოვებაც შეიძლება. ადამიანთა ქველმოქმედების ამბავი დავიწყებას ეძლე-ვა იმათთან ერთად, ვინც მოწმე იყო ამისა. ნუთუ ვერ ხედავ, როცა ლექსებს აღარავინ ისმენს, პოეტები ჩუმდებიან. როდესაც ცვე-ლაფერი კნინდება, პოეზიაც თავის ხარქს

<sup>1</sup> იქ მმართველობა მხოლოდ და მხოლოდ ალაპს ეკუთვნის, ჭეშმარიტს. იგი ყოვლის მჯობია საზ-ღაურით და ყოვლის მჯობია, ვითარცა იმედი.

და მოუტანე მათ მაგალითი ნუთისოფლისა, როგორც წყლისა, რომელიც ჩვენ ზეცით გარ-დმოვავლინეთ. ერთმანეთში აირია მისით დედამიწის მცენარეული და იქმნა თივად, რომელსაც აქეთ-იქით მიმოფანტავს ქარი. ჭეშმარიტად, ალაპი ყოვლისშემძლეა. ყურანი, სურა XVIII, აია 42-43, გვ 225.

იხდის. ასე მოხდა, როდესაც ხელისუფლება სპარსელების ხელში გადავიდა. სპარსელები არ ზრუნავენ წარსულზე, არ უფრთხილდებიან წმინდანთა ხსოვნას. ეს იმიტომ, რომ ის, ვინც დაპურებულია და ხელმოკლეობას არ განიცდის, ვინც სიმდიდრით გაბრუებულია, ცოტას ფიქრობს და ყველაფერს ადვილად ივიწყებს. ვისაც უჭირს, ბევრს მსჯელობს და უფრო მონდომებულია. სიმდიდრის ნაკლი ის არის, რომ იგი გონებას აჩლუნგებს, სიღარიბის ღირსება კი იმაში მდგომარეობს, რომ აზროვნებას აცოცხლებს. თუ სიმდიდრეს სულის უდარდელობას შეუუღლებ, სიმდიდრე დაგათრობს. სიმდიდრით დათრობას ესწრაფვიან სხვისი ქონების მიმთვისებელნი. თუ არ გსურს, ბურანში მყოფ ადამიანთა ხვედრი გაიზიარო და ცხოველურ ცხოვრებას ეწეოდე, თუ გსურს სულის სრულყოფა, ან სიმდიდრით მოპოვებული ძლიერების შეგრძნებით გამოწვეული სიხარულის შეთავსება უქონელის გამჭრიახობასთან, ღატაკის გულისხმიერებასთან, ლტოლვილის გამოცდილებასა და მათხოვრის მოქნილობასთან, მაშინ იყავი ხელმომჭირნე, ერიდე ფლიდ ხალხს და მომზადებული შეხვდი ბედის ყველა უკულმართობას. ვერც დღის და ღამის ქურდები და მანანნალების ხრიკები, ვერც ალ-ქიმიკოსთა სასახულები, ვერც ქორვაჭართა და წვრილ ხელოსანთა თვალთმაქცობანი და ვერც ომის გამჩალებელთა მზაკვრობა ვერ შეედრება ქონების მიმტაცებელთა და მოგების მაძიებელთა გაიძვერობას. ყველა ჯადო, თილისმა და საწამლავი ერთად რომ შეკრიბო, ასე მაინც ვერ იმოქმედებს ხალხზე. ისინი გაცილებით ღრმად იჭრებიან სულში, გულის ყველაზე შორეულ კუნფულს აღნევენ, ძვალსა და რბილში უჯდებიან ადამიანს. უფრო სწორ გზას ირჩევენ და უფრო შორეული მხარეებისაკენ მიემართებიან; უფრო დიდ სიღრმეებს აღნევენ, ვიდრე მცენარის ფესვი და მემკვიდრეობითი მსგავსება. მათ ვერ დაემალები, მაღალი და სქელი კედლებიც რომ ამოიყვანო, მაგარი და საიმედო ბოქლომი დაადო, საიდუმლო კარები დაატანო, მინისქვეშა სიმაგრეები ააგო, ვეებერთელა კა-

რებთან ძლიერი დაცვა დააყენო და ხშირ-ხშირად ცვალო; მხოლოდ დიდძალ ხარჯს გასწევ, მთელ შენს ძალ-ღონეს შეალევ და მაინც ვერაფერს გახდები. მხედველობიდან გამოგრჩება მთავარი: ის, ვინც მუდამ მზადაა, გიმუხთლოს და უბედურებაში ჩაგაგდოს. შენს სულში შესაღწევად მხოლოდ ნემსის ყუნნისოდენა ადგილი რომ დატოვო, ისინი ბილიკს გაიყვანენ, შარაგზად აქცევენ. გაამაგრე ისევ სახლის კარი, დაადე ბოქლომი – ამაზე უკეთესს მაინც ვერაფერს მოიგონებ. უფრო კარგი იქნება, თუ სადმე ისეთ საკეტს იშოვნი, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი ვერ მიუდგება. თუმცა საიმედოდ დაკეტილი და დაცული საიდუმლო კარიც რომ გქონდეს, მაინც არ მოგასვენებენ: საკვამურიდან ჩამოძვრებიან. ჭერი ცას რომ ებჯინებოდეს, ქვევიდან გამოთხრიან შემოსასვლელს.

აბუ ად-დარდამ თქვა: „მორწმუნის სენაკი მისი სახლია“. იბნ სირინმა თქვა: „განმარტება ღვთისმოსაობაა“. შენზე მათი ენანყლიანი საუბარი მოქმედებს და სულ უფრო ხშირად ეპატიუშები სტუმრად, სულ უფრო იშვიათი კერძები გამოგაქვს სუფრაზე და ყველა სურვილს უსრულებ.

სწორედ მათზეა ნათქვამი, რასაც ახლა გიამბობ. ერთმა მათგანმა თავის მეგობარს უთხრა: „მავანმა ისადილა, ერთი ტიკი ღვინო დალია და მერე ისეთი ბოყინი ამოუშვა, წისქვილის ქვა დატრიალდებოდა“. ერთხელ მავანი და მავანი სწორედ მაშინ შევიდა მეგობრებთან, როდესაც ისინი მომღერალ ქალთა საზოგადოებით ტკბებოდნენ. მას ჰკითხეს: „გვითხარი, რომელი ჰანგის მოსმენა უფრო გაამებს?“ „ტაფის შიშხინი,“ უპასუხა მან. ალ-მადინიმ თქვა: „ის, ვინც დილით შვიდ ბანანს შეჭამს და ჭიქა მსუქან რძეს დააყოლებს, ქაბის საამო სურნელს ამოაბოყინებს“. ერთ კაცს, რომელსაც წინ ხაბისა ედგა, ჰკითხეს: რა უფრო გემრიელია, ხაბისა თუ ფალუზაჯიო. მან უპასუხა: „არ შემიძლია იმაზე მსჯელობა, რაც არა მაქს“. ბილალ იბნ აბუ ბურდამ ალ-ჯარუდ იბნ აბუ საბრას სთხოვა, აბდ ალ-ალიზე და მის პურ-მარილზე მიამბე რამეო. აბუ საბრამ უკამბო: „აბდ ალ-ალის წინ წარსდგება

ხოლმე მზარეული. აბდ ალ-ალი ეკითხება: „რა მოგვიმზადე დღეისათვის?“ „თხა ასე და ასე შემწვარი, თიკანი – ასე და ასე, იხვი – ასეთი და ასეთი“, – ჩამოუთვლის ის.

– რატომ იქცევიან ასე? – იკითხა ბილალ იბნ აბუ ბურდამ.

– იმიტომ, რომ სტუმარი წინასწარ დატყებეს ნაირ-ნაირი კერძებით, აირჩიოს მისთვის სასურველი და შემოტანის უმაღვე დაიკმაყოფილოს სურვილი.

– მერე რა ხდება? – იკითხა აბუ ბურდამ.

– გაიშლება სუფრა, სტუმრები მაგიდას შემოუსხდებიან. მასპინძელს თავი მოკრძალებით უჭირავს, თითქოს უხერხულობასაც გრძნობსო. როცა სტუმრები მოიწყენენ, ხუმრობას იწყებს. როდესაც ყველანი დანაყრდებიან, მაშინ წელში გასწორდება, ფრთებს გაშლის ისე, როგორც სირაქლემა გაფრენის წინ და საჭმელს მშიერი და გათოშილი კაცივით დააცხრება.

ერთს ჰკითხეს, რომელ ქვეყანასა და ხალხს რა საჭმელი ერგო წილადო. მან უპასუხა: „რომაელებს – მოხარმული ხორცი და ნახარში, სპარსელებს კი – ცივი და ნუგბარი საჭმელი“. დავსარ ალ-მადინამ თქვა: „ჩვენ ჰარისა და შემწვარი ხორცი გვაქვს. ბედუინებს – ერბო, კალია, სოკო, მუვე რძეში ჩაყრილი პური და ფინიკი ერბოში“. პოეტმა თქვა: „ო, ნეტავ დოთი შემოსილი პური მქონდეს, ბარნის ფინიკის ცხენები და ერბოს მხედრები მყავდეს“.

ერთმა ბედუინმა გვითხრა: „მეგობრებ-მა ხორბალი მოგვიტანეს, თითო მარცვალი აქლემის პირისოდენა იყო. ზეთიანი პურები გამოვაცხვეთ. იმხელა ცეცხლი დავანთეთ, რომ ალი მსუქანი კაცის მუცელივით ტაფა-ში ჩავარდნას ლამობდა. მერე პურის შეჭა-მანდი გავაკეთეთ, პურის ნატეხები ისე და-ცურავდა ერბოში, თითქოს აფთარი დაეხე-ტებაო ბორცვებს შორის. სადილის შემდეგ ფინიკი მოგვიტანეს, რომელშიაც ისე ეფ-ლობოდა კბილი, როგორც ტალახში“.

ერთხელ ბედუინის თანდასწრებით ქე-რის ფაფას მიწასთან ასწორებდნენ. ბედუ-ინმა წამოიყვირა: „პატივისცემით მოეპყა-რით მას. იგი მგზავრის საკვები, ალიონზე ამდგარის ხემსი და ავადმყოფის საზრდოა.

დამწუხრებულს აიმედებს, სიკვდილმის-ჯილს მხნეობას ჰმატებს, ადამიანს არ ასუ-ქებს. მშრალი ქერის ფაფას სამეურნალოდ იყენებენ: სისხლს ასუფთავებს. ქერის ფა-ფით შეჭამანდსაც მოამზადებ, ხაბისასაც, საჭმელადაც გამოგადგება და სასმელა-დაც“. ერთ მეტად ჩასუქებულ, ყბედ და გა-უმაძლარ კაცს ჰკითხეს: „რატომ ხარ ასე მსუქანი?“ ცხელ საჭმელს ვჭამ, ცივ სას-მელს ვსვამ, მარცხენა ხელს ვეყრდნობი და სხვის ქონებას ვანიავებ“ – უპასუხა მან.

ერთმა პოეტმა თქვა:

„მუცლის ამოვსება არაფერს მატებს ლირსებას,

მაგრამ მარგებელია სხეულისათვის“.

კიდევ ვიღაცისთვის უკითხავთ, რამ გა-გასუქაო. ცოტა ფიქრმა, ბევრმა დასვენე-ბამ და მაძლარ კუჭზე ძილმაო, უპასუქებია მას.

ალ-ჰაჯაჯმა ღადბან იბნ კაბასარს ჰკითხა: „რა არის შენი სიმსუქნის მიზეზი?“ „ფალმანდი და კარგი საძოვარი. სუქდება ის, ვინც ემირის ხშირი სტუმარია“, – უპა-სუხა მან.

ერთს უთხრეს, ძალიან კარგად გამოიყურებიო. მან უპასუხა, იმიტომ, რომ საუკეთესო ხორბლით და თიკნებით ვიკვებები, ის წერნს ვისვამ და სელის ტანსაცმელს ვა-ტარებო.

ვფიცავ ალაპს, თუ კიდევაც განიკითხავს ვინმე მათხოვარს, მათხოვრობით მოცხებულ ჩირქს ვერავინ და ვერაფერი მოსწმენდს. ცხოვრების ლერძი ჰატიოსანი გზით შეძენილი ქონება და თავშეკავებული ხარჯებია. როდესაც ერთმა არაბმა დაინახა, რა დიდი ქონების ჰატრონად აქცია დე-დის მზითევმა, წამოიძახა: „ო, ღმერთო! შენ დამიფარე ასეთი ქონებისაგან“.

რომელი მათხოვარი ყოფილა ალ-ჰუტა-იაზე უფრო ახირებული? ჯარირ იბნ ხა-ტაფზე ძუნწი და ფლიდი, ანუ აბუ ჰარიმზე ხელმოჭერილი? თუ გადაუჭარბებია ვინმეს იბნ აბუ ჰიფსასათვის? თუ გამთბარა ოდეს-მე ვინმე აბუ ათაპიას ცეცხლზე? შეიძლება, ვინმე შეედაროს აბუ ნუვასს ან აბუ იაკუბ ალ-ხუზამს სიძუნწით, გამჭრიახობითა და შემოსავლით? იბნ ჰარმას გარდა ვის შეეძ-

ლო დაეკლა შენთვის ცხვრები, რომლებიც ჯერ კიდევ დაბადებულნი არ იყვნენ. ალ-ხუზაიმის გარდა ვინმეს შეეძლო განეგმირა ურიცხვი მტერი შუბით, რომელსაც ჯერ ტარიც არ ჰქონდა მორგებული, გაგმასპინძლებოდა საკვებით, რომელიც ჯერ დათესილი არ იყო? რატომ უხვევე გვერდს იბნ იასირს, რატომ არაფერს ამბობ იბნ აბუ ქარიმზე, რატომ არ მოიხსენიე არ-რაკაში და მისი ნაკლიც არ აღნიშნე. ბედუინი ბინადარ არაბზე უარესია. იგი მლიქვნელია და აბეზარი მათხოვარი. ცრუობს, როცა გაქებს, ცრუობს, როცა დაგცინის ან გაგინებს. მოჩვენებითია მისი სიხარბეც. მასთან მეგობრობს მხოლოდ საეჭვო პიროვნება ან სულელი, ხელს უმართავს ის, ვისაც უყვარს იგი და უყვარს იგი მხოლოდ იმას, ვინც ბადალია მისი. რა თავშეკავებით ხარჯავთ ფულს გონივრულ საქმეში და რა სწრაფად ანიავებთ სისულელეში. თუ პოეტებს ანიჭებთ უპირატესობას და მხოლოდ პოეტებისა გწამთ, მაში, იცოდეთ, პოეტმა თქვა:

„თუ უაზროდ დახარჯე, დიდი სიმდიდრეც დაიფანტება.“

აშ-შამას იბნ დირარმა თქვა: „სიმდიდრე, თუ მას გონივრულად მოიხმარს და სიღარიბეს თავს დააღწევს, უფრო შეჰვერის ადამიანს, ვიდრე მხოლოდ ლუკმაპურზე ფიქრი“. უპაიპა იბნ ჯულაპმა თქვა:

„ან გამდიდრდი, ან მოკვდი.

თვალი ნუ გრჩება ბიძისა და ბიძაშვილის ქონებაზე.

მე თავაუღებლივ ვშრომობ და ვამუშავებ აზ-ზაურის მინას,

რადგან ვიცი, ყველაზე ღირსეული ადამიანებს შორის მდიდარია“.

მანვე თქვა:

„იოლად წადი უნათესაოდ და უმეგობროდ.

მდიდარი ის არის, ვისაც სხვის გარეშე ცხოვრება შეუძლია.

ნელ-ნელა შემოსე შენი მტერი ცბიერი ადამიანის სამოსელით,

რომელსაც ბედისწერის ცოუნებაც შეუძლია.

თვალს ნუ აგიხვევს დაფარული ღვარ-ძლი“.

საპლ იბნ ჰარუნმა თქვა:

„როცა ადამიანი ჩემით უკმაყოფილოა, მე ვცდილობ, მოთმინებიდან არ გამოვიდე.

იგი ხედავს, რომ მე უფრო მდიდარი ვარ და სასოწარკვეთაში იმიტომ ვარდება.

თუ ჩემთან მეგობრობას არ ეცადა, არა-სოდეს გამოვწველი ისე ნაზად, როგორც აქლემს წველიან“.

აბუ ათაპიამ თქვა: „თუ წლების მანძილზე იოლად მიდიხარ უმეგობროდ, ის შენი ძმაა. თუ ერთხელ მაინც დაგჭირდა, ზურგს შემოგაქცევს“.

უპაიპა იბნ ჯულაპმა კი თქვა:

„რომ მოვისურვო, მეც დავტკბები ცხოვრებით.

მუდამ მექნება ახალი რძე,

დროს გავატარებ ხალიჩაზე ალისფერ ტუჩიანებთან,

რომელთაც კბილებზე იის სურნელი ას-დით.

მაგრამ მე სიმდიდრისთვის ვარ გაჩენილი.

მერე კი ვნახოთ, ან ვიძუნებ, ან გავ-ცემ“.

ერთმა თქვა:

„ო, მუსლიპ! გაუფრთხილდი ქონებას, ნუ გაანიავებ.

სიმდიდრით მოპოვებული კეთილდღეობა სიღარიბეზე უკეთესია.

მდიდარი მუდამ მეტი პატივისცემით სარებლობს ხალხში“.

ურვა იბნ ვარდას უთქვამს: „იცოდე, მე სიმდიდრისკენ მივისწრაფვი, რადგან მივხვდი – ყველაზე უვარგისი ხალხის თვალში ღარიბი ყოფილა. ის ყველასათვის უცხო და საძულველია, დიდგვაროვანი და კეთილშობილიც რომ იყოს. ეზიზლება ცოლს და თავი-დან იშორებს, სიტყვას უბრუნებს მასზე უმცროსი. შეხედავ მდიდარს და ისეთ სიღდიადეს იგრძნობ, რომ გული საგულედან ამოვარდნას ღამობს. მდიდარს ცოდვები ბევრი აქვს, მაგრამ ყველა მიეტევება, რამეთუ სიმდიდრე – უფალია, ყოველივეს მიმტევებელი“.

საიდ იბნ ზაიდ იბნ ამრ ნუფაილმა თქვა:

„აი, ჩემი ორი ცოლი, ისინი დღეს თვალ-თმაქცობენ, გუშინ კი განქორწინებას მო-

ითხოვდნენ, რადგან ქონება არ გამაჩნდა. თქვენ თავიდანვე გაუგონარი მოთხოვ-ნებით მოხვედით ჩემთან; ნუ ჩქარობთ, ხომ შეიძლება, გავმდიდრდე, ზურგი გავითავი-სუფლო ვალებისაგან და ჩემს სახლშიაც გაჩნდნენ მხევლები, მონები და მსახურები.

თქვენი კაბის ბოლო კეთილშობილებაში ჩაეფლობა და იტყვით:

„ესროლე კვერთხი ბედისწერას.  
ვისაც ქონება აქვს, ის ყველას უყვარს.  
ვინც ღარიბია და გაჭირვებაში  
ცხოვრობს,  
გაურბიან, მასთან არავინ მეგობრობს“.  
ერთმა თქვა:  
„ქონების ნაწილს ვინახავ,  
ნაწილს გართობასა და დროსტარებაში  
ვხარჯავ“.

თქვა აღ-ახნას იბნ შიჰაბმა:

„მთელი ჩემი ცხოვრება ფუქსავატი ხალხი მყავდა თანამგზავრად.

ისინი იყვნენ ჩემი მეგობრები, მათთან ვიყავი დაკავშირებული.

მაგრამ მე უკვე დავუბრუნე სესხი სიჭა-ბუკეს

და ამჟამად ჩემი ქონების მცველი ვარ მხოლოდ“.

იბნ აზინ ას-საკაფიმ თქვა:

„შევუსრულე ცოლს ყველა სურვილი და შავ მუშად გადამაცია, მონის მონად. რო-გორც კი ფინიკს გავყიდი და მივალ მასთან, მეხვევა და მეუბნება: „შენ გენაცვალე“. ვინც სიმდიდრე მოიპოვა, მოუაროს მას და იშრომოს ძალ-ღონის დაუზოგავად“.

მანვე თქვა: „ვინც ქონებას არ აგრო-ვებს, ვინც არ ინახავს ქონების ნაწილს მო-უსავლიანი დღისათვის, ხალხისთვის ძალ-ლივით საძულველი გახდება“.

აბუ მუაფამ თქვა:

„დაუდევრობამ სიზარმაცეზე გაათხოვა ქალიშვილი.

ქორნინების დროს მზითვად მაგარი სა-ნოლი გაატანა

და უთხრა: „დაწექი, სიღარიბეა ერთა-დერთი,

რისი შექმნაც თქვენ შეგიძლიათ“.

ოსმან იბნ აბუ ალ-ასამ თქვა:

„ერთი საათი ამქვეყნიური ცხოვრები-სათვის გამოყავი, ერთი საათი – იმქვეყნიუ-რი ცხოვრებისათვის“. ალაპის მოციქულმა, ალაპიმც აკურთხებს მას და მიესალმება, თქვა: „ალაპმა ამიკრძალა ჭორი, მათხოვ-რობა და ქონების გაფლანგვა“. მანვე თქვა: „მოწყალების გაღება კარგია მაშინ, თუ ის ქონებას ზარალს არ აყენებს. წინასწარმეტ-ყველმა, ალაპიმც აკურთხებს მას და მიე-სალმება, თქვა: „უანდერძე ერთი მესამედი და ერთი მესამედიც ბევრია“. ამით მას სურდა ეთქვა, უმჯობესია, შვილები მდიდ-რებად დატოვო, ხელგაშვერილებმა რომ არ ითხოვონ მოწყალებაო. იბნ აბასს კი უთ-ქვამს: „კარგი იქნებოდა, ხალხს ცოტა შეემ-ცირებინა ის ერთი მესამედი, რომელზედაც წინასწარმეტყველი მიუთითებს. „ერთი მე-სამედი და ერთი მესამედიც ბევრიაო“.

წინასწარმეტყველმა, ალაპიმც აკურ-თხებს მას და მიესალმება, თქვა: „ადამიანს ცოდვად ესეც ეყოფა, თუ ის დალუპა, ვისაც კვებავს“.

– ალბათ, სულგრძელობაში ჩამომარ-თმევთ, სხვა რომ გავამდიდრო და თვითონ გავდატაკდე, ჩემი ოჯახი მივაგდო და სხვი-სას ყურადღება არ მოვაკლო. ამაზე უთ-ქვამს იბნ ჰარმას: „ვითარცა სირაქლემა, ველზე თავის კვერცხებს რომ ტოვებს და ფრთებს აფარებს სხვისას“.

მეორემ თქვა: „ის, ვინც ბედის ანაბარა ტოვებს თავის მახლობელს და უცხოს მფარველობს, ბოროტებას სჩადის“.

თქვა ალაპმა, მაღალმა და კურთხეულ-მა: „ნურც მფლანგველი იქნები. მფლანგვე-ლები სატანის ძმები არიან“<sup>1</sup>.

მანვე თქვა: „აგრეთვე გკითხონ, თუ რა გაიღონ ხელგაშლით. გაიღეთ, რაც გემეტე-ბოდეს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> და მიეც ახლობელს თავისი კუთვნილი, საპყარს და მოგზაურს, და ნუ დაჰვანტავ განუსჯელად. ჭეშმარიტად, მფანტველები შაითანთ მოძმენი არიან; შაითანი კი თავისი უფლის მიმართ ურ-ნმუნოა. ყურანი, სურა XVII, აია 28, 29, გვ. 219.

მან ნება დაგროვოთ, ხარჯოთ მონაგები და არა – შრომით მოპოვებული, გაიღოთ ზედმეტი და არა – საარსებო. ქაბ იბნ მალექს თავისი ქონება მოწყალებად სურდა გაელო, მაგრამ წინასწარმეტყველმა, ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, უთხრა: „შეინახე შენი ქონება!“ წინასწარმეტყველმა, ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, ნება არ მისცა, ქონება მოწყალებად გაეცა და შენ გინდა, რომ ის თავისი ბედოვლათობით გაფლანგოს და გაანიავოს? ლაინაბ იბნ სალამამ მთელი სიმდიდრე სხვებს დაურიგა. ომარმა აიძულა, უკანვე დაებრუნებინა და უთხრა: „რომ მომკვდარიყავი, შენს საფლავს ქვებით ამოვქოლავდი აბუ რილალის<sup>2</sup> საფლავის მსგავსად“. თქვა ალაჰმა, ძლიერმა და დიდებულმა: „შეძლებულმა კაცმა თავისი შეძლებისამებრ მისცეს, იმ კაცმა, რომელსაც წმინდა საჭიროება აქვს, მისცეს იმის საზომით, რაც ღვთისგან მიუღია“<sup>3</sup>. წინასწარმეტყველმა, ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, თქვა: „იკმარე საჭმელი, რითაც სახლამდე მიაღწევ“. თქვა ალაჰმა კურთხეულმა: „რომელნიც უხვობის დროს არც მფლანგავ, არც პირშავ არიან, არამედ მისთანა, რომ მათ საშუალს ემხრობიან“<sup>4</sup>. წინასწარმეტყველმა, ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება, თქვა: „ქარავანს ჩამორჩენილი ვერც დიდ მანძილს გადის და არც აქლემის ზურგს ზოგავს“. თქვა ალაჰმა, დიდ არს ხსენება მისი: „კისერზე ხელს

ნუ მიიღებ და ნურც სრულიად გაშლი, შიშით, რათა არ დაგძრახონ, ან ლარიბ არ გახდე“<sup>5</sup>. ამიტომ ამბობენ: „ყველაზე კარგია ის ქონება, რომელმაც სარგებელი მოგვცა“, „საქმეთა შორის საუკეთესო – ზომიერებაა“, „ნუ ივლი ჭენებით“, „ორ ბოროტებას შორის ნაკლები ბოროტება უკეთესია“, „სწორედ ამ ორ საგანს შორისაა სამიზნე, რომელსაც მსროლელი უმიზნებს“. ამბობენ: მომჭირნე და გონიერი ნურც ერთს დააკლებ და ნურც მეორეს გადააჭარბებ“. „აირჩიე: სიმსუქნე ან სიგამხდრე“. ასევე ამბობენ: „ნუ იქნები ტკბილი – არ გადაგყლაპონ, ნურც მწარე – არ გადმოგაფურთხონ“. ანდაზაში ნათქვამია: „ნურვილის მოკვლა სასმისის დაცლას არ ნიშნავს“. ამბობენ: „ო, შენ, რომელიც ჰქონავ, იფიქრე გახსნაზე“. „ცოტ-ცოტა მოსვი – ნურვილს მოიკლავ“, „ცოტა და მუდმივი უმჯობესია, ვიდრე – ბევრი და წარმავალი“. აბუ ად-დარდამ თქვა: „ჩემს გონებას ზოგჯერ ტყუილით ვასვენებ, რადგან არ მსურს მისი გადაღლა სიმართლით“. თქვა პოეტმა: „მე ტკბილი ვარ. თუ გავმწარდი, ჯიუტი ვხდები, მაგრამ არა ავზნიანი“.

ამბობენ: „სწრაფი საყვედური სამართლიანობა როდია“, „ის, ვინც გკიცხავს, ხშირად თვითონვეა გასაკიცხი“. ალ-აჰმაფ-მა თქვა: „ვინც გაამტყუნეს და გაკიცხეს, უდანაშაულოა“. მანვე თქვა: „მათხოვრის-თვის ხელის გამართვა მისი წაქეზებაა, აბეზარის დახმარება – მის თანამოზიარედ

<sup>1</sup> გეკითხებიან შენ ღვინისა და მაისირის (აზარტული თამაში) თაობაზე. უთხარი: ამ ორში არის დიდი ცოდვა და (მცირედი) სარგებელიც ხალხისათვის; მაგრამ მათი ცოდვა მეტია მათ სარგებელზე. გეკითხებიან, რა გასცენ (მოწყალებად). უთხარი: ყველაზე უკეთესი, რაც კი გაბადიათ. ამგვარად, გიჩვენებთ ალაჰი ცხადად თავის სასწაულებს, რათა ეგების დაფიქრდეთ. ყურანი, სურა II, აია 216-217, გვ. 118.

<sup>2</sup> აბუ რილალი – მითოლოგიური პიროვნება. გადმოცემით, ცხოვრობდა ისლამამდელ არაბეთში. ერთ-ერთი ვერსიით, იგი ტაიფას მმართველი და საკიფიტების წინაპარი იყო.

<sup>3</sup> რათა დახარჯოს შეძლებულმა თავისი შეძლებისდა მიხედვით, ხოლო ვისაც სარჩო დასაზღვრული აქვს, დაე, არჩინოს იმისაგან, რაც მისთვის ალაჰს უბოძებია. არ დააკისრებს ალაჰი არცერთ სულს რაიმეს იმის გარდა, რაც მას თვით უბოძა. და ქმნის ალაჰი შემდგომად სიძნელისა სიიოლეს. ყურანი, სურა LXV, აია 7, გვ. 343.

<sup>4</sup> ისინი, რომლებიც თუკი ხარჯავენ, არც ფლანგავენ და არც ძუნნობენ და იქნებიან ამათ შორის მყარად. ყურანი, სურა XXV, აია 67, გვ. 254.

<sup>5</sup> და ნუ შემოიქმობ ხელს მტკიცედ კისერზე და ნუ გაშლი მას მთლიანად, რათა არ დარჩე განკიცხული, შეგინებული. ყურანი, სურა XVII, აია 31, გვ. 219.

გახდომა“. თქვა წინასწარმეტყველმა, ალა-ჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება: „სამ შემთხვევაშია თხოვნა გამართლებული: უკიდურესი გაჭირვების, მძიმე დანაკლისის და დიდი გადასახადის დროს“.

პოეტმა თქვა: „თავისუფალ ადამიანს საყვედური ეყოფა, მონას ჯოხი სჭირდება, აბეზარ მათხოვარს – მხოლოდ უარი“.

ამბობენ: „როცა დაუინებით ითხოვენ, უარსაც გადაჭრით ეუბნებიან“. „ფრთხილად იყავი, მატყუარას არაფერი მისცე და უპირო ადამიანს არაფერი ათხოვო, რადგან მოტყუებული არც დიდებას და არც ჯილდოს არ იმსახურებს“, „ნუ იქნები ის გარეული ვირი, რომელიც უფრო ახლოა ისართან“. ამბობენ და მიგითითებენ: „თუ შენს ქონებას სხვას დაურიგებ, შენი სუსტი მხარე უფრო ნათელი გახდება შენი მტრებისთვის, ვიდრე მათი – შენთვის“. ამბობენ: „გაიქცი უკან დახევისას, თუნდაც – მხოლოდ ქარქაშით ხელში“.

აბუ-ლ ასვადმა თქვა: „დამცირების ატანა ძლიერებას არ ნიშნავს, სხვისი ბრალდების თავზე აღება დიდსულოვნება არ არის“. ვინც ქონებას დაკარგავს – გაღარიბდება, ვინც გაღარიბდება, მათხოვრობას დაინყებს, მათხოვრობა კი სიმდაბლეა. თუ გულუხვობა კეთილშობილების ძმაა, მაშინ სიამაყე ყველაზე დიდი კეთილშობილებაა. ერთ ძველს უთქვამს: „ო, უფალო, ნუ შემასმევ ცუდ წყალს, თორემ ცუდი ადამიანი გავხდები“.

პოეტმა თქვა: „ნაბიჯით მიჰყევ საუკუნეს, თუ იგი მიდის; ირბინე, თუ იგი მირბის“.

სწორად უთქვამთ: „ვისაც უჭირს, ბევრს გპატიებს, ვინც თავისას გაინალდებს, დამყოლი ხდება“. რისიმუსს ჰკითხეს: „გიჭამია ოდესმე ბაზარში?“ მან უპასუხა: „თუ რისიმუსს მოშივდა ბაზარში, იგი შეჭამს ბაზარში“. ამბობენ: „ახალ საძოვრებს ის ეძებს, ვისთანაც გვალვაა“, „ვისაც შია, ხარბია“. იმასაც იტყვიან: „უფრთხილდით, არ გაგექცეთ ბედნიერება, იგი ყვავილის მსგავსია“, „ყველა ლტოლვილს ვერ დააბრუნებ და ყველა გაქცეულს ვერ შეაჩერებ“.

ალი იბნ აბუ ტალიბმა თქვა: „თუ რამე წავიდა, ალარ დაბრუნდება“.

ამბობენ: „მოჩქარეს მოუგვიანდეს“.

დასცინიან იმას, ვინც თქვა: „ერთხელ დამანაყრა და მერე მომკლაო“.

ასე უთქვამთ: „ნუ დაემსგავსები კაცს, რომელზედაც გრძნობა იმარჯვებს და საჭოჭმან საქმეს აკეთებინებს. მიბაძე იმას, ვინც თვითონ იმარჯვებს გრძნობაზე და თავისი სურვილისამებრ წარმართავს“. „დაუკირდი, როგორ და რაში დახარჯავ დირპამს“.

ამბობენ: „უბედურებაზე საშინელია ის სიმწარე, რაც მას მოჰყვება“.

პოეტმა თქვა: „მძიმეა თავს დატეხილი უბედურება, მაგრამ კიდევ უფრო მძიმეა უნუგეშობა“.

სჯობს, მოულოდნელმა უბედურებამ გაგაღარიბოს, ვიდრე – საკუთარმა დაუდევრობამ. მუდმივი მწუხარება, დაუსრულებელი საყვედურების მოსმენა, საკუთარი დანაშაულის აღიარება და მეგობრებთან შერცხვენა ელის იმას, ვინც თავისი ბედოვლათობით გაღარიბდება.

ომარ იბნ ხატაბმა გაიხსენა ყურეიშიტთა თავშეუკავებელი ხარჯები, უაზრო ხელგაშლილობა და თქვა: „მათი უგუნურება უფრო მანუხებს, ვიდრე გარდუვალი სილატაკე“. ეს ნიშნავდა: ღარიბის გამდიდრება უფრო ადვილია, ვიდრე უგუნურის მოჭკვიანებაო. ნუ იქნები ხაფთაზე ბედუულმართი შენი თავისთვის, ბასუსაზე შავბედითი ოჯახისთვის და მანშიმის სუნამოზე მუხთალი ხალხისთვის. ის, ვინც ვნებებს დაემორჩილება და უინს აჲყვება, თავის უბედურებას სხვას ნუ დააბრალებს. ბედნიერი იქნება მაშინ, როცა გადანახული ქონების გამოყენებას და საკუთარ თავზე ზრუნვას შეძლებს.

ერთ-ერთმა პოეტმა თქვა:

„ყველა ერიდება აკრძალულს.

ღვინის მსმელისთვის აკრძალული არაფერია.

შენ მისი ძმა ხარ, თუკი თასი ბრუნავს თქვენ შორის,

თუ არადა, ყველა ძუნნი და გაუტანელია“.

ასეთია ჩემი აზრი. ვიცი, რასაც ვამბობ. კარგად ვიცნობ მინიერ ხალხს. ასე ფიქრობენ ღვინის მსმელებზე. ახლა ყველა ერთმანეთს დაემსგავსა. ალ-ადბატ იბნ კურა-

ის სხვადასხვა ტომთან მოუხდა სტუმრობა. ადრე ბევრი უსიამოვნება მიაყენა მას ბანუ ასადის ტომმა და როდესაც სხვებმაც არ მიიღეს დიდი პატივით, თქვა – ყველგან ყოფილა თითო ბანუ ასადიო.

ისმინე ჩემი სიტყვები, ყურს ნუ უგდებ აბუ ასას. დაუჯერე იმას, ვისაც უთქვამს: „ნუღარ დაეძებ იმის კვალს, რაც გაქრა“. „კოკა პირველი წვიმის წყლით აავსე“, „მო-ეშვი იმას, რაშიც ეჭვი გეპარება, მისდიე იმას, რაც ეჭვს არ იწვევს“. შენი ძმა ის არის, ვინც მართალს გეუბნება, გონების თვალით გიდგება და არა – უინის. შენი ძმა ის არის, ვინც სასარგებლო რჩევას მოგ-ცემს, ვინც არ დაერიდება გაკიცხვას შენი ხვალინდელი დღის საკეთილდღეოდ.

ერთმა პოეტმა თქვა: „შენი ნამდვილი ძმა ის არის, ვინც არ გატყუებს, ვინც საკუ-თარ თავს ავნებს და შენ თანაგიდგება“.

აბიდ იბნ ალ-აბრასმა თქვა: „ნუ ენდობი იმას, ვინც გაჭირვებისას გვერდში არ გიდ-გას“.

ვიდრე სულის კარნახით ცხოვრობ და შენს საქციელს აკონტროლებს გონება, კე-თილდღეობა არ მოგაკლდება, სვებედნიერი იქნები, ვიდრე ძმა, ჭკუის დამრიგებელი ან გულშემატკივარი მეგობარი გეყოლება. ღვთისმოშიში ცოლი ოჯახის იმედია. ბედ-ნიერია ის, ვინც სხვების მაგალითზე ჭკუას სწავლობს. თუ შენ არცერთ მათგანს არ ეკუთვნი, დიდი განსაცდელი მოგელის, ის ღრმა კვალს ტოვებს შენს ცხოვრებაში და ბევრჯერ გაიხსენებ. ამაზეა ნათქვამი: „კარგია ის ქონება, რომელმაც სარგებელი მოგცა“. „ფუჭად არ დახარჯულა მხოლოდ ის, რამაც ჭკუა გასწავლა“.

სიმდიდრე ყველასათვის სასურველია. მას ეძებენ ზღვის ფსკერზე, მთათა მწვერ-ვალებზე და უღრან ტყეებში, ველზე და გო-რაკებს შორის. ეძებენ ერთნაირად, რო-გორც მინის წიაღში, ისე – მის ზედაპირზე, დედამინის აღოსავლეთით და დასავლე-თით. ეძებენ ღირსეულად და უღლირსად, რწმენით და ურნმუნოებით, სიმართლით და სიცრუით. ეძებენ მლიქვნელობით და ავყიაობით. არ ერიდებიან არავითარ ცბიე-რებას, მიმართავენ ყოველგვარ თილისმას,

ეძებენ ალაპის სახელით და ალაპის სახე-ლის გარეშე, მის მოსაპოვებლად იყენებენ უგუნურებას და გონიერებას. ყველგან აგე-ბენ მახეებსა და ხაფანგებს. ვინც დადარა-ჯებულია და შენი დაღუპვა სურს, ვერ მო-ისვენებს, ვიდრე მიზანს არ მიაღწევს. ის, ვისაც შენი შურს, ტკბილად ვერ დაიძინებს, სანამ სანადელს არ მიაღწევს. იცოდე, დაწ-ყნარდება შურისმაძიებელი, დაწყნარდება მკვლელი – ხარბს არაფერი დააწყნარებს.

ამბობენ, დედამინის ზურგზე არცერთი უკიდეგანო უდაბნო, დიდი ქალაქი და გარე-უბანი არ არსებობს, მედინელის, ბასრელის და ჰირელის მსგავსი ადამიანი რომ არ ცხოვრობდეს. ყველგან შეხვდები მდაბი-ოს სიძულვილს მდიდრის მიმართ. ქვეითის სიძულვილს ცხენოსნის მიმართ. ყველა წრის ხალხში შეგხვდება მომჩივანი და მო-შურნე. თუ წინდახედულება და გონიერება არ გამოიჩინე, თუ არ დაიახლოვე მომჭირ-ნეები, თუ ვერ განჭვრიტე სხვათა ბედ-ილ-ბალი, პირველ რიგში კი – საკუთარი, და წი-ნასწარ არ წარმოიდგინე ყველა შესაძლებე-ლი შედეგი, გაგძარცვავენ, შენს ქონებას გაანიავებენ, დაგაჭლექებენ, საწოლს მიგა-ჯაჭვავენ და არც გიმკურნალებენ. მეორე, როდესაც იგრძნობ, რომ შენი მარჯვენა მარცხენას მტრობს და სმენა – მხედველო-ბას, რომ ყველაფერზე მეტად იმას უნდა ერიდო, ვისაც ახლობლად თვლიდი და შენი თავი უკანასკნელ ღატაკად გამოაცხადო, აღარაფერი გეშველება.

ასე უთქვამთ, რაგინდ სულელიც უნდა იყოს მდიდარი, მაინც მოიხმარსო ქონებას. ნუ იქნები იმ მდიდარზე უფრო სულელი! იმასაც ამბობენ, საქმიან ქალს მატყლი არ შემოელევაო. ნუ იქნები ასეთ ქალზე უყაი-რათო!

ერთმა ჩვენმა წინაპარმა ასე თქვა თა-ვის ქონებაზე, უინს აყოლილ მის შვილებს რომ ჩაუვარდა ხელში: „მას მწყემსი არა ჰყავს, ჰყავს მხოლოდ მწველავები“.

თუ მომჭირნეობა გინდა, მუცელს ნუ აღორებ. შემოიხახე უბედური დღისთვის. იცოდე, საქონელი დიდხანს ვერ გაძლებს, თუ ცოტა აჭამე და ბევრი წველე. გამოიჩი-ნე წინდახედულება და გაუფრთხილდი შენს

სიმდიდრეს. ვინც იცავს ქონებას, ორ კეთილშობილურ საქმეს იცავს. ეს ორი კეთილშობილური საქმე სარწმუნოება და ღირსებაა. ნათქვამია, ისარს სასროლად ფრთას უკეთებენო. რქენის დროს ის იმარჯვებს, ვისაც უფრო დიდი რქები აქვსო. ალაპის მოციქულმა, ალაპიმც აკურთხებს მას და მიესალმება, თქვა: „ადამიანები გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს“. ადამიანი უმეგობროდ ვერ იარსებებს. ნუ იმეგობრებ ისეთ კაცთან, რომელიც შენც იმასვე არ გისურვებს, რასაც თავისითვის ფიქრობს. შეისწავლე კარგად შენი მეგობრები. თუ ისინი ასეთები აღმოჩნდებიან, მოერიდე. თუ განსხვავდებიან, მაშინ შენი სურვილის შესაბამისად იმოქმედე. მე გასწავლი იმას, რასაც ყურანი, იმასვე გიქადაგებ, რასაც ალაპის მოციქული და იმას გირჩევ, რასაც ურჩევდნენ ერთმანეთს ღვთის მოშიშნი. მუტარიფ იბნ შიხჰომა თქვა: „ალაპის იმედით დაქანებული ლოდის ქვეშ დაძინება იგივეა, რაც ალაპის იმედით კლდიდან გადმოხტომა“. სად არის ის სიფრთხილე, რომლისკენაც ალაპმა მოგვინოდა? რატომ არ არიდებთ თავს ხიფათს, რატომ არ ასრულებთ ალაპის ნებას? ვისაც თავის კეთილდღეობა სურს და ამისთვის ზომებს არ იღებს, მისი სურვილი მხოლოდ სურვილად რჩება. ალაპი ყველა სურვილს ასრულებს, თუ ისინი შეესაბამებიან იმას, რაც მან ბრძანა. იგი იმედს არავის უცრუებს, რადგან თვითონ არის პირველი იმედის მიმცემი. ომარი თავს უფრთხილდებოდა, შავი ჭირი არ შემეყაროს, აბუ უბაიდამ ჰკითხა: „ბედისწერას გაურბისარ?“ „დიახ, მაგრამ ისევ ბედისწერისკენ მივისწრაფვი“. „გონია, რომ სიფრთხილე გიხსნის ბედისწერისგან?“ – უთხრა აბუ უბაიდამ. „სიფრთხილე საჭირო რომ არ იყოს, მაშინ ამ მცნებას არც მოიგონებდნენ“, – უპასუხა ომარმა. ერთმა კაცმა კამათის დროს წამოიძახა: – „საკმარისია ჩემთვის ალაპი!“ ალაპის მოციქულმა, ალაპიმც აკურთხებს მას და მიესალმება, უთხრა: „გააკეთე ყველაფერი ალაპისათვის და როცა დაინახავ, რომ უკვე აღარაფერი შეგიძლია, თქვი: „საკმარისია ჩემთვის ალაპი“.

პოეტს უთქვამს: „ვისაც ჩემსავით ამძიმებს ოჯახი და არაფერი გააჩნია, ყოველი ლონე იხმაროს, თავი არ დაზოგოს ქონების მოსაპოვებლად. ვინც გააკეთა შესაძლებელი, ჩათვალოს, რომ წარმატებას მიაღწია“. მეორემ თქვა: „როგორ დავამუნათო სული ზოგიერთი შეცდომისათვის, თვით მოსამართლეც ხომ არა სჯის მუდამ სამართლიანად?“

ზუპაირ ალ-ბაბიმ თქვა: „თუკი მექნება ალაპის იმედი, მექნება იმის რწმენა, რომ დახარჯული ქონება ამინაზღაურდება, ქისაში ფული დამიბრუნდება“. მერე იკითხა, „მითხარით, რატომ ვაჭრობდა აბუ ბაქრი ან ომარი? რატომ ვაჭრობდნენ ოსმანი, აბუ ზუბაი და აბდ არ-რახმანი? რატომ ასწავლიდა ხალხს ომარი აღებ-მიცემობას? რატომ ურჩევდა მათ, როცა აქლემს ყიდულობთ, მსუქანი აირჩიეთო. თუ მერე რაიმე ნაკლი აღმოაჩნდა, მსუქან აქლემს უფრო ადვილად გაყიდითო“. ომარმა თქვა: „გაანანილეთ ყველაფერი, რაც შეიძლება, დაიღუპოს. ეცადეთ, ერთი რამდენიმედ აქციოთ“. კითხვაზე, რა გზით შეიძინე შენი ქონებაო, ოსმანმა ასე უპასუხა: „არასოდეს არავითარ შემოსავალზე უარი არ მითქვამს“. ხომ გაგიგონია, ნუ იყიდი ზადიან და ბებერ საქონელოს! ალი იბნ აბუ ტალიბმა თავის ძმისშვილს, აბდალაჰ იბნ ჯაფარს ქონების უაზროდ ხარჯვა და თავის სურვილის მიხედვით მოხმარება აუკრძალა. მან ეს მხოლოდ იმისთვის გააკეთა, რომ სახელი გაეთქვა და მადლობა დაემსახურებინა. თუ უთქვამს ოდესმე ვინმეს ტრაბახით, ამან და ამან მთელი ქონება ღვინოსა, აზარტულ თამაშებსა და გარყვნილობაში დახარჯაო. თქვენ ამას ხელგაშლილობას უწოდებთ და კეთილშობილებაში უთვლით ადამიანს. ვინც კეთილშობილს მეთვალყურეს უნიშნავს მხოლოდ კეთილშობილების გამო, ის, ალბათ, უნყინარსაც დაუნიშნავს მეთვალყურეს, მხოლოდ მისი უნყინარობის გამო. კიდევ რომელი იმამი მოგიყვანოთ მაგალითად აბუ ბაქრის შემდეგ, ან რომელი წინაპარი ალის შემდეგ? რა იმედი უნდა გვქონდეს ჯამილ კიასის გაჭირვებისას? როგორ ამოგიდგება მხარში ის, ვისაც სხვისი საჭ-

მღის განადგურება უყვარს. რას გარგებს მღიქვნელი ან გაუმაძლარი, რომლისთვისაც სულერთია, როგორ მოიპოვებს დირჰამს და რა საშუალებით მიიღებს დინარს; რომელიც არ ცდილობს, ხალხის მადლიერება დაიმსახუროს, ყურადღებას არ აქცევს, როგორ მოქმედებს სხვაზე მისი გაუმაძლრობა და ჭამის დროს არასოდეს არ კითხულობს, საიდან მოდის, ეს საჭმელ-სასმელი ვის ეკუთვნის?! რაოდენ უმნიშვნელოც უნდა იყოს შენი ქონება, იცოდე, ის შენი ოჯახის საყრდენია. თუ დიდი ქონების პატრონი ხარ, გადაინახე ნაწილი უბედური დღისთვის. მხოლოდ გზააპნეული ცხოვრობს ბედის იმედად. კეთილდღეობა თავბრუს მხოლოდ უგუნურს ახვევს. უფრთხილდი მოულოდნელ უბედურებას და ცბიერთა მზაკვრობას. „შენი კარაქი შენსავე პურს წაუსვი“. „შენი გამხდარი ამჯობინე სხვის მსუქანს“. ყოველი ღონე იხმარე

ქონების მოსაპოვებლად, იცოდე, მის წინ მახვილი და შეუვალი კარებია აღმართული.

ერთმა ქალმა უთხრა არაბს, თუ ცოლად შემირთავ, ერთი ორად გაიზრდება შენი სიმდიდრეო. არაბმა უპასუხა: „თუ მარტო შენი ქონების იმედზე ვიქწები, გავლარიბდები, ხალხის თვალში პატივისცემას და ზეცაში ჯილდოს დავკარგავ. რად მინდა ისეთი სიმდიდრე, რომელიც სარგებლობას არ მომიტანს და რომელსაც თავის ნებაზე ვერ მოიხმარს ოჯახის თავი?“.

ალ-მალუტ ალ-კურაიმ<sup>1</sup> თქვა:

„ო, აბუ ჰანი! ნურაფერს სთხოვ ხალხს, ხელაპყრობილმა ალაპის მფარველობა ეძებე მხოლოდ.

ალაპი ყოვლისშემძლეა, ხალხი კი, მტვერიც რომ სთხოვო, მოიღუშება და უარს გეტყვის, როგორც კი სიტყვა „მომეცი“ მისწვდება ყურს“.

<sup>1</sup> ალ-მალუტ ალ-კურაი – მუსლიმური ეპოქის პოეტი.

არაბულიდან თარგმნა  
ნათელა უვანიამ

## ელიას ხური (დაიბ. 1948 წ.)

ნოველისტი, რომანისტი და ლიტერატურული კრიტიკოსი ელიას ხური თანამედროვე ლიბანელი მწერალია. დაიბადა ბეირუთში, მართლმადიდებლურ ოჯახში. მისი დაბადების წელს ემთხვევა პალესტინელ ლტოლვილთა დიდი ნაკადის ლიბანსა და იორდანიაში შესვლა. შესაბამისად, მისი ცხოვრება პალესტინური პრობლემითაა მოცული დაბადებიდანვე. უმაღლესი განათლება პარიზში მიიღო და 1960 წელს იქვე დაიცვა დისერტაცია მთიან ლიბანში მარონიტებისა და დრუზების სამოქალაქო ომამდე მისული კონფლიქტის თემაზე. შემდეგ ელიას ხური ლიბანში დაბრუნდა და ბეირუთში პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის კვლევით ცენტრში დაიწყო მუშაობა. მონაცილეობდა ლიბანის სამოქალაქო ომში, სადაც სერიოზულად დაშავდა და დროებით მხედველობაც კი დაკარგა.

უურნალისტური მოღვაწეობა ელიას ხურიმ 1972 წლიდან დაიწყო. ასევე, ასწავლიდა კოლუმბიის, ნიუ-იორკისა და ლიბანის უნივერსიტეტებში.

ლიტერატურულ ასპარეზზე 1975 წელს გამოვიდა. მისი რომანები და ნოველების კრებულები მრავალ ენაზეა თარგმნილი. 1981 წელს დაწერილი მცირე ფორმატის რომანი „ქალაქის კარიბჭეები“, რომლის ქართულ თარგმანსაც ვთავაზობთ „არმალანის“ მკითხველს, „ათას ერთი ღამის“ ცნობილი გადმოცემის – „სპილენძის ქალაქის“ თემის პოსტმოდერნისტული ლიტერატურული გადამუშავებაა, რომელიც ავტორმა მწერლური შთაგონებით კვლავ თავის კველაზე მტკიცნეულ თემას – ბეირუთის სამოქალაქო ომსა და მის გამოძახილს დაუკავშირა.

## ჩალაქის პარიზშეები დასაწყისი

**იყო ერთი კაცი. კაცი უცხო იყო, ყარიბი.**

თავისი ამბავი მას არავისთვის ეამბნა; არ იცოდა, რომ მოსაყოლი ამბავი იყო. მას სჯეროდა, სწამდა, როგორც ყველას გვნამს. ის ისეთივე იყო, როგორიც ყველა, მაგრამ არავისთვის არაფერი უთქვამს, რადგან არ იცოდა, რომ მომხდარი ამბები შეიძლებოდა ვინმესთვის ემცნო.

იყო კაცი და იყო უცხო, ყარიბი.

არ ახსოვდა, როგორ დაიწყო მისი ისტორია, რადგან მან ეს არ იცოდა. საკუთარი თავი ამბის შუაგულში აღმოაჩინა და არ უკითხავს, როგორ დაიწყო იგი. ამბის დასასრულით იყო გართული და, როცა დასასრული მოვიდა, აღმოაჩინა, რომ არც დასასრული იცოდა, რომ არც სხვებმა იცოდნენ დასასრული, რადგან დასასრული უცნობი იყო – დასასრული იყო დასასრული.

იყო კაცი და იყო უცხო, ყარიბი.

ის იქ ფეხით მიდიოდა და მიდიოდა, კითხვებს სვამდა და სვამდა. მე ვიყავი ის, ვინც იგი დაინახა. მე ის არც იქ მინახავს და არც – აქ, მე მას თვალი მოვკარი და მივუახლოვდი. ის ფეხით მიდიოდა და მიდიოდა. გზები გადაჭიმულიყო მისი დაცემამდე მისული, ღონემიხდილი, დაძაბუნებული სხეულის გაყოლებაზე, ის კი შორს მიდიოდა. რამდენიმე გამოუსადეგარი სიტყვის გარდა არაფერი იცოდა, მაგრამ ისინი მისი სიტყვები იყო და რა უნდა ექნა კაცს ამ თავისი სიტყვებით, თანაც თუ ისინი გამოუსადეგარი იყო?! მას არ დაუსვამს კითხვა, რადგან ის მიდიოდა და მისი სიტყვებიც გვერდზე მიჰყებოდნენ, ნელ-ნელა ირღვეოდნენ მის გვერდით, ისე ცვიოდნენ, როგორც ფოთლები ბებერი, დაუძლურებული ხის ტოტებიდან.

კაცი იყო და კაცივით მიდიოდა.

კაცივით მიაბიჯებდა თავისი სიკვდილისკენ. თავის სიკვდილს ხელის გაწვდენაზე ხედავდა, მაგრამ მიაბიჯებდა. მიდიოდა და კითხულობდა, მაგრამ არავინ ეპასუხებოდა. შემდეგ გაჩერდა და პასუხების გაცემა დაიწყო. პასუხები არ იცოდა, მაგრამ მაიც პასუხობდა.

ითქვა, რომ ის დაიწვა. ითქვა, რომ ის გალღვა, გაილია სამარხზე. ითქვა... თუმცა ქალაქი, რომელშიც ის მივიდა, ერთ-ერთ გაუჩინარებულ შორეულ ადგილას იყო. ითქვა, რომ ის ქალაქი დაიძირა წყაროებში. ითქვა, რომ ის ჩაინთქა ზღვაში. ითქვა, რომ ის გამოიწვა ტყეში. ითქვა... თუმცა ქალაქი გაუჩინარდა და შეუძლებელი გახდა მისი მოძებნა. უკვე შეუძლებელი გახდა, ქალაქი ყოფილიყო. უკვე შეუძლებელი გახდა, კაცი არსებულიყო.

კაცი იყო და კაცივით ვიდოდა.

კაცივით მიაბიჯებდა თავისი სიკვდილისკენ, მაგრამ მე შევნიშნე ის და შევეცადე, მივახლოებოდი. შევეცადე მეთქვა – მე ის დავინახე შორ მანძილზე მყოფი, როგორც შორეული წერტილი – როგორც წერტილი, რომელიც გადადის კუთხებში; როგორც კუთხე, რომელიც გადადის წრეებში; როგორც წრე, რომელიც ჩაიკარგება და ქრება შორეულ წერტილში.

სიშორეში ის იყო წერტილი, რომელიც ლლვებოდა, დნებოდა, მაგრამ არ ქრებოდა. ის იყო ხელებისკენ გაწვდილი ხელი, რომელიც არ იკარგებოდა. ის იყო კაცი; იყო უცხო, ყარიბი და თავისი სიკვდილისკენ მიდიოდა.

უცხო კაცი მიდიოდა და მიდიოდა.

მის გვერდით სხვა კაცი მიდიოდა.

იმის გვერდით კიდევ სხვა მიაბიჯებდა.

ყველანი შორეული ქალაქისკენ მიდიოდნენ. შორეულ ქალაქში ცეცხლი გაეჩაღებინათ. ცეცხლში იხოცებოდნენ; ცეცხლში შიშით ძრნოდნენ; ცეცხლში წერდნენ ამბავს, რომელიც იქ იწყებოდა, სადაც უნდა დამთავრებულიყო და, როცა დასრულდა, ისეთი იყო, თითქოს არც დაწყებულაო.

მთხოვნელი ყვება, რომ ნახა ის. მთხოვნელი ამოწმებს, რისი მოწმეც შეიქნა

და მოწმე კვდება ისევე, როგორც მსხვერპლნი იხოცებიან. მოწმემ არაფერი იცის გალავნების, კარიბჭეებისა და წყაროების მეტი, რომლებშიც ხელები იხრუებიან; ხელები კი გაწვდილია იქით, სადაც მფუფქავი, მწველი წყაროებია.

ვინც მოწმე იყო, წერს თავისი თვალით ნანაზე და მიაბიჯებს იმ კაცის გვერდით, რომელიც მიდიოდა, არ ტოვებს მას მარტო და იქნება მხოლოდ იქ, სადაც საკუთარ თავს იპოვის.

## 1. უცხო კაცი

**იდგა** კაცი დიდი ქალაქის ზღუდე-გალავნების წინ. არ იცოდა, როგორ შესულიყო. უკვე ჩამოელნია. მგზავრობა გრძელი იყო და მომქანცველი – უთვალავი დღე და ცივი, შიშველი და წვიმიანი ლამე... მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის მაინც ჩამოსულიყო. ფურცლები, კალმები და დავთრები ეჭირა. ქალაქის გალავნებს შეჰყურებდა – კედლების მეტს ვერაფერს ხედავდა და არავითარი ხმა არ ესმოდა. ლამის ატირებულიყო. მარტოდმარტო იდგა. მიწაზე დადო აბგა, რომელიც იმ ნივთებით იყო სავსე, ყოველგვარი აზრი რომ დაეკარგათ და ჩამოჯდა. ელოდა, რომ მოვიდოდა ვინმე. მოვიდოდნენ კაცები ან ქალები, მიესალმებოდნენ, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო, ეტყოდნენ და შესასვლელ გზას აჩვენებდნენ. ასე ოცნებობდა. ოცნებობდა, რომ, როცა იმ შორეულ ქალაქში ჩავიდოდა, მოვიდოდა ვინმე, ხელს ჩაჰებდებდა და მარმარილოს ცხელ აბანოში შეიყვანდა, უმშვენიერესი სამოსით შემოსავდა. ოცნებობდა ლამაზ ქალებზე, ყვავილთა და სუნამოს სურნელზე. ოცნებობდა დედებსა და სატრფოებზე...

მაგრამ იდგა მარტო, იჯდა მარტო და სევდასაც მარტოდმარტო მისცემოდა...

შემდეგ კაცმა გადაწყვიტა, გალავნის გარშემო გაევლო. წამოკიდა თავისი აბგა თავის გამოფიტულ, ღონემიხდილ სხეულთან ერთად და გზას გაუყვა. გალავნები პიტალო და მაღალი იყო, მიწისა და ცემენტის

სუნი იდგა. ერთი ხეც არ დაუნახავს. არც ბალახი ან ყვავილები შეუნიშნავს. დიდანს იარა და იარა, შემდეგ მაღალი კარიბჭე დაინახა. უზარმაზარი რკინის კარიბჭე იყო, გალავნის შუაგულში ისე ჩაეყენებინათ, თითქოს ქალაქის მცველი იყო. კარის წინ გაჩერდა და იყვირა. თქვა, რომ შორიდან იყო მოსული. თქვა, რომ შესვლა სურდა. პასუხი არ გაუგონია. საკუთარი ხმის ექოც კი არ დაპტბრუნებია. შემდეგ ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა – ყველა ყმანვილ ქალზე ლამაზი. გრძელი მენამული სამოსი ემოსა. თავზე თეთრი თავსაფარი ეხვია, სინათლის შარავანდედივით რომ ელავდა. ქალი მასთან მივიდა, ხელი ჩაჰერიდა და რაღაცები უთხრა, რაც კაცმა კარგად ვერ დაიმახსოვრა, მაგრამ ახსოვდა, რომ წამლეკავი სიხარული იგრძნო. ეს გრძნობა მისი სხეულის ყველა ნაწილიდან ერთბაშად წამოვიდა და კაცი ისე შეაზანზარა, როგორც მონეული, მწიფე ხის ტანი. შემდეგ ხიდან ნაყოფი მინაზე ჩამოცვივდა და ბავშვებმა წამოკრიფეს. კაცი ისე ირხეოდა, როგორც ხის ტანი, მაგრამ ნაყოფი არ ცვიოდა და არც ბავშვები ცეკვავდნენ სიხარულით მის გარშემო. ხე არ იყო ხე.

ის, რის გახსენებასაც ცდილობდა კაცი იმ ლამაზი ქალის სიტყვებიდან, ახლა არეული და გაურკვეველი ჩანს, მაგრამ ახსოვს, ქალმა უთხრა, რომ მას კარს გაულებდა და ის უნდა შესულიყო, მაგრამ თავად უარი თქვა კაცთან ერთად შესვლაზე. ჯერ შენ შეხვალო, შემდეგ, როცა ქალაქის შუაგულს მიაღწევო, ოქროს კარს იხილავო, დაუკაუნებლად შეაბიჯებ და იქ მნახავო შენს მოლოდინში.

კაცი დაფიქრდა, შემდეგ შიში იგრძნო და უთხრა: „არა“.

წამოიკიდა თავისი აბგა და გაუყვა გზას. გალავანი მრგვალი იყო. კაცი გრძნობდა, რომ დედამიწას ბარბაცით უვლიდა გარს. მიდიოდა და მიდიოდა. მარტო-ობა და სიცარიელე იგრძნო. ინანა, რომ არ შევიდა. შემდეგ გზა გააგრძელა. უეცრად მაღალი კარიბჭე დაინახა, გალავნის შუაგულში აღმართული. კარზე დააკაუნა. არავის გაულია. შემდეგ ახალგაზრდა ქალი

ეჩვენა, იმ პირველზე უფრო ლამაზი. ხელი ჩაჰერიდა და ლამაზი სიტყვები უთხრა. უთხრა, რომ ქალაქის კარს გაულებდა, მაგრამ თავად მასთან ერთად არ შევიდოდა. იქ, ქალაქის შუაგულში, იხილავო ვერცხლის კარს. კარში დაუკაუნებლად შეხვალო და იქ მიპოვიო მე შენს მოლოდინში.

მაგრამ კაცმა, რომელსაც ეს ხანგრძლივი დღეები ქალაქის ძებნაში გაეტარებინა, შიში იგრძნო:

– როგორ შევიდე მარტო? არ შევალ! – და წავიდა.

გალავანი წრიული იყო. მიდიოდა კაცი და დღე და ლამე ერთმანეთს ენაცვლებოდა მის გამოფიტულ, დაუძლურებულ სხეულზე. მაგრამ კაცი მიდიოდა და იმ მაღალ გალავანს გარს უვლიდა. წყურვილი იგრძნო. გაახსენდა წყალი, რომელზეც ოცნებობდა. წყალს ფერი ჰქონდა – ის ასე ოცნებობდა. შედიოდა ქალაქში, ნახულობდა რძესავით თეთრ წყალს, მაგრამ მას წყლის გემო ჰქონდა – სვამდა და ვერ ძლებოდა. წყალი არ ილეოდა, ის კი ვერ ძლებოდა და სვამდა.

კაცი გალავნის გარშემო მიდიოდა და მიდიოდა. ნახა მესამე კარიბჭე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე. ყოველი კარიბჭის წინ ქალი იდგა, მის წინამორბედზე უფრო ლამაზი. კაცს წამლეკავი სიხარულის გრძნობა იპყრობდა, მაგრამ შესვლაზე უარს ამბობდა, რადგან ეშინოდა.

კაცს უკვე სათვალავი არეოდა, იმდენ ხანს ევლო. მარტო მიდიოდა და ახლა მარტო როგორ შესულიყო?! ხომ შეიძლებოდა, ქალაქის მცხოვრები ის – ყარიბი, უცხო – ან ქურდი, ან შარაგზის ყაჩალი ჰეროებოდათ?! არ შევიდოდა, თუ არ ლამაზი ქალის თანხლებით! არ შევიდოდა, თუ არ ემირივით ლამაზი!.. ასე ოცნებობდა და გადალახავდა მთებს, ეძინა ღია ცის ქვეშ, გაშლილ სივრცეში და ჩიტებს ეკითხებოდა იმ ქალაქის შესახებ... და როცა მიაღწია მის გალავნებს, ვერავინ ნახა, ვინც დასთანხმდებოდა მასთან ერთად შესვლას. ვერაფერი იპოვა, შეპირებებისა და სიტყვების გარდა.

თქვა, არ შევალო და წავიდა.

სიარულში რას არ გადაეყარა – შიშილს, წყურვილს, გრძელი დღეების დაქან-

ცულობას... იგრძნო, რომ სნეულებებმა იწყო მის ძვლებში ნელ-ნელა შეპარვა; იგრძნო, რომ ძვლები ლამის დასცვივდა. გაახსენდა ხე და ის, თუ როგორ ნარმოედგინა ყოველთვის, რომ კაცი სავსევარჯიანი ხე იყო. შიში იგრძნო და ლამის მიწაზე დაეცა. როცა მეშვიდე კარიბჭე დაინახა, მიხვდა, უძლური იყო, გალავნის გარშემო სრბოლა გაეგრძელებინა. რკინის კარის წინ გაჩერდა და იყვირა. მოვიდა ყმაწვილი ქალი, უთხრა სიტყვები, მსგავსი პირველი ყმაწვილქალის სიტყვებისა, ელაპარაკა მოოქრულ კარზე, წყლებსა და სითბოზე. მოსთხოვა, შიგნით შესულიყო. ქალაქის შუაგულში იპოვიდა კარს, რომელშიც უნდა შეებიჯებინა, იქ კი თავად დახვდებოდა მის მოლოდინში.

კაცს დიდხანს აღარ უფიქრია, უთხრა, რომ თანახმა იყო, თუმცა ყმაწვილ ქალს ისიც გაუმხილა, რომ, ცოტა არ იყოს, ეშინოდა. ახალგაზრდა ქალმა თმაზე ხელი ნაზად გადაუსვა და გაულიმა. კაცმა იგრძნო, რომ მთელი დედამინა მის ხელთ იყო. იგრძნო, რომ გაუხედნავი ცხენივით ძლიერი იყო და რომ ის მიაღწევდა ქალაქს; პირველი იქნებოდა, ვინც აღმოაჩენდა კარს, რომელიც უსაზღვროდ დიდ სასახლემდე მიიყვანდა.

ახალგაზრდა ქალმა ქალაქის კარი გაუღო ისე, რომ ხელთ გასაღები არ ჰქონია – კარს მიუახლოვდა, თავისი ლამაზი ხელი შეახო და კარი გაიღო. კაცი შევიდა და როცა დააპირა, უკან მოეხედა, რომ ქალის-თვის მადლობა ეთქვა, ან მასთან შეხვედრის დრო და ადგილი დაედასტურებინა, კარი უკვე დაკეტილი დახვდა და მხოლოდ კარის მიჯახუნების ხმა დარჩენილიყო მის ყურებში.

კაცი შევიდა. ნახა თიხისა და ბეტონის სახლები. შეიყნოსა ხალხის სუნი და მას გაახსენდა ეს სუნი. ამ ხანგრძლივ მანძილზე ძლიერ მისჩვეოდა საკუთარ სხეულს, რის გამოც ხალხის სუნი გადავიწყებოდა. იგრძნო, ხალხის სუნი უფრო ლამაზი იყო, ვიდრე ყვავილებისა და ბალახეულის, მაგრამ არავის მიუქცევია მისთვის ყურადღება.

თქვა: „არა უშავს, ხვალ გაიგებენ!“ – და

იმ კაცივით გაიღიმა, ვინც საშიშ საიდუმლოს მალავს, რომელიც აუცილებლად უნდა გააცხადოს და წავიდა.

გაახსენდა, ახალგაზრდა ქალმა უთხრა, რომ პირდაპირ ევლო სწორ გზაზე, რომელიც ქალაქის მოედანზე მიიყვანდა, სადაც მოოქრულ კარს იპოვიდა.

იარა და იარა.

ქალაქის მოედანი ვერ იპოვა. ქუჩებს ქუჩებისკენ მიჰყავდა და შუკებისკენ; შუკები კი შუკებითვე ბოლოვდებოდა. შეეცადა, კითხვა დაესვა, მაგრამ მოულოდნელობამ გააოგნა – მის კითხვებს არავინ პასუხობდა.

ერთ კაცს ჰქონდა, რომელმაც დიდხანს უყურა მას და წავიდა.

ერთ ქალს მიმართა კითხვით, რომელიც არც გაჩერებულა, რომ მისი შეკითხვა მოესმინა.

უცხო კაცმა იგრძნო, რომ ის უცხო იყო თავის ქალაქში, მაგრამ გადაწყვიტა, გაეგრძელებინა სვლა და კითხვები – ჩამოვსულვარო და უკან არ გავბრუნდები, სანამ იმ კარში არ შევალო, სანამ იმ ქალთან არ ვიძინებო, სანამ იმ წყალს არ დავლევო.

მიდიოდა და თან კითხულობდა. უკვე აღარ ელოდებოდა პასუხს. კითხვებს სიარულშივე სვამდა, აღარ უჩერდებოდა მათ. მათნაირი გახდა.

უცხო, ყარიბმა კაცმა იფიქრა, რომ ამ ქალაქის მკვიდრთა მსგავსი გახდა. შემდეგ დაღლილობა და ქანცის გაწყვეტა იგრძნო და ქვაზე ჩამოჯდა. უკვე უთვალავი ღამე იყო, რაც არ უძინია და ხანგრძლივი დღეების მანძილზე წყალი არ უსვამს.

იჯდა. არაფერს მისჩერებოდა და ვერაფერს ხედავდა, როცა მასთან ერთი მოხუცებული კაცი მივიდა, ნინაპართა მსგავსი, და გვერდზე ჩამოუჯდა. უთხრა:

– ვიცი, რომ ქალაქის მოედანს ეძებ. ადექი და გამომყევი.

– კი მაგრამ... შენ ვინ ხარ?!

– მე... მე ის ვარ, ვინც უცხოთ ქალაქის მოედანს უჩერენებს. ეს ჩემი ხელობაა. ათასი წელია, რაც აქ ვმკვიდრობ. არ ვკვდები, რადგან ქალაქის მცხოვრებთაგან არავინ თანხმდება, ისწავლოს ჩემი ხელობა. შენ

ხომ არ გინდა, ისწავლო?! ჩემს სხეულს უკვე მიწა მოენატრა, ჩემს ძვლებს ერთი სული აქვთ, დაისვერნონ.

— არა! — იყვირა უცხო კაცმა, — მე ქალაქის მოედანზე წასვლა მინდა.

მშვილდივით მოხრილი მოხუცი წინ წაუძღვა და უცხო კაცი მიჰყვა მას უკან. შემდეგ მოხუცი გაჩერდა და თქვა: — აქაა, — და წავიდა.

დიდი მოედანი იყო, თეთრი მოედანი, მიწაც თეთრი ჰქონდა და ცაც, მაგრამ უცხომ ვერც კარი იპოვა და ვერც ქალები ნახა.

მოედნის შუაგულისკენ წავიდა, სადაც თეთრი ქვები ელავდნენ. დაინახა ქვის კუბო, შიგ ჩასვენებული ქვის გვამით. გაიგონა მოთქმა-ტირილის ხმები.

მოიხედა და ვერავინ იპოვა. აბგა მიწაზე მოისროლა. აბგა დაიხა. კაცი დაჯდა, შემდეგ წამოდგა, მერე ისევ დაჯდა.

— კი მაგრამ... ქალები სად არიან?!

უცხო კაცმა გადაწყვიტა, დაეტოვებინა ქალაქი. ეს არ არისო ქალაქი. დატოვა დაგლეჯილი აბგა და წავიდა. მოედნის განაპირას შვიდი ქალი დაინახა, გრძელი თმებით, ჭუჭყიანი ფრჩხილებით, ნახევარწრედ ისხდნენ და ტიროდნენ.

კაცმა მათ კითხვები დააყარა.

ერთი ქალი მოუბრუნდა და უთხრა, რომ ისინი ქალაქის მეფეს ტიროდნენ, რომელიც მომკვდარიყო და რომელიც თავის კუბოში ესვენა. ჰყითხა ქალებს, თქვა და მერე გაახსენდა — ეს ის ქალი იყო, ქალაქის კარიბჭესთან რომ იდგა. მოჰყითხა მისი პირობა, შემდეგ მოსთხოვა, ქალაქის კარი ეჩვენებინა.

ქალთა მოთქმა ხმამაღალი გახდა. პირველმა ქალმა მიუგო, რომ მას არ ახსოვდა, ქალაქს კარი თუ ჰქონდა. შემდეგ უთხრა, რომ გალავნის არსებობა არ ახსოვდა.

კაცმა დატოვა ქალები და წავიდა. გარბოდა. ქუჩებს ქუჩებისკენ მიჰყავდა და შუკები შუკებითვე ბოლოვდებოდა. ვერ იპოვა ვერც კარი და ვერც გალავანი.

როდესაც კაცი მოედანზე დაბრუნდა, იგრძნო, რომ მისი სახლი აქ იყო.

უცხო, ყარიბმა კაცმა შორეთისკენ გაიხედა და ვერაფერი დაინახა. შორეულ მოთ-

ქმას აყურადებდა.

გაახსენდა, რომ თავის დაგლეჯილ აბგაში ფურცლები და კალმები ეწყო და წავიდა აბგის მოსაძებნად.

## 2. აბგის ძებნა

**3თქვენი:** მივწვები, მოვიკუნტები და დავიძინებ-მეთქი.

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა: მივწვები, მოვიკუნტები და დავიძინებო. გაიხედა უცხო, ყარიბმა კაცმა — მოედანი თეთრი იყო, არაფერი იყო სითეთრის გარდა. უცხო, ყარიბმა კაცმა თეთრი შიში იგრძნო. შეეშინდა, რომ შეხვდებოდა მოხუცებულ კაცს, წინაპართა მსგავსს. შეშინდა, რადგან გაახსენდა, ახლა გაახსენდა, რომ მოხუცს თვალები არ ჰქონდა. კაცი თეთრი მოედნის შუაგულში იდგა და ეშინოდა. დაღლას გრძნობდა, მაგრამ, როცა ხელი შუბლისკენ წაიღო ოფლის მოსაწმენდად, აღმოაჩინა, რომ ოფლი სულ არ ჰქონდა, რომ შიში მოხუცებული კაცის შესახედაობიდან მოდიოდა. მას ახსოვდა ფართო შუბლი, თეთრი თმით სავსე, მუქი ყავისფერი ხაზების მიღმა სახე არ ჩანდა, მსუბუქი თმა სახეს გარს ევლებოდა და ნიავივით ფრიალებდა. შემდეგ არა, არ შეიძლებოდა, ალბათ... ან... უცხო, ყარიბმა კაცმა იგრძნო, ყვირილი სჭირდებოდა, მისი ხორხიდან რომ ამოვიდოდა. შემდეგ გადაწყვიტა, მიწოლილყო. შემდეგ, — როგორ არ ექნებოდაო კაცს თვალები, როგორც ყველა კაცს. როგორ არ ექნებოდაო... არ იცოდა. ან როგორ გამიძღვაო უსასრულო ქუჩებში, როგორ მიმიყვანაო თეთრ მოედანზე და როგორ შევიყნოსეო თეთრი სურნელი.

უცხო, ყარიბმა კაცმა იგრძნო, როგორ დაგრძელდა ჰაერში მისი სხეული. ხელებზე დაიხედა და ნახა, გასწელვოდა. მოედანმა დაპატარავება და დავიწროება იწყო მის თვალინი. კაცმა ხელი გაიწვდინა და თვალები მოიფშვიტა. თითების შეხებაზე ქუთუთოებიდან გამოცემული უცნაური ხმა გაიგონა. იგრძნო, ძლიერი თვლემა ერეოდა. ძილი მოვიდოდა და დაამშვიდებდა მის

სხეულს. იგრძნო, მას შეეძლო, დაუსრულებელ თეთრ მოედანზე გაშლილიყო.

კაცი დაეშვა. ფეხები ერეოდა და პორძიობდა თვლემის შარიშურზე. ქვემოთ ეშვებოდა და ძირი ღრმა იყო. კიდევ მეტად დაეშვა და გაიწელა. თეთრი ფერი გაქრა და წყვდიადმა მოიცვა. უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა: მივწვები, მოვიკუნტები და დავიძინებო. ზედაპირზე დაფენილი სითეთრე კვერცხივით გახდა და კვერცხს მჭიდროდ შემოეხვია. მსუბუქი წყვდიადი მტვერმა გაარღვია. კაცი შეეცადა, თვალები მოეხუჭა, მაგრამ მტვერი მოსულ შუქზე ცეკვავდა და თვალს სჭრიდა. მტვერი მტვერს ჰგავდა.

კაცმა შეხედა და თვალები დახუჭა – შეეცადა, თვალები დაეხუჭა. ადგა – შეეცადა, რომ ამდგარიყო. მიწვა – შეეცადა, რომ მიწოლილიყო. რაღაცები თქვა, რაც კარგად აღარ ახსოვდა. იუნყებოდა ამბებს თვალებზე, რომლებიც არ იხუჭებიან და ქალაქზე, რომლის შვიდ კარიბჭესაც მიადგა და რომლის მოედანიც ვერ იპოვა. როცა მოედანი იპოვა, კარიბჭეები დაკარგა. მოედანზე რომ დაბრუნდა, აბგა დაკარგა. როცა აბგა იპოვა, ქალი დაკარგა და, როცა ქალი ნახა, ქალმა დაილაპარაკა, შემდეგ საკუთარი თავი თეთრი მოედნის შუაგულში მარტოდმარტო მდგარი აღმოაჩინა, მოედნის შუაგულში კი თეთრი ქვის კუბი იდგა. კაცი მოედანზე გაბრუნდა და თავისი დაკარგული აბგის ძებნა დაიწყო.

როგორ ვიპოვი აბგა? – კაცმა თქვა, რომ ამ ქალაქის მხარეები არ იცოდა. სინათლე მოედნის შუაგულიდან ვრცელდებოდა. როგორ გავარჩიო მხარეები?! აბგა თან მქონდაო, როცა მოხუცებული კაცის გვერდით ვიდექი, მაგრამ სად იდგა ხანში-შესული კაცი და სად ვიდექიო მე?! – კაცმა გადაწყვიტა, ქვის კუბოსათვის გარს შემოევლო. თქვა, ნიშანს დავადებო მოედნის მინას და შემოვულიო, როცა ნიშანს მივაღწევ, ჩემს თავდაპირველ ადგილას ვიქნებიო დაბრუნებული. კაცი მუხლებზე დაეშვა, თითი სილაში ნარგო და წრე დახაზა. მის უკან კიდევ მეორე წრე დახაზა, მესამე წრე... შვიდი წრე დახაზა, მერე ნინ გაიხედა და გაუდგა გზას. ფეხები ქვიშაში ეფლობო-

და, თეთრი ქვიშა მაღლა ამოდიოდა და ხმას არ გამოსცემდა. კაცმა შორეთს გახედა და შორეთი შორს იყო. კუბოც ჯერ ისევ შორს იყო წრის შუაგულში, რომელიც ფართოვდებოდა და ფართოვდებოდა. უცხო, ყარიბი კაცი მიდიოდა და მიდიოდა, იყურებოდა და ვერ ხედავდა. ის მაინც მიდიოდა და უეცრად, შორეთში, სითეთრის შუაგულში მოელვარე შავი წერტილები დაინახა. ვერ შეძლო, გაერჩია, ფრინველები ხომ არ იყვნენ, რაღაცას რომ ეძებდნენ ქვიშაში. მათთან მისახლოებლად გაემართა, მაგრამ საათობით სიარულის შემდეგ იგრძნო, რომ შორდებოდა. კაცმა იფიქრა, რომ ისინი ჩიტები არ იყვნენ. როგორ არ იფრენდნენ ჩიტები ამ ქალაქში! გაახსენდა, რომ მას წაეკითხა ამბები მოლაპარაკე ჩიტებზე, ჩიტებზე, რომლებიც არ ფრენდნენ. გადაწყვიტა, ევლო შავი წერტილების მიმართულებით, მაგრამ შიში იგრძნო, რომ დაიკარგებოდა. თქვა, რა ვიციო, რომ დავბრუნდები იქ, სადაც ვარო. წაიხარა მიწაზე და თითით წრიულად დახაზა შვიდი წრე ქვიშაზე. თქვა, როცა წერტილებს ვნახავ, დავბრუნდებიო ჩემს ადგილას და ხელახლა წავალო კუბოს გარშემო შემოსავლელად. გაუდგა გზას კაცი შავი წერტილების მიმართულებით. უთვალავი დღე იარა. მტვრის შუქი მოდიოდა მისთვის თვალის მოსაჭრელად, შემდეგ ქრებოდა. კაცს თვლემა არ ერეოდა, გრძნობდა რაღაც წყურვილს, გრძნობდა, რომ უკვე აღარ ახსოვდა, წყალი როგორი იყო. თქვა, რომ წყალი გადაგდებულ სხეულს ჰგავდა, მაგრამ მეტის გამოხატვა არ შეეძლო. თქვა, წყურვილის ატანა შემიძლია მანამ, სანამ არ მივაღწევ და ვნახავო ამ წყალს. მიდიოდა კაცი და გზებს არ მიჰედანზე. მიდიოდა კაცი და გზებს არ მიჰედანზე. მტვერი გაბნეულიყო, ან რაღაც თეთრი, რაც მტვერს ჰგავდა – რაღაც ფქვილივით წმინდა, რომლის ნამცეცები დიდი მოედნის მიწიდან გამომავალ შუქზე ელავდა.

საათებისა თუ დღეების შემდეგ კაცმა მიაღწია. ხედავდა, წერტილებმა როგორ იწყო გაზრდა. თქვა, მოვაღწიეო და წავიდა. წერტილები დაპატარავდა, მაგრამ ის აგ-

რძელებდა სვლას და წერტილებიც ხელახლა დიდებოდა და, როდესაც მათ გადიდება იწყეს, კაცმა მოულოდნელი დაღლა იწყო. თქვა, წამოვწვებიო, მაგრამ სვლას აგრძელებდა და, როდესაც მიაღწია, დაინახა შავი წერტილები შვიდ წერტილად გარდაქმნილიყო და თითო წერტილი ქალი იყო, ან ის, რაც ქალს ჰქოვდა. კაცი ახლოს მივიდა და დაინახა შავებში ჩაცმული შვიდი ქალი ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდა. სცადა, კითხვა დაესვა. თქვა, მათ აუცილებლად ეცოდინებათო რამე აბგაზე. მიუახლოვდა და პირი გააღო, დაილაპარაკა, მაგრამ პირიდან ხმა არ ამოსვლია. კიდევ ერთხელ სცადა. ხელები ყურებზე დაიფარა, პირი გააღო და დაილაპარაკა, მაგრამ სიტყვა არ ამოსვლია. ქალები მოედნის გარშემო მიაბიჯებდნენ. კაცი მათ უკან მიჰყვა, შეეცადა, დაწინაურებულიყო. თქვა, დავეწევიო ბოლო ქალს, შევეხებიო, ეგებ მოვახედოო ჩემკენ, ან ეგებ, ვერც... მაგრამ წავიდოდა კაცი წინ და ქალებიც დაწინაურდებოდნენ. აჩქარდა, მაგრამ ვერ შეძლო. გრძნობდა, მაგრამ არ იცოდა. ამბობდა, მაგრამ ხმა არ ამოსდიოდა. კაცმა იგრძნო, უნდოდა თვალებს შემუდარებოდა. ქალები გაჩერდნენ. კაცი უფრო ახლოს მივიდა, პირი დააღო და დაიყვირა. გაიგონა ხმა, რომელიც ძველი, უანგიანი კარის ჭრიალს წააგავდა. ხმას აუნია და ხმა კვნესაში გადაიზარდა. შეეცადა ეკითხა და მოულოდნელად გაიგონა – თითქოს მთელი მოედანი ერთ დიდ ყურად იქცა. ქალების მოგუდული კვნესა ნელ-ნელა ხმამაღლალი გახდა. კაცმა დაილაპარაკა და პირიდან ისეთი კვნესა აღმოხდა, თითქოს მისი პირი ჭად ქცეულიყო. შემდეგ ქალი დაჯდა და მისი შავი სამოსი ქვიშაზე გაიშალა. კაცი გვერდზე ჩამოუჯდა, დააკვირდა და ნახა, ქალი სადღაც იყურებოდა. თვალადაც გაიხედა და დაინახა, ექვსი ქალი მიაბიჯებდა. კაცმა ქალს ანიშნა, დაილაპარაკა. მისმა ხმამ დაბრუნება იწყო. ქალს თავისი აბგი შესახებ ჰკითხა. ქალმა დაილაპარაკა, შავი საბურველი სახიდან აინია და კაცმა სითეთრე დაინახა. თეთრი თვალი დაგრძელებულიყო და სახედ ქცეულიყო. სახის ზემოთ ორი შავი წერტილი. თითქოს წვრილი კალმით მისატული შავი პირი. კაცმა მოისმინა პასუხები. ქალმა თქვა, რომ კარი მოოქრული იყო და ჰკითხა კაცს, თუ რატომ არ შემოვიდა. უცხო, ყარიბმა კაცმა იგრძნო, როგორ მოერია მხრებიდან წამოსული ტირილი. თქვა, რომ ის აბგას ეძებდა. ქალმა ანიშნა და კაცმა ორი ქალისკენ გაიხედა, შემდეგ სამი ქალისკენ, შემდეგ... ქალები შავი წერტილები იყვნენ, რომლებიც ქვის კუბოს გარს უვლიდნენ. მოთქმა-გოდების ხმა. კაცმა თქვა: მივწვები, მოვიკუნტები და დავიძინებო. კაცმა თქვა, რომ შავი წერტილები სახეები იყო და სახეები ჰგავდა კვერცხს. ხელი ასწია, თითო გაიშვირა და ის იყო, შეეცადა, სახეს შეხებოდა, რომ ქვითინი გაიგონა და დაინახა სხვა ქალი, რომელიც ქალებს

თვალების ადგილას და სითეთრე. კაცმა საუბარი გაიგონა. ეს არ იყო ქალის პირიდან ამოსული სიტყვები, არამედ მისი შიგანიდან. ქალმა თქვა, რომ ის დიდხანს იცდიდა.

– მე შენ გელოდი, მაგრამ შენ არ მოხვედო.

– მე კი მოვედი, მაგრამ არავინ დამხვდა.

ქალმა სამოსის კიდით ანიშნა და თქვა, რომ დიდხანს უცდიდა მას სასახლეში, სადაც თეთრი აბანო და ორთქლია. „მე შენ კარს უკან გელოდი, მაგრამ შენ კარს რომ მოადექი, გაჩერდი, აღარ დაგიკაკუნებია, არ გიცდია შემოსვლა“...

– იქ კარი არ ყოფილა, – თქვა კაცმა.

– ვიღაც კაცის გვერდით იყავი, რომელსაც არ ვიცნობ. თქვენ საუბრობდით. შევეცადე, მენიშნებინა, მაგრამ შენ არ მომხედე.

კაცმა იგრძნო, რომ სამყარო მცირე ნაწილაკებად იშლებოდა, რომლებიც მოედანზე მოფენილი ქვიშის მარცვლებში ეფლობოდა. ქალს გალავნისა და კარიბჭეების შესახებ ჰკითხა. კვნესა მოესმა. გაიხედა და დაინახა, შავი წერტილების პროცესია მოსდგომიდა. მეორე ქალი პირველს გვერდზე ჩამოუჯდა და პროცესიაც დაიძრა. კაცმა ქალს აბგის შესახებ ჰკითხა. ქალმა საბურველი სახიდან აინია და კაცმა სითეთრე დაინახა. თეთრი თვალი დაგრძელებულიყო და სახედ ქცეულიყო. სახის ზემოთ ორი შავი წერტილი. თითქოს წვრილი კალმით მისატული შავი პირი. კაცმა მოისმინა პასუხები. ქალმა თქვა, რომ კარი მოოქრული იყო და ჰკითხა კაცს, თუ რატომ არ შემოვიდა. უცხო, ყარიბმა კაცმა იგრძნო, როგორ მოერია მხრებიდან წამოსული ტირილი. თქვა, რომ ის აბგას ეძებდა. ქალმა ანიშნა და კაცმა ორი ქალისკენ გაიხედა, შემდეგ სამი ქალისკენ, შემდეგ... ქალები შავი წერტილები იყვნენ, რომლებიც ქვის კუბოს გარს უვლიდნენ. მოთქმა-გოდების ხმა. კაცმა თქვა: მივწვები, მოვიკუნტები და დავიძინებო. კაცმა თქვა, რომ შავი წერტილები სახეები იყო და სახეები ჰგავდა კვერცხს. ხელი ასწია, თითო გაიშვირა და ის იყო, შეეცადა, სახეს შეხებოდა, რომ ქვითინი გაიგონა და დაინახა სხვა ქალი, რომელიც ქალებს

გვერდით მიუჯდა და წერტილები დატრიალდა.

როდესაც კაცი შვიდი ქალის შუაში ჩაჯდა, სიხარული იგრძნო. ახლა შეეძლო, კითხვა დაესვა. თითო გაიშვირა ერთი კვერცხისეკნ, ხელი გაიზოდა და იყვირა – რაღაც წებოვანი გადმოვიდა მის თითებზე, შემდეგ სახეები მიწაზე დაცვივდა, ქალთა მოთქმა ხმამაღალი გახდა, სითეთრე ქვიშაზე დაიღვარა.

გალეული შავი წერტილები წამოიმართნენ. მოგუდული კვნესა ხმამაღალი გახდა. ქალები წავიდნენ. უცხო, ყარიბმა კაცმა გადაწყვიტა, ადგილზე დარჩენილიყო. სახე ხელისგულებში ჩარგო და ქვითინზე ჩაფიქრდა. სასიკვდილო ხრიალი გაიგონა. სახე ასწია და თავის წინ მდგარი პირველი ქალი დაინახა, ხმამაღლა რომ უბრძანებდა წამოდგომას. კაცი წამოდგა. ქალმა კითხვა დაუსვა და კაცმა მიუგო, რომ აბგას ეძებდა. ფურცლები, მამის სურათი, კალამი და მრგვალი მონეტები დამრჩაო შიგ, ასე უთხრა კაცმა.

ქალი იდგა და გრძელი თმა სახეს უფარავდა. თმა სავსე ჰქონდა ნაკეცებითა და მტვრით. თქვა, რომ ახსოვდა, აბგა სადღაც რომ იყო. წავიდა და კაციც უკან მიჰყვა. ქალმა რაღაც ადგილს მიაღწია და კაცს უთხრა, აქ გავთხაროთო. კაცმა თხარა და ვერაფერი იპოვა. ქალი წავიდა და კაციც უკან მიჰყვა. შემდეგ ქალი ჩამოჯდა და უთხრა კაცს, მოდი, მეორედ გავთხაროთო. კაცმა თხარა და ვერაფერი იპოვა. შვიდჯერ წავიდა ქალი და შვიდჯერ მიჰყვა კაცი უკან. მეშვიდე ჯერზე ქალმა თქვა, აქაო. კაცმაც თქვა, აქაო. გათხარა და ვერაფერი ნახა.

ქალი ატირდა და ქალებზე მიუთითა. რატომო, იკითხა კაცმა.

ქალმა უთხრა, რომ ქალაქი დატოვა და მოედნისკენ წავიდა, რომ მას მეფის დატრების ალთქმა ჰქონდა დადებული.

– კი მაგრამ, მეფე სად არის?

– ის ქვის კუბოშია.

– რატომ?

– მეფემ ანდერძად დაიბარა, რომ ქალაქს შვიდი ქალწული აერჩია, რომელიც

მის საფლავს დაიტირებდა. თუ რომელიმე მათგანი მოკვდებოდა, მის გვერდით დაიმარხებოდა და ახალი ქალწულით ჩანაცვლდებოდა.

ქალმა უთხრა, რომ ის უკვე ათასი წელია, აქ იყო; რომ მოკვდა ათასობით ქალწული, მაგრამ ის არ კვდებოდა; რომ სიზმარი ენახა, თითქოს მანამ არ მოკვდებოდა, სანამ უცხო, ყარიბი კაცი არ შეიყვარებდა. ქალმა ხალათი გაიძრო და უთხრა, რომ ყველა კაცი უარს იყო. უცხო, ყარიბმა კაცმა შეხედა და დაინახა, ქალს სხეულის ყველა მხრიდან ძუძუები ჩამოჰკიდებოდა. დაინახა შავი მოძრავი წერტილები თმით დაფარული სხეულის შუაგულში.

კაცმა უთხრა, რომ ეშინოდა.

ქალი მიუახლოვდა.

კაცმა უთხრა, რომ არ შეეძლო.

ქალი მაინც უახლოვდებოდა და უცხო, ყარიბ კაცს კი არ შეეძლო. ქალს ამცნო, რომ ბევრი იარა და ძალიან დაიღალა და რომ მას არ შეეძლო. ქალი ისევ უახლოვდებოდა და კაციც ცდილობდა, განრიდებოდა. შემდეგ დაინახა, წვრილი მატლები როგორ გამოდიოდნენ ქალის შიგნეულიდან და ქვიშაზე იშლებოდნენ. შემდეგ მატლებმა კაცის ფეხებზე იწყეს ამოცოცება. კაცმა იყვირა და ორმო გათხარა, თქვა, ვკვდებიო. გათხარა თუ არა, შიშველმა ქალმა სამოსის შემოცმა დაიწყო.

ქალმა ძველი ტყავის ნარჩენებზე მიუთითა და თქვა, რომ ეს აბგას ნაშთი იყო, ხოლო აბგა ქვის კუბოში იდო.

როგორ მივწვდებიო აბგას, იკითხა კაცმა.

ვერ მიწვდებიო, უპასუხა ქალმა. ალბათ, შენ უნდა წახვიდეო იქ, სადაც კუბო და იქ შეეცადოო მასზე აძრომას, მაგრამ კუბოს კიდეები, ცოტა არ იყოს, მაღალიაო.

ქალს უკვე ჩაეცვა სამოსი, სახეც დაეფარა და წასულიყო. კაცმა მიწა გათხარა და ნახა, მატლები ამოდიოდნენ ორმოდან და თეთრ მოედანზე იშლებოდნენ. კაცს გაახსენდა, რომ საჭმლის თან წამოლება დავიწყებოდა. კუბოსკენ წავიდა.

იარა კაცმა, დიდხანს იარა და, როცა მიაღწია, ქალების ხმა შემოესმა. დაინახა,

ქვის კუბოს გვერდით, ნახევარწრედ ქალები ჩამომსხდარიყვნენ. კაცი წარუდგა მათ და თავისი მეგობარი ქალის შესახებ ჰქითხა. გაახსენდა, რომ მისი სახელი არ იცოდა, მაგრამ კაცმა ის ქალი იკითხა, რომელმაც აუწყა, რომ აბგა კუბოში იყო.

წამოდგა ერთი ქალი და მას მოჰყვნენ სხვა ქალები, დაუდგნენ კაცს წინ. ქალმა ხელით ქვის კუბოს ძირზე ანიშნა და კაცმა ფურცლების ნარჩენები დაინახა.

ეს ჩემი ფურცლებიაო, თქვა კაცმა.

დაიხარა და ნახა, სიტყვები უკვე წაშლილიყო. ზოგი ასო იპოვა. დაგლეჯილ ფურცლებში თავის სახელს ეძებდა. დაფლეთილი ფურცლების კიდეებზე მოსროლილ ზოგ ასოს გადააწყდა.

კაცი ჩამოჯდა, მაგრამ აბგა?!

წინ ქალი დაუდგა, ხელში ჩაეჭიდა და ანიშნა, მიჰყოლოდა.

— საით?

ქალს პასუხი არ გაუცია, წავიდა და კაციც მიჰყვა უკან. ქალი ჩამოჯდა და კაციც გვერდით მიუჯდა. კაცის ხმა მეფეზე მტირალი ქალების ხმას შეერია.

### 3. კუბო და მეფე

**უთხრა** კაცმა კაცს. გაიხედა და თავის გვერდზე კაცი ვერ ნახა, მაგრამ უთხრა, რომ ის მეფე იყო, ეს რაღაც კი, რაც ყვავილებს წააგავდა, მისი კუბო იყო.

კაცი მარტო იყო და ყვავილები მის ხსოვნას ჰქავდა. მან დაგლეჯილი ფურცლები და სურნელი მოაქუჩა. ეს ხსოვნის სურნელი იყო.

უცხო, ყარიბ კაცს თავი ჰქონდა ჩაკიდებული, კითხვების გამომხატველი კიდურები სილაზე უცვიოდა და ამ შუახნის კაცს, წინაპრებს რომ ჰქავდა, პასუხის გაცემა არ შეეძლო, რადგან იქ არ იყო, შორს იყო. ქალი, რომელმაც ის შვიდჯერ მიიღო, მის გვერდით იყო. ეს ის ქალი იყო, რომელმაც უთხრა, მაგრამ ახლა კაცს აღარ ახსოვდა, თუ რა უთხრა, თუმცა ახსოვდა სურნელი – გზისპირზე დაყრილი მკვდარი ყვავილების სურნელი. კაცს გაახსენდა,

რომ არანაირი გზა მოედანზე არ იყო და არ შეეძლო, წახრილიყო ყვავილებზე მათი სურნელის დასაყნოსად. სურნელი ცხვირსა და პირში სცემდა. შემდეგ მის მკერდში შევიდა და გავრცელდა. ჩამოჯდა კაცი მარტო, მინაზე დაჯდა. თეთრი მტვერი ავარდა მაღლა. კაცი ჰქავდა მას, ვინც მტვერთან ერთად აღწევდა ყველაფერში და მტვრად იქცეოდა. შეეცადა, თვალები გაეხილა, ვერ შეძლო. როგორ დავინახო? ვერ ვხედავო! შეეცადა, რომ... მაგრამ ქალი, რომელიც გვერდით ჰყავდა, ავარდა ზემოთ. შეეცადა, თავადაც ასულიყო მაღლა. თქვა, არ შემიძლიაო. ქალმა რაღაც წასჩურჩულა, სილას დასწვდა და კაცს თავსა და ტანზე მოაბნია. კაცმა თავი ასწია და მაღლა აიხედა.

მაღლა, თეთრ სივრცეში შავი წერტილი მაღლდებოდა და მაღლდებოდა, სამარხს, მოედანს თავს დასტრიალებდა და ახლოვდებოდა. კაცმა თქვა, რომ ის ახლოვდებოდა და მას კი ეშინოდა. თქვა ფრინველზე, რომელიც მაღლა იყო. თქვა, რომ ეს გარეული, მტაცებელი ფრინველი იყო, რომელიც თვალებს ამოკორტნიდა. ფრინველი მოახლოვდა და მტვრის ისეთი სვეტი ავარდა, მიწიდან ცას რომ უწევდა.

კაცმა დაილაპარაკა და გაიხედა. დაინახა, პატარა ჩიტების ფორმის ხმები დასტრიალებდა თავს. თქვა, რომ მას ეშინოდა და სურდა, ქალს ხელი ჩაეკიდა მისთვის, რომ ქალს გვერდით გაჰყოლოდა. სურდა, ეკითხა ქალისთვის დანარჩენ ქალებზე, ქალმა კი პირზე თითო მიადო და წავიდა. კაცმა ღრმა ორმო დაინახა და მის ნაპირას ჩამოჯდა.

— აი, მეფე, — თქვა ქალმა.

კაცმა ქალს გახედა და დაინახა, რომ ის შორდებოდა, შორეულ წერტილად იქცეოდა. მოინდომა, მას გაჰყოლოდა, მაგრამ წამოდგომა ვერ შეძლო. ორმოს ჩახედა და ქვის კუბო და მიმობნეული მრავალი ქვა დაინახა.

თქვა, ჩავალო იქ, სადაც მეფეა. თქვა, იქ მოვძებნიო. თქვა, იქ ვიპოვიო, ან იქნებ... და დაიწყო თითქოს ჩაცოცება. იგრძნო, მტვერი ამოუვიდა ცხვირიდან და გადმოვიდა

გარეთ. ნელა დაეშვა, თითქოს ნაწილ-ნაწილ დაცვივდაო ძირს.

კაცმა აღმოაჩინა, რომ მარტო იყო და მეფე იპოვა. მეფე არ იყო, კვის კუბო იყო, თეთრი ქვით დაფარული და სახურავზე გვამი თუ ქანდაკება იყო კაცისა, რომელ-საც მარჯვენა ხელი წვერზე წაევლო და მარცხენა ფეხი მოტეხილი ჰქონდა. მეორე ხელი სხეულის სიგრძეზე გაეჭიმა. უფრო ახლოს მივიდა მასთან, დაიხარა, მუხლი მოიყარა. იგრძნო, წყალი სჭირდებოდა.

კაცი შეეცადა, ქალაქის კარიბჭეები გაეხსენებინა, მაგრამ დავიწყებოდა მათი შეფერილობა. ქალებზე ჩაფიქრდა, მაგრამ დავიწყებოდა მათი თვალების ფერი. თავის აბგაზე დაფიქრდა, მაგრამ დავიწყებოდა, რატომ ეძებდა. ჩაფიქრდა იმ ასოებზე, რომლებიც იპოვა, მაგრამ დავიწყებოდა, რატომ იპოვა. კაცმა თქვა, რომ ხსოვნა ყვავილებს ჰგავდა. კუბოს კიდეზე ჩამოჯდა მოლოდინში და დაინახა.

კაცმა თქვა, რომ, როცა თვალები გაახილა, მის თავთან მოახლოებული ფრინველი დაინახა. სიზმარი ნახა, მეფე იყო და მეფემ კუბოს თავი ახსნა და წამოდგა. საკუთარ კუბოზე განილილ ქანდაკებას არ ჰგავდა. შუახნის იყო, ახველებდა და ძვლებს ტკაცატკუცი გაპქონდა.

მეფე ტახტზე დაჯდა და გარშემო ვეზირები და მსახურები შემოუსხდნენ. მეფემ ჩაახველა, ისინი ჩუმად იყვნენ და მდუმარებას ინარჩუნებდნენ.

რატომ დუმხართო, თქვა მეფემ.

ისინი მის წინაშე წელში მოიხარენ და ალაპარაკდნენ. შემდეგ მეფემ ხელი მაღლა ასწია და ყველა გაეცალა. მერე იყო და მეფემ ხმამაღლა იყვირა. მჭრელი, მსხეპავი ხმა ამოუშვა და შემოვიდა ქალი.

ქალი, რძისგან ნაშობი, თეთრი. გაშლილი თმა კოჭებამდე სცემდა. თითის წვერებზე მოდიოდა. ფერადი სამოსი ემოსა და თვალები ტალღებივით უღელავდა. მეფეს ფეხებზე ემთხვია და დაჯდა. უდს<sup>1</sup> დასწვდა და ამღერდა და იწყო დაკვრა. ხმა სევდიანი ჰქონდა და მისი თითებიდან გამოცემული

ჰანგი თითქოს გარს ევლებოდა დარბაზსა და სხეულს. მეფემ თქვა, კმარაო და დაკვრა და მღერა შეწყდა. მეფემ უხმო და მოვიდნენ მისი კარისკაცები, კარები დახურეს. მეფემ ჩაახველა და გვერდით დადგმული დოქიდან მოსვა. ქალი წამოდგა, იწყო ცეკვა. ირწეოდა და იზნიქებოდა. მეფე მიუახლოვდა და სამოსი შემოაცალა. ქალი თრთოდა და ირწეოდა. მაღალი ყელი ჩაეხარა და თვალები დარბაზის სივრცეში გაეფანტა.

მეფე წინ დაუდგა. ხმამაღლალი ქშენა ასტყდომოდა და მისი სახე, – მე დავინახე მისი სახე, – ჰგავდა იმ კაცისას, ვინც ცდილობს რაღაცას, ან ვისაც არ სურს. ქალის ხმამაღლალი სიცილი მეფეს შიგ სახეში ეცა. ეს სახე არაფერს ჰგავდა. მეფეთა სახეები არაფერს ჰგავს. კაცი ჩაფიქრდა, თვალები გაუფართოვდა და აუცრემლდა. ქალი დაჯდა, მის ფეხებზე დაიხარა და ემთხვია. დაიხარა და ხმამაღლალი მწარე ქვითინი ამოუშვა. მან სახეში ფეხი წაჰკრა. ორივე ხელი ასწია და ქალს დასწვდა. ქალი გაექცა, შეეცადა, გაპქცეოდა. კარები დაგმანული იყო და იქით დაცვა იდგა, აქეთ კი – მეფე. კიდევ უფრო მიუახლოვდა. წუ მომკლავო, იკივლა ქალმა, შენი ვარო. კაცს თვალები აუცრემლდა და კიდევ უფრო მიუახლოვდა.

– კი მაგრამ, ეს ხომ შენ ხარ? – იკითხა კაცმა.

– დიახ, – უპასუხა ქალმა.

– გალავნის ერთ-ერთ კარიბჭესთან იდექი.

ქალმა უთხრა, დიახო.

– დაგინახეო მოტირალი სხვა მტირალ ქალებთან ერთად.

– დიახ, – უპასუხა ქალმა.

– კი მაგრამ, რატომ? – ჰკითხა კაცმა.

ქალმა უთხრა, დიახო.

უცხო, ყარიბი კაცი კუბოზე წაიხარა, თითქოს რაღაცას ეძებსო. ხმა გაიგონა, მეფეისთვის ხელზე მთხვევას სთხოვდა. ისიც ემთხვია ხელს, რომელსაც საკუთარი წვერი ეჭირა. კიდევ უფრო მეტად მოიხარა წელში და დაიწყო კუბოსთვის გარშემოვლა. დაინახა ცხენები. სამი რაში და სამი მხედარი

<sup>1</sup> უდს – მუსიკალური ინსტრუმენტი.

და მოელვარე ხმლები. რაინდებს ფართო სახეები ჰქონდათ, სვირინგით სავსე. მიაჭენებდნენ უცნაური ყიუინით. ჩამოქვეითდა პირველი მხედარი და მას მიჰყვა დანარჩენი ორიც. დაიხარა და დაიხარნენ დანარჩენებიც. დაუბრუნდა მხედარი თავის ცხენს და დარჩა ქვასავით უძრავი. უცხო, ყარიბი კაცი მიუახლოვდა მას, კიდევ უფრო ახლოს მივიდა და გამოელაპარაკა. მხედარს პასუხი არ გაუცია.

შემოუარა კაცმა და დაინახა სამი ქალი, მხრებზე დიდი ცხოველი გაედოთ და მიჰქონდათ. გზა გრძელიაო, გაიფიქრა უცხო, ყარიბმა კაცმა, მაგრამ ქალები ზედ არ უყურებდნენ არავის.

– და მაინც, საით მიდიოდნენ?!

ერთმა ქალმა დაიღლაპარაკა. მისი ხმა ჰგავდა კაცის მიერ უკვე მოსმენილ ხმას, მაგრამ ვერ გაიხსენა ხმის პატრონი. „მსხვერპლს მივართმევთო მეფეს“.

ქალი არაფერს ამბობდა, თავის სავალ გზას მიჰყვებოდა. ცხოველის ტანი იძვროდა და წინ მიინევდა. იძვროდნენ და წინ მიინევდნენ ქალები. ცხოველი თავისი სიკვდილისკენ მიდიოდა.

შემოუარა უცხო, ყარიბმა კაცმა და დაინახა კაცი, რომელსაც შუბი ეჭირა. შუბის წვერზე კი პატარა გველი იყო. გველს პირი დაელო და კუდით კი შუბის წვერს შემოხვეოდა. შუბიანი კაცი მიდიოდა. უცხო, ყარიბი კაცი ფიქრობდა, არაფერი ეკითხა მისთვის. არავინ იძლეოდა პასუხს. უცრად შუბის წვერიდან გველმა ისკუპა. შუბი გადაიხარა და შუბოსანი კაციც წელში მოიხარა. ქალებიც დაიხარნენ.

მეფე კვლავ თავის ხის ტახტზე იყო განოლილი, თითქოს ვერ ხედავსო. ქვის კუბოს კიდიდან მოვიდა ერთი ქალი, გველი ხელით დაიჭირა და შუბის წვერზე დააბრუნა. შუბოსანმა კაცმა თავი ოდნავ დახარა და გზა გააგრძელა.

უცხო, ყარიბმა კაცმა იგრძნო, როგორ დაეშვა და დააწვა დაღლილობა მის ზურგს. ნუთუ შეშინებული ვარო?! და რისა მეშინიაო?! მკვდარი მეფისა და სხვადასხვაგვარად მოძრავი ქვებისო?! უცხო, ყარიბი კაცი ათრთოლდა. იგრძნო, ღრმა ხეობად

ქცეულიყო, უფსკრული ქვემოთ იშლებოდა, მაგრამ სად ყვირის კაცი?!.. გაიგონა მყვირალი ხმა, ზემოთ აიხედა და დაინახა, შორეული ფრინველი ახლოვდებოდა. გრძელი, შორი ფრთები ჰქონდა და თავი ქვემოთ უვარდებოდა. მისი ფრთების ფართხუნი სამარეში მკვდარი ყვავილების სურნელს ავრცელებდა. ქალთა მოთქმა ხმამაღალი ხდებოდა. რატომ არ მოდისო აქ და არ ჯდება ჩემ გვერდზე, მე ხომ თანახმა ვარო?! – თქვა უცხო, ყარიბმა კაცმა, – მე ხომ თანახმა ვარ, ვიტირო მეფე და მოვკვდეო მეფის გულისტვის?!.. მაგრამ არავითარი პასუხი!.. მხოლოდ შორეული ფრინველი ახლოვდებოდა. სასტიკი, მძიმე სუნი და მჩქეფარე წყალთა ხმები. კაცმა თვალები დახუჭა და გველს ჩამოეყრდნო. გაიგონა, სისინი ხმამაღალი ხდებოდა. გაიგონა მაღალი ხმა. შეეცადა, თვალები გაეხილა, ვერ შეძლო. შეეცადა, კუბოს გვერდზე წამონოლილიყო. შეეცადა, რომ...

შემდეგ გაიგონა ხმა და დაინახა კაცი. ქვის კუბოს სახურავი გადასძრობოდა და შუახნის კაცი იჯდა კუბოს კიდეზე, პირი დაელო და ალაპარაკებას ცდილობდა. ეს არისო მეფე, გაიფიქრა კაცმა, უნდა დავიხაროო თაყვანსაცემად.

– არაა საჭირო დაღლა, – თქვა მეფე. – მოდი და მომიჯექი გვერდით!

– მაგრამ მე მინდა, რომ... – თქვა კაცმა.

– არაა საჭირო სურვილი. უკვე შუახნისა შევიქენი და ასეთი რამეები ალარ მაინტერესებს...

– კი მაგრამ, ისინი ზემოთ... განა არ გესმის?

– ეს ზემოთაა. შენ კი მოდი და მომიჯექი გვერდით!

კაცმა თქვა, რომ სურდა დაბრუნებულიყო და უნდოდა, ქალთან ერთად წასულიყო. მეფე ატირდა. მაგრამ მეფეები ხომ არ ტირიანო, – გაიფიქრა უცხო, ყარიბმა კაცმა. მეფე სხვა მეფეებზე ალაპარაკდა და თავის ზურგზე, რომელიც მშვილდივით მორკალულიყო მეტისმეტი მოხრილობისგან. მაგრამ მეფეები ხომ არ იხრებიანო წელში თაყვანსაცემად, – თქვა უცხო, ყარიბმა კაცმა. მეფე ალაპარაკდა დახოცილ-

თა გვამებზე, რომელთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. „მაგრამ მეფეები ხომ..“. ალაპარაკდა ქალაქში დაბრუნებაზე და ინანა უცხო, ყარიბმა კაცმა. იგრძნო, რომ შეცდა – არ უნდა გამოლაპარაკებოდა მეფეს. მეფემ ფრინველზე ანიშნა და თქვა, რომ ის ახლა ჩვენთან დაეშვებაო, შემოუვლისო უსასრულო წრეებს და, როდესაც წავა, მე დავბრუნდებიო ჩემს ადგილას და შენ წამოხვალო ჩემთან.

– მინდა დავბრუნდე იქ, სადაც ქალები არიან.

– შენ ჩემთან დარჩები! – თქვა მეფემ.

– მაგრამ მეშინია...

– გეშინია მეფის!?

– მეშინია გველის და ქალების, რომელთაც ცხოველი მიაქვთ. მეშინია შენი სითეთრეში წასული თვალების... მეშინია შენი კარისკაცების, რომლებიც გარს გივლიან და შენ კი არ იცი!

– როგორ არ ვიცი!.. მაგრამ მე მინდა... მაგრამ მე არ შემიძლია... მაგრამ მე...

უცხო, ყარიბმა კაცმა მაღლა აიხედა და დაინახა, ფრინველი ეშვებოდა. დაინახა, ნისკარტი ქვემოთ ეშვებოდა. იგრძნო, ბასრი, მჭრელი დანები როგორ კუნავდა მის სამოსს. იგრძნო, სახსრები როგორ ემტვრეოდა. ატირდა. მაგრამ მე ხომ აბგას ვეძებო, რომელშიც ფურცლები ჩამრჩენიაო და არაფერი აღარ მინდაო... ფრინველი ეშვებოდა და კაცი კი პატარავდებოდა და პატარავდებოდა. თეთრ ქვიშასავით გათეთრდა, იმ ტყეების მსგავსი გახდა, რომელთა ხეებიც მოეჭრათ. ტრამალივით მოშიშვლდა, დაუსაბამო ტრამალივით. თვალების ახელას შეეცადა და დაყვირებას. დაინახა საფეხურები, ბოლო რომ არ უჩანდა. შეეცადა, აფოფხებულიყო. მაღლა ავიდა. დაინახა მისკენ გამოწვდილი ხელი. ხელს ჩაეჭიდა და აცოცდა. მძიმე სუნთქვა ხმამაღლი გაუხდა. წამოიმართა, ადგა და შემდეგ მინაზე დავარდა.

მეშვიდე ქალმა დაილაპარაკა.

პირველმა ქალმა დაილაპარაკა.

წყვდიადი ვრცელდებოდა და ხელები მისკენ იყო გამოწვდილი. ქალებმა ხელში აიყვანეს, ასწიეს და მასთან ერთად დატრი-

ალდნენ წრეზე. შემდეგ საკუთარი თავი სილაზე მიგდებული აღმოაჩინა. თვალები გაახილა და დაინახა, სილა და მტვერი თავ-ფეხზე ეკვროდა.

„შენ, ეი, ქალო!“ – იყვირა კაცმა და მისმა ხმამ მოედნის მიწაზე წრეებად იწყო ცვენა. წრეები, რომლებიც მას თითოთ მოეხაზა სილაზე, შორდებოდა და შორდებოდა.

შორეულ ხმებს გახედა. დაინახა, წერტილი ახლოვდებოდა. შავი წერტილი დიდ-დებოდა და კაცი მას ელოდა.

ქალი მიხმობს და მეც მივდივარო, ამბობს კაცი და აყურადებს ქალის სამოსის შრიალს, ხედავს ქალის შიშველ ფეხებქვეშიდან ავარდნილ მტვერს, რომელიც თავამდე ამივლ-დამივლის და გამატანსო.

#### 4. მესამე ქალი

ეს ქალიაო, თქვა კაცმა.

ეს კაციაო, თქვა ქალმა.

ხმები ცვიოდა თეთრ ქვიშაზე. კაცი იდგა და გაპყურებდა შავ სახეს, შავი ქსოვილით შებურულს და ცდილობდა...

ეს ქალიაო, ჩემ წინაშე რომ დგას, – თქვა უცხო, ყარიბმა კაცმა. უნდოდა, მეტი დაენახა. უნდოდა ემცნო ქალისთვის იმ ხმებზე, რომლებიც სამარხში გაიგონა.

ეს კაციაო, ჩემ წინაშე რომ დგას, – თქვა ქალმა. უნდოდა, ეკითხა კაცისთვის მეფის ფერზე, რომელიც მან ნახა, მაგრამ არ უკითხავს.

ქალი წინ დაუდგა კაცს. გრძელი, შავი სამოსი მოისროლა და კაცს თავზე გადააფარა. წაიყვანა და კაციც წაჰყვა. უცხო, ყარიბი კაცი ვერაფერს ხედავდა. ჰეგავდა მას, ვინც უფერო ქვიშაში მიდის. ფერები, რომლებიც მოედანზე ერთმანეთში არეულიყო პირველი წახვისას, ახლა იმ ქალის სამოსში შემალულიყვნენ, რომელსაც ის მიჰყავდა.

ეს მესამე ქალიაო, თქვა კაცმა. კაცს უნდოდა, რომ ეთქვა. მარტო მიდიოდა და შავი სამოსი ყველაფერს ფარავდა.

კაცმა თვალები გაახილა. კიდევ უფრო მეტად დაჭყიტა. თვალები უსასრულობამდე გაუფართოვდა. ვერ ვხედავო, თქვა კაცმა, მაგრამ ის მესამე ქალიაო. მინდა, გავიხსენო. კაცმა თვალები დახუჭა იმიტომ, რომ ხსოვნა მოსულიყო მასთან. იგრძნო, რაღაც სწვავდა თვალის ბროლის შუაგულში. შეეცადა, ხელი პირზე აეფარებინა და ნერწყით დაესველებინა მცირეოდენი ტენისთვის. მარჯვენა ხელი გაატოკა. მკლავს ჰგავდა ის, რაც ამოძრავდა, თუმცა ხელი გაქვავებული იყო. გაატოკა მარცხენა და მკლავი გაქვავებოდა, ხელი არ მოძრაობდა. ვერაფრის თქმა ვერ შეძლო და თვალები დახუჭა. არაფერზე ოცნებობდა, ძილში წასული კაცივით ჩასთვლიმა, ან გულწასულივით.

უთვალავი დღის შემდეგ, ან კაცს რომ არ ახსოვდა, იმდენი დღის შემდეგ, საკუთარი თავი გრძელ, ვინრო ქუჩაზე აღმოაჩინა. მის წინ სამოსი მიდიოდა და მის გარშემო კი, შუა ქუჩაში, ტოტები იყო ჩარგული. ყველაფერს ფერფლის ფერი ჰქონდა.

კაცი შეეცადა, დამჯდარიყო ფერფლის-ფერ მიწაზე, თუმცა სამოსელი, რომელიც მის წინ მიდიოდა, შეტოკდა და მისი თვალებისკენ ფრიალით გაფრინდა. კაციც გაჰყვა უკან და წავიდა.

შუაგულ სიჩუმეში, რომელიც მის ყურებს გადაჰყარებოდა, ამოსკდა ხმები. კაცს არ შეეძლო, ვინმესთვის ემცნო, თუ როგორ დაიწყო ეს ხმები, რადგან ისინი თითქოს მოულოდნელ ჭექა-ქუხილს ჰგავდნენ. ქალმა უკან მოიხედა, შემდეგ თავისი სავალი გზა გააგრძელა. ხმებმა შეარყიეს სახლები. თიხა ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულ კედლებად იქცა და მრავალრიცხოვანმა ხმებმა ყოველი მიმართულებიდან იწყეს გამოსვლა.

აი, ის უცხო, ყარიბი კაცი გზას მიუყვება, მიაბიჯებს, თავი ოდნავ წინ გადაუხრია, სხეული უკრთის, შემდეგ წელში მოიკავება. ხმები ყოველი ადგილიდან მსჭვალავენ. ხმები ერთმანეთში ირევიან – ქალთა ხმები, კაცების, ბავშვების... ცხოველთა, ფრინველთა და ხეების ხმები.

ქალმა მესამედ მოიხედა უკან. კაცმა

დაინახა ის, რაც ორ თვალს ჰგავდა. დაინახა, რაღაც შავი მოძრაობდა წყლის შუაგულში ან იმაში, რაც წყალს ჰგავდა.

თითქოს ჭაში ვარო, იყვირა კაცმა.

ქალის სამოსი უკნიდან შეთრთოლდა და სირბილზე გადავიდა.

შემეშინდაო, – თქვა კაცმა, – მეშინიაო, – და გაიქცა. ქალი მტვრიანი ქუჩის შუაგულში მიიჩქაროდა. კაციც სწრაფად მიდიოდა, ქოშინებდა და ლამის დავარდნილიყო. სურდა, მოედანზე დაბრუნებულიყო. უნდოდა, მეფე ეტირა.

– მაგრამ მეფე სად არისო?

– სად ხარო, თქვენო უდიდებულესობა მეფეო?!?

– სად?..

კაცის ხმა მის წინ ნაჭუჭებივით დაცვივდა. დაინახა, რაღაც მთის მსგავსი ფრინველის წინ დახრილიყო. დაინახა, ქალი დაბრუნდა მასთან, ხელი სტაცა და სხვა ვიწრო ქუჩით წაიყვანა. მტვრის სუნი შეიყნოსა, რომელიც ზამთრის სუნს ჰგავდა. ქალმა კაცი ვიწრო, დაბალი კარისკენ მიაბრუნა. თვითონ წაიხარა და კაციც მასთან ერთად დაიხარა. ქალი კიდევ უფრო მეტად მოიხარა ისე, რომ ლამის თავით მტვრიან მინას შეეხო. კაცი მტვრიან მიწაზე დავარდა. ქალმა ხელით წაათრია და კაცმა თავი უფანჯრო სახლში ამოყო.

სურნელი, ქალი და შიშველი ოთახი.

ქალი ხმამაღალი ქოშინით ოთახის ერთ კუთხეში მიჯდა. კაცი ოთახის შუაგულში იდგა, ათვალიერებდა და ცდილობდა დაენახა. ჩქამი იგრძნო და უკან მოტრიალდა. დაინახა, ქალი სახიდან საბურველს იხსნიდა. სახე ჰქონდა თეთრი, საიდანაც რაღაც შუქის მაგვარი მოდიოდა და ოთახის კედლებზე ტყდებოდა.

ქალი გადაიხარა და კაცს კითხვა დაუსვა, მაგრამ კაცმა არ იცოდა, რა ეპასუხა.

სადა ვართო? – ჰკითხა ქალს.

ეს სახლიაო, უპასუხა ქალმა.

– კი მაგრამ, რატომ?

– იმიტომ, რომ მინდოდა, ჩემთან ერთად მოსულიყავი.

– კი მაგრამ, ეს როგორ?

ქალმა კაცს უამბო მთვარეზე. მთვა-

რეო, – უთხრა, – ყოველ სამ წელიწადში ერთ ქალს ირჩევსო და ნებას რთავს, ამ სახლში ერთი დღე-ლამით კაცთან ერთად მოვიდესო. მთვარემ მე ამირჩიაო და შენც აქ ხარო, ჩემი მოსასხამით წამოგიყვანეო და ჩვენ ახლა ჩემს სახლში ვართო. რატომ არ მიახლოვდებიო?

– მაგრამ ამ სახლში ვინ ცხოვრობსო?

– ჩემი შვილებიო, – უთხრა ქალმა, – სამი ქალიშვილი.

– მაგრამ ფაჩუნიც რომ არ გამიგიაო?!

– ისინი სხვაგან არიან, ცოტა ხანში მოვლენო. რატომ არ მიახლოვდებიო?

– მეშინიაო, უთხრა კაცმა, – არ მახსოვს, შენ თუ შეგხვედრივარო აქამდე. რა გქიაო?!

– მე შენთვის სახელი მიკითხავსო?!

– არა...

– მე შენთვის აქ ჩემთან ერთად მოსვლა დამიძალებიაო?!

– არა...

– იქნებ?.. იქნებ?..

– არა!.. არა!..

– მოდი!..

– არა!

ქალი მიუახლოვდა და მის გვერდით ჩამოჯდა.

– მაგრამ...

– ნურაფერს მკითხავ, კაცო, კმარა!

– შენ ქალწული ხარ...

– დიახ.

– კი მაგრამ, როგორ თუ „დიახ“! მაშ, შვილები საიდან?!

ქალმა სახელოები აიკეცა და უთხრა, რომ შიგნით ცხელოდა. მან ბევრი რამ თქვა. ამცნო, რომ დიდხანს ტიროდა. პატარა ვიყავიო და ერთ-ერთი იმ ქალთაგანი შევიქენ, მეფის გვერდით რომ დამარხესო. ახალი ვიყავიო იქ და არ ვიცოდი, როგორ უნდა მეტირაო. არ მინდოდა წასვლა, მაგრამ უარი არ მიიღეს და წავედიო. არ მინდოდა ტირილი, მაგრამ ქალებთან ერთად ავტირდიო. არ მინდოდა გრძელი მოსასხამი, მაგრამ საბურველი მომიტანეს და მოვისხიო. ავტირდი. ყველაზე მაღალი ხმით მე ვტიროდი. შუა მოთქმაში ქალის ხმა მომესმა, მეჩურჩულებოდა, ტირილი შემე-

ნელებინაო. მე ტირილს ვუმატე და განსხვავებული ხმით ვტიროდიო. შემდეგ მეფემ მიხმოო. კაცმა, რომელიც სამარხს იცავდა, მითხრა, რომ მეფეს ვუნდოდიო. წავედიო მასთან და არაფერი მახსოვს. წყვილიადი იყო და იყო რაღაც, რაც ფრინველს ჰგავდაო, მაგრამ, როცა გამოვედი, ორსულად აღმოვჩნდი და სამი ქალიშვილი ვშობე სამ დღეშიო. მოვიდა კაცი, ქალიშვილები წამოიყანა და ამ სახლში დაასახლაო. ისინი ცოტა ხანში მოვლენო.

უცხო, ყარიბმა კაცმა შიმშილი იგრძნო. თქვა, რომ მარილის ჭამა სურდა.

მარილი არაო, თქვა მესამე ქალმა. სამოსი გაიძრო და კედელს მიეყრდნო და იდგა ასე – შიშველჩრდილიანი, ფერფლისფერი, ცისფრისკენ წასული. ჩრდილებს ვხედავო, ფიქრობდა კაცი და სხეულს შესცეროდა. სხეული ფერფლისფერი იყო, თეთრისკენ გადახრილი. მშვილდივით რკალი სწორდებოდა და იხრებოდა. კაცმა რაღაც მწველი იგრძნო – ჯერ კუჭმა დაუწყო წვა, შემდეგ ზემოთ გადაინაცვლა. სახე ისე შეევსო, თითქოს უნდა გაუსკდესო. შემდეგ თეძოები იგრძნო, ცხელი მაჯისცემა... ქალისკენ წავიდა. შეეცადა, რაღაც ეთქვა. ხმა აუკანვალდა. ქალი მის წინაშე იდგა. კაცმა სამოსი გაიძრო. ტანსაცმელი ტანზე ისე მიჰკვრდა, თითქოს მისი კანიაო.

როცა კაცი გაშიშვლდა, ქალს კიდევ უფრო მეტად მიუახლოვდა. მიეკრა მას, ხელში აიყვანა. სახე მიუახლოვა და აი, ქალი იატაკზე ნაწილ-ნაწილ დაცვივდა, დაიშალა. კაციც ძირს დაეცა. ქალი მიუახლოვდა, ტირილის მაგვარ ხმებს გამოსცემდა, მაგრამ არ ტიროდა, თქვა კაცმა. ხმები გაძლიერდა. კაცი ქალს მიუახლოვდა. აი, ის მასთანაა, აი, ის მასშია. ის ახლა მაღალი კარიბჭეების წინ დგას. ის ახლა... მაგრამ ქალი რას შვრება?!. მაგრამ ქალი შორდება. კაცმა დაინახა, ქალი როგორ დასცილდა. ხედავდა, როგორ შორდებოდა. შემდეგ ხმები მოესმა. ტირილი ძლიერდებოდა, თითქოს სახლი ხმებად იქცაო. პატარა გოგონების ხმები, ბუნდოვანი სიტყვები...

– ადექი!.. ადექი!.. – ყვიროდა ქალი.

კაცი წამოდგა. ქალმა თავისი გრძელი

შესამოსელი შემოიცვა. კაცმაც ჩაიცვა რა-  
ლაც, რაც გრძელ სამოსს ჰქონდა. ქალი  
დაჯდა. კაციც დაჯდა.

- მე აქა ვარო! – იყვირა ქალმა.
- მე აქა ვარო! – გამოეპასუხა ექო.
- ქალი ადგა. შემდეგ დაბრუნდა. არავინ  
იყო იქ.
- არავინააო! – თქვა კაცმა.
- არავინააო! – თქვა ქალმაც.

ქალმა გაიცინა და კაციც აჰყვა. ქალი  
ახლოს მივიდა და კაციც მიუახლოვდა.  
ქალმა შესამოსელი გაიძრო და კაცმაც გაი-  
ხდა სამოსი.

და აი, კაცი ქალთან ერთადაა. მოედანი  
შორსაა და მოთქმა-ტირილიც შორსაა. კაც-  
მა ქალის თმა ხელებში მოიქცია. თმა ჰაერ-  
ში გაფრიალდა და გაიშალა. ოთახმა გა-  
ფართოება იწყო და კაცი იქ იყო.

ხმები გაჰყვიროდნენ.

არაფერი მესმისო, თქვა კაცმა.

ხმები, ადექიო, გაჰყვიროდნენ ყველაზე  
მაღალ ხმაზე და მეც ავდექი. იყო ხმები და  
იყო სამი ქალიშვილი. ქალმა თქვა, რომ ის  
მათ ელოდა და კაცს მოუბრუნდა. ქალმა  
უთხრა, კიდევ ერთხელ ვცადოთ და დაე-  
ლოდა. მე აქ ვარო, იყვირა ქალმა და კედ-  
ლები გამოეპასუხნენ: „მე აქ ვარ!“

– მაგრამ ბავშვები სად არიანო? – იკით-  
ხა კაცმა.

- ჩემი ბავშვები! – თქვა ქალმა.
- ჩემი ბავშვები! – თქვა კაცმა. – წამო-  
დი, მოვძებნოთ მეორე ოთახში.
- სახლში სხვა ოთახი არ არის.
- ეგების ქუჩაში...
- არ შეიძლება! არ გავალოთ ქუჩაში!..

ქალმა დაბალი ხმით ტირილი დაიწყო.  
კაცი გვერდით მიუჯდა. აკოცა. მარილის  
გემო იგრძნო. მარილი არაო, – ქალმა. შემ-  
დეგ მიუახლოვდა, მესამედ მიუახლოვდა.  
მოეხვია კაცს და ისიც მოეხვია მას. ერთმა-  
ნეთს მიეკვრნენ, როგორც ორი სხეული ეკ-  
ვრის ერთმანეთს ჩაკეტილ ოთახში... მაგ-  
რამ როცა ქალი შეეცადა, რაღაც ჩაეჩურ-  
ჩულებინა მისთვის ყურში, ორივემ გაიგონა  
ნაბიჯების ხმა და სიტყვები. ეს რაღაცები  
ცხადი იყო და ყველაფერი იყო მოლოდინში.  
კაცმა ოთახის კარისკენ ისკუპა – არავინ

იყო.

ქალმა თქვა, არავინააო. კაცს ამცნო,  
რომ მას უთხრეს – ვერ დაწვებოდა ერთა-  
დერთ კაცთან, იმასთან, ვინც მოედანზე  
იცდიდა. მითხრესო, ბავშვები მოვლენ და  
იტირებენო, მაგრამ მე არ დავიჯერეო.

- ხელახლა ვცადოთო, – თქვა კაცმა.
- უკვე აღარ შეგიძლია სცადოო, – ქალ-  
მა.

კაცი ხელახლა შეეცადა და აღმოაჩინა,  
რომ რაღაცები უკვე შეუძლებელი გამხდა-  
რიყო. ხმები გაქრა და კაცს გარემომცველი  
ჰაერის სიმძიმის შეგრძნება დაეწყო. ჯდო-  
მისას თუ დგომისას თავი ცოტათი წინ ჩა-  
მოეკიდა. დალაპარაკებას შეეცადა.

ქალმა ამცნო ერთ კაცზე, რომელიც დი-  
დი ხნის წინ მოვიდა, ქალთან ერთად მოედ-  
ნის ბოლოსკენ წავიდა, იქ მარილი ითხოვა  
და ჭამა. მარილს ხელისგულზე იდებდა,  
პირში იტენიდა და ყლაპავდა. არ ვიცი რა-  
ტომ, რატომ სურდა მარილის ჭამა... მარი-  
ლი ჭამა და შემდეგ წყალი მოითხოვა. წყა-  
ლი მივუტანეთ და დალია. რამდენსაც მოს-  
ვამდა, წყურვილი ემატებოდა და ისიც ეწა-  
ფებოდა. შემდეგ შეშუბება, დასიება იწყო  
და შუა მოედანზე მოზვავდა. ზურგი  
მშვილდივით ამოეხარა, მაგრამ კვლავ  
წყალს ითხოვდა და ჩვენც მიგვექონდა, მაგ-  
რამ ვერ ძლებოდა, წყურვილს ვერ იკლავ-  
და. არ ჭამდა, მაგრამ არ კვდებოდა.

- რატომ არ კვდებოდა?
- არ ვიცი. – მიუგო ქალმა. ეგებ მოკვდა  
კიდეც, ეგებ არც მომკვდარა. იქნებ ქალმა  
შემალა თავისი სამოსელის კალთის ქვეშ.  
ეგებ...

– კი მაგრამ, რატომ არ კვდება?!.. წა-  
მიყვანე მოედანზე, დაბრუნება მინდა.

– მაგრამ შენ ხომ ჩემთან არ წოლილ-  
ხარ?! კიდევ ერთხელ სცადე.

– ბევრჯერ ვცადე. მოედანზე მინდა  
დავბრუნდე.

– მაგრამ შენ ჩემთან დარჩები. მე შენ  
სხვა ადგილას წაგიყვან.

– მე მოედანზე მინდა.

– ჩემთან ერთად წაგიყვან. დაბრუნე-  
ბამდე შენ ზღვა უნდა ნახო. ფეხით წავალთ  
და მივალნევთ ზღვას.

– მაგრამ მე ფეხით წასვლა არ მინდა. მინდა, ისევ ქვიშაზე ვიგორაო. მინდა ის ვი- პოვო, რომ თავისი სამოსი მივცე და წავი- დე.

– მაგრამ შენ ჩემთან ერთად წამოხვალ. ზღვა გველოდება, – თქვა ქალმა, – მე მინ- და, ვნახო ლაუვარდისფერი, რომ მან შთან- მთქას. მინდა, რომ შენც იქ მოგისროლო.

ქალმა ხელი ჩამკიდა და მეც კარგად ჩა- ვეჭიდე. მაღალ მთაზე მცოცავს ვგავდი. ვგავდი მას, ვინც ცდილობს დაინახოს... და აი, მე მასთან აღმოჩენდი.

უცხო, ყარიბი კაცი იყო ქალთან, რომ- ლის სახელიც არ იცოდა. ქალი ეუბნებოდა, რომ წაიყვანდა ზღვაზე, კაცი კი იცდიდა. მან ქალს უთხრა, რომ მოლოდინში იყო. უთხრა და თან ქალის გვერდით წელში მოი- ხარა, ფეხით გაუდგა დაკლაკნილ, შეშის ნა- ფოტებით სავსე გზას.

## 5. ესეც ზღვა

**ზეპით მივდიოდიო,** ამბობდა უცხო, ყარიბი კაცი. ის ფეხით მიდიოდა და ამბობ- და, რომ მიდიოდა და მეტი არაფერი იცო- და. ქალი ეკითხებოდა, თან შუა წყალში მი- ცურავდა. კაცი ეუბნებოდა, რომ ის შუა წყალში არ იყო. მკვდარი თევზების ნარჩე- ნებში არეული წყალმცენარეების სუნით გაუღენთილი სველი ქალი ეჭიდებოდა მას.

– მაგრამ მე მკვდარ თევზებს ვერ ვხე- დავო, – ამბობდა კაცი. ქალი ახლოს მოდი- ოდა მასთან და ხელით აჩვენებდა. კაცი ხვდებოდა, რომ უნდა გადამხტარიყო. ხვდებოდა, რომ ძირს იყო ზღვა, რომელ- ზეც ქალი დიდხანს ესაუბრა, როცა კაცმა მას გაჩუმება სთხოვა, რათა მისთვის სია- რული ეცლია იმ შუაგულ წკვარამში, დაზ- ვინულ სამოსს რომ ჰგავდა.

მაგრამ კაცმა შიში და სიცივე იგრძნო. მცივაო, დაიყვირა და საკუთარი ხმა ვერ გაიგონა. ქალს არ მოუხედავს მისკენ. ისეუ- პა და მარტო დატოვა. კაცი კლდის შვე- რილზე ჩამოჯდა. დაინახა, მისი გრძელი სა- მოსი, რომელიც ქალს იმ ღამით ჩაეცმია მისთვის, ახლა მის გარშემო დაფრიალებ-

და. კაცს ესმოდა ქსოვილის ხმა, მის წინ ნაპრალის მსგავსი ადგილიდან მონაბერი ქარი რომ ატყაცუნებდა, ადგილიდან, რო- მელსაც ქალი ზღვას ეძახდა.

– ეს ზღვა, – თქვა კაცმა ხმამაღლა, – ეს ზღვა არაფერს ჰგავსო.

არ ახსოვდა, სად ენახა ზღვა აქამდე. ახ- სოვდა თეთრი მოედანი, რომელზეც ქვიშა ბრწყინვადა; თეთრი კლდე, რომელზეც სა- მოსი ელავდა, – შავი სამოსი, გატყავებული ცხოველების კანის მაგვარი. მაგრამ მე ცხოველები არ მინახავსო, – თქვა კაცმა. მეორედ მომიახლოვდაო ქალი და მეორედ იგრძნო კაცმა შიში.

ქალი კაცს მოეჭიდა თავისი სველი კი- დურებით და სამოსით, რომელიც კაცსაც და ქალსაც ზედ გადაეფარა.

- მოდი, გადავხტეთ!
- მაგრამ ცივა!..
- წყალი ცხელია!
- მაგრამ მარილი...
- მარილი წყალში გადნება.
- მაგრამ თევზები...
- თევზები მკვდრები არიან.
- მაგრამ სინათლე?!..
- მე გაგინათებ, როცა ჩემთან ერთად გადახტები.

ქალი უფრო მეტად მიუახლოვდა. თავი- სი სამოსი გადააცვა. აი, წყალში ვარო. რა- ლაც, ლაუვარდის მსგავსი, ნელ-ნელა დაეშ- ვა მის თვალებზე. კაცი წინ იყურებოდა და ხედავდა. უცხო, ყარიბ კაცს არავისთვის უამბია იმაზე, რაც ნახა. არ უამბია და გზას დაადგა. უკვე მეორედ აღმოაჩინა თავი ლაუვარდის ფერის შუაგულში, რომელიც უჩინარდებოდა. ქალი მის გარშემო ტრია- ლებდა, ხელს მაღლა სწევდა და შორეთზე მიუთითებდა. კაცი ვერაფერს ხედავდა, გარდა შავი ფერისა, რომელიც იჭიმებოდა და იჭიმებოდა.

- რა ფერიაო ზღვა, – იკითხა კაცმა.
- ესეც ზღვაო! – უპასუხა ქალმა. მისმა ხმამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ იწყო მოსვლა პატა- რა, გაუგებარ ხმებად.

- შენი არ მესმისო, – იყვირა კაცმა.
- ქალი თავისი სიტყვებით პასუხობდა. კაცი აყურადებდა სიტყვებს, მაგრამ არ ეს-

მოდა მათი მნიშვნელობა. გაიფიქრა, რომ სიტყვები იმ ისტორიას ჰქავდნენ, ქალმა მას რომ უამბო, როცა ვერცხლისფერი სამოსი ეცვა და ერთ-ერთი კარიბჭის წინ ბრნებინავდა. მაგრამ კაცს აღარ ახსოვდა ახლა ეს ისტორია, ან ქალს არ უამბია იგი.

აღარ მახსოვსო. საკუთარი თავი დაინახა, როგორ იღვრებოდა სითხედ უსასრულო ნაპრალში. კიდურები სამოსში ჰქონდა მიმალული. სამოსი იშლებოდა, იწელებოდა და კაცი გრძნობდა, რომ ინთქმებოდა და არაფერი იყო შემაკავებელი, რასაც შეასკდებოდა. უთხრა ქალს, როცა ის თავის გვერდზე დაინახა, – და ქალი კი მაშინ აღმოაჩინა, როცა ხელი რაღაცას შეახო და ხმა გაიგონა, – უთხრა, რომ ის ზღვაში იყო და ზღვა იყო ზეთივით წებოვანი და ცხელი და მხურვალება სხეულზე გადადიოდა. სხეული ივსებოდა ოფლით, რომელიც ამ წყალს ერთვოდა. კაცმა იგრძნო, რაღაც ძალა ეწეოდა ქვემოთ, მისმა სამოსმა კი ამოტივტივება იწყო. კაცმა ქალს ამცნო, რომ სურდა ეყვირა. ქალმა უთხრა, რომ გაიგონა მისი ხმა. სუსტმა შუქმა ნელ-ნელა შემოპარვა იწყო წყლის ბზარებიდან. შუქი იყო ქვემოთ და კაცი ქალს ეჭირა ხელით. კაცი ცდილობდა, ამოტივტივებულიყო წყლისა და შუქის თავზე და გასცექროდა. თქვა, რომ შეეძლო, ეცურა მარტოს. დატოვა ქალი და უყურებდა წყალს. რაღაც მუქი მწვანის მსგავსი შერეოდა წყალს და მის გვერდით ტივტივებდა. შემდეგ ეკლებმა იწყო მის სხეულში შესობა. კანმა დაწყლულება იწყო. ხელი მუცლისკენ წაიღო და რაღაც უზომოს მოეჭიდა. თითქოს წყალი იყო, ან წყალში არეული სილა, მაგრამ სლიპინა. ხელი ასწია. მსუბუქი ტკივილი მუცლიდან ქვემოთ დაეშვა. წყალში ჩაყვინთა და შეეცადა, გაეცურა და მიმართულება შეეცვალა, მაგრამ ის, რაც მუცელზე მიჰკვროდა, თან მიჰყვებოდა. თავი ამოყო და გაიხედა. დაინახა, ქალს ძალიან დაშორებოდა. წამნამებს მიკრული წყალი ხელისგულით მოიწმინდა და თვალები გაახილა. ცეცხლმა იწყო მისი თვალებიდან გადმოსვლა. ფერები ერთმანეთში ირეოდნენ. თვალები შეშუპებოდა, ეკლები გადმოდიოდა მათგან და წყალსა და

მუცელში ერჭობოდა. იყვირა. გაიგონა, ქალი ეუბნებოდა, რომ მიახლოებოდა. მიახლოებას შეეცადა. კლდეები სადაა?! ყოველ მხარეს მიმოიხედა. შუა წყალში ტრიალებდა, ბრუნავდა. წყალს მდუღარება ემატებოდა. სხეული ეწვოდა და თვალებში ეკლები ამოსდიოდა. კაცი ბრუნავდა, ტრიალებდა, ქალს ეძებდა. ქალი იქ იყო, მაგრამ კაცი მას ვერ ხედავდა. ქალი კაცს უახლოვდებოდა, მაგრამ კაცი მას შორდებოდა. კაცი ძალიან შორს იყო წასული. მიცურავდა და ცდილობდა, ის სხეული ჩამოეშორებინა, მას რომ მიჰკვროდა. შორს მიდიოდა და ცდილობდა, ქალს დაბრუნებოდა. შემდეგ უცაბედად ქალი აშკარა გახდა შორეთში. ჩამოკიდებულ კაბასავით ირნეოდა და ხელს უქნევდა წყალში. კაცმა იგრძნო, რაღაც ცრემლისმაგვარი წამოუვიდა სხეულიდან. აკანკალდა, ცახცახი დააწყებინა. ეს ნამდვილად სიხარულიაო, უცილობლად სიხარულით ვკანკალებო. დავბრუნდებიო ქალთან და მოვთხოვ, წამიყვანოს სახლში. იქ ყურს მივუგდებო პატარა გოგონების ტირილს და დაველოდები.

კაცმა დაიწყო ცურვა ქალისკენ. ტანზე ეკალმა დააყარა, მაგრამ მაინც განაგრძობდა ცურვას და ცდილობდა, სწრაფად შესულიყო იმ თეთრი ქაფის შუაგულში, მის გარშემო რომ ტივტივებდა. სამოსი უნდა გავიძროო, მაგრამ მოსასხამი არ გაუხდია. შეეშინდა, ქალს რომ მიაღწევდა შიშველი, მას არ ერწმუნა, რომ კაცს იგი აღარ სურდა. სამოსი მის გარშემო ტივტივებდა და ისიც ტივტივებდა. იქ, შორეთში ქალი იყო, ის თითქოს თან ჩანდა და თან ქრებოდა, ორდებოდა – ორ შორ ადამიანად იქცეოდა. კაცი უახლოვდებოდა და ქალი კი ზღვის უკიდურეს ბოლოში მდგარ ორ სხეულად იქცეოდა, რომელთა ქვეშ კლდეები, ქვები და თეთრი ფერი იყო. კაცი ქალთან კიდევ უფრო ახლოს მივიდა და რაღაც ჩურჩულისმაგვარის გარჩევა დაიწყო. ორი ადამიანი ერთმანეთს უახლოვდებოდა, სანამ არ შეერთდა – ერთ არსებად იქცა, შემდეგ კვლავ გაცალკევება იწყო და კაცმაც გაიგონა ქალის ხმა:

– მოდი, ლამაზ ცხოველს იხილავ! უკვე

დავაგვიანეთ. დროზე მოდი, სანამ წავსულ-ვარ!

უცხო, ყარიბმა კაცმა ხელი გაიწვდინა და მისკენ ოთხი ხელი გამოეტოტა, ბლანტი, წებოვანი წყლიდან ამოიყვანა.

მაგრამ მე ფეხზე დადგომა არ შემიძლია, და კაცმა უცხო ხმა გაიგონა:

— ადექი.

ეს ქალის ხმა არ ყოფილა, სხვა ხმა იყო. ვიღაც სხვა აღმართულიყო ქალის გვერდით. რაღაცაზე წახრილიყო — რაღაც ფერ-ფლისფერში არეულ თეთრზე. ლაპარაკობდა და უცხო, ყარიბ კაცს ზედ არ უყურებდა. მაგრამ მე ხომ გაორებულ ქალს ვხედავდიო, ამბობდა კაცი და ლამის ტყავიდან ამომხტარიყო. მუცელს იქექავდა და ცდილობდა, მიმხვდარიყო.

— ის ვინ არის? — და ქალს გახედა. ელოდა, რომ სხვა კაცი გაქრებოდა და ქალთან მარტო დაბრჩებოდა. ორნი დაბრუნდებოდნენ უკან.

ის სხვა კაცი იმ რაღაც თეთრზე წახრილიყო და უცხო, ყარიბმა კაცმა თეთრი, მოელვარე ქალაქი დაინახა და მკვდარი თევზების სუნი ეცა. კაცმა გადააფურთხა. ქალი შეშინდა.

— ეს რა არის?

— ჩემზე კითხულობ?

— დიახ.

— მე მკითხე!

— მე შენ არ გიცნობ.

— მაგრამ შენ ვინ ხარ?!

— ჩანს, დაგავინყდი.

— მე შენ აქამდე არ მინახიხარ.

— გინახივარ.

უცხო, ყარიბი კაცი დაფიქრდა. რაც ამ ქალაქს მოაღწია, ქვაზე მჯდარი მოხუცებული კაცის გარდა, რომელიც სიკვდილის მოლოდინში ლამის დაცემულიყო, არავინ უნახავს. ეს კაცი არ უნახავს.

შენ არ მინახიხარო, — თქვა უცხო, ყარიბმა კაცმა. მაგრამ მე გნახეო, —უპასუხა მეორე კაცმა, — შენ არ იცი, მაგრამ ჩვენ ამ ქალაქში ვცხოვრობთო.

— რას საქმიანობ?

— ვთევზაობ. ვერ ხედავ, ეს ჩემი თევზებია.

— მაგრამ თევზებს ფორმა აქვთ თევზის. ეს თევზი არაა!

ქალმა გაიცინა. კაცმაც გაიცინა, ხოლო უცხო, ყარიბმა კაცმა მარილისა და ზეთის გემო იგრძნო ტუჩებზე.

— მაგრამ თქვენ სად ხართ? — იკითხა უცხო, ყარიბმა კაცმა.

— ზღვაში, — მიუგო ქალმა, — ისინი თევზის იჭერენ.

მეორე კაცს უამრავფეხა ცხოველის გატყავება უკვე დაემთავრებინა და მის პატარა წაჭრებად დაქუცმაცებას შესდგომოდა. ქალს მისცა წაჭერი და მან შეჭამა. უცხო, ყარიბ კაცსაც მისცა და მან თითებშორის მოქცეული ნაჭრიდან სიცივე იგრძნო. თეთრი წაჭერი გაუსხლტა და მინაზე დავარდა. მეორე კაცი დაიხარა და დასწვდა მას, პირში ჩაიდო და დაუწყო ღეჭვა.

— წამოდითო!

ქალი გზას გაუდგა და მეც წამიყვანა. უკან გავყევით კაცს, რომელიც შიშველი იყო. უცხო, ყარიბმა კაცმა ახლადა შენიშნა, რომ კაცი, რომელიც მრავალფეხა ცხოველებს იჭერდა, შიშველი იყო და მხოლოდ პატარა, თეთრი ქსოვილი ჰქონდა წელზე შემოკრული. მისი ჩრდილი კლდეებზე გრძლად ეცემოდა და კლდოვან მრუდეთა შორის წახრილი ტყდებოდა.

— საით?

არ ვიციო, — მიუგო ქალმა, მაგრამ ის მიდიოდა. გზა გრძელი იყო, კლდეები, შვერილები და რაღაც ცისფერი. მეორე კაცი მიაბიჯებდა ამ სილურჯეზე, რომელიც დნებოდა. უცხო, ყარიბი კაცი შეეცადა, მისთვის მიებაძა, გრძელი მოსასხამი აიკეცა და შუა ლაჟვარდში შეაბიჯა. სხეულზე ეკლებმა უწყო გამოყრა.

— რატომ მიმატოვე და მასთან რატომ წახვედი?

ქალმა უკან მოიხედა და დაიწყო სილურჯის მოცილება, რომელიც ტანზე მადნებოდა. ლაჟვარდი იყო თავი. ის თავს წააგვდა, რომელიც ელვარებდა. თვალები არ ჰქონდა. მისი სხეული ექვსი ფეხისგან შედგებოდა და დნებოდა. პირველად ფეხები დადნა, შემდეგ თავმა იწყო დნობა — თითქოს ხვრელებში ვარდებოდა, შემდეგ ჩამო-

ინგრა და დაიშალა.

- გეშინია მისი?
  - მეშინია. ის მკვდარია.
  - ეს რა არის?!
  - ამას კანდელი ჰქვია.
  - მაგრამ ის არ ანათებს.
  - ყველა კანდელი როდი ანათებს!
- მეორე კაცმა გაიცინა. მაშ, შუქი საიდან მოდისო?!
- ის ანათებს მხოლოდ მაშინ, როცა სანაპიროზე წავიღებთო, წყალში დავტოვებთო, სადაც მტაცებელ თევზებს გამოქცეული პატარა თევზებით აივსება. წყლიდან ამოვიღებთ, დადნება და წყლად იქცევაო.

- გეშინია მისი?
- მეშინია, მაგრამ ის მკვდარია.

მეთევზე ჩამოჯდა და ქალი გვერდით მიუჯდა. იმ კაცმა შიგ სახეში ხვეშით შემომასუნთქა. ცოტათი მოვცილდი და დავინახე, მედუზები კანზე შემომაცოცდნენ. არ მეშინოდა. ეს არ იყო ტკივილი, იყო რაღაც ძვლების დამშლელი – ტკივილის გარეშე.

იმ მეორე, სხვა კაცმა მითხრა, რომ მე წყლისკენ უნდა მესკუპა, სანამ მზე ჩავიდოდა. ქალმა თავი თანხმობის ნიშნად დახარა.

- წამოდი ჩემთან! – ვუთხარი ქალს.
- არა, მე მასთან დავრჩები!
- მაგრამ შენ...
- მაგრამ მე მასთან ვარ.

იმ მეორე, სხვა კაცმა შიგ სახეში ხვეშით შემომასუნთქა. დავინახე, ცისფერი ცხოველები რაღაც კვამლისმაგვარნი ხდებოდნენ. კაცი ქალს დასწვდა და მაღლა აიტაცა. მათ გარშემო უზარმაზარტანიანი ცხოველი იყო, რომელსაც რვა ფეხი ჰქონდა.

კაცს დანა მოემარჯვებინა და ცხოველს კიდურებს აჭრიდა. ქალს უახლოვდებოდა და მას თავზე წამოსდგომოდა.

- მაგრამ მე წყალში მარტო დაბრუნებისა მეშინია!

ქალს უკანაც არ მოუხედავს, არც გამოპასუხებია. უცხო, ყარიბი კაცი გზას დაადგა. უკან მოიხედა და დაინახა, ქალი თავის სამოსში ჩაფლულიყო. კაციც მის გვერდით იძირებოდა. უცხო, ყარიბი კაცი მიაბიჯებ-

და კლდოვან შვერილებს შორის და მისი ჩრდილი იმსხვრეოდა. ხედავდა, ქალი როგორ ორდებოდა და ის ორი ერთმანეთს როგორ უახლოვდებოდა, თავად კი შორდებოდა. შემდეგ წყალში ჩავარდა. წყალი იყო ცხელი და სიშავე სახეს უფარავდა. თეთრი ცხოველის გემო თითებიდან პირამდე მოსდებოდა.

თქვა, დავბრუნდებიო და არ კი იცოდა, სად. თქვა, ვიძირებიო და არ კი იცოდა, სად. თქვა, ქალიო და არ კი გაუხედავს ქალისკენ.

- სად არის კაცი?
- ქალმა ხელით ანიშნა, რომ მოდიოდა.

- კაცი სად არის?

ქალმა წყლისკენ ისკუპა და მის გვერდით გაჩნდა, უცხო, ყარიბი კაცი თავის სამოსში მოაქცია.

- სად არის კაცი?
- არ ვიცი.
- მაგრამ შენ მასთან იყავი.

ქალმა წყალში ჩაყვინთა და უცხო, ყარიბმა კაცმაც მის გვერდით ჩაყვინთა და ქალს ჩააფრინდა. სხეულებრივი იყო. თითქოს ქალი მას ელოდაო, თითქოს წყალივით ცხელი იყო. ქალმა ტანიდან ეკლები მოაცილა და შორს წაიყვანა, უთხრა უცხო, ყარიბ კაცს, რომ მასთან ერთად დაბრუნდებოდა უკან.

რატომ არ გავრბივართო? – იკითხა უცხო, ყარიბმა კაცმა.

ქალს პასუხი არ გაუცია, წყალში ჩაყვინთა. უცხო, ყარიბმა კაცმა შუქი დაინახა. შუქი ჰორიზონტს მაღლა დასდგომოდა. დაინახა ზღვა და ქალის მოტივტივე სამოსი. თქვა, ჩაყვინთავო მისკენ. ჩაყვინთა, მაგრამ სამოსელის ქვეშ ვერაფერი ნახა.

შავი მოსასხამი წყალზე ტივტივებდა. უცხო, ყარიბი კაცი შეეცადა, მოეძებნა და არ ჩაძირულიყო.

დიდხანს ეძებდა და ვერ იპოვა.

ფსკერისკენ ჩაყვინთა. ამოიტანა მოსასხამი და ჰაერში დაიქნია. ვერ იპოვა.

უცხო, ყარიბმა კაცმა მოსასხამი წაიღო და თეთრი კლდეებისკენ გაცურა. წყლიდან ამოვიდა. შავი ხალათი მკლავზე დაუმძიმდა. კლდეები ფეხებს უსერავდა.

უცხო, ყარიბი კაცი ზღვის წინ... შავი მოსასხამი და დაკარგული ქალი...

იარა უცხო, ყარიბმა კაცმა, იარა. ეძებდა სახლს ან მოედანს. დავპრუნდებით მასთან, აյ მარტო ვარო ამ კლდეთა შორის, რომლებიც ფეხებქვეშ იმტვრევიან.

## 6. და იყო ტირილი.

**ქალაქი,** ქალები და ეს ღამე... უცხო, ყარიბ კაცს მოსასხამი მიჰქონდა და დაკლაკნილ, პატარა ქუჩებში მიაბიჯებდა...

ქალები და ეს ქალაქი... უცხო, ყარიბი კაცი ჩაფიქრებულიყო და ხელზე გადაკიდებული სველი მოსასხამი მიჰქონდა, ზღვიდან რომ ამოეტანა. მოსასხამი დამძიმებულიყო, მოსასხამი და წყალი... მოსასხამი სახეს მიფარავდა და ჩემი სახე ისეთი მძიმე იყო, თითქოს სხვა სახეები ყოფილიყო... კაცს თავისი აბგა გაასხენდა და გაახსენდა, რომ სარკე მიჰქონდა.

— სარკე გადავაგდე და ვერ მიპოვიაო.

ღამე იყო გრძელი და უცხო, ყარიბი კაცი გრძელ ღამეში მიდიოდა და მიდიოდა. კითხვებს არ სვამდა და მიაბიჯებდა. მოსასხამი ხელებზე ისე გადაეკიდებინა, თითქოს იმ ქალის სხეული ყოფილიყო, რომელიც დაიკარგა. მოსასხამზე სუნი ავარდნილიყო. ზღვა ზეთივით მძიმე იყო და იმ სუნივით ცხელი, ჩემს სხეულს რომ ასდიოდა.

ეს ზღვის სუნი იყო.

ნუთუ ეს იყო ზღვა?! ნუთუ?!

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა, დავპრუნდებით. თქვა და დაპრუნდა. დაპრუნდა და ვერ კი იპოვა ვერავინ. იპოვა და ვერ გაიხსენა. მოსასხამი სახეზე დაეცა. კაცი კიდეზე გაწვა უხმო სახლებს შორის. შავი მოსასხამი ზემოდან ეფარა და იმ წყალზე ტივტივებდა, რომელიც სამოსელიდან გამოდიოდა და სახეს, თმასა და წვერს უსველებდა. თვალები ფერფლისფერ შუქზე დახუჭული ჰქონდა, სხეული მოკუნტვოდა და ხელი მოსასხამისთვის ჩაეჭიდა.

შემდეგ დაიწყო...

ყველაფერი იყო მდუმარე, მაგრამ მან დაიწყო სამოსელიდან გამოსვლა და მთელი

ქალაქი ხმებით აავსო – ქვის ცხოველები, ჩონჩხები, უცნაური სურნელი და ძვლებით სავსე სხეული. ტკივილი არ ყოფილა, მაგრამ ცხოველები იგივენი იყვნენ – ისინი, რომლებიც ნახა, მოედნის კიდეებში როგორ გარბოდნენ... არა, ისინი, რომლებიც მეფის კუბოს გარშემო ტრიალებდნენ... არა, ისინი, რომლებიც არ უნახავს, მაგრამ ახლა, როცა დაინახა და გაიხსენა, ჩათვალა, თითქოს ისინი ადრე ენახა... თითქოს ის მათთან ერთად შეიქმნა, თითქოს ისინი იყვნენ იმ დროიდან მოყოლებული, რაც მოვიდა... მაგრამ ახლა, ახლა გრძნობდა, თითქოს ისინი მისი თითები იყვნენ, მის სახეებს რომ აფარებოდნენ, თითქოს წამნამები იყვნენ, მისი თვალები რომ დაეხუჭათ.

მას ეძინა და უზარმაზარი ცხოველები თავინანთი პატარა ჩონჩხებით გამოსულიყვნენ და მის გარშემო ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ, შორეულ ადგილებში მიჰყავდათ. ისიც მიჰყვებოდა მათ და ვერაფერს გრძნობდა, მარილის გემოს გარდა.

— კაცები სად არიან?!

— ქალაქი და ქალები... კაცი არ მინახავს, — თქვა კაცმა.

— ქალაქი და ქალები... კაცები ზღვაში დაინთქნენ.

ქალაქში რომ გადაეყარა, იმ ხანშიშესული შეიხის ხმა გაახსენდა. მისი ხმა მის ხელებს ჰგავდა. კაცმა ხელებზე დახედა და დანაოჭებული ხმა დაინახა, ღრმულებით სავსე. დაინახა, ხელებს მეწამული ვენები შემოვლებოდა. ხელებისკენ დაიხარა, ტუჩები მიუახლოვა. ორჭოფობდა და მარილის გემო გამოვიდა, მკვდარი თევზის გემო. თევზი სიკვდილით იყო გაბერილი და უზარმაზარი ცხოველები დაბორიალებდნენ მის გარშემო და იყო კაცი. სამოსელი იყო მძიმე, წყალიც მძიმე.

სამოსელი და წყალი, ქალაქი და ქალები... მაგრამ კაცი იდგა ქალის გვერდით. კაცი მე მელიდა, მაგრამ მეფე...

სამოსელმა შორს წამილო. კაცი კიდეზე წამონოლილიყო და სამოსელი იყო წყალი, ხელები იყო ძონისფერი და ქალი არ იყო.

თქვა, ზღვაში დამეკარგაო ქალი.

მისმა ტანმა ტკაცატკუცი დაიწყო. რა-

ლაც გადადიოდა ძვლებში. ზღვის სუნით სავსე ცხოველები თვალებსა და მკერდზე ახტებოდნენ.

მოვკვდებიო, დაიყვირა კაცმა.

– შორეთში ვკვდები და ქალი კი არაა ჩემთან, მე...

სამოსის ნაკეცებიდან შუქი არ გამოსულა. დღე არ დამდგარა. იყო გრძელი ღამე და იყო კაცი.

დიდი ხნის შემდეგ, რომელიც არ იცოდა, საიდან დადგა, კაცმა საკუთარი თავი მოედანზე აღმოაჩინა. იყო შუქი, თეთრი ქვიშა და შავი წერტილები, რომლებიც აკლდამის გარშემო ტრიალებდნენ და იყო სამარხი.

კაცმა აღმოაჩინა, რომ უახლოვდებოდა, ახლოს მიდიოდა.

საკუთარი თავი ქალების შუაში აღმოაჩინა. იყო მწარე მოთქმა. ქალები მინაზე ისხდნენ. თავები ჩაექინდრათ და სილა სამოსს შერეოდა, რომელიც ხელში მეჭირა და მე ვიყავი ქალების შუაგულში.

კაცმა კითხვა დასვა. ქალები მას მიუახლოვდნენ.

კაცმა მეორედ დასვა კითხვა. ის იყო სველი სამოსით და სამოსი გაუნძრევლად იჯდა მის გვერდით.

კაცი კითხულობდა ქალაქს და ქალებს, კითხულობდა მეფეს.

შუქი ელავდა მოედნის ქვიშაში ვერცხლისწყალივით, რომელიც ყველაფერს ფარავდა.

ქალი წამოდგა და თავები ზეალიმართნენ მისი მიმართულებით.

მე გამცნობო, – უთხრა და ცოტათი მოსცილდა. შავი მოსასხამი შემოიხსნა და თეთრად აელვარდა, რაც მოედნის ქვიშას წააგავდა.

– მე მოგიყვები.

თეთრი იყო და სახე ჰქონდა გამჭვირვალე. ქალი იდგა და ლაპარაკობდა:

– პირველად თქვეს, ზღვაო. მე არ ვიცნობდი ზღვას. დაბალჭერიან ოთახში ვიჯექი და ზღვის ხმა მოდიოდა სუსტად, მოგუ-

დულად და ის იყო მამაჩემი.

– გითხარით, ზღვაზე მოგახსენებთ-მეთქი, მაგრამ მე მამაჩემზე გაუწყეთ... მამაჩემი წელში მოხრილი არ ყოფილა, როდესაც თქვა, წავიდეთო... ის ოთახის შუაგულში იდგა და მე მიყურებდა. სახეზე ცრემლები ჰქონდა. დედაჩემი მის გვერდით იდგა და ტიროდა. იყო ხალხი, რომელთაც არ ვიცნობდი. ჭარმაგი კაცი მომიახლოვდა, ხელი ჩამავლო და წავედით. ქუჩები იყო დაუსრულებელი. ჩვენ მივდიოდით და, როცა ზღვას მივალნიეთ, მამაჩემი ორად მოიკავა და თეთრი წერტილებივით დაიშალა და დაცვივდა ჩემ წინ, მაგრამ მე მივდიოდი და ჭარმაგი კაცი მეუბნებოდა სიტყვებს, რომლებიც აღარ მახსოვს. შემდეგ კი ზღვაში მომისროლა და ატყდა ქალების ხმამაღალი წივილ-კივილი. მე ქალები არ დამინახავს, დედაჩემი დავინახე, მაგრამ ზაღარიდები<sup>1</sup> მესმოდა და ქვითინს ვგრძნობდი. კაცმა მისროლა და ყველაფერი შავი იყო. ზღვა იყო ღამე და მე მარტო ვიყავი. შემდეგ ვიგრძენი, რომ ყველაფერი იმსხვრეოდა. ზღვა იყო შუშის და მე მისროლეს შუაგულ შავ შუშაში, რომელიც იმსხვრეოდა. შუშა პატარა ნამსხვრევებად იქცეოდა და ნამსხვრევები ჩემს სხეულში მარილთან ერთად შედიოდა. მარილი მქონდა თვალებში. მარილის გემომ თვალებიდან მეერდში შეაღწია. მცირე ნამსხვრევებად ვიქცეოდი. შემდეგ მოსასხამი ისროლეს და მასში გამახვიერს. ხელები მოსასხამსა და შუშაში გაბნეულ ჩემს ნამსხვრევებს ეწეოდნენ. კარგად გამახვიერს, გრძელ საბელს გამომაბეს და წავიდნენ. ისინი მიდიოდნენ და მე ყურს ვუგდებდი თოკის ხმას, რომელიც მინას მიარღვევდა და მოგუდულ მოთქმას.

მიაღწიეს. გავიგონე, ამბობდნენ, რომ მიმიყვანეს. შემდეგ თოკით ჩამაგდეს მეფესთან. მეფე არ მინახავს, მაგრამ ტირილი ვისწავლე.

ქალი თეთრი იყო. საუბრობდა და თან ისეთი თეთრი იყო, როგორც თეთრი ქვიშა, რომელსაც ის ადგილი აევსო. შემდეგ ფე-

<sup>1</sup> ზაღარიდები – ხმამაღალი, ყურისწამლები ტრადიციული სამხიარულო და საქორწინო შეძახილები.

რებმა იწყეს გამოსვლა თვალებიდან. ხელები გამოწვდილი იყო, როგორც შავი დანები და ქალი შუა მოედანზე მოცახცახე წითელ ნაკუნებად იქცა.

— და მე?..

მე ის ვიყავი, რომელმაც არ იცოდა. მე, მოსასხამში გახვეული; მე, წყალში გახვეული; მე...

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა, რომ ის ადგებოდა. თქვა, რომ ის მივიღოდა ახლოს და ბოლო ქალის ხმა გაიგონა, რომელიც დანების გვერდით იდგა და ყვიროდა. მას ხელში ალესილი გრძელი წერტილი ეჭირა და წერტილის წვერს ცეცხლი გასდიოდა. კაცმა წინ წაინია და ალესილი წერტილა დაინახა თვალნინ. წინ წადგა ფეხი და ცეცხლი მის შიგანს წაეკიდა, მაგრამ ის მოცახცახე წითელ ნაკუნებამდე მივიდა და ხელი დაადო. უცხო ცხოველები შეიგრძნო წვეტიანი თავებით და უკან დაიხია. უკან გაბრუნდა და წითელმა ნაკუნებმა შეკრება იწყეს ერთმანეთის გარშემო, გრძელ შავ მოსასხამში მჭიდროდ გამოეხვივნენ და წრეს მოუახლოვდნენ. მოგუდული მოთქმა ხმამაღალი გახდა. კაცმა მეორე ქალი დაინახა.

— ეს არ არის ჩემი ქალაქი!

ქალი გაჩერდა და თქვა:

— ეს არ არის ჩემი ქალაქი! ჩვენ მოვდიოდით და დავინახეთ გალავნები. იქ კაცი იყო... — და ქალმა შავი მოსასხამის გახდა დაიწყო. სხეული უთვალავი ჭრილობით ჰქონდა სავსე. წყლულები ჰქონდა, საიდანაც ყვითელი სითხე სდიოდა, მოედინებოდა და მკერდსა და წელს უღებავდა.

— კაცმა მითხრა, რომ მომეცადა. მითხრა, რომ ეს გალავანი იყო და ეს კი კარი და მიბრძანა, კართან მომეცადა და, როდესაც მოვიდოდა უცხო, ყარიბი კაცი, რომელმაც არ იცოდა, სად და როგორ, გამეღო მისთვის კარი და წავყოლოდი მას მოედანზე. იქ მე ვიქნებიო შენს მოლოდინში. წამოხვალო ჩემს სასახლეში და იცხოვრებო იქ უკუნისამდე.

მეც მოვიცადე. ვიდექი კართან და არკი მინახავს არავინ. არც არავის დაუკაცუნებია და არც არავის ჩაუვლია. შემდეგ გალავნის წვერზე ავედი, რომ იქნებ დამენახა

და დავინახე. დიდი მტვერი ავარდა და ვთქვი, მოვიდა-მეთქი. მტვერი ძლიერ გახშირდა და დავინახე ცხენი, რომელზეც ეს უცხო კაცი იჯდა, მტვერსა და შუბის წვერებში გამოხვეული. შემდეგ მტვერი გაიფანტა და აღარავინ დამინახავს.

დღეებს დღეები მოსდევდა, ღამეები დღეებს შობდნენ და მე ვიჯექი გალავნის წვერზე მარტოდმარტო. ველოდი იმ კაცს, რომელზეც მითხრა, რომ წარმომიდგებოდა შორიდან შეშინებული თვალებით და მეც ველოდი.

შემდეგ დაიწყო მოსვლა. გუნდ-გუნდი მტრედები მოდიოდნენ, მასხდებოდნენ ამ ხელებზე, სევდიანად მიღულუნებდნენ და მიდიოდნენ. გავხდი მათი მომლოდინე და ისინი კი — ჩემი. დღეთა სვლასთან ერთად, დავინყე მათთვის ცოტაოდენი მარცვლეულის შეგროვება. ხელისგულზე ვიყრიდი და ისინი კერძავდნენ. შემდეგ უეცრად, არ მახსოვს, როდის, მაგრამ მახსოვს, რომ იწყეს უცნაურად ზრდა. უცხო ფრინველებად იქცნენ. მოდიოდნენ და იწყებდნენ ჩხვლეტაკორტნასა და სისხლის დენას. შევშინდი და გალავნიდან ჩამოვძვერი, კართან დავდექი... ფრინველები დაბლა დაეშვნენ თავიანთი სპილენძისმაგვარი მტკიცე, ძლიერი ფრთებით და ჩემი სხეულის კორტნა იწყეს. ავტირდი და ისიც მოვიდა. ოღონდ არა ის კაცი, რომელმაც მითხრა, რომ დამელოდებოდა. სხვა კაცი მოვიდა და მითხრა, რომ ის იყო. ის არ ყოფილა, მაგრამ მე დავუჯერე. არ დამიჯერებია, მაგრამ გავყევი. მომცა შავი სამოსი და მოედანზე მომისროლა. არავის უსწავლებია ჩემთვის, როგორ მეტირა. ქალები დავინახე და ავტირდი. ვტირდით.

ქალის სხეული წებოვანი იყო და ქვიშაზე დაედინებოდა. წამოდგა. სამოსი თავისი ჯოხით ასწია და მეორე ქალს მისცა. იმან ჩაიცვა ამისი სამოსი და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მე არ ვლაპარაკობდი. ვხედავდი და არ ვლაპარაკობდი. ვთქვი, არავის შევატყობინებ-მეთქი ჩემს ამბავს. მე თავად არ ვიცი ეს ამბავი და რა მოვყევ?

— მე ვიცი, — თქვა ქალმა და წამოდგა.

მეოთხე ქალი ადგა და თქვა:

– მე ვიცი. ყველას ისტორია ვიცი, მხოლოდ ჩემი ამბავი არ ვიცი. მე არაფერი მინახავს. როგორ არა, ვნახე! ბუტბუტი გავიგონე, შემდეგ რაღაც ხმამ მითხრა, რომ ეს კარი იყო. ეს ხმა ისევ ყურში მედგა და კვლავ ვხედავდი სპილენძის კარს, რომელიც მწველი მზის ქვეშ ელვარებდა, მაგრამ მე არ ვიცი, არ ვიცი, მომიყვანეს აქ თუ მე თვითონ მოვედი, ან დამავიწყდა. თუმცა მე ვხედავ ჯოხს და ვხედავ მეფეს. ვტირი, რადგან ჩვენ ყველანი ვტირით ქალწულთან ერთად, რადგან ჩვენ ყველანი ქალწულები ვართ. მოვკვდები, რადგან ჩვენ ყველანი დავიხოცებით, მაგრამ მე არ ვიცი.

ქალი გრძელი მოსასხამით დაბზრიალდა და იწყო შორს წასვლა.

– მაგრამ მოსასხამი... მოსასხამს რატომ არ იხდი?! – ჰკითხა უცხო, ყარიბმა კაცმა.

ქალი ბზრიალებდა. მისი კოჭების ირგვლივ მსუბუქი მტვერი ავსებდა იქაურობას. შემდეგ მტვერმა შეუმჩნევლად იწყო კაცის თვალებში შეღწევა და მან მოახლოებული ჩრდილებისა და მისი კისრისკენ გამოწვდილი ხელების, მის სხეულს შემოსაფარებელი მოსასხამების დანახვა იწყო.

– მე არა... – თქვა კაცმა.

ქალის ხმა გაიგონა. მისი ხმა წყალს ჰგავდა. დაინახა, ქალი ტივტივებდა. მოსასხამი ტივტივებდა. კაცი მოსასხამს მიუახლოვდა და ქალები დაინახა. დაინახა, მეხუთე ქალი დგებოდა ფეხზე.

– შენ, ეი, კაცო! მომისმინე! – მეხუთე ქალი ფეხზე წამოდგა და თქვა:

– კაცო, მომისმინე! მამაჩემი მოვიდა. მამაჩემი სასახლის მსახური იყო. მეფის სასახლეში დადიოდა და იქ სამარხების გარდა არაფერი უნახავს. მამაჩემი საფლავებს უვლიდა და ასუფთავებდა, ყვავილებს რგავდა და ქალაქი ყვავილებით იყო სავსე. მამაჩემის მეფე არ უნახავს. იცოდა, რომ მეფე კმაყოფილი იყო მისი ნამუშევრით. მოხუცი ქალი, რომელიც შიგ სასახლეში მუშაობდა, ატყობინებდა ხოლმე ამას. ისიც სიამოვნებით აღვსილი მოდიოდა სახლში, მღეროდა, ამიტაცებდა ხოლმე ხელში და დამაფრენდა. შემდეგ ქორწინებაზე მელაპარაკა.

რომ ერთი კაცი მოვიდოდა და შორს წამიყვანდა. წინ დამისვა, დედაჩემიც იქვე იყო, ხალხი გაოცებით თვალებდაჭყეტილი შემომცეროდა. მამაჩემი მორჩილებაზე მელაპარაკებოდა. თავი მორჩილად დავხარე და დაველოდე, მაგრამ ის არ მოსულა, არ მოსულა. მამაჩემმა დედაჩემს უთხრა რაღაც სიტყვები და დედამ თქვა, რომ ჩვენ უნდა ველოდოთ. ვიცდიდით. შემდეგ უცხო, ყარიბი კაცი მოვიდა და კარიბჭეებზე დაიწყო შეკითხვების დასმა. ვირწმუნე, რომ ის იყო. თან წამიყვანა და აქ აღმოვჩნდი. აქ ვარ. ერთად მივაბიჯებდით. შემდეგ ის გაუჩინარდა შუა მოედანზე და შუაგულ მოედანზე დავინახე ქალები. მოვიდა ქალი, რომელსაც ხელში ჯოხი ეჭირა. მოსასხამი გამაძრო და მინაზე დამაგდო. შავი სამოსელით შემმოსა და ახლა აქ ვარ, წრეში.

– შენ ის კაცი ხარ, – ქალმა უცხო, ყარიბ კაცს შეხედა და უთხრა:

– როგორ დაგავიწყდა! შენ ხომ ის კაცი ხარ!

– მე... მე არ მახსოვს... მე არა!.. მე ჩემს დაკარგულ სარკეს ვეძებ, ჩემს ნივთებს, რომლებიც დამეკარგა. უთხრა ქალს, რომ ის არ იყო, რომ ქალი ცდებოდა.

ქალი მიუახლოვდა. კაცი წამოდგა. ქალმა პირი გააღო და შიგ სახეში შეუბერა. უცხო, ყარიბ კაცს დაეწყო შეგრძნება, რომ თეთრად იფერებოდა. ხმამაღალმა მოთქმავოდებამ ზენიტს მიაღწია.

კაცი ჩამოჯდა და ატირდა. როცა მისმა ცრემლებმა მის ბაგეებს მიაღწიეს, გაახსენდა მარილის გემო, გაახსენდა თვალები, რომელთაც ის გალავანს მიაჯაჭვეს.

სურნელი ავარდა და მეექვსე ქალი წამოდგა. მტვერი იყო.

მეექვსე ქალი ადგა და თქვა:

– მე არა... – თქვა და მტვერი გარს შემოერტყა.

– მე ვარ ის, ვინც დასაბამიდან ვარ. მე აქ დასაბამიდან ვარ. დედაჩემმა თქვა, ყველამ თქვა და მეც ვამბობ. როცა მე ვიყავი დასაბამიდან, მეფე ჩემ გვერდით იყო და მე ვტირი.

ქალი გაშორდა და მისმა მოსასხამმა იწყო თრთოლა ქარში, რომელიც მას გარს ევ-

ლებოდა. იყო ალმური და მხურვალება, შუქები და შორეული ქარი. ქალი შორს მიდიოდა.

ნუ მიატოვებთო მას, იყვირა ქალმა, რომელსაც ჯოხი ეჭირა. ნუ მიატოვებთო მას, ის მიდისო, ხელი ჩავლეთო, ის უჩინარდებაო, მოსასხმაში ჩაეჭიდეთო... ის მიფრინავსო...

კაცი წამოდგა და დაეცა.

– მე წავალ...

– შენ შენს ადგილას დარჩები!

კაცი თავის ადგილას დარჩა. მოესმა ხმები და დაინახა თოკები და სხეულები, რომლებსაც თოკები მიათრევდნენ. საკუთარი თავი დაინახა, თეთრ ქვაზე მიბმული. შემდეგ ჯოხიანი ქალის ხმა გაიგონა და ჯოხი დაინახა, ხელში რომ ეჭირა. ქალი ფეხზე იდგა და მშვიდი იყო. სახე გამოაჩინა და კაცმა გამხმარი ტოტები და ფოთლები დაინახა, ფეხებთან ნელ-ნელა რომ ცვიოდა.

ქალი შუაგულში იდგა. ჯოხი მოისროლა და სულის ბერვით ამოისუნთქა. წამოვიდა ბოლი და წყალი. შემდეგ ჯოხის წვერი ამოძრავდა და ნითელმა გველმა იწყო ხტუნვა. ქალს მიაღწია და ქარი ჩადგა, უკან გაბრუნდა. გველი მოტრიალდა, შემდეგ ისკუპა და გაშორდა იქაურობას. ქალებმა იყვირეს, ქალაქმა საშველად იყვირა და გველი კი შორს გაქანდა. ქალი უკან მიჰყვა, შემდეგ იკითხა:

– მესამე ქალი სადაა?

ქალებიდან ერთ-ერთი მას მიუახლოვდა და ხრინწიანი ხმით უთხრა:

– თუ გველი გაიქცევა, ქალაქი მოკვდება. თუ ქალაქი მოკვდება, მეფის აკლდამა დაინგრევა. თუ აკლდამა დაინგრევა, ყველაფერი დასრულდება.

იყო ხმები და უცხო, ყარიბი კაცი კითხულობდა:

– კი მაგრამ, ეს როგორ?!

– მესამე ქალმაო, – უპასუხეს, – ერთა-დერთმა მხოლოდ მესამე ქალმა იცის, როგორ დაიჭიროსო გველი. ის კი შენთან ერთად წამოვიდაო.

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა, დიახო, ის ჩემთან ერთად წამოვიდა, მაგრამ ზღვაში გაუჩინარდაო.

– კი მაგრამ, ეს როგორო?!

– ის იქ დავტოვე და მე დავბრუნდიო. აი, ეს მისი მოსასხამიაო.

სამოსი მძიმე იყო.

კაცი გაიქცა და წყალი წურწურით მინას ნამავდა.

– არ შემიძლია!

– გაიქცი!

კაცი გაიქცა, მოსასხამი გველს ესროლა და გადააფარა. ყველაფერი ჩაწყნარდა. ყველაფერი თავის ადგილზე გაირინდა.

– ჯოხი დამიბრუნდა, – თქვა ქალმა. მოსასხამი ასწია, ჯოხი გამოაძრო და გაბრუნდა.

მოულოდნელად იქაურობა ახმიანდა. ქვის ცხოველები მოსასხამის ქვემოდან გამოდიოდნენ და ქალებს ახტებოდნენ. ქალები გაქცევას ცდილობდნენ და პატარა ცხოველები სამოსზე ეკვროდნენ. მათი ხმები სხეულთა შორის სუსტდებოდა.

პირველმა ქალმა თქვა, გავიქცეთო.

მეორემ თქვა, არ შეგვიძლიაო.

მეოთხემ თქვა, მეფესთან ჩავხტეთო.

მეხუთემ თქვა, აკლდამა არ უნდა გავაფუჭოთო.

მექვსემ თქვა, დავიხოცებითო.

ჯოხმა თქვა, არ ვიციო.

უცხო, ყარიბმა კაცმა დაინახა, შავი მოსასხამები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ერთმანეთში უჩინარდებოდნენ. დაინახა ნახვრეტები მოსასხამებში, დაინახა...

იყო ტირილი და უცხო, ყარიბი კაციც ატირდა.

## 7. თქვა მთხოობელმა

**თქვა** მთხოობელმა, რომ ის შორს წავიდა. ქალაქი, რომელიც შორს იყო. თქვა მთხოობელმა:

– ამბავი აქ არ მთავრდება, რადგან ამბები ასე არ მთავრდებაო: ქალები, რომლებიც გარბიან ყოველი მიმართულებით; უცხო, ყარიბი კაცი, რომელმაც არ იცის; პატარა ცხოველების ფორმის წვრილი თეთრი კენჭები, რომლებიც ყურებში ჩხრიალებენ; თეთრი მტვერი, რომელიც მოედანს მოსდე-

ბია და ქალაქი, რომლის სახელიც არ ვიცით, მაგრამ რომლის დაუსრულებელ ის-ტორიასაც ვყვებით...

თქვა მთხოვობელმა:

— გამოვიდნენ ჰაერში მხტუნავი პატარა თეთრი ცხოველები, უთვალავი რაოდენობის; ისე ხტოდნენ, თითქოს დაფრინავენო, შემდეგ მინაზე ეცემოდნენ და ისევ იწყებ-დნენ ხტუნვას. ქალს ჯოხი ეჭირა და ჰაერ-ში იქნევდა. ავარდა მტვერი და მის გარშე-მო მყოფი ქალები სირბილით შეერივნენ პა-ტარა ცხოველებს. უცხო, ყარიბი კაცი შორს გავიდა, ვერაფერი გაეგო, კითხვას სვამდა და პასუხი არ ესმოდა.

ქალები აკლდამის ქვების მახლობლად, კუთხეში შეჯგუფდნენ. იყო ტირილი. შემ-დეგ ხმამაღალი ტირილი მოგუდულ კვნესა-ში გადავიდა. უცხო, ყარიბი კაცი ტიროდა და მიახლოებას ცდილობდა, მაგრამ იგ-რძნო, რომ ქვიშა ნთქავდა. რაღაც დაძირ-ვის მაგვარს გრძნობდა.

— წინ წასვლა არ შემიძლიაო, — იყვირა კაცმა. შემდეგ მისმა ხმამ ძალიან ნელა იწ-ყო გაქრობა. სიტყვები მის პირში მჟავე გე-მოთი აივსო.

უცხო, ყარიბი კაცი ხედავდა, ხედავდა ქალაქს, რომელიც სითეთრეში იძირებოდა. ხედავდა თეთრ თვალებს, გაფართოებულს, გადიდებულს. ხედავდა ქალებს, შორ ადგი-ლებს რომ მიაშურეს.

იყო შუქი და კაცს არ შეეძლო მიახლოება. შუქი პატარა ცხოველები იყო. შავი მო-სასხამების გარშემო ძვლები ლივლივებ-დნენ და შთანთქავდნენ მათ. პატარა თვა-ლებს სუნი უდიოდა.

კაცმა ქალების ხმა გაიგონა. ეს პირვე-ლად იყო, ხმებს რომ მიაყურადა და გაახ-სენდა.

მტირალი ქალები სამარხის კუთხის წინ სუნი საუბრობდნენ. კაცი შუაგულ სილა-ში ჩაჯდა და ყური მიუგდო. იყო ჩხრიალი და იყვნენ ქალები. ეგონა, ქალთა ხმები და უცნაური ჩხრიალი იყო ყველგან. ხმებს უდიოდა ხმების სურნელი.

უცხო, ყარიბმა კაცმა კაცმა თქვა, რომ პატა-რა თეთრ კბილებს ხედავდა. კრიჭა შეკრუ-ლი იყო და საუბარი გამოდიოდა.

ერთმა ქალმა თქვა, რომ ეს ზღვის სუნს არ ჰავდა.

მეორე ქალმა თქვა, რომ ეს მეფის სუნი იყო.

თქვეს და თქვეს...

ქალი, რომელსაც ჯოხი ეჭირა, წამოდგა და წინასწარმეტყველებაზე ილაპარაკა. თქვა:

— მეფე მოკვდა. სანამ მოკვდებოდა, სა-კუთარ ტახტზე დაბრძანდა და თავის ვეზი-რებს მოუხმო. უთხრა მათ:

— ეს თეთრი ქალაქი სამარხებს წააგავს. ჩემი სიკვდილის შემდეგ, როცა უცხო ფრინველი მოვა და შვიდჯერ შემოუფრენს სამარხს, იცოდეთ, სახიფათო სენი გავ-რცელდება ქალაქში და ყველა მოკვდება. როცა ყველა მოკვდება, ერთი მეფე მოვა შორული ქვეყნებიდან, ზღვით იმგზავ-რებს და დაანგრევს გალავნებს. ეს ის მე-ფეა, მე რომ არ ვიცნობ, მაგრამ მე მას ვე-ლოდი და აი, მე ვკვდები და ის მხოლოდ ჩე-მი სიკვდილის შემდეგ მოვა.

— მაგრამ მას არაფერი უთქვამს უცნა-ურ სუნზე!

— მაგრამ მას არ უტირია!

— მაგრამ მას კაცი არ უნახავს!

— მაგრამ მან არ იცოდა, რადგან მან არ იცის... რადგან ის მოკვდა.

კაცმა გაიგონა და ატირდა.

ქალები შორს წავიდნენ. ქალს ჯოხი ეჭირა, ყველა ქალს ჯოხი ეჭირა. პატარა ცხოველთა ხმაური, ქვიშაზე მოსროლი შავი მოსასხამები და ქალები, რომლებიც შორს მიდიოდნენ...

უცხო, ყარიბმა კაცმა უმიზეზო სევდა იგრძნო.

— ქალები მართლა გარბიან მოედნიდან და ვიღა იტირებსო მეფეს დღეიდან, ვიღა...

კაცი შეეცადა, წინ წასულიყო. აღმოაჩინა, რომ ქვიშას ჩაეყლაპა იგი და წინ ვერ მი-დიოდა. შემდეგ საკუთარი თავი ოთხზე მო-სიარულე აღმოაჩინა. ზემოთ იყურებოდა და ხედავდა აკლდამას, რომელიც შორდე-ბოდა. ქოშინებდა, ხმამაღლა ხვნეშოდა, წინ მიდიოდა და ქალები კი შორდებოდნენ. თეთრი სხეულები ყვირილით, ტირილით იყო სავსე, მაგრამ ისინი შორდებოდნენ და

მე კი ვცდილობდი... კაცი ძალიან ცდილობდა.

თქვა მთხრობელმა, რომ კაცი ცდილობდა პატარა ცხოველების დაჭერას და რომ მან შიში იგრძნო, რადგან ქალები მარტოს ტოვებდნენ და მან კი არაფერი იცოდა.

კაცის სევდა იზრდებოდა და შიში ძლიერდებოდა. შემდეგ ყველაფერი გაქრა.

კაცი სირბილით დაიღალა და ჩამოჯდა. გაიხედა და ქალები ვერ დაინახა. დაინახა შავი მოსასხამები, თითქოს ისინი მოსროლილი სხეულები იყო. დაინახა, თეთრი ქვეწარმავლები დახტოდნენ მათზე, მაგრამ ქალებს ვერ ხედავდა.

ჩამოჯდა კაცი მარტოკა, მარტოსული. თქვა, წავალო. თქვა, დავბრუნდებიო. თქვა, მართლაც ყველაფერი დასრულდაო. თქვა, რომ ის კი ის იყო, მაგრამ დაავინყდა, როგორ. მესამე ქალი იყო ის, რომელიც ზღვაში გაუჩინარდა; ქალი, რომელიც მაღალმა, ტურტლიანმა კაცმა მოიტაცა და თან წაიყვანა... ეს ის ქალია, რომელმაც ყველაფერი დაანგრია.

მაგრამ მე მარტო ვარ. ვლაპარაკობ და ყურს არავინ მიგდებს. ვლაპარაკობ და მეშინია. შეშინებული ვარ და მშიერი და მინდა, რომ...

კაცი მარტოდმარტო წამოწვა მოედანზე. პატარა ცხოველები მიუჟახლოვდნენ. მათი სუნი ჩაუდგა თვალებსა და ყურებში. შემჭამენ და მოვკვდებიო. კაცმა გაიფიქრა, რომ, როცა ქალები მოვლენ და ჩემს ძვლებს შეხედავენ, ერთ-ერთი მათგანი ხმას აღიმაღლებს: ისაა მეფე! მეფე მხოლოდ მაშინ გავხდები, როცა მოვკვდებიო, მეფე მხოლოდ მაშინ გავხდები, როცა საზიზღარსუნიანი ცხოველები შემჭამენო... კაცმა გაიღიმა, ან ტუჩები აუტოკდა ისე, თითქოს იღიმება ან ტკივილით იმანჭებაო... თვალები დახუჭა და დაიძინა. მის გარშემო პატარა ცხოველებმა დაიძინეს, ხმებმა მიიძინეს და ქალაქმა იწყო შორს წასვლა.

თქვა მთხრობელმა:

— ყვებიან, რომ კაცს დიდხანს ეძინაო. გამოღვიძებას შეეცადა, თვალები გაახილა და ვერ დაინახა. დარწმუნებული იყო, რომ ისევ ეძინა. ქვის ცხოველები ნელ-ნელა მი-

ეჩვივნენ კაცს. მის გარშემო ტრიალებდნენ, მის ძირს დავარდნილ სხეულზე გადადიოდნენ, შემდეგ ცხოველებმა აგრესიულობა მიატოვეს და კაცის სხეულში იპოვეს დასაძინებელი ადგილი. მათ ეძინათ და კაცი ვერ ხედავდა. გრძნობდა, რომ სხეული დაუმძიმდა, მაგრამ ვერ ხედავდა. ეძინა და ეძინა, თითქოს არც გამოღვიძებიაო არასდროს; თითქოს ის უცხო, ყარიბი კაცი არ ყოფილიყოს, რომელიც იყო; თითქოს ქალები არც უნახავსო; თითქოს კარიბჭეებზე არც უკითხავსო და არც უტირია.

თქვა მთხრობელმა:

- ამრიგად, ერთხელაც გამოფხიზლდა კაცი, წამოდგა, სხეულიდან მუჭა-მუჭა სილა და ქვეწარმავლები ჩამოიფერთხა და წამოიმართა.

დაინახა, მოედანი ფერფლისფერი იყო, ყველაფერი ფერფლისფერი იყო. ადგა და აკლდამას წრე დაარტყა. გარს უვლიდა და მოგუდულად კვნესოდა. თავი ძირს ჩაექინდრა და აკლდამას წრეს უვლიდა. შვიდჯერ შემოუარა და შემდეგ შორს წავიდა.

ეს ხომ მართლა ხეაო.

ხე დაინახა, შავი ტანით და შავი ტოტებით.

- ეს ხე საიდან მოვიდა? — იკითხა კაცმა.

- ნუთუ შეიძლება, რომ... ნუთუ შეიძლება?.. — იკითხა მეორედ. ხისკენ წავიდა და თქვა, რომ ახლა შეეძლო; ახლა შეეძლო, რომ ხის ჩრდილში დამჯდარიყო. გაახსენდა ხები და მწვანე ბალახი. გაახსენდა მდინარეები, მაღალა ატყორცნილი მწვანე ლერწმით სავსე ხეობებში რომ მოედინებოდა; გაახსენდა ქალაქები, რომლებიც ენახა და ქალებიც გაახსენდა...

- მაგრამ ქალები...

წამოდგა. გადაწყვიტა, წასულიყო ქუჩებსა და შუკებში, წასულიყო მოხუც კაცთან, წინაპრებს რომ ჰგავდა და ეკითხა მისთვის ქალთა საიდუმლო, აკლდამისა და მეფის საიდუმლო, მაგრამ დაღლილობა იგრძნო და თქვა, მერე წავალო. ხის ქვეშ დაჯდა. პატარა ცხოველებმა იწყეს მასთან მიახლოება. მოედანი ახლა სავსე იყო ცხოველებით. თავებს და პატარა გამხდარ სხეულებს ამოძრავებდნენ. ცხოველები მოდი-

ოდნენ მასთან, მათი სუნი სცემდა და მიეჩვია მათ. კაცმა იგრძნო, შიმშილი ფლეთდა. დაინახა ცხოველები, გარს რომ უტრიალებდნენ და მათში დაინახა რაღაც საჭმლის მაგვარი. აღარ ეშინოდა. მუჭით დასწვდა პატარა ცხოველებს, პეშვში მოიქცია და პირით დაიხარა, მათი ჭამა დაიწყო. ზოგმა ცხოველმა კბილებში გაუარა, ზოგიც ტურებზე ახტებოდა. ის კი ჭამდა. იყო ძვლების ხმა, მის კბილებში რომ იმტვრეოდა და იდგა სისხლის სუნი. ის კი ჭამდა და კიდევ უფრო მეტად შიოდა. კაცმა ხელი მიწისკენ გაიწოდა და ცხოველები თავდახრილები მივიღდნენ მასთან, მორჩილად შეახტნენ ხელზე და ის ჭამდა მათ, მის კბილთა ქვეშ იმსხვრეოდნენ და სისხლი ტურებზე ედებოდა. სისხლის სუნი იდგა და უცნაური გემო ზღვას წააგვდა.

როცა კაცი გაძლა, შავი ხისკენ გაემართა, აკლდამის კიდეზე რომ ამოსულიყო და მისი გარშემოვლა დაიწყო. კაცი გარს უვლიდა და ხე ისე გადმოხრილიყო, თითქოს მას ზედ ეფარებაო.

– არ წავალო, – თქვა კაცმა.

– როგორ შემიძლია წასვლა და ამ აკლდამის მიტოვება, ამ პატარა ცხოველებისა და ამ მძინარე მეფის... – და კაცმა გადაწყვიტა, დარჩენილიყო.

გარს უვლიდა აკლდამას, შემოუვლიდა ხეს და შემდეგ იძინებდა. არ იყო შუქი.

თქვა მთხობელმა:

– განათებული მოედანი ჩაბნელებულად იქცა. უცხო, ყარიბი კაცი მარტო დარჩა ჩაბნელებულ მოედანზე. მხოლოდ თავისი ხმა ესმოდა და ცხოველების გარდა ვერაფერს ხედავდა. ტიროდა. შემდეგ ტიროლის ხმამ იკლო, მიინავლა. ჩურჩულით ტიროდა და იძინებდა. მხოლოდ იმას ფიქრობდა, რომ არ შეეძლო ამ ადგილის მიტოვება.

თქვა მთხობელმა:

– საგნებმა იწყო შეცვლა. შუქი ნელ-ნელა შეეპარა უკუნს და შორეულმა ხმებმა იწყო მოსვლა ქალაქიდან და მოედნის გადაკვეთა. კაცმა გადაწყვიტა, წასულიყო და ენახა. დატოვა თავისი პატარა ცხოველები, აკლდამა და ქალაქის მიმართულებით გაუდგა გზას. კაცს ეშინოდა, რომ დაიკარგე-

ბოდა, მაგრამ მიაბიჯებდა. უთვალავი დღის შემდეგ მიაღწია მტვრიან შუკებს, საიდანაც სისხლის სუნი სცემდა. მიაბიჯებდა პატარა ქუჩებში, ტოტებდამსხვრეულ ხეთა შორის. გადაეყარა კაცს, რომელიც დანგრეული სახლის წინ იჯდა. უცხო, ყარიბმა კაცმა მას კითხვა დაუსვა და იმან თითით მიანიშნა და უთხრა, იქააო.

– მაგრამ მე არ ვიცი, როგორ წავიდეო.

იმ კაცმა ჩაახველა და თითით მიანიშნა, იქააო.

– არ ვიციო.

– არ იციო?!

– არაო.

– ეს როგორო?!

– მე ყარიბი ვარ, უცხოო.

იმ კაცს დაეტყო, რომ არ დაიჯერა, მაგრამ მის გვერდით დაადგა გზას, მასთან ერთად გადაუხვია ერთ ვიწრო ადგილას, დატოვა იქ და გაბრუნდა უკან.

იქ დაინახა. თქვა მთხობელმა, რომ კაცმა ყველაფერი დაინახა. დაინახა ერთმანეთზე დახვაცებული სხეულები, დაინახა ზღვა თავისი სიშავით და მისი შავი ტალღები, დაინახა დასიებულ-შეშუპებულ გვამებზე მტირალი ქალები, გვამებიდან კი სიკვდილის სუნი მოდიოდა.

– მაგრამ ეს რა არისო?!

– ეს შავი ქირიაო.

– საიდან, რამ გააჩინაო?!

– არ ვიციო.

– რას იზამთო?

– ქალაქს დავტოვებთო.

– საით წახვალთო?!

– არ ვიციოთო.

– როგორ წახვალთ, როგორ დატოვებთო აკლდამას?!

– არ ვიცი, არა...

– შენ დარჩებიო?!

– და შენც.

– მე?!

– და მეც.

– ისინი, ჩვენ და...

– ყველანი დავრჩებითო, – უპასუხა ხნიერმა ქალმა, რომელიც უცხო, ყარიბ კაცს მანამდე არ ენახა. ქალი გამხმარ ფოთლებზე წახრილიყო და რაღაცას ღეჭავდა.

შემდეგ დაინახა. თქვა მთხოვნელმა, რომ უცხო, ყარიბმა კაცმა დაინახა ყოველი მიმართულებით გაქცეული სხეულები და ხმამაღალი ხმები. კაცების ჯგუფის გვერდით ჩამოჯდა, რომლებიც რაღაცას ჭამდნენ, წინ რომ ედოთ მიწაზე. მათთან ერთად ჭამა და სამარხზე აუზყა მათ. უთხრა, რომ ქალები გაიქცნენ და ის მარტო დატოვეს. თქვა, შეუძლებელიაო. თქვა, წავალ და მოვძებნიო ზღვაში. თქვა, ზღვაო.

მაგრამ ისინი იქ იყვნენ. ყველანი იქ იყვნენ, ქალებიც... და დაბრუნდებოდნენ.

წავალ და დაველოდებიო, თქვა კაცმა. წავალ და სამარხს დავასუფთავებო, პატარა ცხოველებს თავიანთ ადგილებზე დავსვამო და...

– მაგრამ შენ დალლილი ხარო.

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა, რომ მოხრილობისგან ზურგი ემტვრეოდა, მაგრამ დავიხრებიო... არ შემიძლიაო. – და წავიდა.

– მაგრამ შეიცადეო...

მესამე ქალი დაინახა. თავისი შავი მოსასხამი ეცვა, გრძელ ჯოხზე იყო დაყრდნობილი და მოხრილიყო.

– შენთან ერთად წამოვალო, – თქვა ქალმა.

– არ წავალო ზღვისკენ, – უპასუხა ქალს.

– მოედანზე წავიდეთო.

– მაგრამ შენ...

ქალმა გაიცინა. მეშინოდაო, უთხრა. ის სუნი მომდინარეობა, შენს კბილებში რომ ტრიალებდაო და ვიცოდიო... მაგრამ მე დავბრუნდებიო, ჩვენ ყველანი დავბრუნდებიო მოედანზე და შენო?!

უცხო, ყარიბი კაცი მიაბიჯებდა მის გვერდით და არ ლაპარაკობდა. ხედავდა ხალხს, რომელიც წახრილიყო პატარა ქუჩების მტვრიან მიწაზე, ხედავდა ქალაქს, როგორ პატარავდებოდა და ლამეში შედიოდა. კაცი დაბრუნდა მოედანზე.

თქვა მთხოვნელმა:

– ქალაქმა ამის მსგავსი არაფერი იცოდა. ბავშვები იხოცებოდნენ, როგორც კი ზღვის სუნს შეისუნთქავდნენ. ხალხი საგონებელში იყო ჩავარდნილი, როგორ შევაკავოთო ზღვა, როგორ შევაჩეროთო სუნი...

თავიანთ შვილებს პატარა სამარხებში ფლავდნენ და კითხვებს სვამდნენ. შემდეგ კაცმა დაინახა მომავალი ქალები. ქალები უმოსასხამებოდ გარბოდნენ ზღვისკენ. ქალები ჩამოსხდნენ მარტოკები და კაცთაგან ვერავის გაებედა მიახლოება.

თქვა ქალმა, რომელსაც ჯოხი ეჭირა და მარტო დადიოდა ქუჩებში – ის კითხულობდა ზღვაში დაკარგულ ქალს და იუწყებოდა კაცზე, რომელიც აკლდამის წინ ტიროდა; ქვის ცხოველებზე, რომლებსაც მისი მოსასხამი აევსოთ.

ქალს არავინ დაუჯერა. თქვეს, რომ მას ეშინოდა. თქვეს, რომ ის მოედნიდან გაიქცა და უნდა დაბრუნებულიყო.

ქალი ცდილობდა ეთქვა, რომ მოედანი მტვრით იყო სავსე, მაგრამ ის დაბრუნდა. ყველანი დაბრუნდნენ.

თქვა მთხოვნელმა:

– უცხო, ყარიბი კაცი მარტო იჯდა. ხმები უკვე აღარ იყო ხმები. კაცი იჯდა მოედანზე და იცდიდა. ქალებს არ უმზერდა. ყურს უგდებდა ხმადაბალ ტირილს და არაფრის მიმართ ინტერესს არ გრძნობდა, თუმცა რჩებოდა ადგილზე და მთელი დღე არ იძვროდა. პატარა ქუჩების მცხოვრები ყვებოდნენ, რომ ხედავდნენ, როგორ დადიოდა ზურგში მშვილდივით მოხრილი კაცი ლამით მათ ქუჩებში. ზღვისკენ მიდიოდა და არავის სცემდა ხმას.

თქვა მთხოვნელმა:

– ქალაქმა ამის მსგავსი არაფერი იცოდა. ქალების დაბრუნების შემდეგ ქალაქის მოსახლეობას მოედნის მხრიდან წანისული უცნაური ყმული ესმოდა. ზოგი ამბობდა, რომ ამის მიზეზი ის ცხოველები იყვნენ, რომლებიც მოედნის ნაწილად იქცნენ. ზოგიც არაფერს ამბობდა, ტუჩებს იბზეკდა და არ საუბრობდა.

უცხო, ყარიბი კაცი არ საუბრობდა. ერთხელ თქვა, რომ ის ელოდა, თავის ადგილას რჩებოდა და ხმებს გარემოეცვათ იგი.

თქვა მთხოვნელმა, რომ ქალაქი შორს წავიდა, შორეული გახდა და ხმები უთვალავ კლაკნილებსა და ხვეულებში ეფლობოდა და იძირებოდა...

კაცი შორს იყო, შორს, მოედანზე... სა-

კუთარ თავზე ისე წახრილიყო, თითქოს რკალს კრავსო და მოგუდული კვნესა ამოს-დიოდა.

### 8. უცხო, ყარიბი კაცი

**ვამპობ:** მე ვარ, რომელიც ამბობს! მე ვარ, რომელიც...

მაგრამ მე აღარ მახსოვს, ეს მოედანი აღარ მახსოვს, არადა, აქ ვარ. ჩემი ზურგი უსუნო მინაზე წახრილა. ვხედავ სითეთრეს. ეს თეთრი ფერია, ჩემს თვალებში ღრმად რომ ჩადის; ეს თეთრი ფერი და ეს მოედანი... ვუცეკერ და ვხედავ ქალებს.

უცხო, ყარიბი კაცი იქ იყო. ქალებს ელაპარაკებოდა და მის ირგვლივ თავმოყრილი ქალები ყურს უგდებდნენ მას. მათი სხეულები მღელვარებით იკლაკნებოდნენ შავი, გრძელი მოსასახამების შიგნით და ქალები ისმენდნენ. სხეულები, გაუბედავი ხმა და სითეთრე თვალებში...

კაცი აქაა, უთვალავი წელია. სუნი ხელებიდან გამოდის, თითქოს ხელები ჩემად მექცა, თითქოს ხელები მე ვარო, ამბობს უცხო, ყარიბი კაცი, თითქოს მე ვარო მოედანი.

კაცმა სიტყვა წარმოთქვა და ხმები გაიგონა. დარჩა იქ, სადაც იყო ისე, რომ არ დაფიქრებულა.

თქვა, რომ ის აქ იყო. ქალები მის გარშემო იყვნენ, მის გვერდით. ისინი კითხვებს სვამდნენ და კაცი პასუხობდა.

მოედანი დიდი იყო და თეთრი. თეთრი მოედანი და მე – აქ.

და კაცმა დაინახა. დაინახა, რომ საგნები მას ახალ საჭმელად ექცა – ქვიშა, ქვის ცხოველები და ქალები. ყველაფერი შეიცვალა. თვით ტირილიც კი სხვანაირი გახდა.

ქალმა უთხრა, რომ ტირილის ხმა ნელნელა მატულობდა ქალაქიდან. კაცი ხედავ-და ცეცხლს ქალაქის კიდეებზე და ესმოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოთქმა-გოდება ავსებდა სივრცეს. უმზერდა და ხედავდა ქალებს. ყველაფერი იქით იცქირებოდა, თვით კუბოც კი! ჯოხიანმა ქალმა უთხრა, რომ კუბოდგებოდა და დადიოდა ღამით. უთხრა, რომ

ნახა ეს, ნახა მეფე, უთვალავი წლის მძინარე მეფე როგორ დგებოდა ღამით, დადიოდა მტვრიან შუკებში და ზღვიდან წამოსულ უფრო და უფრო ხმამაღალ მოთქმა-გოდებას ტირილით როგორ აყოლებდა ხმას.

ქალმა დაუჯერებელი ამბები ამცნო კაცს. უთხრა, რომ ყველანი, მკვდრები იყვნენ ყველანი და, რაც ბავშვებს ხოცავდა და მიზეზი არ ვიცოდით, ის ხოცავდა და დახოცავდა ყველას.

კაცმა გაიფიქრა, რომ სიკვდილი სურდა. გაიფიქრა, რომ მოკვდებოდა. თქვა, მინდა მოკვდეო. ქალმა უთხრა, რომ დაეცადა. უთხრა, რომ ქალებმა ტირილს თავი ანებს და რომ მან აღარ იცოდა, რომ აღარავინ დადიოდა საფლავზე, რომ აღარავინ სტუმრობდა აკლდამას იქ, სადაც უნდა მისულიყვნენ და ამიტომ აკლდამა მოდიოდა.

თქვა მთხრობელმა, რომ საგნები და ნივთები ისევ საგნები და ნივთებია, რომ ეს მოხდა ათასი წლის წინათ და მოხდება ათასი წლის შემდეგ. მთხრობელი იცინოდა, ხმამაღლა ხარხარებდა, სახეზე ჩამოცვენილი ტოტების გამომეტყველება აღბეჭდოდა, მაგრამ იცინოდა. თქვა, რომ ქალები...

პირველმა ქალმა, რომელსაც ჯოხი ეჭირა, თქვა, რომ ქალებმა, რომ ქალაქმა, რომ მეფემ, რომ უცხო, ყარიბმა კაცმა... თქვა, რომ მათ არ იცოდნენ, მაგრამ მეც არ ვიცოდი. ეს აქამდე არ მომხდარა. არ მომხდარა, რომ ყველა წასულიყო და მარტო ერთი ქალი დარჩენილიყო.

უცხო, ყარიბმა კაცმა დაინახა საკუთარი თავი მარტო და მიმავალი ქალები. ამჯერად არ წავალო და დავაპრუნებო ქალებს აქ. დავტოვებო ქალაქს.

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა, რომ ის წავიდოდა აქედან. თქვა, შევკრავო ჩემს ჩანთებს, მაგრამ გაახსენდა, ახლადა გაახსენდა დაგლეჯილი აბგა ქვიშაში, დაკარგული ასოები და გალავნები, რომელთა კარიბჭებიც სად იყო, არ ვიცოდი; ზღვა, შავი მოსასხამებით სავსე.

ჩამოჯდა მარტო. ქალაქი იყო ქალაქი. უკარიბჭო ქალაქი, რომლის შიდა პატარა ქუჩებიდან ხმები ვრცელდებოდა. შუკები სავსე იყო ქალებით და კაცებით, რომლე-

ბიც მტვრიანი სახლებიდან გამოდიოდნენ და მიდიოდნენ. გუნდ-გუნდად მომავალმა ხალხმა იმატა. ზოგი ზღვისკენ მიდიოდა და ალარ ბრუნდებოდა. ზოგიც შორ ადგილას მიდიოდა, დამყაყებული წყლით სავსე უნა-ყოფო მიწაზე მიაბიჯებდა.

ქალები მიდიოდნენ. ხმები, რომლებსაც მოედანი აევსოთ, ტოვებდნენ მას, არსაით მიმავალნი. კაცი მარტო იჯდა, იცოდა და თავის არიდებას ცდილობდა.

თქვა, ვეცდებიო; თქვა, წასვლა მინდაო. არ დავრჩებიო მოედანზე, არა...

წამოდგა კაცი, მის გვერდით დარჩენილ ერთადერთ ქალს მხარზე დაეყრდნო.

ყველამ დამტოვაო, თქვა ქალმა. მინდო-და, მინდოდა დავრჩენილიყავი. რატომ არ რჩებიო ჩემთან?!

კაცმა უთხრა ქალს, წავიდეთ და ვნახო-თო.

წასვლას აზრი არა აქვსო, უთხრა ქალ-მა. მე ყველაფერი ვნახეო, მე უნდა დავ-რჩეო და შენც უნდა დარჩეო ჩემ გვერდით. სხვა ადგილს ვერ ვპოვებთო საფლავის სა-ტირლად; სხვა ქალაქს ვერ ვიპოვითო; ვერც მე ვიპოვიო სხვა კაცს.

ქალი კაცს გვერდით ამოუდგა. ხმა ჰქონდა სუსტი და ნაზი. დედათა მსგავსიაო ეს ქალი, გაიფიქრა კაცმა. უეცრად იგრძნო, სხეული ტირილით უკან კალებდა. გაახსენ-და ხელი და შუბლი, გაახსენდა სახე, რომე-ლიც სხეულს უფარავდა და ხმა, რომელიც ისეთ სახელებს ეძახდა, მას რომ აღარ ახ-სოვდა.

ქალს ხელი ჩაჰკიდა და ორივე დაჯდა. იყვნენ ასე მარტონი მრავალი ხმით აღსავ-სე მოედანზე. ორივე მდუმარედ, წყნარად ტიროდა.

ქალმა თქვა: რატომო?!

არ ვიციო, მიუგო კაცმა.

ქალი დადუმდა. გაჩუმდა კაციც.

ქალმა კაცს შეხედა და ჰკითხა, რატომ არ დაიძინა მასთან იმ დამით. ლაპარაკობ-და მთვარიან ღამეზე, ხეებსა და ბალაზე, მუხლებს რომ უფარავდა. ლაპარაკობდა განვლილ სიყვარულზე, ოცნებაზე... უთხრა კაცს, რომ დატოვებდა მოედანს მასთან ერ-თად.

იციო, – უთხრა კაცს, – თანახმა რომ ყოფილიყავი, წავიდოდითო შორს, დავსახ-ლდებოდითო პატარა სახლში ზღვის ნაპი-რას. მაგრამ შენ უარს იყავიო და თვალები დანისლული გქონდაო, რაღაცაზე ფიქრობ-დიო, ჩემთვის უცნობ რამეზეო.

კაცმა უთხრა, რომ არ ახსოვდა, ქალს მისთვის ასეთი რამეები ეთხოვოს. მოვედი და ქალები იყვნენო, არ მომისმენიაო ასეთი სიტყვები უწინ. მე ქალს ვეძებდიო და შენ არ ყოფილხარო მათთან. მე შენ არ მახსოვ-ხარო, უთხრა კაცმა.

ქალმა ბევრი ილაპარაკა. თქვა, რომ ის იცდიდა. შენ გელოდიო, უთხრა კაცს. დარ-წმუნებული ვიყავიო, რომ მოხვიდოდიო. მარტო მოხვედიო და რას აკეთებს მარტო-ხელა კაცი მოედანზე, ტირილს რომ აუვ-სია?! – მოდის ჩემთან, მივყავარ და მივდი-ვართ. მაგრამ შენ არ მოსულხარო. რომ მო-სულიყავი, მხოლოდ რომ მოსულიყავი, იქ დავსახლდებოდითო და ჩვენი შვილები აავ-სებდნენო ზღვას. წავიდოდითო მოედანს მიღმა, ვიცხოვრებდითო, როგორც ცხოვ-რობენ სხვები, მაგრამ შენ, არ ვიციო, არ მესმისო, ვეცადე, მაგრამ ვერ გავიგეო, არ გამეგებაო, რას აკეთებდიო და რატომ?..

კაცმა თავი ჩაქინდრა და უთხრა, რომ მზად იყო, წასულიყო მასთან ერთად ქა-ლაქში.

ახლაო, – უთხრა ქალმა, – ახლა დამ-თავრებულიაო ყველაფერი და უკვე აღარ-ფერი შეგვიძლიაო.

ასეა თუ ისე, მაინც ყველაფერი დამ-თავრდებოდაო, – მიუგო კაცმა. – ჩვენი შვილები ისევე დაიხოცებოდნენ, როგორც ყველა ბავშვი კვდებაო ახლა და ვიქნებო-დით მარტონი, როგორც ახლა ვართო.

კაცმა თქვა, რომ მას არ სჯეროდა ამ ამ-ბის, მაგრამ მოდი, დავუშვათ, რომ ის მარ-თალიაო; რომ მე თანახმა ვიყავი და ჩვენ წავედითო. რა შეიცვლებოდაო?! დავსხე-ბოდით ზღვასთან და მოვიცდიდითო; მივი-დოდით საფლავთან და მოვიცდიდითო; შვილებს გავაჩინდით და მოვიცდიდითო; შემდეგ დაიხოცებოდნენ შვილები და დავი-ხოცებოდითო ჩვენც.

კაცმა გაიცინა და წამოდგა. ქალიც ად-

გა. კაცი ქალს მხარზე დაეყრდნო და წავიდნენ ერთად. მიაღწიეს მტვრიან სახლს. გამოვარდა ქალაქის სუნი. ქალაქი სავსე იყო ხალხის მიერ დაფლული გვამებით. გაიგონეს ზღვის ხმა და ის ეკლებზე გარიყულიყო.

ისხდნენ მარტოკები მტვრიან კიდეზე. გუნდ-გუნდად ჩამვლელი ხალხი უფრო და უფრო მატულობდა – შავმოსასხმამიანი ქალები, სახედახრილი კაცები. კაცის გვერდზე მჯდარი ქალი ეკითხებოდა მათ, საით მიდიხართო და ხალხი პასუხს არ აძლევდა.

– საითო?

ქალმა უთხრა, იქითო და ხელით შორეთზე მიანიშნა.

– ვის ვუტოვებთო ქალაქს?

– ქალაქს – არავისო, – უპასუხა კაცმა.

შორს კონტურებმა იწყო გამოკვეთა. ახალგაზრდა კაცი იყო. პატარად ჩანდა. ზურგზე გაბერილი ტყავის აბგა მოეკიდებინა, აქეთ-იქით იყურებოდა. კითხვებს სვამდა და არავინ ეპასუხებოდა. წინ მოდიოდა და არკი იცოდა, საით. თვალები აცაბაცა გაურბოდა, შორს იყურებოდა და ვერ ხედავდა.

თითქოს ვერ უნდა ხედავდესო, თქვა ქალის გვერდით მჯდარმა უცხო, ყარიბმა კაცმა.

ის მართლა ვერ ხედავსო, თქვა ქალმა.

ის ახალგაზრდა კაცი დაწინაურდა, ქალს და უცხო, ყარიბ კაცს წინ გაუჩერდა. ცოტათი შეყოყმანდა და შემდეგ მოედნის შესახებ იკითხა. ქალის გვერდით მჯდარ უცხო, ყარიბ კაცს მიუახლოვდა და გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა.

– კი მაგრამ, შენ ქალთან ერთად ზიხარ, არადა, მარტო უნდა იყო. ქალმა მითხრა, რომ შენ გალავნის წინ შეგხვდა; მითხრა, რომ მარტო იყავი და გზა მიჩვენა.

ახალგაზრდა კაცი თავის ამბავს მოყვა.

კაცი და ქალი ყურს უგდებდნენ, როგორ უკანკალებდა ხმა.

– მაგრამ შენ... – გააწყვეტინა უცხო, ყარიბმა კაცმა.

– მე შევიტყვე, რომ სენი იყო მოდებული და შენს მოსაძებნად მოვედი. ეგებ შევძლოთ და გავიქცეთ აქედან. ეგებ...

– გვიან მოხვედიო, – უთხრა უცხო, ყარიბმა კაცმა. უთხრა, რომ ეს ახლა უკვე შეუძლებელი იყო.

ახალგაზრდა კაცმა უთხრა, რომ მისი წაყვანა სურდა. მე ვეძებო ბავშვს, რომელიც აქ დაიკარგა. ეს ბავშვი აქ შორი ადგილიდან მოვიდაო. მე ყველაფრისთვის მზად ვარო...

– არაფრისთვისაც არ ვარო მზად, – უთხრა უცხო, ყარიბმა კაცმა. – ყველაფერმა ჩაიარა.

ქალმა თქვა, მოდი, წავიდეთო აქედან.

ახალგაზრდა კაცმა გვითხრა, რომ ჩვენთან ერთად მოვა. მე კი ვუთხარი, არა-მეთქი, ვუთხარი, რომ დაბრუნებულიყო, საიდანაც მოვიდა.

– არ შემიძლია, – მიპასუხა. – არ ვიციო, როგორ ვქნა ეს.

– ხალხთან ერთად წადი-მეთქი, – ვუთხარი.

– ისინი მე არ მიცნობენ, არ მელაპარაკებიან და პასუხს არ მცემენ. სხედან ასე ან მიდიან ასე. დავინახე, გალავანს ბრმებივით უვლიდნენ გარს. მე მათ შენზე ვეკითხებოდი, მაგრამ არ მპასუხობდნენ. ვერაფერი გავიგე. ქალის მოთქმა-ყვირილით მივხვდი, ის ცეცხლზე ლაპარაკობდა. სად არის-მეთქი ცეცხლი?! მე ცეცხლს ვერ ვხედავ.

ჩვენ ვისხედით და ის გვერდით მოგვიჯდა.

ვუთხარი მას, რომ აქამდე უნდა მოსულიყო. აქამდე შემეძლო, დაგხმარებოდიო, თქვა უცხო, ყარიბმა კაცმა.

საუბარი ორ კაცს შორის მიმდინარეობდა, ქალი მიწას დაჰყურებდა და მძიმედ იხრავდა.

– წამოდით, წავიდეთო, – თქვა ქალმა და წამოდგა.

– წამოდით, წავიდეთო იქ, სადაც ზღვაა.

– ზღვისკენ არაო, – თქვა უცხო, ყარიბმა კაცმა.

– მე შენთან ერთად მოვდივარო, – თქვა მეორე კაცმა. ეგებ იქ ვპოვოთო რამე.

წავიდნენ. დარჩა უცხო, ყარიბი კაცი მარტო. გამვლელთა სახეებს მისჩერებოდა. ხედავდა გუნდ-გუნდად მიმავლებს. ისინი ქალაქიდან გაქცევას ლამობდნენ მათთვის

უცნობ, უხილავ ადგილას.

კაცი წამოდგა და კითხვა დასვა.

კაცი კითხულობდა, ქალი კითხულობდა, ყველანი კითხულობდნენ და პასუხს ვერ იღებდნენ. კაცმა თავზე ხელები შემოიწყო და წავიდა ქალისა და იმ დაგვიანებით მოსული კაცის საძებრად.

აქამდე რომ მოსულიყო, – ფიქრობდა უცხო, ყარიბი კაცი, – უდაოდ ნახავდა თავიანთი სასახლების წინ მდგარ ქალებს, ისეთ ადგილებში შევიდოდაო, რომ არც კი უოცნებიაო. აქამდე რომ მოსულიყო... მაგრამ ის აქა და მე არ შემიძლია... ვეცა-დე, რომ მეთქვა მათვის, რომ არ გვმართებდა ტირილი, რომ კარიბჭეები უნდა გვეპოვა... მაგრამ... სინამდვილეში მე არაფერი მითქვამს. მინდოდა, რომ მეთქვა, მაგრამ... არა, ახლა მინდა, რომ ვთქვა... ახლა, როცა ყველაფერი უკვე მოხდა, ვფიქრობ, რომ მინდოდა მეთქვა, ან უნდა მეთქვა... ახლა მინდა, რომ იქ ვიყო, რათა ვთქვა... მაგრამ მე იქ არ ვარ და არც არაფერს ვამბობ.

მიდიოდა უცხო, ყარიბი კაცი, მიდიოდა. უთვალავი დღე იარა და იარა. გზები გზებს შობდა და მტვერი – მტვერს, ის კი მიდიოდა. ქუჩებს ქუჩებთან მიჰყავდა და შუკები შუკებით მთავრდებოდა, ის კი მიდიოდა.

მიდიოდა და კითხულობდა ქალს, რომელიც კაცთან ერთად წავიდა ზღვისკენ. კვამლი ვრცელდებოდა. დაინახა ქუჩის განაპირა კიდეზე მჯდარი კაცი და კითხვა დაუსვა მას. ქუჩის განაპირა მჯდარი კაცი მარტო იყო, მოხრილიყო, თავი ხელებში ჩა-ერგო და ჭალარა უფარავდა თავსა და ხელებს. მიუახლოვდა მას და კითხვა დაუსვა. კაცმა თავი მაღლა ასწია და შორეთისკენ მიუთითა.

– ყველანი იქ არიან. კვამლს ვერ ხედავ?! ეს ხომ ცეცხლია. ყველაფერს ცეცხლი უკიდიაო.

უცხო, ყარიბმა კაცმა დატოვა ის და წავიდა, მაგრამ კაცი წამოდგა და გვერდით გაჰყვა. იარეს ერთად. ის კაცი ეუბნებოდა ისეთ სიტყვებს, რაც უცხო, ყარიბ კაცს გაახსენდა, რომ ადრე მოესმინა. თითქოს ის სადღაც შორიდან მოვიდაო მის მეხსიერებაში.

– მაგრამ შენ...

– მაგრამ მე...

– არა, მე შენ არ გიცნობ.

– არც მე გიცნობ.

– მაგრამ... რა ხდება?!

– არ ვიცი... და შენ?

– მე კითხვას ვსვამ.

უცხო, ყარიბმა კაცმა დატოვა ის და წავიდა. კვამლისკენ იყურებოდა. შემდეგ ცეცხლმა იწყო გავრცელება. ალი უტევდა სახლებს, კარიბჭეებსა და სახეებს. ცეცხლი იყო ცისფერი და ყვითელი და ფერები ალმოდებულ თვალებში გიზგიზებდა.

უცხო, ყარიბმა კაცმა თქვა, რომ მარტო მოკვდებოდა. თქვა, გაიხედა და დაინახა, ცეცხლი ნთქავდა ყველას. შენიშნა ქალი, კაცი, თვალი მოჰკრა ქალებს. ყველანი ალისფერ ცისფრად გადაფერადებულიყვნენ, თვალებს რომ მოსდებოდა.

თქვა, რომ მოკვდებოდა. გაიგონა სიკვდილის ყვირილი. ხალხი ყვიროდა. შემდეგ ყვირილი წამით მიწყნარდა, სანამ კვლავ განმეორდებოდა.

მოტრიალდა და დაინახა, მისი სამოსელი ამ ფერებში ბრიალებდა. საკუთარი თავი დაინახა, შორს, შორს იძირებოდა. დაინახა, მოედანზე იყო და მოედანი აალებულიყო. დაინახა, შუკებში იყო და შუკებს ცეცხლი ეკიდა. დაინახა, გალავნის წინ იყო და გალავანს ცეცხლი მოსდებოდა. ყველაფერი – ქალები, კუბო, აკლდამა, სახლები, ყველაფერი, თვით ზღვაც კი, ზღვაც ალისფერ ცისფრად გადაფერადებულიყო. ეს ცეცხლის ფერიაო. ეს ცეცხლიაო, ეს მე ვარო, მაგრამ ახლა ხმები ალარ მესმისო. ეს მე ვარო...

უცხო, ყარიბი კაცი დაწინაურდა. ხალხი ცეცხლნაკიდებული ტყეები იყო, ერთმანეთს უახლოვდებოდნენ და ერთიმეორის მიყოლებით ეცემოდნენ. ეს ის სუნი იყო – იმ მოედნის სუნი, სადაც მეფე იყო. წყლით მიმქრალი ძველი ნაკვერჩლის სუნი, დამყაყებული წყალი რომ ფარავდა და ერტყმოდა გარს.


თქვა მთხოობელმა:

– შემდეგ მოვიდა ზღვა. ზღვამ შთანთქა ცეცხლი და გავრცელდა ქალაქზე. ზღვამ

გადაყლაპა გალავანი და კარიბჭეებს ზედ შემოადგა. ერთიმეორის მიყოლებით დაეცნენ კარიბჭენი და დანაწევრებულ გვამთა ნაშთები დატივტივებდნენ ცისფერ ზედა-პირზე და მუქ გუმბათებზე. ყველაფერი

ტივტივებდა. აღარაფერი დარჩენილიყო ქალაქიდან, მტირალი ხმების გარდა, თევზთა შიგნეულიდან რომ გამოდიოდა და ადიოდა მაღლა, სადაც ის არავის ესმოდა.

არაბულიდან თარგმნა  
დარეჯან გარდავაძემ



თურქული ლიტერატურა



## აიშე ქულინი (დაიბ. 1941 წ.)

თანამედროვე თურქი მწერალი – აიშე ქულინი ცნობილია, როგორც რომანისტი, ნოველისტი და პუბლიცისტი. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალსა და გაზეთში რედაქტორად. მისი ნანარმოებების საფუძველზე შეიქმნა არაერთი სატელევიზიო თუ სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარი. აიშე ქულინი დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც თურქეთში, ასევე – უცხოეთში; მისი რომანები და ხოველები თარგმნილია მრავალ ენაზე. არის რამდენიმე ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული. აიშე ქულინი იმ სამ მწერალს შორის დასახელდა, რომელთა ნანარმოებებს ყველაზე მეტი მკითხველი ჰყავს თურქეთში.

### ვიტრინაში

ოცი დღეა, ერთ ადგილზე დგას გრძელ-ფეხება ლამაზი გოგო. წითელფრჩხილებიანი, თეთრი, თხელი თითები ისე უჭირავს, თითქოს ბერეტის გასწორებას აპირებსო. მოდური ბოლოკაბა და კაბის ფერთან შეხა-მებული სვიტერი აცვია. ხშირი, ტალღოვა-ნი თმები და გრძელი წამნამები რაღაც იდუმალ იერს ანიჭებს მის ნაზ, სათნო სახეს. ოც წელზე მეტისა არ იქნება.

რამდენიმე დღეა, სიცივე შეიგრძნო; შიშველი კიდურები ეყინება. პირველად შეამჩნია ადამიანთა მზერა; ჯერ დაბალი, მსუქანი, მუწუკებიანი გოგო მიუახლოვდა ვიტრინას: „ეს სამოსი ნამდვილი ადამიანის მსგავს მანეკენებს მაინც ჩააცვან; ვიტრინაში რომ ხედავ, მოგწონს, კარგი საქონელი გგონია; ჩაიცვამ და არაფრად ვარგა.“ – გადაულაპარაკა გვერდით მდგომ მეგობარს.

მანეკენი მიხვდა, რომ შეუხედავ გოგო-ნას მისი სილამაზი შეშურდა, ჯავრი ტან-საცმელზე ამოიყარა.

გაუნძრევლად დგომა მოსაბეზრებელი იქნებოდა, რომ არა ვიტრინის ნინ გამ-ვლელ-გამომვლელი ადამიანები. თუმცა მათი საუბრის მოსმენა ზოგჯერ ძალზე უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა გო-გონას. ერთ დამეს ვიტრინასთან რამდენიმე მთვრალი კაცი გაჩერდა; ისეთი ბილნი სიცყვების კორიანტელი დააყენეს, რომ შესძლებოდა, ყურებზე ხელებს აიფარებდა. ერთი მათგანი წამოწვა, კაბის ქვეშ შეხედა მანეკენს. ამ დროს მსუბუქი ყოფაქცევის

ქალმა გამოიარა: ვიტრინაში მყოფი არ გამოგადგება, მოდი, ჩემი კაბის ქვეს შემოიხედეო, – მიმართა მამაკაცს.

გოგონას დაღამების ეშინოდა, ცუდ ხა-სიათზე დგებოდა: ღამით ქუჩაში უმეტესად მთვრალები და მანანალები დაეხეტებოდნენ; ის კი, უნებურად, ბევრი უსიამოვნო ფაქტის მომსწრე ხდებოდა.

ერთ დღეს რაღაც უჩვეულო გრძნობა დაეუფლა მანეკენს. მის გვერდით სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა კაცი იდგა. ვა-ჟისგან წამოსული სითბო ცეცხლის ალივით ელამუნებოდა გოგონას. კაცს ლურჯი პიჯაკი და ნაცრისფერი შარვალი ეცვა. მარტხენა ხელით ტუჩებს შორის მოთავსებული ჩიბუხი ეჭირა, მარჯვენა ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი. ამ ახალგაზრდა მანეკენების წინ ორი პატარა ბავშვი იდგა; ერთი შეხედვით, ოჯახის შთაბეჭდილება იქმნებოდა.

ერთხელ, ზაფხულში, საცურაო კოსტიუმში დაინახა; ვაჟის ფართო ბეჭებითა და დაკუნთული სხეულით მოიხიბლა. ეს გრძნობა სრულიად ახალი, ამოუცნობი რამიყო მისთვის. უცნაური იყო სიცივის შეგრძნება, ფიქრის უნარი, არასასიამოვნო საუბრის მოსმენისას უხერხულობის განცდა; ახალგაზრდა კაცის მიმართ ლტოლვა და მის სიახლოვეს ყოფნით გამოწვეული სიხარული. გოგონამ კარგად იცოდა, რომ ლაპარაკი, ფიქრი, დარდი და სიხარული ეკრძალებოდა; მანეკენებს მხოლოდ ერთი რამის უფლება ჰქონდათ: შეეძლოთ, მთელი

დღე ეყურებინათ გამვლელ-გამომვლელ-თათვის, ოლონდ ისე, რომ თვალი არ დაეხამხამებინათ.

გოგონას ეშინოდა, არ დაესაჯათ, რადგან ფიქრი და მგრძნობელობა მათვის დაწესებული ნორმების დარღვევას ნიშნავდა.

რევოლუცია წლების წინ მოხდა; ის ჯერ დაბადებულიც არ იქნებოდა. ხელისუფლების სათავეში ფორმიანი ადამიანები მოვიდნენ; გადაწყვიტეს, ქვეყანა განვითარების სწორ გზაზე დაეყენებინათ. ბევრი რამ აკრძალეს: პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები, ზოგიერთი ფერი, წიგნი, სურათი, სიმღერა, წვერ-ულვაშის ტარება. ყველა ეს აკრძალვა ხალხის საკეთილდღეოდ იყო მიმართული. ყოველ წელს ახალ-ახალი აკრძალვები შედიოდა ძალაში; ბოლოს ლაპარაკი, ფიქრი, სიხარული და მწუხარებაც აიკრძალა. ადამიანების უფლებასა და მოვალეობას ფორმიანთა მიერ შედგენილი წიგნი განსაზღვრავდა; მალე წიგნის სიწმინდეზეც გავრცელდა ჭორი. როცა საქმე სიწმინდეს ეხება, ყველას ეშინია; ვინც წიგნით განსაზღვრულ წესებს დაარღვევდა, მეტად ისჯებოდა. მერე გარკვეული სივრცე მინის ბარიერით შემოსაზღვრეს და მას „სამყარო“ დაარქვეს. ამ სამყაროში მყოფთ არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ვინც მოახერხებდა და მინის გარეთ გავიდოდა, ხიფათითა და ბოროტებით სავსე რეალობაში აღმოჩნდებოდა; ბოლოს ნანობდა; ზოგი მათგანი უკანაც ბრუნდებოდა.

მანეკენმა გოგონამ იცოდა, კანონს ენინააღმდეგებოდა, მაგრამ ფიქრს ვერა-ფერს უხერხებდა; გრძნობას ვერ იმორჩილებდა.

ერთ დღეს მისი ყურადღება ორმა ახალგაზრდა ქალმა მიიქცა:

– ერთი, ამ მანეკენ ბიჭს შეხედე! ნეტავ რეალურად თუ არსებობენ ასეთი მამაკაცები?! – თქვა ერთმა.

– ასეთები მხოლოდ ვიტრინაში არიან. სრულყოფილება უტოპია; კაცს თვალები თუ ლამაზი აქვს, კბილები არ უვარგა; თუ მაღალია, თმა აქვს გაცვენილი; გარეგნულად თუ უნაკლოა, ჭკუასუსტია.

ქალები წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ

ჩამობნელდა, ქუჩები დაცარიელდა. მხოლოდ გასართობი ადგილებიდან გამოსულები დადიოდნენ კანტიკუნტად; ერთი ლიპიანი მზარეული გაჩერდა ვიტრინის წინ; ნეტავ ვისზე შეჩერდა მისი მზერა? ბავშვებს უყურებდა, კარგად ჩაცმულ ახალგაზრდა კაცს, თუ გრძელფეხება ლამაზ გოგოს?! ან იქნებ ასეთი მშვიდი ოჯახური იდილია ენატრებოდა?! ვინ იცის!...

კაცი ნალვლიანად გაშორდა ვიტრინას და გზა გააგრძელა. მანეკენმა გოგონამ თვალი გააყოლა ღამის სიბრუნვეში მიმავალს; უცებ გვერდით მყოფი ვაჟის ხმა შემოესმა:

– ძალიან მოგეწონა ის კაცი?

გოგონა შეცბა, ვერაფერი უპასუხა.

– რა ხანია, თვალს გადევნებ. გსიამოვნებს, მამაკაცები რომ გიყურებენ.

– მერე, შენ რა! მითვალთვალებ?!?

– დიახ; თანაც, უკვე დიდი ხანია. მგონი, უნდა გრძნობდე, რადგან არაერთხელ დავიჭირე შენი იდუმალი მზერა. სულ შენზე ვიფიქრობ; ერთხელ საწყობში გადამიყვანეს; გული გამისკდა, მეგონა, შენგან შორს, სხვა ვიტრინაში მომათავსებდნენ; მერე ტანსაცმელი გამომიცვალეს და ისევ აქ დამაბრუნეს. ვერ წარმოიდგენ, როგორ გამიხარდა.

– ჩუმად, ბავშვებმა არ გაიგონონ. ხომ იცი, ლაპარაკი აკრძალული გვაქვს.

– ნუ გეშინია, ისინი ჯერ პატარები არიან, ვერაფერს მიხვდებიან.

– სხვები გაიგონებენ ...

– გაიგონონ, აუცილებლად უნდა გითხრა სათქმელი. ჩემი შენდამი სიყვარული გასულ ზაფხულს დაინყო. მაშინ ყვითელი თმები გქონდა. ძალიან გიხდებოდა.

– ნეტავ შეგვეძლოს თმის ფერისა და ვარცხნილობის არჩევა. იმ ქვეყანასთან, სა-დაც ყვითელმიზანი ქალები ცხოვრობენ, ევროპელებს პრობლემები ჰქონიათ. ამიტომ ყველას ყავისფრად შეგვიღებეს თმები. გასულ ზაფხულს ულვაშები გქონდა. გიხდებოდა.

– მომპარსეს, წვერ-ულვაშის ტარება კანონით აკრძალულა. ულვაშს შეველევი, მთავარია, ფიქრი არ აგვიკრძალონ.

– გაჩუმდი, ვინმემ რომ გაიგონოს, და-

ვიღუპებით; ხომ იცი, ჩვენს სამყაროში ლაპარაკი აკრძალულია.

— მაგრამ მაინც ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ... შენ როდის დაიწყე ფიქრი?

— მე ჯერ ფეხის სიცივე შევიგრძენი...

— არა, მე თვალს გადევნებდი; შენ ჯერ იმ მთვრალი კაცების მზერაში მიმალულმა სურვილმა აგაფორიაქა.

— ეჭვიანი ყოფილხარ...

— ხელი გამომინოდე, მინდა შეგეხო.

— არ შემიძლია. ხომ იცი, ადგილიდან ვერ ვიძვრი.

— უნდა შეძლო. თუ მოინდომებ, აუცილებლად შეძლებ. რადგან ფიქრი დავიწყეთ...

კაცმა სათქმელი ვერ დაამთავრა, ვიტრინას ვიღაც მიუახლოვდა.

ნელ-ნელა ჩამობნელდა; ქუჩაში ბევრი ხალხი აღარ დადიოდა. „ნეტავ ეს ბავშვები არ იყვნენ ჩვენთან ერთად; მარტო დავრჩებოდით“, — გაიფიქრა ვაჟმა. ოცი დღე იყო, რაც ბავშვებთან ერთად ოჯახურ გარემოში ცხოვრობდა, თავს ბედნიერად გრძნობდა. წარმოიდგინა, რომ ერთ დღეს შეიძლებოდა ოჯახური მყუდროება დარღვეულიყო; ცუდ ხასიათზე დადგა. ზამთრის სეზონზე გადასავლელად ვიტრინები ხელახლა მოეწყობა. ვინ იცის, სად მიუჩენენ ადგილს თითოეულ მათგანს. გოგონას გადახედა. ის, როგორც ყოველთვის, გაუნძრევლად იდგა ერთი ნაბიჯის მოშორებით. გაყინულ სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა. მხოლოდ მას შეეძლო გოგონას თვალებში არსებული სევდის დანახვა.

— რამდენიმე დღეში, ალბათ, დაგვაშორებენ. ეს არ უნდა დავუშვათ, — თქვა ვაჟმა.

— შეიძლება, ისევ ერთმანეთის გვერდით მოვხვდეთ. იმედს ნუ დაკარგავ.

— რომ არ მოვხვდეთ?!..

— ჩვენ მაინც ვერაფერს შეცვლით.

— თუ ძალიან მოვინდომებთ, შეცვლით.

— როგორ მოვიქცეთ?

— უნდა გავიქცეთ!

— გაგიჟდი?! იცი, როგორი ცხოვრებაა

ვიტრინის მიღმა? შეიძლება, აქ უფრო ბედნიერები ვართ. ჩვენს უსაფრთხოებაზე სხვები ზრუნავენ.

— მე აზროვნება დავიწყე, აქ ვეღარ გავჩერდები; ამ სამყაროდან უნდა წავიდე. მინდა, წამდვილი ცხოვრებით ვიცხოვრო. წამოხვალ ჩემთან ერთად?

— ნუ გავიქცევით. ვთხოვოთ, იქნებ გაგვიშვან.

— არ გაგვიშვებენ. მაშინ, როცა ფიქრი, ლაპარაკი, სიხარული გვეკრძალება, წასვლის უფლებას მოგვცემენ?! ძალიან გთხოვ, წამომყევი; სულ უფრო ცოტა დრო გვრჩება. უნდა ვიჩქაროთ. ვიდრე დაგვაშორებენ, უნდა წავიდეთ.

გოგონას გადაწყვეტილების მიღება უჭირდა. გვერდით ვიტრინაში მყოფი მანეკენების ასაკოვან წყვილს გადახედა. მათ თვალებში მუდარა იყითხებოდა. თითქოს ეუბნებოდნენ: არ გინდათ, ჩვენც იგივე შეცდომა დავუშვით. წავედით, აქეთ-იქით ვიხეტიალეთ; ბოლოს ქურქების გამყიდველის დუქანში ამოვყავით თავი; თანაც უკანა ვიტრინაში მოგვათავსეს. ტყუილად მიდიხართ, მინის გარეთა სამყარო შიდაზე უკეთესი არ არის.

— ნუ გავიქცევით, ჩვენი მცდელობა ცუდად დამთავრდება. დაგვიჭერენ და საწყობში მიგვაგდებენ; რაც გვაქვს, იმას დავჯერდეთ.

— მე გადავწყვიტე, მივდივარ. შენ თუ გინდა, დარჩი. მე მინის გარეთ გასვლა, თავისუფლად სუნთქვა, სირბილი, ყვირილი, სიმღერა, სიყვარული მინდა; მზად ვარ, შეცდომა დავუშვა, დანაშაული ჩავიდინო, ოღონდ აქედან გავიდე. დრო აღარ გვაქვს. მოდიხარ?

— თმებს ყვითლად შევიღებავ, რაც მომინდება, იმას ჩავიცვამ; შეიძლება, ოჯახიც შევქმნა და შვილები მეყოლოს.

ინათა. ქალაქმა გამოღვიძება დაიწყო. მანეკენებს დარდი შემოაწვათ გულზე. მინის სამყარო ფიქრის ვირუსმა მოიცვა.

ახალგაზრდა კაცმა ჩიბუხი ძირს დადო, გოგონას ხელი გაუწოდა. კაცის ხელი თბილი, სიცოცხლით სავსე იყო; გოგონას შიშმა გაუარა, გაიხარა.

— აქედან რომ გავალთ, რის გაკეთებას აპირებ?

— პირველ რიგში, წვერ-ულვაშს მოვუშ-

ვებ; სურათს გადავიღებ. მერე უნივერსიტეტში ჩავაბარებ.

გვერდით ვიტრინაში მყოფმა ასაკოვანმა წყვილმა კარგად იცოდა, რაოდენ უაზრო იყო მინის სამყაროდან წასვლა და

რეალურ ცხოვრებაში ჩართვა. ისინი სიყვარულითა და თანაგრძნობით უმზერდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც მზად იყვნენ, მინის სამყაროსთვის თავი დაელწიათ და ახალი ცხოვრება დაეწყოთ.

## პარი

ბარში ოფიციანტი ალი შემოვიდა, ხელში ყვავილის ქოთანი ეჭირა. ცოტა ხანს შეჩერდა, დარბაზს თვალი მოავლო, მერე ფანჯარასთან მივიდა და ყვავილი რაფაზე მოათავსა. დარბაზი თითქმის ცარიელი იყო; მხოლოდ რამდენიმე კაცი იჯდა მაგიდასთან. ოფიციანტის შეგირდი სუფთა ჭიქებით სავსე სინით ფრთხილად დადიოდა მაგიდებს შორის.

— ტყუილად წვალობ, ეგ ყვავილი სიგარეტის კვამლს ვერ გაუძლებს; ორ დღეში გახმება.

— ჩვენ ხომ ვუძლებთ! — მიუგო ოფიციანტმა.

— ჩვენ ყვავილები არ ვართ, ძმაო.

— პიანინოს თავზე რომ ყვავილია, ხომ ხედავ, რამდენი ხანია, ამ დარბაზში თავს მშვენივრად გრძნობს.

— ეგ საოცრად გამძლე გამოდგა.

— ვფიქრობ, ადგილი მოეწონა.

— რადგან ასეა, ეგ ახალიც მის გვერდით დადგი.

რეპანს გაუხარდა. რაც არ უნდა იყოს, მარტობას მეგობრის გვერდით ყოფნა სჯობსო, გაიფიქრა და თვალი იელისკენ გააპარა. პიანინოს თავზე მოკალათებული იელი მუქი ვარდისფერი ყვავილებით გადაპენტილიყო.

საღამოს, ექვსი საათის შემდეგ, ბარში ხალხმრავლობა დაიწყო. პირველი შემომსვლელები იქვე, კარებთან ახლოს შემოუხდნენ მაგიდას. ყველანი ახალგაზრდები იყვნენ. მამაკაცებს წვერი ჰქონდათ მოშვებული. გოგონებს განენილი, დაუვარცხნელი თმები მხრებამდე ჩამოეშალათ. არაყს სვამდნენ და ხმამაღლა საუბრობდნენ.

მათგან ცოტა მოშორებით რამდენიმე ქალი მიუჯდა მაგიდას; ზოგს ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი შარვალი ეცვა, ზოგს პირი-

ქით — ტოტებგანიერი, ფართხუნა. თმა ყველას ერთნაირად ჰქონდა დავარცხნილი. გრძელი, ლაქით შეღებილი ფრჩხილები კიდევ უფრო ამშვენებდა მათ თეთრ, ლამაზ თითებს. მშვილდივით მოზიდული წარბებითა და ტუჩების ფორმით ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, გეგონებოდათ, ერთი და იმავე მხატვრის ხელით დახატული პორტრეტებიაო. მეგობართა ეს ჯგუფი ვისკის მიირთმევდა.

ტერასაზე ჩამწკრივებული მაგიდები ჯერ კიდევ თავისუფალი იყო.

ბარში წაცრისფერ სამოსში გამოწყობილი შუახნის მამაკაცი შემოვიდა. კარებთან შეჩერდა; თითქოს გამბედაობა არ ეყო, რომ ხალხთან ახლოს მისულიყო; ტერასაზე გავიდა და თავისუფალი მაგიდისკენ გაემართა, სკამი გამოსწია. ის იყო, უნდა დამჯდარიყო, რომ ოფიციანტმა მიირბინა. ეგ მაგიდა დაკავებულია, ბატონო, აქეთ მობრძანდითო, უთხრა და დარბაზში შეიყვანა.

იელი რეპანისკენ გადაიხარა:

— ეს კაციც შენსავით უცხოა აქ...

რეპანი ამ დროს ბრჭყვიალაპერანგიან ახალგაზრდა კაცს უყურებდა.

— როგორ მიხვდი?

— ისიც შენსავით დაბნეული იყურება აქეთ-იქით. მე დიდი ხანია, აქ ვარ. პირველად რომ მომიყვანეს, ეგონათ, ამ გარემოს ვერ შევეგუებოდი, მაგრამ სიგარეტის კვამლმა ვერაფერი დამაკლო...

— კარგი, — გულდაწყვეტით ჩაიჩურჩულა რეპანმა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— ცუდად არ გამიგო, შენთან მეგობრობა მინდა. მოგეხმარები, რომ თავი უცხოდ არ იგრძნო. ყველას გაგაცნობ. აქ ყოველდღე ერთი და იგივე ხალხი მოდის, ერთ ადგილზე სხდებიან და ერთსა და იმავე თემაზე საუბრობენ.

ნაცრისფერსამოსიანმა კაცმა არაყი შეუკვეთა. იჯდა მარტო, მოწყენილი; ყურადღებას არავის აქცევდა. ისეთი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, გეგონებოდათ, მთელი ქვეყნის ტვირთი მხრებზე დასწოლიაო. სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

— ერთი იმათ შეხედე, კარებთან რომ სხედან; თავს რევოლუციონერებად მიიჩნევენ, — წასჩურჩულა იელმა რეპანს.

— კი, მაგრამ რა უნდა შეცვალონ?

— არყის ჭიქები, — მიუგო იელმა. — ეგენი რისი შემცვლელები არიან. საქმე რომ ჰქონდეთ, აქ ხომ არ ისხდებოდნენ საათობით.

— რატომ უწოდებენ საკუთარ თავს რევოლუციონერს?

— რა გულუბრყვილო ყოფილხარ! რევოლუციონერობა ნიშნავს, რომ გამოირჩევა ჭკუით, ღირსებით, შეუპოვრობით; გმირები მათი რიგებიდან იბადებიან. რევოლუციონერები ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ყველაზე საცოდავი კაციც კი, იტყვის თუ არა, რევოლუციონერი ვარო, თითქოს ჯადოსნური ჯოხი შეახესო, ხალხის თვალში დიდებულ, წარმოსადეგ ადამიანად იქცევა.

ბრჭყვიალაპერანგიანი კაცი პეპელასავით დაფარფატებდა დარბაზში.

— ეს კაციც რევოლუციონერია? — იკითხა რეპანმა.

— ჩუმად, ახალგაზრდებმა არ გაიგონონ, თორემ ფოთლებს დაგანინჭნიან, — მიუგო იელმა. — ეგ ჰომოსექსუალია. ეგეთები მაღალი წრის ქალებს ეტმასწებიან. ქალებიც პატივს სცემენ; სათუთ, მგრძნობიარე ადამიანად, ფაქიზი სულის პატრონად მიიჩნევენ. ისინიც უმეტესად ქალებს აცმევენ.

— მკერავები არიან?

„რა გაუნათლებელი ყვავილია“, — გაიფიქრა იელმა.

— მკერავი არა, მაგათ კონსტრუქტორს ან დიზაინერს ეძახიან.

— ესენი, შენ რომ მაღალი საზოგადოების ქალებს უწოდებ, როგორი მოვლილები არიან! რევოლუციონერ გოგონებზე უკეთესად გამოიყურებიან, — აღნიშნა რეპანმა.

— რა თქმა უნდა, მოვლილები იქნებიან;

მათი ცხოვრება სტილისტებთან, მასაჟისტებთან, დიზაინერებთან ვიზიტებში გადის. სამოსს და ვარცხნილობას მოდის უურნალების მიხედვით ირჩევენ. როგორც კი მოდაში სავარცხელი შემოვიდა, ყველამ თმაში გაირჩო რქასავით. აფრომოდა შემოვიდაოდა აფრიკელი ზანგებივით დაიწყეს სიარული; წარბებს იპუტავენ, თმას ეკალივით იყენებენ. რამდენიმე წლის წინ მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ანიჭებდნენ უპირატესობას; ვინ იცის, რამდენს გადაუბრუნდა ფეხი და დაშავდა... ერთი მაგათ შარვლებს შეხედე!.. თანაც ყურებზე სამ-სამი საყურეუკეთიათ...

— ააა! — თქვა რეპანმა. ყურადღება ჩანთებზე გადაიტანა. მაღალი საზოგადოების ქალების ჩანთები თვალისმომჭრელად პრიალებდა. იელმა მისი დამცინავი მზერა შეამჩნია. არაფერი გაეგება ამ საცოდავსო, გაიფიქრა. რეპანს მიუბრუნდა:

— ეგ ჩანთები ელეგანტურობის ნიშანია. ქალს რომ ევროპა უნახავს და ბევრი ფული აქვს, ჩანთების ფირმის მიხედვით ხვდება ადამიანი. ჩანთიდან უცხოურ საფულეს და სათვალესაც რომ ამოიღებს, მის უპირატესობაში ეჭვი აღარავის ეპარება.

— ააა! გაოცებული ვარ, — თქვა რეპანმა, — თურმე რამდენი რამ უნდა იცოდე!

— თავის გამოჩენის სხვა საშუალებაც არსებობს. მამაკაცები ოქროს ყელსაბამებითა და მედალიონებით იწონებენ თავს; ამით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ბევრი ფული აქვთ. შეხედავ ადამიანის მაჯის საათს და მარკის მიხედვით ამოიცნობ, საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენელია მისი პატრონი.

— გამოდის, რომ ადამიანებიც, როგორც ფაბრიკის საქონელი, იარლიყით არიან დახარისხებული. რა სამარცხვინოა! — უსიამოვნო ხმით ჩაილაპარაკა რეპანმა.

— არ გენწყინოს, ვცდილობ, ყველაფერში გაგარევიო, — მიუგო იელმა.

ნაცრისფერ სამოსში გამოწყობილმა კაცმა მესამედ მოატანინა არაყი. ხილით სავსე თეფში ხელუხლებლად იდგა მის წინ, მხოლოდ არაყს ეძალებოდა.

ბარი ხალხით იყო სავსე; დარბაზი — სი-

გარეტის კვამლით დაბურული.... ოფიციანტი ალი მაგიდების ერთ ნაწილს – ვისკით, მეორეს არყით ამარაგებდა. სტუმრები ხმა-მალლა საუბრობდნენ. კამათობდნენ ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე. თითქოს ყველას, ვისაც ქვეყნის ბედი ანუხებდა, ამ პატარა დარბაზში მოეყარა თავი. ბრჭყვიალაპერანგიანი კაცი კარებთან ახლოს, კედელთან მოკალათებულიყო; მართალია, ბარში შეხლა-შემოხლა იშვიათად ხდებოდა, მაგრამ არავინ იცოდა, ხმამაღალ კამათს როგორი დასასრული ექნებოდა. ამიტომ, ყოველი შემთხვევისთვის, თავს იზღვევდა და უსაფრთხო ადგილზე ჯდებოდა.

მოგვიანებით ერთი დიდი ჯგუფი შემოვიდა დარბაზში. ქალებს ძალიან გამომწვევად ეცვათ. ამ ჯგუფის კაცები არც რევოლუციონერებს ჰგავდნენ, არც მაღალი წრის წარმომადგენლებს. მათი უმეტესობა ღიპიანი იყო. გაბლენძილები გაემართნენ ტერასაზე ჩამწკრივებული მაგიდებისკენ. ოფიციანტებმა მიირბინეს:

– მობრძანდით, ბატონო... აქეთ, ქალბატონო...

– შეხედე, ქალბატონები მობრძანდნენ, – თქვა რეპარამა.

– ქალბატონები და ბატონები აქ არ მოდიან, – უპასუხა იელმა.

„მობრძანდნენ საზიზღარი ბურუუები“,

– გაისმა უკმაყოფილო ხმა რევოლუციონერთა ჯგუფიდან.

– ააა! ეს ახალი მოსულები ბურუუები ყოფილან, – თქვა რეპარამა.

– რა ბურუუები!.. ბურუუას სჭირდება ცოდნა, განათლება, ზრდილობა, კულტურა. ესენი ახალი გამდიდრებულები არიან. ეს გაურკვეველი ფენა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პირობების შედეგად შეიქმნა.

რეპარანტერასაზე მყოფ ძვირფას კაბებში გამოწყობილ, ძვირფასი სამკაულებით მორთულ ქერა, კეკლუც ქალებს თვალს ვერ აშორებდა. ქალები მხიარულად კისკისებდნენ; ზოგი სიგარეტს აბოლებდა... ყველა საოცრად ლამაზი და მიმზიდველი იყო.

– ეს ქალები სცენის მსახიობები არიან, – აუხსნა იელმა რეპარანს; – გამდიდრებული

კაცები ქალებს სცენიდან ირჩევენ.

ოფიციანტები განსაკუთრებული ყურადღებით ემსახურებოდნენ ტერასაზე მყოფ სტუმრებს.

რამდენიმე საათის შემდეგ ბარში ხმაური ნელ-ნელა ჩაცხრა. ნაცრისფერ სამოსში გამოწყობილი კაცი მაგიდაზე დამხობილიყო, არ ინძრეოდა. წაქცეული ჭიქიდან გადმოღვრილი არაყი წვეთ-წვეთად ეცემოდა იატაკზე. მაგიდას ოფიციანტი ალი მიუახლოვდა:

– მგონი, ზედმეტი მოგსვლიათ, ბატონო; წამოდექით, მოგეხმარებით.

კაცი არ განძრეულა. ალიმ შეგირდს დაუძახა. შეეცადნენ, წამოეყენებინათ. ვერ შეძლეს. ლოდივით მძიმე იყო.

– უი, მომკვდარა! – ცივმა ოფლმა დაასხა ოფიციანტს.

– ეს ამბავი თუ გახმაურდა, მუშტარს დავკარგავთ, ჩვენთან აღარავინ შემოვა, – ჩაილაპარაკა უსიამოვნო ხმით ბარმენმა.

– წადი, დირექტორს შეატყობინე, – მიმართა შეგირდს.

დირექტორი ნირნამხდარი გამოჩნდა კარებში; შეეცადა, სტუმრებს მომხდარის შესახებ არაფერი გაეგოთ:

– მხრებში შეუდექით და ისე წაიყვანეთ, ვითომ მთვრალია.

– მიცვალებულები მძიმდებიან, ბატონო, ვერ მოვერევით, – თქვა ოფიციანტის შეგირდმა.

– ხუთ კაცს ერთი მიცვალებული ვერ წაიყვანიათ?! არაყს რომ სვამდა, დავინახე, ერთი გამხდარი, საცოდავი ვინმე იყო. მძიმე არ იქნება. გარეთ რომ გაიყვანთ, ტელევიზორის ოთახში დააწვინეთ; მისი ვინაობაც გამირკვიეთ. ვნახოთ, ვისი რა იყო.

ალი მიცვალებულთა მიმართ უპატივცემულობას ვერ იტანდა:

– ვისი რა უნდა იყოს, ადამიანია, ისევე, როგორც ჩვენ, როგორც თქვენ.

დირექტორს სიკვდილის მიზეზი აღელვებდა; ალი მიუხვდა ჩანაფიქრს:

– კაცი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

– სისხლის ჩაქცევა ასე არ ხდება, – ჩაილაპარაკა ბარმენმა.

– ყბედობა შეწყვიტეთ და მიცვალებული აქედან გაიყვანეთ; თუ ვინმე რამეს გკითხავთ, უთხარით, რომ უგონოდ მთვრალია.

იელი რეჟანს მიუბრუნდა:

– ამას წინათ ვიღაცამ თავი მოიკლა.

პოლიციას ფული გადაუხადეს, რომ არ გახმაურებულიყო. აქ მხოლოდ მუშტრის დაკარგვის ეშინიათ.

რეჟანი იელის საუბრის მოსმენით დაიღალა. თითქოს ინანა კიდეც, რომ მის გვერდით მოათავსეს. დასვენება უნდოდა; თავი მოიმძინარა.

– აბა, აბა, ძილი არ შეიძლება! ჯერ მსახიობები არ მოსულან, – უთხრა იელმა. – ისინი რომ მოვლენ, ნახავ, როგორ გამოცოცხლდება დარბაზი.

– როდის მოვლენ?

– როგორც კი სპექტაკლი დამთავრდება, აქეთ გამოიქცევიან; დაღლილობის მოსახსნელად ბარში იკრიბებიან, სვამენ, ერთობიან.

ოფიციანტებმა მიცვალებული დარბაზიდან გაიყვანეს; ცოტა ხანში ოფიციანტის შეგირდი შემოვიდა და ბარის მეპატრონეს მოახსენა, რომ გარდაცვლილი ერთი რიგი-

თი ადამიანი აღმოჩნდა. აქ ჩვეულებრივ ადამიანს პატივს არავინ სცემდა. ყურადღება რომ მიექციათ, ან მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, ან – რევოლუციონერი, ან – ჰომოსექსუალი მაინც.

– ნაცრისფერსამოსიან კაცს ადამიანად არ თვლიან? – იკითხა რეჟანმა.

– რევოლუციონერი რომ მომკვდარიყო, რამდენიმე დღე ხალხი ყვირილით ივლიდა ქუჩაში. ვინმე ცნობილი ადამიანი რომ გარდაცვლილიყო, გაზეთები ნეკროლოგებით აჭრელდებოდა, – აუხსნა იელმა.

– სად პოულობენ ამდენი მიცვალებულის ამდენ გულშემატკივარს, მეგობარს, ნათესავს, ორგანიზატორს?! ალბათ, სამძიმრის ფონდი არსებობს.

რეჟანმა ბარის რიტმს ვეღარ გაუძლო, ჩაეძინა. მსახიობების მხიარული ჯგუფი რომ შემოვიდა, ის უკვე მწვანე, ხასხასა სიზმარს ხედავდა. არტისტის სიმღერა სიზმარში ჩაესმა:

„შეჩერდი, ჯერ არ დაუშვა ფარდა,  
არ დაგვიმთავრებია თამაში...“

ფინალამდე მალე მივალთ,  
დარწმუნებული ვარ ამაში“.

თურქულიდან თარგმნა  
მერი წიკლაურმა

## სელჩუკ ალთუნი (დაიბ.1950 წ.)

სელჩუკ ალთუნი დაიბადა ართვინის რაიონის სოფ. შავშათში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე რომანი: „მარტოობა თან მდევს“ (2001), „ახლოს ხარ, შორს რომ არ იყო“ (2002), „ტყვიის ლაზათი“ (2003), „სიმღერები, რომელიც დედაჩემს არ უსწავლებია“ (2005), „ეს იყო წლების წინ“ (2008) და ესების ორი კრებული (2006).

ქვეყნის შიგნით მისი წიგნების გაყიდვით შემოსული თანხა მთლიანად ირიცხება მომავალი ლიტერატორების განათლების ფონდში, რომელიც შექმნილია ბილქენთის უნივერსიტეტში. საზღვარგარეთ მიღებული ჰონორარები კი ხმარდება ხარისხიანი წიგნების საგამომცემლო პროექტებს.

### პიზანტიის სულთანი

(ნაწყვეტი რომანიდან)

როცა 5 ივნისის დილას კურიერის მოტანილ კონვერტს ვხსნიდი, ინტუიცია მკარნახობდა, რომ ასმარაში ვერ გავემგზავრებოდი. კონვერტში საიდუმლოებით მოცული ლურჯი მოსაწვევი აღმოჩნდა:

ღრმად პატივცემულო ბატონ!

ცხონებული ბაბუათქვენის მეგობარი ვარ. ხვალ 14.00 საათზე სულთანაჲმეთში, სასტუმრო Four Seasons-ში თქვენთან შეხვედრა მინდა. გთხოვთ, თან იქმნიოთ Christophoro de Bondelmontibus-ის რუკა თავისი ჩარჩოთი, რომელიც თქვენს სახლში ინახება. კონსტანტინოპოლის რუკასთან დაკავშირებით არაფერს გთავაზობთ. საკითხი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. თქვენთვის ფრიად სასიხარულო ამბები მაქვს.

ჩემი თანაშემნე სასტუმროს ჰოლში დაგხვდებათ.

გთხოვთ, ჩვენი შეხვედრა საიდუმლოდ დარჩეს.

ღრმა პატივისცემით,  
ნიკოს ასკარისი.

ავტოკალმით დაწერილი წერილი ორჯერ წავიკითხე. პირველი, რამაც დამაფრთხობოდ, ბაბუაჩემის ვითომც ძველი მეგობრის მომეტებული თავაზიანობა იყო. ვალდებულების ნიშნად მივიჩნიე. ფლორენციე-

ლი ბერის, ბონდელმონტიბუსის მიერ 1422 წელს შედგენილ რუკას მტვერი გადავწმინდე და, ვიდრე ჩემს სამუშაო მაგიდაზე გადმოვდებდი, მართლაც დამაინტერესა ასკარისის პიროვნებამ, რომელსაც ჩემი სახელის დაწერისას სილბოს ნიშანიც კი არ გამორჩენოდა. დაბინდული მინის ქვეშ მოთავსებულ რელიეფურ რუკაზე თვალი გალათაზე გამიშტერდა. უბანს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან გალავანი ერტყა, რომელსაც თითქოს გალათას კოშკი შუაში მოექცია და მის გარშემო ფერხული გაემართა. ქალაქის გალავანში მოხვედრილი ბიზანტიური ძეგლები ჭადრაკის დაფაზე მიმობნეული პაიეგბივით დამფრთხალებს ჰგავდნენ. სასტუმროში დავრეკე და ნიკოს ასკარისთან დაკავშირება ვთხოვე. ტელეფონში მჭახე ხმა გაისმა.

- მინდა დავრწმუნდე, რომ არანაირ უკანონობას არ შემომთავაზებთ.

- მშვიდად ბრძანდებოდეთ, - მიპასუხა ასკარისმა, რომელმაც უაქცენტო თურქულით ჩემი სახელის მეორე მარცვალიც კი სწორად წარმოოთქვა.

პასუხმა ოდნავ დამამშვიდა. პატარა რუკა ფრთხილად შევახვიე და მასთან შესახვედრად მოვემზადე. მადამ ოლგასთან დარეკვა გადავითიქრე. უცებ რატომდაც იორგოს სეფერისი მომწყურდა. წიგნის თა-

როდან მისი რჩეული ლექსების კრებული გადმოვიდე, გადავშალე და პირველივე წავიკითხე:

„სამშობლოდან შორს,  
უცხო ცის ქვეშ,  
ნაფიქრ ოცნებებთან ერთად  
უცხოობიდან დაბრუნდი და,  
ჩემო ძველო მეგობარო,  
წლების მერე რაღას ეძებ?“

\*\*\*

ყოველთვის, როცა სულთანაჲმედის მოედნისაკენ მივდივარ, დროის გვირაბის სხვადასხვა გაჩერებაზე ჩამოვდივარ. ამჯერად, ბიზანტიური იპოდრომის<sup>1</sup> ხმაურიან მოედანზე ალმოვჩნდი. სანამ სულთან აჲმედის მეჩეთამდე<sup>2</sup> მივალნევდი, ფანატიკური შეჯიბრის მაყურებლის ყვირილი და შეძახილები მდევდა თაა...

სასტუმრო „FOUR SEASONS“ თითქოს მოედნის პირას ჩასაფრებულიყო. გასულ საუკუნეში საზოგადოებრივი მოხმარებისათვის აშენებულმა შენობამ სახელი იმით გაითქვა, რომ ერთხანს თავისუფალი აზრის მქონეთა ციხე იყო. სასტუმროს წყნარ ფონები რომ შევედი, წვეროსანი, ჩაფსკვნილი მამაკაცი გამომეცხადა. თითქმის გამართული თურქულით ლაპარაკობდა:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო ჩემო. მე თეო პაპასი ვარ. თქვენი ნებართვით, ბატონ ასკარისთან მიგიყვანთ.

თეო დაახლოებით ორმოცი წლისა იქნებოდა; ვაშლივით წითელი ლოყები ჰქონდა. უკან რომ მივყვებოდი, გავიფიქრე, მღვდლისა და, ამავე დროს, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის იერი აქვს-მეთქი. მოვლილი შიდა ეზო გადავიარეთ. როგორც ჩანს, თავის დროზე, პატიმრები აქ ბოლთას სცემდნენ.

— ბატონი ასკარისის ნომერი ციხის დირექტორის კაბინეტი ყოფილა, — მითხრა თეომ ღიმილით.

ნიკოს ასკარისი სამოციოდე წლის კაფანდარა, წვერიანი, უშნო მამაკაცი აღმოჩნდა; სახეზე თითქოს ნიღაბი აეფარებინა (დამაინტერესა, რა პლუსები უნდა ჰქონდა ამ შენილბვას). ფართო ოთახში კიდევ ერთი მამაკაცი დაგვხვდა — უდალწვერა, სათვალიანი კალიგასი, რომელიც ნიკოს მეორე თანაშემწე გამოდგა. წვერი და კოსტიუმები სამივეს საერთო ნიშანი იყო. სანაძლეოს დავდებდი, რომ ესენი ეკლესიაში ან რომელიმე ფონდში მუშაობდნენ. ოთახში მაგიდაზე ორი შეკვრა იდო. რუკაც გვერდით მოვუდე. მინიბარიდან თეთრი ღვინო მოვითხვე; ასკარისმა მინერალური წყალი აიღო და მაგიდასთან მიმინვია. პაპასმა და კალიგასმა სკამები მის უკან დაიდგეს. ოცდათხუტმედიოდე წლის კალიგასიც მშვენიერი თურქულით ლაპარაკობდა და ისიც განსაკუთრებული პატივისცემით მეპყრობოდა.

— სანამ საქმეზე გადავიდოდეთ, თქვენი ნებართვით, ერთი შეკითხვა მაქვს. ბატონოჩემო, ბიზანტიის ორი ნინადადებით როგორ გაგვაცნობდით? — მკითხა ასკარისმა.

— იყო დრო, როცა ბიზანტიის ხსენებაზე ინტრიგები ახსენდებოდათ. ეს წარმოდგენა თანდათან შეიცვალა. ჩემი აზრით, ბიზანტიიამ დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთთან შეაზავა; თავის დროზე უმნიშვნელოვანესი ცივილიზაცია იყო და რენესანსს მისცა დასაბამი.

— რა მშვენივრად დაახასიათეთ! ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზანტიის გარდა, ათას ასი წელი არცერთ იმპერიას არ უარსებია. ბიზანტიიაში აუცილებელი არ იყო, ძალაუფლება მამიდან უფროს ვაჟს გადასცემიდა. მოქნილი საარჩევნო პროცესი ჰქონდათ, რათა ტახტზე ღირსეული კანდიდატი ასულიყო. ამგვარი პოლიტიკა და სისხლისლვრის მიზეზი გახდა, მაგრამ განა მსგავსი პრობლემები რომსა და ელინისტურ საბერძნეთში არ არსე-

<sup>1</sup> დღევანდელი სულთანაჲმედის მოედანი; ბიზანტიის ეპოქაში მის ადგილას იპოდრომი იყო.

<sup>2</sup> სულთან აჲმედის მეჩეთი — იგივე ლურჯი მეჩეთი, აგებული 1609-1617 წლებში სულთან აჲმედ I-ის მითითებით.

ბობდა? რადგან იმ ეპოქაში კომუნიკაცია არ იყო ისე განვითარებული, როგორც ბიზანტიაში, ისტორიული დოკუმენტებიც ნაკლები შემოგვრჩა.

ბიზანტიის სიდიადე იმაში მდგომარეობს, რომ თავის ბუნებრივ მემკვიდრეებს, რომაულსა და ელინისტურ ცივილიზაციებს აქტუალურობა შესძინა, უპატრონა. როგორც თქვენ ბრძანეთ, ეს მემკვიდრეობა აღმოსავლეთიდან მოსული ცვლილებებით გაამდიდრა.

ბიზანტიამ მოდერნიზმს საფუძველი ჩაუყარა. საზოგადოებრივი და სოციალური ინსტიტუტები შექმნა. ჯარის, განათლების, ფინანსების, იურისპრუდენციისა და თეოლოგიის სისტემები მოაწესრიგა. სპორტი და გართობა ცხოვრების მუდმივ ელემენტებად აქცია. ცხოვრების დონის ასამაღლებლად ჯანდაცვას, ქალაქის დაგეგმარებას, ხელოსნობას, მოდას, საიუველირო საქმეს, ეტიკეტს ორგანიზებული სახე მისცა. მისი, როგორც მონინავე ქვეყნის მეცნიერება, ხელოვნება და კულტურა მეზობელ ქვეყნებზეც ახდენდა გავლენას. თავადაც აღნიშნეთ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ევროპას მოდებულმა ბიზანტიელმა სწავლულებმა რენესანსი ყველგან გაავრცელეს.

შუა საუკუნეების აღმოსავლეთი სამხედრო ძლიერებით დასავლეთზე მაღლა იდგა. ბიზანტიამ აღმოსავლეთის ჯარების ევროპაში გადასვლა შეაფერხა და მოუმზადებელი კონტინენტის მომავალი გადაარჩინა. მოკლედ, ბიზანტია ისტორიის უმნიშვნელოვანესი ცივილიზაცია იყო და, თუ ადამის ძე ამ სიკეთეს დაუფასებს, ბიზანტიის სახელი ლოცვებში უფლის შემდეგ, ქრისტეზე წინ უნდა მოიხსენიებოდეს.

ასკარისის „ბიზანტიის მეგობრობამ“ ჩემზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. სანამ თავის მონოლოგს წამოიწყებდა, მისი ენთუზიაზმის დასაცხრობად კიდევ ერთი ჭიქა თეთრი ღვინო მოვითხოვე. ასკარისის წინადადება მაინტერესებდა, მაგრამ წინასწარვე ვიცოდი, რომ უარს ვეტყოდი. ამიტომ ჩემმა სიმშვიდემ გუნდი საკმაოდ გააკ-

ვირვა. ერთადერთი, ის მაღელვებდა, საიდან იცოდა ამ სამმა აბეზარმა ბერძენმა ასეთი მშვენიერი თურქული.

ასკარისი და მის უკან მსხდომნი თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ. ცხენისსახიანმა ხმა დაიწვრილა და განაგრძო:

– მე-11 საუკუნის განმავლობაში ბიზანტიას 11 დინასტია მართავდა. უკანასკნელი მათგანის, პალეოლოგოსების დროს (1261-1453) 11 იმპერატორს 192 წლის განმავლობაში ეკავა ტახტი. მიქაელი იყო ფუძემდებელი დინასტიისა, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმძიმეს პერიოდში მართავდა ბიზანტიას. ის დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. მისი გვარი „ძველ სიტყვას“ ნიშნავს და აქედანაც ჩანს მისი წარჩინებულობა. ყველა პირობის გათვალისწინებით, ამ დინასტიის მმართველობა დადებითადაა შეფასებული. უკანასკნელი იმპერატორი, კონსტანტინე XI, 1449 წელს ტახტზე 45 წლისა ავიდა. სამაგალითო ლიდერი გახლდათ, ხალხი და არმია მას აფასებდა. სულთან მეჰმედ II-მ დანებება შესთავაზა. პასუხად უარი რომ მიიღო, ოსმალეთის 80 ათასიანმა ლაშქარმა 1453 წლის 2 აპრილს კონსტანტინოპოლი ალყაში მოაქცია. ქალაქის მოსახლეობა 60 ათასმდე დასულიყო და ქალაქის დასაცავად ბიზანტიის ჯარს დაახლოებით 7 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა. იმპერატორი ქალაქის გალავნის იმედად იყო (რომელიც 800 წელია, ვერცერთმა დამპყრობელმა ძალამ ვერ გადალახა) და ასევე, პაპი ნიკოლას V-ისა და მეგობარი ევროპელი მეფეების მხარდაჭერას ელოდა. კონსტანტინოპოლის ალყა 55 დღეს გაგრძელდა. ევროპიდან მოსულმა სიმბოლურმა დახმარებამ დაიგვიანა. პაპმა თითქოს ზურგში დანა ჩასცა მართლმადიდებელ ბიზანტიას, რომელიც მის გავლენას არ სცნობდა.

ღელავდა ჯარი, რომლის თავდაცვისუნარიანობა ნელ-ნელა სუსტებოდა და ხალხიც, რომელსაც საკვები შემოაკლდა. კონსტანტინე მათ დაპირებებით იქცევდა; ეკლესიაში რაც კი ლითონის ნივთი იყო, გადა-

ადნობინა, ფულს აჭრევინებდა და ჯარს ხელფასს არ უგვიანებდა. მაგრამ იმპერატორის ზებუნებრივი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა და 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინოპოლი დაეცა! სამეფო ტან-საცმელში გამოწყობილი სახედამახინჯებული გვამი, როგორც კონსტანტინე XI, ქალაქში ჩამოატარეს. ოსმალთა ტყვეობაში აღმოჩნდილი 53 ათასი სამოქალაქო და სამხედრო პირი დარწმუნებული იყო, რომ ცხედარი იმპერატორს არ ეკუთვნოდა. უმრავლესობას სწამდა, რომ მან ქალაქის გალავანს შეაფარა თავი და გამარჯვების დღეს გამოვიდოდა.

იორგოს ფრანგესმა დაწერა, რომ კონსტანტინე XI გალავანთან ბრძოლისას დაიღუპა. ამ ვერსიამ ოფიციალური სტატუსი მოიპოვა. იმავე ისტორიკოსმა ისიც მოიგონა, რომ ოსმალეთი ალყისათვის 200 ათასი-ანი ჯარით მოადგა ქალაქს. 1401 წელს დაბადებული იორგოს ფრანგესი იმპერატორის მესაიდუმლე, შუამავალი და პირადი თანაშემწე იყო. ისტორიკოსმა ნიკოლა დელა ტუჩიამ, პოეტმა აბრაამ ანგორელმა და ბიზანტიელმა ეპისკოპოსმა, სამილემ, დაწერეს, რომ იმპერატორი ზღვით გაიქცა.

ალყის დროს იმპერატორი 49 წლისა იყო. იმდროინდელი ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას თუ გავითვალისწინებთ, შესაძლოა, დღევანდელი 75 წლის ბაბუის ძალა ჰქონდა. ოსმალო ჯარისკაცებს ხმალდახმალ არ შებმია, მაგრამ უფრო მეტი გააკეთა – ამალასთან ერთად შვიდკილომეტრიან გალავანზე ჯარს ხელმძღვანელობდა. როდესაც ოსმალების მიერ ქალაქის ხელში ჩაგდებას აღარაფერი უკლდა, ახლობლები შეევედრნენ, მორასაკენ დაეხია. დინასტიის დამაარსებელი მიქაელის მსგავსად, იქ ერთხანს თავს შეაფარებდა და, როგორც კი ხელსაყრელი პირობები მომწიფდებოდა, ტახტს დაიბრუნებდა. კონსტანტინემ ავტორიტეტისა და სიამაყის შემლახველ დაუინებულ მოთხოვნებს ვეღარ გაუძლო და მთელი ჯარის თვალწინ გონება დაკარგა. მისი ტანსაცმელი თავგარებილ ოფიცერს ჩააცვეს. იმპერატორს თვალები აუხვიეს, ხელები შეუკრეს და გე-

ნუელთა უკანასკნელ გემზე დასვეს, რომელიც ქალაქს ტოვებდა. ისტორიულ თხზულებში დაიწერა, რომ იმპერატორი, ფაქტობრივად, გაიტაცეს.

გემის წარჩინებული გვარების სიაში ექვსი პალეოლოგოსი, ორი კანტაკუზენი, ორი კომნენოსი, ორი ლასკარიდი და ორი ნოტარასი იყო. ლუკა ნოტარასი დიდი ჰერცოგის წოდებას ატარებდა და სასახლის დიდვაზირი გახლდათ. ნოტარასი და ფრანგესი პალეოლოგოსთა სიძეები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს ვერ იტანდნენ. ნოტარასი საიდუმლოებით მოცული სახელმწიფო მოღვაწე იყო; ამავე დროს, იგი გენუისა და ვენეციის მოქალაქეც გახლდათ და იქაურ ბანკებში დიდი ქონება ჰქონდა.

ნოტარასი და ფრანგესი ოსმალებს ჩაბარდნენ, რადგან სულთანმა წარჩინებულები შეიწყალა. ნოტარასი ქალაქის დაცემიდან ერთი კვირის შემდეგ გაურკვეველი მიზეზის გამო მოკლეს. ფრანგესი კი იმპერიის ბოლო ტერიტორიას, მისტრას შეუფარა.

გენუელთა გემს თუ დავუბრუნდებით და კაპიტან ძორძი დორიას ვენდობით, ბიზანტიელები ქიოსისა და კრეტას კუნძულებზე ჩავიდნენ. იქიდან მორას, კორფუსა და იტალიის სხვა ქალაქებს მიაშურეს. იმპერატორი და მისი ნათესავები ლუკა ნოტარასის ქალიშვილსა და მის დასთან ერთად ჯერ ვენეციაში გადავიდნენ. იქ ნოტარასის ოჯახის საბანკო ანგარიშზე არსებული, მაგრამ რეალურად იმპერატორის კუთვნილი ქონება მისი ნათესავების ანგარიშზე გადაიყვანეს.

ამის შემდეგ კონსტანტინეს ვენეციასა და გენუაში ფეხი აღარ ჩაუდგამს. მთელი ცხოვრება დედის გვარით (დრაგას) იტალიის სხვადასხვა ქალაქში იმაღებოდა. რავენელ წარჩინებულ ქვრივზე დაქორწინდა და ამ ქორწინებიდან შეძენილ ქალიშვილს დედის სახელი, ელენე, დაარქვა. ნამდვილ ვინაობას ყველას უმაღავდა. ცოლს იგი მოხუცი ბიზანტიელი თავადი ეგონა. იმპერატორი მანამდე ორჯერ იყო დაქორწინებული, მაგრამ ორივე ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. ცოლები ავადმყოფობებით დაე-

ხოცა. იმპერატორის ორივე უილბლო მეუღლე იტალიელი გახდათ. კონსტანტინემ 22 წელი დეპრესიაში გაატარა. 71 წლის ასაკში გარდაიცვალა. იცოდა, კონსტანტინოპოლში არასოდეს დაბრუნდებოდა, მაგრამ უქმად არ გაჩერებულა. „შურისძიების სია“ შეადგინა. ბიზანტიის მიმართ, რომელმაც ევროპა აზიელი ბარბაროსებისაგან იხსნა, ევროპამ უპატიებელი უმაღლერობა გამოიჩინა: ბიზანტია ოსმალეთის პირისპირ მარტო დატოვა. იმ სიის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მოწოდება მიზანშეწონილად არ მიმაჩინა. მხოლოდ ორი განსაკუთრებული მაგალითის მოყვანა შემიძლია. ბიზანტიის მიერ დაწყევლილი რომის პაპის, ნიკოლას V-ის, 58 წლის ასაკში გარდაცვალებამ ყველა გააოგნა. პაპი ჯანმრთელი კაცი იყო და სერიოზული ავადმყოფობაც არ სჭირდა. ამბობენ, პაპის მოწამვლა რომ დაემალათ, ოფიციალურად გამოაცხადეს, ნიკრისის დაავადებამ იმსხვერპლაო. სულთანი მეჰმედ II 1481 წელს 49 წლისა გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ მისი სიკვდილის მიზეზადაც ისტორია იმავე ორ ვერსიას ასახელებს: მოწამვლა ან ნიკრისი. აღმოსავლეთში მიიჩნევა, რომ იგი ქრისტიანულმა სამყარომ, ხოლო დასავლეთში თვლიან, რომ უფროსმა ვაჟმა, ბაიეზიდ II-მ, მოაწამლინა. ვფიქრობ, ორივე მათგანი „შურისძიების სიის“ თავში იყვნენ.

კონსტანტინე ფრანძესს აღარ შეხვედრია. ალბათ, რისკს მოერიდა. მისმა მესაიდუმლემ 1477 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, კორფუს მონასტერს შეაფარა თავი. სამი წარჩინებული, რომელიც იმპერატორთან ერთად იმყოფებოდა გემზე, იმპერატორს აღარ მოშორებია. როდესაც 1475 წელს კონსტანტინე გარდაიცვალა, მთელი თავისი ქონება და ტახტი მათ ჩააბარა. მათ კი საიდუმლო ორგანიზაცია, *Nomophylax* (Nomos), ჩამოაყალიბეს, რაც „სამართლის დამცველს“ ნიშნავს. მათთვის მიბარებული ქონება გაამრავლეს და სიის მითითებები სიტყვასიტყვით შეასრულეს.

კონსტანტინეს ერთადერთი შვილიშვილი, მასიმო დ'ურბინო, წარმატებული ვაჭა-

რი დადგა. აღმოსავლეთში ნავსადგური არ დაუტოვებია. მან იზმირელ ელენეზე იქორნინა და 1503 წელს სტამბოლში დასახლდა. მას შემდეგ, რაც დ'ურბინოს ერთადერთი ქალიშვილი, ირინე, ფაშას ვაჟს გაჰყვა ცოლად, მუსლიმანობა მიიღო და ემინე დაირქვა, ამდენი ხნის განიზნულმა ბიზანტიის იმპერიამ ოსმალეთში დაიდო ბინა. ორგანიზაცია *Nomo-s* ევალებოდა, ემინე ჰანიმის საგვარეულო ხიდან იმპერატორი შეერჩია. კონსტანტინეს სიის თანახმად, „რჩეული შვილიშვილები“ უნდა დაედგინათ. დანარჩენები გათვალისწინებული არ იყვნენ.

ნომო 533 წელია, ფუნქციონირებს. გადასახლებაში ბიზანტიის ტახტი ცარიელი არ დარჩენილა. იმპერატორი ჯერ საიდუმლო ფიცს დებს, ამ თავის საიდუმლოს მეუღლესაც კი არ ანდობს. ღალატის სასჯელი კი... სიკვდილია!

ასკარისი დადუმდა და ჩემს რეაქციას დაელოდა. სახეზე სცენარით გაბეზრებული მსახიობის გამომეტყველება უნდა მქონდა. ჩემი შეკვრის გასახსნელად ნებართვა ითხოვა. ჩანთიდან პინცეტი რომ ამოიღო, დავეჭვდი. რუკის კუთხეში ერთ წერტილს შეეხო და მეტალის ჩარჩოს ქვედა მხარე ორად გაიყო. თვალები მოწურა და თითქოს ლოცვას შეუდგა; რაიმე რეაქცია რომ მქონდა, ნამდვილად ვერ შეამჩნევდა. რუკასა და ჩარჩოს შორის სივრციდან პინცეტით ფრთხილად რაღაც ქაღალდი ამოაძვრინა. კვადრატულ ფურცელზე ვიღაცის პორტრეტი იყო გამოსახული: ჩაფხუტზე ორი არწივი, მოგრძო სახე, წვერი. თვალი თვალში გავუყარე. წმინდანი დასატუქსად თითქოს მუზას ელოდა. ასკარისმა ამჯერად ლურჯი შალითიდან ერთი რუკა კიდევ ამოიღო, საიდანაც იმავე მეთოდით ასევე ქაღალდი ამოაძვრინა და პირველს ქვემოთ ამოუდო. ახლა პორტრეტი მოოჭვილ ქამრამდე გამოლინდა; ხელგანვდილი წმინდანი თითქოს დახმარებას ითხოვდა.

ასკარისი და მისი ორი თანაშემწე უეცრად ფეხზე წამოდგნენ, სამხედროებივით გაიჯგიმნენ და თვალები ძირს დახარეს.

– ღრმად პატივცემულო ბატონო, – მომმართა ასკარისმა, – ეს გახლავთ ბიზან-

ტიის უკანასკნელი იმპერატორის, კონსტანტინე XI დრაგაშ პალეოლოგოსის გრავიურა... თქვენ კი მისი უკანასკნელი ჩამომავალი, გადასახლებაში მყოფი ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე XV პალეოლოგოსი ბრძანდებით...

იდაყვებით მაგიდას მივეწებე. შიშის გრძნობა რომ არ დამუფლებოდა, ამ ბაიყუშს წინადადება აღარ გავამორებინე. სხეულის უჯრედებიდან ტვინისაკენ სწრაფი ტალღა მომაწვა. უცებ თავი ამტკივდა და პირი გამიშრა. გამიზნული შეცდომის მსხვერპლი თუ გავხდი. ჯერ ჩემ დაყუდებული თავგანწირული სამეული თავ-თავიანთ ადგილებზე დავსხი.

— თქვენი არგუმენტები მაინტერესებს და, ასევე, თურქები თუ არა ხართ, ჩემს ენაზე ასე კარგად როგორ ლაპარაკობთ? — ვკითხე მათ.

ასკარისი დიდი მონდომებით მაგიდისკენ დაიხარა. ტყავის ჩანთიდან ლურჯი ალბომი ამოიღო და მომიახლოვდა. ცერემონიულად მოჰყვა ალბომის ფურცვლას, სადაც დ'ურბინოდან ჩემამდე თერთმეტი პირის გრავიურა ან ფოტოსურათი ჩაეკრათ. მათი ბიოგრაფიული მონაცემები ჩამომიბულბულა, რომლებიც ფურცლის გადაშლისთანავე მავიწყდებოდა. ერთადერთი, შევიტყვე, რომ ტრაპიზონში მე-18 საუკუნეში გადმოვსახლებულვართ. ეს ბაიყუში რაც მეტს ილაპარაკებდა, მისი შეცდომაში გამოჭრის შანსი ნაკლებად მექნებოდა. ვცდილობდი, პროცესი მემართა: გვარების შესახებ კანონის<sup>1</sup> შემოსვლისას ბაბუაჩემს, როგორც ჩანს, ჩვენი სტატუსისათვის ყველაზე შესაფერისი ვარიანტი შეურჩევია – Asil<sup>2</sup>. ჩემი სეხნის გარდა, ყველა ჩემს წინაპარს ბიზანტიის იმპერატორთა სახელების ისლამში მიღებული შესატყვისები ერქვა: ია-ჰია – იოანე, მიქაილი – მიხეილი, ისპაკი – ისააკი, რუმი – რომანზი. დედაჩემიც არ გამორჩენიათ: აქილე – სოფია. ერთ აზრი

ამეცვიატა. პაპაჩემის, იაჰია ასილის შემდეგ, ჯერი ჩემზე რომ მიდგა, ჩვილი ვიყავი და ამ ამბის შესატყვიბინებლად 30 წელი უცდიათ. თავში, ტესტების ვარიანტების მსგავსად, ყველაზე დრამატული ვარაუდები დამიტრიალდა. ნიკოს ასკარისს ორგანიზაცია „ნომოს“ შესახებ ინფორმაცია რომ მოვთხოვე, შუბლი შეიჭმუხნა:

— ორგანიზაციის ფუძემდებელი სამი დიდგვაროვნის შვილიშვილებმაც თავიანთი მისია გააგრძელეს. „ნომოში“ მმართველობა ძირითადად მამიდან შვილზე გადადიოდა. ვისაც ვაჟი არ ჰყავდა, იშვილა და გაზარდა. ისინი ცოლებსაც კი მხოლოდ მდიდარი ინვესტორები ეგონათ. მმართველ საბჭოში მუდამ სამი კაცი შედიოდა და მათ შორის უთანხმოება არასოდეს მომხდარა. მემკვიდრეობით მიღებული ქონება ერთიასად გაზარდეს და არასოდეს ბოროტად ან სათავისოდ არ გამოუყენებიათ, არასოდეს რისკზე არ წასულან. არავინ იცის, რამდენ მილიარდ დოლარს ითვლის ორგანიზაცია „ნომოს“ ბიუჯეტი, მაგრამ ამბობენ, რომ უძრავ ქონებასა და აქციებში ინვესტიციები არ დაბანდებულა. ორგანიზაციის წევრები სად ცხოვრობენ და როგორ იკრიბებიან, საიდუმლოა. ისინი არჩეულ იმპერატორებს თვალყურს ადევნებენ, მაგრამ მხოლოდ იმათთან ამყარებენ კონტაქტს, ვინც რჩეულად მიაჩნიათ. პირადად მე ბრძანებებს შენილბული პირი მატყობინებს. ადვილი შესაძლებელია, „ნომოს“ წევრებთან პირდაპირი კავშირი არც მას აქვს. სხვას ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ აქ მხოლოდ თურქულის საკმარისად კარგი ცოდნის გამო ვიმყოფები. ასევე უნდა იცოდეთ, რომ დავალების შესრულებისას ნამდვილ სახელებსაც კი არ ვიყენებთ.

შეგვიძლია გიჩვენოთ იმ ანდერძის ასლი, რომელიც თქვენმა დიდმა ბაბუამ „ნომოს“ ხელმოწერილი დაუტოვა. თქვენ მიერ მოტანილი რუკის მარჯვენა ქვედა კუთხეშიც იგივე ხელმოწერაა. ფიცს რომ დადებთ

<sup>1</sup> თურქეთის რესპუბლიკაში 1934 წელს ამოქმედებული კანონი, რომლის თანახმადაც ყველა მოქალაქეს გვარის მიღება ევალებოდა.

<sup>2</sup> Asil - კეთილშობილი, არისტოკრატი, დიდგვაროვანი (თურქ.).

და საიმპერატორო გვირგვინს პატივით და-  
იდგამთ, განსაკუთრებული მისია დაგეკის-  
რებათ.

- თუ დავიჯერებ, რომ მასიმო დ'ურბინოს ჩამომავალი გახლავართ, ეს მაინც არ არის დასტური იმისა, რომ იმპერატორის შვილიშვილი ვარ!

– სინამდვილეში ანდერძში არის ისეთი  
არგუმენტები, რომლებიც სიმართლეს  
ადასტურებს, მაგრამ მართალი პრძანდე-  
ბით, თქვენ ამას ვერ დაადგენთ. თუ „ნო-  
მოს“ შეხვდებით, დნმ-ით განმტკიცებულ  
საბუთსაც მოგართოვენ. ამისათვის თქვენ,  
ალბათ, გამოცდა გელით. ამ პროცესისათ-  
ვის მომზადების პერიოდში ჩვენ, თქვენი  
ნებართვით, თქვენს განკარგულებაში ვიქ-  
ნებით. ისტორიაში გადამწყვეტი მომენტი  
დადგა. კონსტანტინე XI-ის სიის ბოლო პუნ-  
ქტის ჯერი დადგა. აუცილებელი პირობა  
რომ შესრულდება, დიდი გამოცდა ჩაბარე-  
ბული იქნება. მაშინ თქვენ და „ნომოს“ წევ-  
რები მიიღებთ გადაწყვეტილებას ორგანი-  
ზაციის მომავლის შესახებ. „ნომოს“ გაუქ-  
მების ჩათვლით....

- თავდაპირველად იმის მიზეზი მაინტერესებს, რატომ შემარჩიეთ ფინალისათვის და ამას ახლა რატომ მატყობინებთ?

ვიგრძენი, რომ სამივემ შვებით ამონ-  
სუნთქა, ესე იგი, ამ შეკითხვას ელოდნენ. პასუხის გასაცემად ნებართვა კალიგასმა  
ითხოვა. დილემის წინაშე აღმოჩენილ ხახამს  
მაგრნებდა, ფილმებში რომ მინახავს. წითუ-  
რი წვერი, შესაძლოა, მიწებებული ჰქონდა.  
მომინდა, მიცსულიყავი და ჩამომექაჩა.

– ბიზანტია, გარდა იმისა, რომ აღმო-  
სავლეთის გავლენას განიცდიდა, ბოლომდე  
ვერც პოლიტეიზმის პერიოდის რწმენისა-  
გან გათავისუფლდა. მისტიკურ ძალებს  
პატივს სცემდნენ. ბიზანტიას, რომელმაც,  
ფაქტობრივად, 11 საუკუნე იარსება, ამ  
ხნის განმავლობაში 11 სამეფო დინასტია  
მართავდა. ბოლო დინასტიას კი 11 იმპერა-  
ტორი ჰყავდა. თქვენ გადასახლებაში მყო-  
ფი მე-11 საიმპერატორო კანდიდატი ბრძან-  
დებით... ბიზანტიის სიმბოლო ორთავიანი  
არწივია. მისი ციფრობრივი გამოხატულება

იძლევა 11-ს. 11 ლიდერობისა და ერთობის  
სიმბოლოა... კონსტანტინოპოლი 29 მაისს  
დავკარგეთ. თქვენ 30 მაისს გამოხინისას  
დაიბადეთ. ასეთ მრავალმნიშვნელოვან  
დღეს დაბადებული სხვა იმპერატორი არა  
გვყავს... ციფრი ხუთი მიზანს აღნიშნავს.  
555 წელია გასული მას შემდეგ, რაც კონ-  
სტანტინოპოლისი დავკარგეთ. ციფრი სამი  
ბედნიერების მახარობელია და თქვენ 33  
წლისა ბრძანდებით...

თქვენი ცხოვრებიდან მაგალითებს მოგიყვანთ. ოჯახური სირთულეების მიუხედავად, პრობლემური ბავშვი არ ყოფილხართ. ბეჭითი, წესიერი და საყვარელი მოსწავლე იყავით. მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში ნარმატებით ისწავლეთ. ხუთი ენის მცოდნე ინტელექტუალი და ესთეტი ბრძანდებით. სხვების დახმარება გიყვართ, თავაზიანი და გულუხვი ხართ. სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავი არ აგირიდებიათ; თუ იმ ქვეყანაში, რომლის პასპორტსაც ატარებთ, გარკვეული პირობები შეიქმნა, ადვილი შესაძლებელია, პოლიტიკურ სარბიელზეც გადახვიდეთ. იმდენად ღირსეული ბრძანდებით, რომ არავის მითითებებს არ იღებთ და – იმდენად ამაყი, რომ გოგონებთან ფლირტს არ კადრულობთ. სექსი ორ ქალთან გაქვთ. ლომს თუ თვალს გაუსწორებთ, იგი შინაურ კატას ემსგავსება. თქვენი მისტიკურობა პატივისცემას იმსახურებს. ბატონო ჩემო, თქვენ ხართ იმპერატორი, რომელსაც გადასახლებაში მყოფი ბიზანტია 555 წელი ელოდა! თქვენი წყალობით, ბაბუათქვენის სული იმქვეყნად შვებას იგრძნობს. ჩვენ ვამაყობთ, რომ შეგვიძლია გინოდოთ ჩვენი ბატონი.

გაუთავებელი ხოტბა ყელში ამომივიდა, მაგრამ „ნომოს“ მედღეურების მონათხრობი თითქოს დავიჯერე და გული გამითბა ამ ორ-განიზაციის მიმართ, რომლის მეთვალყურე-ობის ქვეშ ვყოფილვარ საროსკიპოებშიც კი. როგორც კროსვორდების მოყვარულს, მოსა-ლოდნელი გამოცდა და, განსაკუთრებით, კონსტანტინე XI-ის ანდერძის ბოლო პუნქტი მაინტერესებდა. შესაძლოა, ჩემი გალათადან გადასვლის პროექტს მივაგენი.

– ბეპიაჩემის აზრით, კაცი საცვლების ყიდვისასაც კი ორჯერ უნდა დაფიქრდეს, – შეხვედრა ამ თეზისით დავამთავრე.

სამეულის ყველაზე უპრეტენზიო, მაგრამ საყვარელი წევრი, თეო, შეკვრას მიფუთავდა. იმ ბავშვივით უშუალო გამოხედვა ჰქონდა, ექიმს რომ ენდობა. სამივემ გასასვლელ კარამდე მიმაცილა. ეზო რომ გადავიარეთ, ასკარისმა მითხრა:

– ეს სასტუმრო დიდი სასახლის ადგილასაა აღმართული, რომელიც IV საუკუნეში კონსტანტინე I-მა ააშენა. 1202 წელს ის ჯვაროსანთა ლაშქრობის მონაწილე ლათინმა ყაჩაღებმა გაძარცვეს და დაანგრიეს.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და შეხვედრა მეორე დღეს იმავე დროს დავთქვით. უკვე ვიცოდი, არც კი გამაფრთხილებდნენ, რომ შეკრების ამბავი საიდუმლოდ უნდა შემენახა.

\*\*\*

ბავშვობაში ვფიქრობდი ხოლმე, რომ ჩემი სხეული ორი ნაწილისაგან შედგებოდა:

მარჯვენა მხარე თურქი იყო, მარცხენა – ამერიკელი. სასტუმროს მეზობლად ბიზანტიის არქეოლოგიური გათხრების მოედანი რომ ვნახე, ახლა წელს ზევით – ბიზანტიელი, წელს ქვევით კი ოსმალო ვყოფილვარმეთქი, ჩემი ბავშვობა გამახსენდა.

ბიზანტიის დაღლილი გულით სულთანაპმედის მოედანზე რომ გავედი, ვიფიქრე, ჩემი წინაპრების მიერ დანაღმულ, მაგრამ უკვე გაუვნებელყოფილ მინდორზე მივაბიჯებ-მეთქი. ოსმალურ მეჩეთებში სამხრის ეზანს კითხულობდნენ. შევამჩნიე, ცერა თითებს უფრო ძლიერად ვაბიჯებდი და მხრებშიც უფრო გავიშალე. სირქეჯის<sup>1</sup> გავლით გალათას ხიდისკენ<sup>2</sup> გავემართე. ყარაჯაოლანის აკვიატებულმა კუპლეტმა შემაშინა:

მსოფლიო, რომელიც სულთანმა  
სულეიმანმა ვერ დაიპყრო,  
ეს მთები ერთ დღესაც მოსწყდება

მიწას,  
მრავალი წლის დამარხული სულები,  
შემოქმედის ბრძანებით, ერთ დღესაც  
აღდგება.

<sup>1</sup> სირქეჯი – უბანი სტამბოლში.

<sup>2</sup> გალათას ხიდი – ევროპული სტამბოლის ორი სანაპიროს დამაკავშირებელი ხიდი.

თურქულიდან თარგმნა  
ნანა კაჭარავამ





სომხური ლიტერატურა



## ერვანდ ვარდანიანი (დაიბ. 1995 წ.)

ერვანდ ვარდანიანი დაიბადა ერევანში. დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის კავკასიოლოგიის განყოფილება. მისი მოთხოვები დაბეჭდილია ლიტერატურულ ჟურნალებში „გარუნ“, „გრეთერთ“, „გრანიშ“. 2017 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „ანარქისტების კუნძული“ (მოთხოვების, ესეებისა და პიესების კრებული).

### ანარქისტების კუნძული

მთელი მეათე საუკუნის განმავლობაში სომხები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბიზანტიის იმპერიის ცხოვრებაში, როგორც ჯარისკაცები, მხედართმთავრები, ადმინისტრატორები, დიპლომატები და თვით იმპერატორებიც კი: რომანოზ ლეკაპინე და ოიანე ციმისხიოსი წარმომავლობით სომხები იყვნენ.<sup>1</sup>

ისეთი მკვეთრი, ისეთი შეუცვლელი ინტელექტუალი იყო. დეგენერატული და მხეცური, საზიზღარი აზრი ინტელექტუალისა.<sup>2</sup>

პატარა კაფე კუნძულის ჩრდილოეთ საზღვართან მდებარეობდა. ციცაბო კლდეების გვერდით ერთ უზარმაზარ ლოდს მიყრდნობილი, თავისი სიმუქით განსხვავდებოდა დანარჩენი გახუნებული ლოდებისაგან. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს აქ კონტინენტიდან ჰერკულესს გადმოეგდო, ან რომელიმე ტიტანს, რომელსაც იმის ნახვა სურდა, ჰორიზონტზე გაუჩინარებამდე რამდენჯერ შეეხებოდა ქვა ზღვის ლურჯ ზედაპირს. კაფეში ჩემ გარდა ჩალის მაგიდებთან გერმანულად მოლაპარაკე წყვილი იჯდა. ტურისტულ რუკას ჩასჩერებოდნენ და რაღაც გაუგებარ საკითხზე მსჯელობდნენ. ჩემ წინ ერთი ქალი იჯდა, რომელიც კაპუჩინოს სვამდა და წიგნს კითხულობდა. მზერას გამუდმებით წიგნისკენ ვაპარებდი, მინდოდა

დამენახა, რას კითხულობდა. ქალმა, ალბათ, შეამჩნია ჩემი ინტერესი, ყდა წამოსწია და წიგნი ღიმილით გამომიწოდა. ყდაზე ინკების სახელმწიფოს შესახებ მთხოველი ინკა გარსილასო დე ლა ვეგას სახელი გამოჩნდა.

მხატვარი იყო. მისი თქმით, მხატვრის მთავარი მისია ადამიანის რეალობასთან შეგუებაა. კუნძულზე გათხრებს აწარმოებდა. საკმაოდ ადვილად გამოვნახეთ საერთო ენა. ვფიქრობ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე ისტორიასთან ვიყავით დაკავშირებული, არამედ რაღაც სხვა – ფიზიოლოგიური – მიზიდულობის გამოც. საუბარი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. გერმანელმა წყვილმა იპოვა სასურველი ადგილი და კაფედან გავიდა. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს კუნძულზე მხოლოდ ჩვენ

<sup>1</sup> შარლ დილი, ბიზანტიის იმპერიის ისტორია, თარგმნა პ. ბრეგვაძემ, „ნეკერი“, 1998.

<sup>2</sup> Witold Gombrowicz, Pornografia, 1960.

ორნი დავრჩით. ვსაუბრობდით ისტორიასა და ხელოვნებაზე. თავიდან მხოლოდ მე ვლაპარაკობდი. ჩემი სიტყვები ჯერ არდას-მული კითხვების პასუხებს უფრო ჰგავდა. მისი თავი დირიჟორის ჯოხივით აქეთ-იქით ქანაობდა ჩემი შინაგანი ხმის თანხლებით, რომელიც მას შედედებული დაისისკენ მიუძღვებოდა... მან სიტყვა „ბიზანტიაზე“ შემანყვეტინა (შეიძლება, მას ამ იმპერიის სომხური წარმოშობის მმართველების შესახებ ვუყვებოდი, მე ამას ხშირად ვუყვები შემხვედრებს, ზოგჯერ ხომ აუტანელია, როცა შენი ფიზიკური არსებობის უკან არ დახეტიალებს ისტორიოგრაფიის ლანდი და შენ თანამოსაუბრის თვალებში წარმოჩინდები ისეთი, როგორიც ხარ სინამდვილეში – შიშველი)... გაუგებარია რატომ, მაგრამ საბჭოთა კავშირის არქიტექტურაზე დაინ-ყო ლაპარაკი. რამ გაახსენა? იქნებ იმიტომ, რომ იმ ქვეყანაში, სადაც მე ვცხოვრობ, ათასწლოვანი არქიტექტურული ევოლუ-ცია, მცირედი გამონაკლისებით, ერთფეროვნებას დაექვემდებარა? რაც არის, არის...

მან მიამბო, რომ სახლში უნგარეტის ავ-ტოგრაფიანი წიგნი აქვს. რამაც ყველაზე მეტად გამაკვირვა, აქვს სევერიანინის გა-მოუქვეყნებელი ხელნაწერი ლექსები – ფანქრით დაწერილი. დედინაცვლისგან დარჩა, რომელსაც ისინი 90-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე დოლარად უყიდია ერთი რუსი მეძველმანისგან. მერე უნგარე-ტის რამდენიმე სტროფი წარმოთქვა, რო-მელთა აზრიც ვერ გავიგე, ჩემს მეხსიერებაში ჩაიბეჭდა **ჯ** და **პ** ბგერების სწრაფი მონაცვლეობა. წამით მომეჩვენა, რომ ბგე-რებს მადის ალძვრა შეუძლიათ და ოფიცი-ანტს თევზის წვნიანის მოტანა ვთხოვე. სა-ნამ თევზის წვნიანს ვჭამდი, მან მუსიკაზე დაინყო ლაპარაკი. ყვებოდა, რომ გრამო-ფონი აქვს და მხოლოდ ასე უსმენს მუსი-კას, ციფრული ცხოვრება აღიზიანებს... იმ წამს გამახსენდა, როგორ ვისროდი ჩემს ძმასთან ერთად აქეთ-იქით გრამოფონის ფირფიტებს, რომლებიც აგარაკის სხვენში

ვიპოვეთ, როგორ მარტივად ვისროდით, ჰერის ფარდას ვარღვევდით და ისინიც ქრებოდნენ მხედველობის არიდან.

თევზის წვნიანი დამთავრდა და მუსიკა-ზე ლაპარაკი ინკების ისტორიის წიგნზე სა-უბარმა შეცვალა. ამ წიგნიდან მხოლოდ ნაწყვეტები მქონდა წაკითხული. თუმცა მთავარი ის იყო, რომ ვრცელი წინასიტყვა-ობა მთლიანად წამეკითხა, სადაც ჩემთვის უცნობი ავტორი წერდა, რომ გარსილასო თავის ისტორიაში, მართალია, შეძლების-დაგვარად შეეცადა ისტორიული ფაქტების დაცვას, მაგრამ მის ვრცელ ნაშრომში მა-ინც შეიმჩნევა პირველი სოციალ-უტოპის-ტების, კამპანელას და მორის, გავლენა... მან კეთილი ირონიით შემომხედა.

– გეტყობა, რომ ბოლომდე არ წაგიკითხავ. ის სხვაა, რასაც ადამიანებზე წერენ. ძირითადად, ტყუილია...

ვალიარებ და პირობას ვდებ, რომ წავი-კითხავ. ის კი დიდხანს, ძალიან დიდხანს მიყვება გარსილასო შესახებ. მისი მონათ-ხრობიდან ჩემში მხოლოდ ის ჩაიბეჭდა, რომ იგი სერვანტესის და შექსპირის გარ-დაცვალების დღეს გარდაიცვალა. ეს კი უკვე მისი ბოლომდე წაკითხვის მიზეზია.

გარსილასოს გარდაცვალების შემდეგ ყველანაირად უცდილობდი, ბოლოს და ბო-ლოს, მელაპარაკა ბიზანტიის შესახებ, მაგ-რამ, როგორც კი პირის გაღება დავაპირე, მან პოლიტიკაზე დაინყო ლაპარაკი. მოყვა, რომ უკვე თხუთმეტი წელია, რაც არჩევ-ნებზე არ დადის, რომ მხოლოდ ანარქისტები მოსწონს, რომ საბოლოოდ ანარქიზმი გაიმარჯვებს:

– მოულოდნელად მოხდება, იესოს მოს-ვლასავით, ეტაპობრივად შეუძლებელია ანარქიზმის მიღწევა.

ვალიარე, რომ ანარქიზმის თეორიას ძა-ლიან ზედაპირულად ვიცნობდი:

– ისტორიული ფაქტების გარდა, წარ-მოდგენა მხოლოდ ტოლსტოისა და კაფუას წარმოებებიდან შემიძლია შევიქმნა, მაგ-რამ, რამდენადაც მახსოვს, ანარქიზმი ათას ერთ მიმართულებად იყოფა.

– როგორც რწმენა, მაგრამ მაგას მორწმუნისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

ერთი წამით სიჩუმემ დაისადგურა, მე-რე მან ისევ დაიწყო ლაპარაკი, ლაპარაკი...

საკუთარ თავს ანარქიზმის შესწავლას დავპირდი.

დრო ბრუნავდა ჩვენს მზერაში. ჩვენ აღარ ვსაუბრობდით ისტორიაზე და ხელოვნებაზე, ქალაქებზე და არქიტექტურაზე. სველი ქარი კი თანდათან უფრო ძლიერდებოდა – თითქოს ინფორმაციული ტვირთით დამძიმებული ჩვენი ტვინების გასათავისუფლებლად მოდიოდა... ზღვის ხმაური გამუდმებით ტრიალებდა კუნძულის ნაპირზე, უზარმაზარი კლდეები გარმონივით ჩაკეცილი კუნძულის ნაპირზე ტუჩებზე და ჩვენკენ ტალღების განუმეორებელ ჯაზს უბერავდნენ, რომელიც კაფემდე მოდიოდა, ადგილობრივ მაგარ ღვინოს ეზავებოდა და ძარღვებამდე აღწევდა.

ჰორიზონტზე ერთი შავი წერტილი ჩანს, რომელიც გამუდმებით გვიახლოვდება, ალბათ, ისევ ტიტანმა გადაწყვიტა თავისი საყვარელი თამაშით გართობა.

– რა ლამაზია შენი ფრჩხილები, თითქოს სისხლში ამოავლესო. სულ არ ეტყობა, რომ არქეოლოგის ხელებია. შეიძლება, ახლოდან ვნახო?

მის პატარა ხელს ხელისგულში ვიდებ. ქარი ძლიერდება და ზღვის წვეთებს ჩვენკენ ისვრის.

– პატარაობაში თითის წოვის ჩვეულება მქონდა. იმდენად დიდხანს მედო პირში, რომ კანი მეჭმუჭწებოდა, ლამის მძვრებოდა. ყოველ საღამოს თითზე ცხარე წინაკას მისვამდნენ, ამ ჩვეულებისთვის თავი რომ დამენებებინა. ბოლოს მოვახერხე, მაგრამ ახლა ვუყურებ შენს ხელს...

მისი ლამაზი საჩვენებელი თითი ცახცა-ხით დამისხლტა და ჩემს ტუჩებზე ათ-რთოლდა. ზღვის მტვრის მილიონობით ნამცეცმა ახალი ძალით შეუტია კაფეს. გარმონმა ერთი წამით გადააჭარბა თავის მუსიკალურ შესაძლებლობებს. უცებ ის ადგა, ირემივით მოიღერა ყელი და მსუბუქი ნაბიჯებით გაუჩინარდა მუქ ლურჯ სიბნე-

ლეში, მერე ერთი წამით ისევ გამოჩნდა. მკითხა, ხომ არ დავეხმარებოდი ხვალინ-დელ გათხრებში.

მისთვის ჩაბარებულ კვადრატში სამარე აღმოაჩინეს. თვალყურს ვადევნებდი, თურა სათუთად წმენდდა გამომხმარ მიწას, ფუნჯს ფრთხილად უსვამდა დაბზარულ ქვებს, ზომავდა, ხელში იღებდა თიხის ნაჭრებს, მიწას ეთამაშებოდა. მტვრის ნამცეცები კი ჰაერში იწევდნენ, წყლისკენ მიეჩ-ქარებოდათ. ახსოვდათ თავიანთი წყლიანი წარსული, როცა ჩვეულებრივი პლანქტონები იყვნენ და ვეშაპის კუჭში ჯერ კიდევ არ მოხვედრილიყვნენ. გათხრების დროს თითქმის არაფერი უთქვამს, მხოლოდ მისი ჩუმი ბუტყუტი მესმოდა – სუნთქვასთან შერწყმული ნახევარტონები. შუადლებმდე მიწის ფენის გათხრა რამდენიმე სანტიმეტრზე მოვახერხეთ და ნელი ნაბიჯებით დავტოვეთ ნანგრევები. ენაზე ჯ და პ ბგერების დანალექს შევიგრძნობდი. იმ დღეს ძალიან გახარებული იყო, განძით სავსე ზარდახშა იპოვა, ათასი წლის წინანდელი.

– საინტერესოა, არა? ქალს ყოველთვის უნდოდა, ლამაზი ყოფილიყო.

– რადგან მამაკაცებს ყოველთვის სურდათ, იგი ლამაზი დაენახათ.

– რა იცი?

– ვგრძნობ...

მერე ვილაპარაკეთ სქესების განსხვავების, ქალისა და მამაკაცის როლების შესახებ. უაზრო საუბარი, რომელიც ყოველთვის სიცილით მთავრდება.

– დილას აქ აღარ ვიქნები.

მან არაფერი არ თქვა და ჩვენ სასეირნოდ გამოვედით.

ისევ კაფეში აღმოვჩნდით, სადაც ამჯერად დასაჯდომი ადგილი თითქმის არ იყო...

ვკითხე, კიდევ რამდენ ხანს აპირებდა ამ კუნძულზე დარჩენას და მიწის თხრას?

– სანამ საბოლოოდ არ ამოვა მიწიდან ანარქისტების ქალაქი.

– ანარქისტების?

– დიახ. მე მგონია, რომ ნაპოვნია ის ქა-

ლაქი, სადაც ოდესლაც ანარქისტების საზოგადოება არსებობდა. აქ არ ჩანს სოციალური დაყოფის არავითარი ნიშანი, ყველა სახლი ერთნაირია. ყველა საფლავში თითქმის ერთი ოდენობის სამკაულია. ისეთი არაფერია, რაც მაფიქრებინებს, რომ აქ ვიღაც სხვაზე მაღლა იდგა.

— იქნებ ეს მეკობრეების კუნძულია? — ანარქისტებიდან მე მხოლოდ მათ ვიცნობ.

— მაშინ რა ესაქმებათ აქ ქალებს? ამ ქალაქში ქალებისა და მამაკაცების რიცხვი თითქმის თანაბარი იყო. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ბინადარი ხალხი იყო და მათი ცივილიზაცია ზღვიდან მოსულმა ხალხმა გაანადგურა.

— კომუნისტებმა?

ის სიცილს იწყებს, სიგარეტს უკიდებს და ბოდიშს იხდის, რომ ტვინი წამილო თავისი „იზმით“.

საუბარში გაირკვა, რომ ის აქ მეუღლესთან ერთად ჯერ კიდევ 12 წლის წინ ჩამოსულა. მისი თქმით, მეუღლეს აკადემიური კარიერა მიეტოვებინა და გადაეწყვიტა, ცხოვრება ანარქისტების კუნძულისთვის მიეძღვნა. იმ დროს აქ არც ერთი სასტუმრო არ ყოფილა, არც ერთი ტურისტი არ ჩანდა და მხოლოდ მათი გათხრების გამო გაჩნდნენ სასტუმროები და ტურისტები სოკებივით და უცებ აღმოჩნდა, რომ აქაური სანაპირო შესანიშნავი საცურაო ადგილი ყოფილა.

მეუღლე ახლა საერთაშორისო კონფერენციაზე წასული, სადაც თავისი მოსაზრება უნდა წარადგინოს. როცა ვკითხე, როდის აპირებენ საბოლოოდ სამუშაოების დასრულებას, მიპასუხა, რომ მეუღლის გარეშე ეს საქმე შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. მხოლოდ მან იცის, სად იწყება და სად მთავრდება ქალაქი. თუმცა მეუღლეს ნათევამი აქვს, რომ ამას მაქსიმუმ ორი-სამი წელი დასჭირდება, ანუ 2018-2019 წლებში კუნძული მთლიანად გამოჩნდება. თავად ისეთი პროფესიონალი არაა, რომ მეუღლის გარეშე მინის ახალი ფენები მოხსნას, რადგან შეიძლება, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამორჩეს და ახლა

მხოლოდ წმენდს და აახლებს უკვე გახსნილ ფენებს...

კაფეში ხმაური აუტანელი გახდა და მან სახლში წასვლა შემომთავაზა.

მისი სახლი კუნძულის მაღლობზე მდებარეობდა, მოწითალო გორაკზე, საიდანაც შესაძლებელი იყო იმის დანახვა, თუ რა ხდებოდა ირგვლივ. ერთი შეხედვით მომეჩვენა, რომ ეს სახლი არ არის, არამედ ბეტონის მომრგვალო კედელია, რომელიც უფრო მეტად ბუნკერის შესასვლელს მოგაგონებდა.

შესვლისთანავე გამაოცა იქ დავანებული სინათლის სიუხვემ, რომელიც სახურავიდან ტალღებად დამვებული ფანჯრებიდან ჩამოედინებოდა. შენობა სახელოსნოს უფრო ჰგავდა. წრიული კედლის გარშემო სხვადასხვა ზომის ტილოები ეწყო, ხოლო წრის ცენტრში დადგმული ორადგილიანი საწოლი გახსნილ ჩემოდანს ჰგავდა. კარის გვერდით საწერი მაგიდა მოჩანდა, რომელზეც უურნალ-გაზეთები ელაგა.

საწოლზე ვისხედით. სახლის კონსტრუქციის შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი, მისი ავეჯით გაწყობის შესახებ... მერე ჩვენი ხელები ერთმანეთს შეეხო...

მისი მსუბუქი ტანსაცმელი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე სრიალით მოსცილდა კანს ისე, როგორც გველს სძვრება გასული წლის ტყავი, გრილი სხეული თრთოლვით ჩამისრიალდა ხელებში. სახეები, ფერები და მათში გაფანტული უამრავი მოგონება შემოვიდა ჩემში. ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს ბავშვობაში გადავინაცვლე და აგარაკის გრძელ დერეფანში დავდივარ, რომლის კედლებზე გამხმარი სამკურნალო ბალახების ძნები ჰკიდია.

გრამოფონზე ფირფიტამ ტრიალი დაიწყო, ნემსი ნელა დაეშვა, ყველაზე მოხერხებული ღრმული იპოვა, ფრთხილად ჩასრიალდა შიგნით. ხმა გაისმა, რომელიც მტვრიანი ფირფიტის გამო ალაგ-ალაგ წყდებოდა, მერე ხარვეზი ქრებოდა და დიდხანს უწყვეტად ისმოდა უცნობი მუსიკა...

საღებავებით მოსვრილი ხალათი მოიც-

ვა და მოსაწევად გავიდა. მეც ამოვწიე სხეული, რომელიც ჩემოდან-საწოლს ჩაეყლაპა და სურათების თვალიერება დავიწყე. სანერ მაგიდას მივუახლოვდი. ერთ-ერთი უურნალი ავიღე, რომელიც ისე ბრწყინავდა, თითქოს გუშინ დაებეჭდათ, ფურცვლა დავუწყე.

ილუსტრირებული უურნალი იყო, სავსე საინტერესო ინფორმაციით. ერთ გვერდზე, სავარაუდოდ, მისი მეუღლის სურათი იყო გამოსახული, სურათს სტატია მოსდევდა. რამდენიმე წინადადების წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ სტატია ამ კუნძულს ეხებოდა. სურათის ქვეშ დახრილი ასოებით ეწერა: „ჰ. ქ., ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. X უნივერსიტეტის არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კუნძულების ბინადარი ცივილიზაციების სპეციალისტი, ექსპედიციების მონაწილე... ნამყოფია 200-ზე მეტ კუნძულზე... გარდაიცვალა გულის შეტევით თქვენთვის საყურადღებო პროვოკაციული სტატიის, „ანარქისტების კუნძულის“, გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ, 2004 წლის 3 მარტს, როცა კუნძულზე ბრუნდებოდა. ცოლის სურვილის თანახმად, დაკრძალულია „ანარქისტების კუნძულზე“.

გარკვეული ხნის შემდეგ ჩემოდანი ისევ დაიკეტა.

დილას პატარა ჩემოდნით ხელში გემზე ავედი. გემმა რამდენიმეჯერ მკვეთრი სიგნალი მისცა და დაიძრა. კუნძულის ყველაზე მაღალ ადგილას გამოჩნდა ბეტონის ნაგებობა, საიდანაც ჩემოდნისმაგვარი ყუთიდან უკვე ამდგარიყო ქალი და ყოველდღიურ გათხრებზე წასულიყო. ერთ დღეს მისი მეუღლე დაბრუნდება და ისინი ერთად ამოთხრიან მინისქვეშეთიდან ანარქისტების ქალაქს, მანამდე კი ის არ დაუშვებს, რომ მტვერი დაგროვდეს ქალაქის უკვე გახსნილ ნაწილებში და ყოველდღე განაახლებს მათ.

მალე გემზე გერმანელი წყვილი შევნიშნე. ღიმილით მომიახლოვდნენ და ერთმანეთი გავიცანით. გარკვეული დროის მერე,

არ ვიცი რატომ, მე მათ ბიზანტიის შესახებ დავუწყე ლაპარაკი. მათ კი ხანმოკლე დუმილის შემდეგ მითხვეს, რომ ჩემთან საუბარს საღამოს ისურვებდნენ.

გემი იძვრება. კუნძული კი თანდათან პატარავდება. ახლა მჯერა, რომ იქ შესაძლებელია იმ საზოგადოების შექმნა. ახლა ხომ კუნძული იმდენად პატარაა, რომ მასზე ერთი ადამიანი ძლივს დაეტევა.

ჩემს სმენას გამუდმებით უბრუნდება გრამოფონის ხმა, რომელიც ყურების დახშობას მაიძულებს. მერე ხმა უჩინარდება, დალენილი ფირფიტები წარმომიდგება თვალწინ, მერე ზღვა ივსება.

ახლა კუნძული თითქმის აღარ ჩანს. ზღვის სიღრმეში მოჩანს ტალღებზე მოცურავე მონაცრისფრო-მოშავო წერტილი, სავარაუდოდ, ბრტყელი კლდის ნაჭერი, რომელიც თავისი საყვარელი თამაშით გართულმა ტიტანმა ისროლა.

წერტილი წყალში ჩაიძირა. მე შევხვდი გერმანელ წყვილს და კიდევ რამდენიმე ადამიანს. თავიდან მინდოდა, მათთვის მომეყოლა კუნძულზე გაცნობილი ქალის შესახებ, მაგრამ, არ ვიცი რატომ, ისევ ბიზანტიაზე დავიწყე ლაპარაკი... გემი რჩევარნევით მიუახლოვდა ნაპირს. ჩვენ ყველანი ქვევით ჩამოვედით. ერთი წამით მომეჩვენა, თითქოს ისევ კუნძულზე დავბრუნდით. გერმანელი წყვილი აჩქარებით შევიდა კაფეში და ტურისტული გზამკვლევი გადაშალა. მათგან ოდნავ მოშორებით მოვკალათდი. ზუსტად ჩემ პირდაპირ ქალი იჯდა და წიგნს კითხულობდა. მზერას გამუდმებით წიგნისკენ ვაპარებდი, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე იმის დანახვა, თუ რას კითხულობდა. ცოტა ხნის შემდეგ გერმანელი წყვილი გაუჩინარდა. კაფე კი ახალი ადამიანებით შეივსო.

ოფიციანტმა თევზის წვნიანი მოიტანა. კოვზმა ორაგულის დაფლეთილ ნაჭრებთან დაიწყო თამაში. მეხსიერებაში ისევ ოთახი წარმომიდგა, სადაც უცნობი მუსიკა ისმოდა, რომელიც თითქოს **ჯ და პბგერების შეზავებით შექმნილიყო.** ის საწოლზე იჯდა და წინ დაკიდებულ სურათებს უყურებდა,

სადაც სხვადასხვა ასაკის მამაკაცები იყვნენ გამოსახულნი. ჩემი თავი მის მზერასთან ერთად დატრიალდა. მამაკაცების შემდეგ პეიზაჟები გამოჩნდა, ზღვის სურათები, ფერები, მერე – ნანგრევების გრძელი წილის, აგარაკი გამოჩნდა, რომლის სახუ-

რავებიდან ორი ბავშვი ფირფიტებს ისროდა ბეტონის თავშესაფრისკენ და სიცილით იმალებოდა ჩემოდნების უკან, ხოლო ტალღისებრი ფანჯრებიდან ჩამოლვრილი უხვი სინათლე ოთახს თანდათან უჩინარს ხდიდა.

სომხურიდან თარგმნა  
ასია დარბინიანმა



სპარსელი ლიტერატურა



## ამონარიდები ფალაური რელიგიური ძეგლიდან<sup>1</sup>

ფალაური რელიგიური ლიტერატურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი აიერთიანებს სხვადასხვა დროის ტექსტურ ფრაგმენტებს (ნაკვეთებს, პარაგრაფებს), რომელთა ძირითადი ნაწილია „ჰანდარზები“, – შეგონება, დარიგება, რჩევა, სწავლება. ეს ძეგლი პირველადი სახით წარმოადგენს უძველეს ფალაურ ხელნაწერს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ზომის უსათაურო თუ სათაურიან ცალკეულ დამოუკიდებელ ტექსტებს, – როგორც ჩანს, ჯერ ქურუმთა და შემდგომ სხვა გადამწერთა მიერ გაერთიანებულს ჰანდარზების ნიშნით. პარაგრაფთა საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია აკადემიურ გამოცემებში. თავად „ჰანდარზების“ არსი, ზნეობრივი და სულიერი თვალსაზრისით, უმეტესწილად საკმაოდ ახლოა ქრისტიანულ სულისკვეთებასთან; ამიტომ თარგმნისას ვიყენებთ ქრისტიანულ ლექსიკას (ქრისტიანიზმებს). მთლიანობაში ტექსტების ერთობლიობა ნათელ წარმოდგენას იძლევა ზოროასტრიზმის ძირეულ საკითხებზე: სულზე და სხეულზე, გარდაცვალებაზე, სულის მოგზაურობაზე, საიქიოში გადასასვლელ საბედისწერო ხიდზე, ანგელოზებზე და ავსულებზე, სამოთხეზე და ჯოჯოხეთზე, ღმერთზე, მართლმორწმუნეობაზე და მართალთა მოძღვრებებზე; ასახულია სიკეთისა და უკეთურებისა არსი.

ნინამდებარე ძეგლის ჩვენ მიერ შერჩეული ტექსტები ქართულად პირველად ითარგმნება და ქვეყნდება. ძეგლის დარჩენილი ნაკვეთების თარგმანებიც „არმალანის“ მომდევნო ნომრებში გამოქვეყნდება.

### სწავლანი, შეგონებანი და დარიგებანი: იხილება მართალთა გზები

#### 1. სახელითა ღვთისაითა

ტანის და ჯანის სიმრთელე კარგი ქონებაა. კეთილმორწმუნე ვაჟიშვილის ყოლაც კარგია. კარგია სახელოვანი ძმაც. საკუთარი მოვალეობის დაცვა სიკეთეა. სათონ ცოლის მეუღლეობაც სიკეთეა. სიკეთეა მრავალი კეთილშობილი საქმის აღსრულება. კარგია საკუთარ სულთან მეგობრობა. სარწმუნოებრივ დღესასწაულთა აღნიშვნა კარგია. სიკეთეა ყოველ საქმესა და განსჯაში სიმართლე და საღაზრიანი სამართლიანობა-მართლმსაჯულება. სიკეთეა უეჭვობა ორივე სამყაროს მიმართ. დასრულდა მშვიდობით.

#### 2. სახელითა ღვთისაითა

იტანჯება უგუნური. წუხილიანია უცოლო. უსახელოა უძეო. არაფრად ფასობს უქონელი. სუსტია მარტოხელა, ვისაც არავინ ჰყავს. ყველა ამათზე უბადრუკია იგი, ვისაც სული არ გააჩნია. დასრულებულია.

#### 3. სახელითა ღვთისაითა

ცოდნას ვერაფერი შეედრება. მავნებლობით სახელს ვერ მოიხვეჭ. წუთისოფელი დაუცველია. სიყმანვილე უმოწყალოა. სიმდიდრეში არ სუფევს დიდება. ცხოვრებაში სიმშვიდე არ არსებობს. სიბერეს არა

<sup>1</sup> ძეგლის ორიგინალს საერთო სათაური არ გააჩნია. ძირითადი შინაარსიდან გამომდინარე, გამოიყენება მეცნიერ-ავტორთა მიერ სამეცნიერო ლიტერატურაში მინიჭებული პირობითი სათაურების სხვადასხვა ვარიანტი, რომელთაც ჩვენ, გაქართულებული სახით, ვიყენებთ კრებითად. გაქართულების სტილი ეყრდნობა ქართულ სამწერლობო ტრადიციას.

აქვს წამალი. სიკვდილი გარდუვალია. დედაკაცებს გონება არ გააჩნიათ. ღმერთს ტოლ-სწორი არა ჰყავს. ყველაზე შესაბრალისია გარდაცვლილი, რომელიც სათნო არ ეყო უფალს. ხოლო, ვინც კი სათნო არ ეყოფა ღმერთს, მას არა აქვს ადგილი გაცის-კროვნებულ სამოთხეში.

დასრულებულია ჯანსაღად, სიხარულითა და მშვიდობით.

#### 4. სახელითა ღვთისაითა

ხამს მისდიო სამართლიანობას და მოიცე მრნამსის თანახმად. არ უნდა აწყენინო დედ-მამას. ხამს იქონიო თანხმობა და კავშირი ძმებთან, მეგობრებთან, ნათესავებთან და ახლობლებთან; უნდა დაიცვა მათი ცოლები. უნდა იღვანო კეთილ საღვთო საქმეთა სახსრებისთვის. ყოველდღიურად ჩააბარე საკუთარ თავს შენი ქცევების ანგარიში: რა მოიმოქმედე სასარგებლო, რა – საზიანო; რა საღვთო მოწყალება გაეცი, რა ცოდვა ჩაიდინე; რომელი მართლმორწმუნე გზებით იარე, სად გადაუხვიე მართალთა გზას; რამეთუ ამქვეყნიური ქარვასლის ერთდღიანი სტუმრობაც კი უნდა ემსგავსოს იმქვეყნიური მარადიულობის სუფევას. დაე, ალირაცხოს მადლიანი მოწყალებაც და ცოდვა-ბრალიც, რადგან, ვისაც წყალობა ცოდვილობაზე მეტი აპადია, მართალი სროში ხელს მოჰკიდებს და ღვთის სასუფეველში შეიყვანს; ხოლო ვისი ჩადენილი ცოდვა-სიავეც აღემატება მის კეთილ საქმეებს, ავსული ვიზარში<sup>2</sup> ჩავჭლებს ხელს და ჯოჯოხეთში მიაბრძანებს. და თუ ცოდვილნი ატირდებიან, ეშმაკნი არ

შეიბრალებენ მათ; და რომც აყვირდნენ, ყურსაც არ ათხოვებენ. შენი ერთადერთი საბოლოო ხსნა ოდენ შენივე საკუთარი ქმედებანია.

დასრულდა ჯანსაღად, სიხარულითა და სიმშვიდოთ.

#### 5. სახელითა ღვთისაითა

კეთილშობილი ქცევა, თქმა მართლისა სიმართლისა, დაქორწინება – ცოლის შერთვა, შთამომავლობის წარმოქმნა-გამრავლება, ლოცვა და რწმენაში სიმტკიცე. სისხლითნათესაური ქორწინებანი<sup>3</sup>, ბაჟრამის (ვარ(ა)ჰარანის)<sup>4</sup> ცეცხლის დაარსება, დანგრეულის კვლავ აღშენება და აღდგენა-კეთილმოწყობა, სარწმუნოებრივი დღესასწაულების აღნიშვნა, საქონლის მოშენება და მესაქონლეობა, ლირსეულ კეთილმორწმუნე ზოროასტრელთათვის მოწყალების გაცემა.

დასრულდა ჯანმრთელად.

#### 6. სახელითა ღვთისაითა

სიკეთის გულისთვის მიიღე შენს თავზე ღვანლი. ყველგან და ყოველთვის გახსოვდეს სიმართლე. მიწიერი კეთილდღეობის გამო არ შეამცირო სულიერი სანიჭარი. ნურაფრად აგდებ ამქვეყნიურ მონაპოვრებს, არამედ დააფასე სულიერი საუნჯე. არ უნდა მიიჩნიო საშურად ისეთი სარგებელი, რომლისგანაც ზიანი მოგადგება. და ნუ მიითვლი სიხარულად ისეთ სიხარულს, რომლის მერეც დარღი გეწვევა. ის სიტკბო სიტკბოებად არ მიიჩნიო, რომელსაც სას-

<sup>1</sup> სროში – სათნოების ანგელოზი, სულები გადაჲყავს სასუფეველში (სამოთხეში).

<sup>2</sup> ვიზარში – ჯოჯოხეთის ავსული, ცოდვილთა სულები მიჰყავს ჯოჯოხეთში.

<sup>3</sup> ზოროასტრელთა საზოგადოებაში დაშვებული და გავრცელებული იყო სისხლით ნათესავთა ქორწინება, რაც მოგვიანებით დოქტრინულადაც კი იქნა მიჩნეული. ეს ძველირანული ვითარება შეგვიძლია დავინახოთ ახალსაბარსულ პოემაშიც „ვისორმინი“.

<sup>4</sup> ვარ(ა)ჰარანი – ძირითადი წმინდა ცეცხლის სახელი, შდრ. ახალსპ. სახელი ბაჟრამი, შდრ. ქართ. სახელი ბარამი; იგ. ავესტური და სანსკრიტული ვრთორაგნა – ავსულის გამგმირავი. აქედანვეა ფალ. სახელები ვაჟრამ/ვარაჟრან; უკავშირებენ ქართულ ვახტანგ-საც, თუმცა უკანასკნელი უფრო ახლოსაა ოსურ ვრხტანეგ-თან: მგელა.

ტიკი სიმნარე შეცვლის. ის სიმდიდრე სიმდიდრედ არ აღიარო, ხორცია და სულს რომ არ არგებს. ისეთ მეგობარს მეგობრად წუმიღებ, ჭირში რომ არ მოგეშველება. არც ის შვილი ვარგა შვილად, დედ-მამის სიტყვას რომ არ ასრულებს. არც ის ცოლია ცოლი, ქმრის ბრძანებას რომ ყურს არ ათხოვებს; მეუღლის ავსა და კარგს, წუხილსა თუ სიხარულს არ გაითავისებს; ვინც არ იზიარებს ქმრის ჭირსა და ლხინს, – ჭეშმარიტად იგი ნებისმიერ მტერზე უარესია.

დასრულდა.

## 7. პოხომიაფრიდის<sup>1</sup> ნაკვესები

სახელითა ღვთისაითა  
ამბობენ, ბოხთაფრიდს უბრძანებია:  
არავინაა ჩემზე მდიდარი, გარდა ჩემზე  
კმაყოფილი კაცისა. და კვლავაც უთქვამს:  
მთელი დუნიის ხალხიც რომ შეგროვდეს  
ერთად, ვერ გამამდიდრებენ, რამეთუ, ცა-  
ლი ხელით თუ ვიღებ, მეორე ხელით გავ-  
ცემ. ამდენად, გაჭირვება მუდამ ჩემთან  
რჩება.

## 8. ადურფარობალის<sup>2</sup>, ფაროხის ძის შეგონება-დარიგებანი

სახელითა ღვთისაითა  
ორიოდ სიტყვა შეგვანია ადურფარო-  
ბალმა, ფაროხზადის ძემ: იკითხეს, რა არს  
გონება და როგორია მისი გამოვლენა – რო-  
გორად ვიხილოთ ის? უპასუხა ასე: გონიე-  
რი ადამიანი მტკიცე ხასიათისაა, უნარია-  
ნია, კეთილია, მართალია, სახელოვანი,  
მედგარი; ხოლო, თუ ადამიანს ზნე გამოაჩ-  
ნდა, იგი თავის ადგილს იპოვის. უნარი მის

მდგომარეობას აღამაღლებს, სიკეთე კი დაამშვენებს მის სამყოფელს. მორჯმული სახელს მოიხვევს, მისი დიდება სურნელს მოჰყენს იქაურობას. სიმტკიცე ფეხზე მედგრად დააყენებს, სიმართლე კი შესძენს პირდაპირობას და დაჯერებულობას.

კვლავაც პკითხეს: რას ნიშნავს, თესო ჭკუა-გონება? და კვლავაც მიუგო: ჭკუა-გონების თესვა-გამრავლება სწავლებაა, ხოლო გონივრული ნათქვამი გამგონბა-დამჯერობაა, მისი ნაყოფი კი გადაწყვეტის უნარია, გადაწყვეტილების ნიჭია; ხოლო ადგილი ჭკუა-გონებისა არის ნათელი და ნეტარებით აღსავსე სამოთხე.

დე, უკვდავი იყოს ადურფარობალის სული, ფაროხზადის ძისა, რომელმაც წარმოთქვა ეს სიტყვები.

დასრულდა.

## 9. ადურპალის<sup>3</sup>, ზართოშთის ძის შეგონება-დარიგებანი

სახელითა ღვთისაითა  
ზართოშთის ძის, ადურპალის, შესახებ  
ცნობილია, რომ მან იცხოვრა 150 წელი და  
აქედან 90 წელი ქურუმთუხუცესის მოვა-  
ლეობას ასრულებდა. და მან ბრძანა: „სიმ-  
დიდრეც მინახავს, სიღატაკეც და ძალაუფ-  
ლებაც; მდიდარი ვიყავ გულუხვი და ხელ-  
გაშლილი; დატაკი ვიყავ გულმოდგინე და  
გეგმაზომიერი; ხოლო ხელისუფლებაში  
გავხდი თავმდაბალი და მოწყალე; მშვიდო-  
ბიანობა ჯობს ომიანობას; მტრობის გან-  
ქარვების იმედი უკეთესია სიძულვილის  
მოძალებაზე; სიმშვიდის მოპოვება ჯობს  
და მრისხანების უკუგდება; გულწრფელი  
აღიარება უკეთესია დაფიცებაზე; ქონების  
ნაწილის გაცემა კარგია და ცრუმონმეობა

<sup>1</sup> ბოხთაფრიდი: ხოსროვ ანუშირვანის ერთ-ერთი ღვთისმეტყველი, ავესტის კომენტატორი;

<sup>2</sup> ადურფარობალი, ფაროხზადის ძე: ხალიფატისდროინდელი (ხალიფა ალ მამუნის ეპოქა), მეც-ხრე საუკუნის ქურუმთუხუცესი; განაგრძობდა ზოროასტრიზმის განმარტებას და ქადაგებას თვით ხალიფას წინაშეც;

<sup>3</sup> ადურპალი, ზართოშთის ძე: იეზდეჯერდ მეორის ეპოქის მთავარი ქურუმი, იხსენიება „დენკარტშიც“.

– ცუდი; კითხულობდე და არ იყო გზააპნეული; იყავ გამგონე, დამჯერი და არ შეცდები; ვინც რჩევას კითხულობს – არ მოტყუდება; ვინც ეს შეიმეცნო, – არავინაა მასზე კმაყოფილი; ვისაც ღმერთები შეეწევიან და მეოს ექმნებიან, იხსნიან მას ყოველგვარი ბოროტებისგან“.

დავასრულეთ ჯანმრთელად, სიხარულით, სიმშვიდით.

## 10. მიწიერ საგანთა დაყოფა

### სახელითა ღვთისაითა

როგორც ამბობენ, დადგენილი ამქვეყნიური ნივთნი დადგენილად განიყოფება ოცდახუთ ნაკვეთად: ხუთი ბედისწერითაა მიკუთვნებული, ხუთი – საქმიანობითაა განპირობებული, ხუთი ბუნებისაა, ხუთი ხასიათზეა დამოკიდებული, ხუთიც მემკვიდრეობით გადაეცემა. სიცოცხლე, ცოლები, შვილები, ძალაუფლება და სიმდიდრე ბედისგან ეძლევა კაცს; ფენების წარმომადგენლობას: ქურუმებს, მეომრებს, მიწათმოქმედთ, – აგრეთვე, კეთილშობილებასა თუ ბოროტმოქმედებას ადამიანის საქმენი განსაზღვრავენ. ქალების მონახულება, შრომა, ჭამა-სმა, მოძრაობა და ძილი – თავად ბუნებიდან მომდინარეობს. სიყვარული, ღირსება, გულუხვობა, ჭკუა-გონება, მეხსიერება და ძალა – მემკვიდრეობით მიეცემა ადამიანს.

დავასრულეთ.

## 11. სახელითა ღვთისაითა

კმაყოფილების სიმშვიდე მარტო წამლებითა და სამკურნალო საშუალებებით არ მიიღწევა. თუმცა არის ერთი მაკურნე-

ბელი წამალი, რომელიც უხდება განწყობას. ეს წამალი იწონის ერთ წონით დრაჟმეს<sup>1</sup>. ოსტატურად შეურიეთ გონივრულობას სიამის მიღწევის ერთი დანგი<sup>2</sup>. „და თუ არ შევასრულებ ამას, რაც უნდა შევასრულო, მაშ რა ვქნა, რა გავაკეთო?“; „ერთი დანგის მიღებით დღეიდან ხვალამდე შეიძლება იგრძნოთ უკეთესობა“ – სულ ერთი დანგით. „არადა, ამაზე უარესი შეიძლებოდა მომხდარიყო“ – ერთი დანგით. „მირჩევნია, კმაყოფილი ვიყო იმით, რაც არის“ – ერთი დანგი. „ხოლო თუ ვიქნები უკმაყოფილო, საქმისთვის უარესია და ჩემთვისაც – უფრო მძიმე“ – სულ ერთი დანგი.

ეს წამლები უნდა ამზადოთ ფილთაქვით მოთმინების როდინში, უნდა დანაყოთ ლოცვის ქვასანაყით, უნდა გაცრათ მორჩილების აბრეშუმის ქსოვილში და ყოველდღე ცისკარზე უნდა მიიღოთ ორი კოვზი ღმერთთა მიმართ სასოებით. ხოლო მიღებისას წამალს წყალი უნდა მიაყოლოთ. ამის შემდეგ უთუოდ, უჭველად უნდა შეიქნათ კმაყოფილი, რადგან სულისთვისაც და ხორცისთვისაც ეს განწყობა მარგებელია.

დავასრულეთ.

## 12. პეპზად ფაროს პერზის<sup>3</sup>

### შეგონებანი და დარიგებანი

პეროზი მართლისმთქმელი სიბრძნის-მეტყველი ბრძანებს: „მე დავრწმუნდი, რომ ჭკუა-გონება საუკეთესო სულიერი მადლია; და სააქაოს ყველა საქმენი გონებითაა განსაზღვრული. გონებით სავსე მარად მშვიდია, უჭკუო მუდამ წუხს. ორნაირ პიროვნებას თავისი საქმიანობა ყოველთვის ემარტივება: ერთია გამჭრიახი გონებისა, მეორე კი – ბრიყვი; გამჭრიახს – თვისი გონიერების ძალით, ხოლო ბრიყვს – მი-

<sup>1</sup> დრაჟმი/დრამი – აქ: წონითი ერთეული (იგივე სიტყვა ფულის ერთეულსაც აღნიშნავს).

<sup>2</sup> დანგი – ნებისმიერი რამის, აქ: დრამის (დრაჟმის) ერთი მეექვსედი ნაწილი.

<sup>3</sup> ბეპზად ფაროს პეროზი: პიროვნება ისტორიულად დაუდგენელია, უცნობი ღვთისმეტყველი-კო-მენტატორი (უსახელო უავტორო ნაკვესებიც ღვთისმეტყველთა განმარტებებია).

სივე უჭეულბით. მოიპოვება კიდევ ორგვა-  
რი მახვილგონიერი და ნიჭით დაჯილდოე-  
ბული ბრძენი: ერთი – უქონელი, მეორე კი  
– რელიგიური მოძღვარი, რომელიც მოკ-  
ლებულია ამპარტავნობას. არის ორი მოტ-  
ყულებული სხეული, ვინც მკაცრი და სასტი-  
კია საკუთარი თავის მიმართ...<sup>1</sup>. მონდომე-  
ბით ამრავლეთ კეთილი საქმენი, ნუ უგუ-  
ლებელყოფთ თქვენს მოვალეობას და კმა-  
ყოფილნი იყავით თქვენი ბედით. ნუ იქნე-  
ბით თვითდაჯერებულნი, მოინანიეთ ყოვე-  
ლი მცირე ცოდვა, ნუ იყბედებთ საკუთარ  
სიმდიდრებზე. სხვისი ხელით და სახსრე-  
ბით წურაფერს აღასრულებთ. მცონარობა  
ჩაეთვლება საკუთარ ქმედებებს და არა –  
ბედისწერას. სარგებელში მისწრაფებულნი  
იყავით და შორსმჭვრეტელნი. ბედის მოი-  
მედე იყავით და აგრეთვე – ბედნიერების  
მსასოებელი.

ჩემი დარწმუნებით, ქმნილებისგან წარ-  
მოდგარი ყოველგვარი სიავე გონიერებით  
სრულად გაქარწყლდება. მადლი და წყა-  
ლობა, შეწევნა და მეოხება გონებისგანაა;  
რამეთუ ადამიანი მაღალ მდგომარეობამდე  
ჭკუა-გონებას მიჰყავს და უკიდურესი გა-  
საჭირისგანაც მას გონიერება იხსნის. გო-  
ნება მფარველია და მხსნელი სულისა; გო-  
ნება მხსნელია და გუშაგია სხეულისა. სიმ-  
დიდრეში საუკეთესოა, მოიხმაროთ დიდი  
ჭკუა, ხოლო სიღარიბეშიც აგრეთვე კვლავ  
ჭკუას უნდა მიენდოთ. ამქვეყნად გონება  
უპირველესი მეგობარია და საიქიოშიც ყვე-  
ლაზე სანდო მხარდამჭერი კვლავ გონებაა.  
იარაღი გონების წყალობითაა ძლევამოსი-  
ლი. სახელსაც გონება ამჟობს და მისით მო-  
იხვეჭება თვით სახელიც. გონივრული გუ-  
ლუხვობა და ხელგაშლილობა უკიდეგანოდ  
მარგებელია. შემამკობელი ქონებრივი სახ-  
სრები გონიერების ძალით მოიპოვება.  
რწმენის სიმტკიცე უეჭველად გონივრუ-  
ლია. ცოდნაც მოიხვეჭება გონების წყალ-

ბით. ზომიერება მეტად თვალსაჩინოა გო-  
ნივრულობის გამოისობით. ცოდნას გონება  
განამტკიცებს სამოქმედოდ; რამეთუ, ვინც  
გონიერია, უნარიანია. ვისაც გონება გააჩ-  
ნია, ქონებაც აბადია; რადგანაც კეთილად  
აწყობილი წარმატებული საქმეები დაფუძ-  
ნებულია გონიერების საძირკველზე; რამე-  
თუ ყოველი ადამიანი ხომ, ასი წელიც რომ  
იცხოვროს, ამის მერე განსაზღვრულ დროს  
მაინც თავის უკანასკნელ გზას გაივლის ხი-  
დამდე<sup>2</sup>. აბა, ერთი შეხედე, – გსურს, შეძლე-  
ბული ოჯახი გქონდეს. როგორც კი მოკ-  
ვდები და განშორდები მას, რა სარგებელი  
გაქვს სიმდიდრისგან? რაში გამოიყენებს  
ქმარი ხარბად მოპოვებულ ფულს, განძად  
რომ მოაგროვა დიდ საგანძურში თავის ცო-  
ლისთვის? ბრძენი ხომ საქმის საწყის ფესვს  
ჭვრეტს, სულელი კი მარტო დასასრულს  
უყურებს.

ხომ იცი, ტანი რომ დაირღვევა, ხორცი-  
ელი ყალიბი დაიფშვნება და მტვრად იქცე-  
ვა, ყველასგან დავიწყებული სულიც ტო-  
ვებს სხეულს. ოსტატი ასე წყვეტს შემოქმე-  
დებას და მისი მიტოვებული ნახელავი რჩე-  
ბა თავმინებებული. ხელოვანმა თავი ანება  
ნაკეთობას, წავიდა ყალიბთა გამოძერნვით  
დაღლილი. ვისაც თვალები დაუხუჭა დრომ  
და უამმა, წაიღო იგი ისეთმა ღრმა ძილმა,  
რომ ვეღარ აღდგება. მისი გული განგმი-  
რულია იმგვარი სასტიკი ტკივილით, რომ  
ის აღარ ფეხსაცვლა. მოტეხილი ხელი აღარ  
შეუხორციდება და მოტეხილი ფეხი ვეღარ  
დაიძვრება. მოვიდა სასაპალნე პირუტყვი –  
ჯორი და არ წავა ტკირთის გარეშე. ბედის-  
წერა მოგადგა კარზე და იგი გარდაუვალია.  
ახლა სხეული საკაცეზე ძევს, გვამი კი –  
დახმას<sup>1</sup> დათქმულ ადგილას. ხდება ისე,  
რომ ოჯახი ოჯახს შეერევა, სიმდიდრე და  
ქონების განკარგვის უფლება ერგება სხვა  
მეპატრონეს, ცოლი სხვა ქმარზე ფიქრობს,  
სიმდიდრეც სხვა პატრონის ხელში გადა-

<sup>1</sup> აქ ხელნაწერის ტექსტში ხარვეზია, ტექსტის ნაწილი აკლია და აზრი უსრულია.

<sup>2</sup> ხიდი: ჩინვადის ხიდი, რომელზედაც უნდა გაიაროს სულმა საიქიოს გზის დასაწყისში; ცოდვი-  
ლები ცვივიან საზარელ უფსკრულში, ხოლო მართალნი გადაივლიან მეორე ნაპირამდე. ხიდზე  
წყდება სამოთხისა თუ ჯოჯოხეთის საკითხი.

დის. სული დაობლებულია, სხეულიც მარტოხელაა, გვამი დევს დადგენილ ადგილზე, გვერდით კი უსხედან მოჩხუპარი ძალლები და დასტრიალებენ სვავები. წარჩინებული სახელოვანი და უსახელო გლახაკი, ბატონი და მონა, ღატაკიც და დიდებულიც, და ყველაზე მდაბიო არარაობაც, – ყველანი გაემგზავრებიან იმ სავანეში.

მაღალი ღმერთის ბრძანებით, ღვთაებები განამზადებენ დიდებულთათვის ზე-

ცად აღვლენის მრავალგვარ გზას. მსგავსად ტყვედ ჩავარდნილი და მამას დაშორებული შვილისა. ღვთაებები მიაცილებენ წარჩინებულთ გზაჯვარედინ გასასვლელამდე, სადაც იწყება ჩინვადის<sup>2</sup> დიდებული აღმატებული ხიდისკენ მიმავალი ორი გზა. აქ ყოველი სული იხილავს ხორცის მიერ ჩადენილს“.

დასრულდა ჯანმრთელად, სიხარულითა და სიმშვიდით.

<sup>1</sup> დახმა – დახმაკი, დახმაგესტანი: გვამების კოშკი, სადაც ათავსებდნენ სხეულებს; ცხოველნი და ფრინველნი ჭამდნენ გვამებს, დარჩენილ ძვლებს კი შემდეგ ყრიდნენ კოშკში. ამის შედეგად მიიღწეოდა სამყაროს ყველა სტიქის სიწმინდე.

<sup>2</sup> ჩინვადი – საიქიოს ხიდის სახელწოდება, სადაც ხდება სულის ღირსების შეფასება; ჩინვადის დიდებული ხიდი ზოროასტრიზმის სარწმუნოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელია.

ფალაურიდან თარგმნა  
მაია სახოკიამ

## აბულყასემ ფირდოუსი (X-XI სა.)

სპარსული პოეზიის უდიდესი წარმომადგენლის აბულყასემ ფირდოუსის ვრცელი ეპოსი, „შაჰნამე“, მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ქართულად თარგმნილია პოემის არაერთი ნაწილი როგორც შუასაუკუნეებში, ასე-ვე, თანამედროვე ეპოქაში სხვადასხვა მთარგმნელის მიერ.

მრავალი წელია, ამ უმნიშვნელოვანესი და ქართველთაგან უკვე საუკუნეების წინ შეყვარებული პოემის თარგმნაზე დაუღალავად მუშაობს ირანისტი, პოეტი და მთარგმნელი ბელა შალვაშვილი. 2011 წელს გამომცემლობა „ნეკერმა“, თბილისში ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურის განყოფილების მხარდაჭერით, გამოსცა მთარგმნელის მრავალწლიანი გარჯის შედეგი – „შაჰნამეს“ დიდი ნაწილის ქართული თარგმანი.

ახლახან ბელა შალვაშვილმა დაამთავრა წიგნის თარგმანზე მუშაობა და იმედია, ქართველი მკითხველი მალე იხილავს პოემის სრულ ქართულ თარგმანს.

დღეს „არმალანის“ მკითხველს ვთავაზობთ ერთ ეპიზოდს ამ ახალი თარგმანიდან.

### ესფანდიარისა და როსტომის შეტაკება<sup>1</sup>

(მნიშვნელოვანი შემოკლებით)

ორივ მათგანი უკვე ეცა მშვილდ-ისარს, ახლაც  
მზე ლამის კიდეც დააპირებს, ჩრდილილა დარჩა.

ისრებმა ჯავშნებს დააჩნია თავისი კვალი,  
არც ერთის ჯავშან-მუზარადი მთელი არც არის.

ესფანდიარის რისხვა უფრო ძლიერი გახდა,  
თანდისთან უფრო იღუშება, ნაღველი ახლავს.

აყრის და აყრის ისრებს უხვად ესფანდიარი,  
როსტომიც აყრის, შაჰრიარი<sup>2</sup> უვნები არის.

<sup>1</sup> ესფანდიარის მამას - მეფე გოშთასბს - არ სურდა ძისთვის ტახტის დათმობა, ამიტომ იეშმაკა: შვილს მოსთხოვა, უძლეველი როსტომი ხელებშეკრული მომგვარეო. დარწმუნებული იყო, ესფანდიარი როსტომს ვერ მოუყვანდა და ამ ამბავს იქნებ გადაპყოლოდა კიდეც... ესფანდიარმა როსტომს შეუთვალა, მამაჩემთან ხელებშეკრული უნდა მიგიყვანოო. როსტომმა უთხრა, ხელებს არ შეგაკვრევინებ, მაგრამ მამაშენთან გამოგყვები, მის წინაშე დავემხობი, ხელ-ფეხს დავუკოცნი, ჩემი წინაპრებისა და ჩემს ნავროვებ განძს მივართმევ, შეტაკება კი თავიდან ავიცილოთ. მამაშენი ამ შეტაკებაში, ალბათ, შენს მარცხს მოელის, რათა მეფობა გაიხანგრძლივოს. ამიტომ დაგავალებდა ჩემთან შეპრძოლებას და ჩემთვის ხელების შეკვრასო. როსტომმა ესფანდიარს ვერ გადა-აფიქრებინა და მეფის ვაჟის დაუინებით მათი ორთაბრძოლა მაინც შედგა.

<sup>2</sup> შაჰრიარი – მეფის ძე (ასე იხსენიება ესფანდიარი).

იგრძნო როსტომმა, სადაცაა, ძალა ეცლება,  
ამიტომ ფიქრობს, დრო არის და ხრიკებს ეცდება.

რახშმაც, მთლიანად დასისხლულმა, სახლს მიაშურა,  
თავის მხედარი მიატოვა იმ მთაზე სულაც.

მირბის როსტომი, სისხლისაგან ლამის დაცლილი,  
თრთის, თუმცალა ჰეგავს ბისთუნის მთას ამაყი გმირი.

სიცილ-ხარხარით უხმობს როსტომს ესფანდიარი,  
მარჯის ტრფიალო, შემართება შენი სად არის?!

შენ არ იყავი დევ-ურჩხულთა ამომწყვეტელი,  
მათი გამულეტი, ფოლადის ხმლით მარჯის მჭედელი?

ყვირის ზავარე, ძმავ, ჩემს ცხენზე შეჯექი ჩქარა,  
გადაირჩინე თავი, თორემ სისხლისღვრა მზარავს!

ზავარეს ეტყვის, მე ამ ბრძოლას თუ გავუძელი,  
აი, მაშინდა თუ მივუვალ სასახლეს მრთელი...

რახშის დარდი მაქვს, დაჭრილია, იმასაც უჭირს,  
მე კი როგორმე დავპირუნდები, გადავრჩი თუკი!

ლოდინის მერმე ხაფად ყვირის ესფანდიარი,  
მთაზე როდემდის იქნებიო უძლევი გმირი?

დამარცხებულად იცან თავი, უნდა შეგიკრა,  
მეფეს მიგგვარო ხელშეკრული, ხამს, ასე იქნას!

იეზდანს<sup>1</sup> ჰეგედრე გულმხურვალედ და თავგანწირვით,  
იქნებ ცოდვების მოგიტევოს თუნდ ერთი წილი...

ჰრქუა როსტომმა: აგერ უკვე სერობა მოდგა,  
ვფიქრობ, ამჯერად შეტაკება არ ძალგვიძს ოდნავ.

შენიანებთან შენც დაბრუნდე, ამის დრო არის,  
ღამეში, ბნელში ვით იბრძოლებს ესფანდიარი?

მეც ამ ჩემს სხეულს, გადაქანცულს, რომ დავასვენებ,  
დასთანთან<sup>2</sup> ერთად შევეჭიდოთ ერთმანეთს მერმე.

<sup>1</sup> იეზდანი – შემოქმედი.

<sup>2</sup> დასთანი – როსტომის მამის, ზაალის, ეპითეტი.

ეპასუხება შაჰრიარი მას გულმოსული,  
ხარ ჭირვეული, ქედმალალი, ხავსმოდებული.

დღეს შეგიბრალებ, ოღონდაც კი, რომ მიხვალ სახლში,  
ცბიერება არ ჩაინერგო, იცოდე, მაშინ!

ოღონდ დაბრუნდი, დაპირება არ დაივიწყო,  
ბევრი ყბედობა მოიშალო იმავ დროს, ვინძლო!

რა მიატოვა მძლეთამძლემან ესფანდიარი,  
მის კვალს გაჰყურებს შაჰრიარი, ჩუმი და წყნარი.

ხედავს, მივიდა ჰირმანდთან და უცებ გაცურა,  
მზერა ალაპყრო თხოვნით მაღლა, გაცურვის უმალ.

შეცაჰლალადა, იეზდანო, მართალო, წმინდავ,  
მომიშუშოო იარები, შეგბედო მინდა.

ამ ყოველს უმზერს შაჰრიარი გაოცებული,  
ვით გადაცურა მან მდინარე სიმშრალით სრულით...

ესფანდიარი ამის მერმე კარავს შებრუნდა,  
კვნესა-გოდება-ქვითინია კარავში გუნდად.

აღარ არიან მისი ძენი და იყრის ნაცარს,  
სამოსელს იგლეჯს თვითეული, გლოვა ზღვარს გასცდა.

როგორ დაგკარგეთ უნუგეშოდ, ჩემო შვილებო,  
თქვენი სულები სად, სად არის, ან უსულებო?

ჰრეუა ფაშუთანს, დრო არის და წამოდექ ზეზე,  
სისხლის ცრემლები რას იძლევა, ან რაღას ეძებ?

ახალგაზრდაა თუ ხნიერი, თავადაც იცი,  
ყველა ჩვენგანი იმა ქვეყნად წასვლისთვის ვიშვით.

ესფანდიარი ბრძანებს, მკვდრები მიჰვარონ მეფეს,  
გადაეცითო, შენი ზრახვა აღსრულდა ეგერ!

ფაშუთანს ჰრეუა მბრძანებელმა, იმ ლომთან შებმა  
არა მგონია, გაუჭირდეს შაჰრიარს ეხლა.

მე გუშინ როსტომს ვერ მოვწყვიტე ვერაფრით თვალი,  
ვაკვირდებოდი, პატრონია რა დიდი ძალის...

მე მას ისარი დავაყარე ბევრი, ურიცხვი,  
მისი სისხლის ტბა დამდგარიყო – ამის გულისთვის.

მთაზე აიჭრა, გაერიდა იგი ჩემს ისრებს,  
თუმც საჭურველიც გააჩნდა და ჯავშანიც ისევ...

ასე დაჭრილმაც გადაცურა მაინც მდინარე,  
ნაისრალ თავით მაინც აღწევდა მეორე მხარეს.

სახლში მისვლისას, ასე ვგონებ, რომ აივნიდან  
იმისი სული უსათუოდ ქეივანს მივა.

აჰა, ხედავენ როსტომს მამა და ძმა – ზავარე  
და ფარამორზიც... თავი მისცეს ან ცრემლის ღვარებს.

რა მოაქვს ნეტავ ემაგ ტირილს თუ თმების გლეჯას,  
ამბობს როსტომი, რას აპირებთ ემაგ გზით ნეტავ?

მე უარესი დღე მომელის, უნდა იცოდეთ,  
სერიოზული საფრთხე ელის ან ჩემს სიცოცხლეს!

საჭირო არის დაფიქრება ძალიან კარგად,  
ჰრეუა ზაალმან, ვითათბიროთ, დროს ფუჭად ვკარგავთ!

არის გზა ერთი, უკეთესი, ჭკუასთან ახლოს,  
დასახმარებლად სიმორლს ვუხმობ, რას იზამს, ვნახოთ.

მთაზე ავიდნენ, ჯადოქარმა, ჭალარა მამამ  
ოქროვან ფარჩის პანანინა ტომრიდან ჰგამა –

ბუმბული ერთი ამოაძრო, უთხრა, დაიწვი,  
ბოლო მოუწვა ცეცხლზე ბუმბულს, ჰრეუა, შენ იცი.

მტირალ ზაალთან უმალ გაჩნდა, ჰკითხავს ფასკუნჯი,  
რა ამბავია, გჩაგრავთ ვინმე – ის ბედის ურჩი?

წვრილად მოუყვა ზაალი, რომ ესფანდიარით  
როსტომი რარიგ ვნებულია, რა დღეში არის.

ამასთანავე, ეს იცოდე, რომ დაგინახე,  
ჭმუნვა განქარდა, გამინათდა იმედით სახე.

სიმორლმა როსტომს რა დახედა, იგრძნო, უშველის,  
მყის რვა ისარი ამოულო ნატეხიც, მთელიც.

თავადვე უსვა ჭრილობებზე თავის ბუმბული,  
ტკივილი აღარ შეგაწუხებს, – უმშვიდა სული.

მერმე რახშისკენ გაეშურა, სისხლიან კისერს  
მისას მიხედა, როგორც იმის მბრძანებელს, ისე.

განკურნებულმა, ერთი ლალად დაიჭიხვინა,  
რახშის ჭიხვინმა ფალავანი მთლად გააბრწყინა.

ჰერქუა სიმორლმა, მოიყარე იმის წინაშე  
მუხლი, ევედრე, დაამყარე მშვიდობა ასე!

გარნა თუკი მან არ ჩააგდო არად მუდარა,  
ჩანს, დამარცხების მეტი იმას არა უნდა რა.

როგორც კი მოვა საბრძოლველად ესფანდიარი,  
არ დაივინყო შეგონება ეს ჩემი მყარი.

აუცილებლად შესთავაზე მშვიდობა, ზავი,  
შთააგონებდე, რომ სიყვარულს მიუძლვნას თავი!

და აპა, გამოწყობილია ზაბულის გმირი,  
შემოქმედისკენ აღუპყრია ვედრებით პირი.

ფაშუთანს ჰერქუა შაპრიარმა, აღსავსემ ჭმუნვით,  
გაუსკდებოდა ამ დროს მებრძოლ ლომსაც კი გული,

მე არ მეგონა, რომ როსტომი, ისეთ ყოფაში,  
რამენაირად მიაღწევდა საკუთარ სახლში.

ესფანდიარიც შეიმოსა აგერა, ჯავშნით,  
როსტომთან ბრძოლის გაიღვიძა სურვილმა მასში.

ჰერქუა როსტომმა, ხელს გიწვდი და არა მერა ხელი,  
სიავესა და ბოლმას ჩემგან ნურასდროს ელი!

წავიდეთ ჩემსას და ჩამოვხდეთ მშვიდობიანად,  
თუ გიმასპინძლებ, გავიხარებ, მუქარა კმარა!

უძველეს ჩემი ხაზინის კარს ფართოდ გავაღებ,  
საუკუნობით ნაგროვები საუნჯე ნახე!

ხამს ყველაფერი ის დატვირთო, რაც გეამება,  
თვალ-მარგალიტი, ფარჩეულის საპალნე წყებად.

შემდგომ ამისა, შენთან ერთად გზას დავადგები,  
წარვუდგებიო ქვეყნის მეფეს მისივე ნებით.

ეპასუხება შაპრიარი მძლეთამძლეს: უწყი,  
შენი ამდენი ლაპარაკი არისო ფუჭი...

თანაც შეჰყვირა: ფალავანო, უცდიო რალას,  
როდის დავიწყოთ? ვხედავ, ბრძოლა ძალგიძსო აღარ.

აქ კი როსტომმა, მეგობარი ფასკუნჯისამებრ,  
ისარი სტყორცნა შაპრიარის არწივის თვალებს.

და უცაბედად მოიხარა წარმტაცი ალვა,  
გრძნობა დაკარგა, ამასთანვე, დაკარგა ძალა.

და გაუშავდა ახალგაზრდა შაპრიარს ზეცა,  
ცხენიდან დაბლა გადმოვარდა, თავით დაეცა.

ძირს გაშოტილი ეგდო ასე გონდაკარგული,  
გონს რა მოეგო, წამოწევას ეცადა ურვით.

თავის ხელითვე ამოიძრო ისარი თვალით,  
იფეთქა კიდეც სისხლმა მთელი თავისი ძალით.

ბაჭმანი მამას ეხუტება მთელი სხეულით,  
მიტომაც სისხლით დათხვრილი აქვს სახე თუ ყელი.

ჩახუტებული აიყვანეს შვილებმა მამა,  
ცრემლისღვრა არ შეუწყვეტიათ, წუხილი ჰგამათ.

წამოიწია ბრძენთაბრძენმა ესფანდიარმა,  
სიბრძნე-სიკეთით იეზდანის დატვირთა ძალმა...

ჰრქუა, ზაალის ძემ, ვაი, რომ ფანდით მაჯობა,  
ისარს შეხედეთ, მისგან ნასროლს, იგრძენით ჰოდა,

ამ საზიზლარი ნუჟრით ყოფა როგორ მომისპო,  
სიმორლისაგან ნასწავლია, ეს უნდა იგრძნოთ.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ზაალი სიმორლმა, ანუ ფასკუნჯმა გაზარდა. მან ბუმბული მისცა ზაალის მამას – საამს და უთხა, გაჭირვებისას ამ ბუმბულით მიხმეო. სწორედ გაჭირვების უამს იხმო ზაალმა სიმორლი სისხლმდინარი როსტომისთვის. მან ჭრილობები მოუშუშა როსტომს და ესფანდიართან მარჯის გზაც ასწავლა.

თქვა ეს თუ არა ეს ყოველი ესფანდიარმა,  
მწარე ქვითინმა სიჩუმეში გაიხმიანა.

ტირის როსტომი, დაიღვარა ცრემლი იმდენი...  
აჲა, ფაშუთანს ყურთ ჩაესმა მისი სიტყვები:

ტყუილს მიკრძალავს ფალავანის წრფელი ღირსება,  
რაც შაპრიარმა თქვა, ყოველი სწორედ ისეა!

არ მსურდა, მსხვერპლი ვყოფილიყავ, ვეძიე გზები,  
ხსნის გზას ვეძებდი და ვიპოვე, რა გითხრათ მეტი!

სპარსულიდან თარგმნა  
**ბელა შალვაშვილმა**

## ჰუშანგ გოლშირი (1937-2000)

თანამედროვე სპარსული მოდერნისტული პროზის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ჰუშანგ გოლშირი ისპაპაში დაიბადა. გოლშირი არაერთი რომანისა და პროზაული კრებულის ავტორია. იგი დაჯილდოებულია ლიტერატურული პრემიებით ირანში და საზღვარგარეთ. მნერლისადმი პატივისცემის ნიშნად მის სამშობლოში დაარსდა გოლშირის სახელობის ფონდი. ამ ფონდმა, კი, თავის მხრივ, გოლშირის სახელობის ლიტერატურული პრემია დააფუძნა, რომელიც სხვადასხვა ნომინაციაში ენიჭებათ მნერლებს ყოველწლიურად.

### მგელი

ხუთშაბათს ნაშუადლევს შევიტყვეთ, რომ ექიმი დაბრუნდა, მაგრამ ჯერ ისევ შეუძლოდ იყო. არაფერი სჭირდა, თუმცა ჰოსპიტლის დარაჯს ეთქვა, რომ წუხანდელს აქეთ სულ ეძინა და გაღვიძებისას გულამომჯდარი ქვითინებდა. ჩვეულებისამებრ, ოთხშაბათობით ან ხუთშაბათობით საღამოხანს ემზადებოდა და ცოლთან ერთად ქალაქში მიემგზავრებოდა. ამჯერადაც ერთად წასულიყვნენ, მაგრამ, როგორც მძლოლმა ექიმი შინ მოიყვანა, თქვა, მარტო ექიმი იჯდა მანქანაშიო. როგორც ჩანს, სიცივისგან გრძნობა დაეკარგა. მას ექიმი ყავახანასთან დაეტოვებინა და თვითონ წასულიყო. ექიმის მანქანა ხელბაში იპოვეს. თავდაპირველად იფიქრეს, მანქანისთვის რამე ჩაებათ და ისე მოეყვანათ სოფლამდე. ამიტომაც ჰოსპიტლის სასწრაფო დახმარების ჯიპით წავიდნენ. თუმცა, მძლოლი როგორც კი ჩაჯდა და მანქანას რამდენჯერმე მიაწვნენ, ადგილიდან დაიძრა. მძლოლმა თქვა: „წუხანდელი ყინვისგანაა ეგრე, თორემ თავად მანქანას არაფერი სჭირს.“ საქარე მინის საწმენდებიც კი წერიგში ჰქონდა. სანამ ექიმმა არ შეჰყვირა, ახთარი, ახთარი სადააო, ქალი არავის გახსენებია.

ექიმის ცოლი ტანმორჩილი, გამხდარი ქალი იყო, ისეთი გამხდარი და ფერწასული, თითქოს ეს-ესაა გადაიქცევაო. საცხოვრებლად ორი ოთახი ჰქონდათ გამოყოფილი ჰოსპიტალში, რომელიც სასაფლაოს გაღმა,

უფრო სწორად რომ ვთქვათ, სოფლიდან დაახლოებით ერთი მოედნის<sup>1</sup> დაშორებით მდებარეობდა. ქალი ცხრამეტ წელზე მეტის არ იქნებოდა. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ჰოსპიტლის კართან ან ფანჯარაში. მხოლოდ მზიან ამინდში ჩამოივლიდა ხოლმე სოფელში სასაფლაოს მხრიდან. მეტწილად წიგნი ეჭირა ხელში, ზოგჯერ შოკოლადი ან შაქარყინულის კოლოფი ედო თეთრი პერანგის ჯიბეში ან ხელჩანთაში. ბავშვები ძალიან უყვარდა, ამიტომ ხშირად შემოივლიდა ხოლმე სკოლაში. ერთ დღეს შევთავაზე, თუკი მოისურვებდა, შეგვეძლო მისთვის საათები გამოგვეყო. მან კი მიპასუხა, რომ ბავშვებთან დავიდარაბის თავი არ ჰქონდა. მართალი რომ გითხრათ, ეს ექიმის იდეა იყო, სურდა, მისი ცოლი რამით დაკავებულიყო. ხანდახან სარწყავი არხის პირას თავმოყრილ ქალებთან მიდიოდა ხოლმე.

პირველი თოვლის მოსვლის შემდეგ გარეთ აღარ გამოჩენილა. ქალებს უნახავთ, ბუხართან მჯდარი წიგნს რომ კითხულობდა, ან ჩაის ისხამდა. როცა ექიმს გამოძახებებზე სხვა სოფლებში წასვლა უწევდა, მასთან მძლოლის ან დარაჯის ცოლი რჩებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, პირველად სადიყე, მძლოლის ცოლი, მიხვდა ყველაფერს. სადიყემ ქალებს უთხრა: „ასე მოუსვერწად რომ დადიოდა, წამდაუწუმ ფანჯარასთან მიდიოდა და ფარდას სწევდა ხოლმე, ვფიქრობდი, ქმრის გამო ღელავდა“. ფანჯარასთან

<sup>1</sup> მოედანი – სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით 1,5 კმ.

იდგა და თოვლით დაფარულ ველს გაჰყურებდა. სადიყემ თქვა: „როგორც კი მგლის ყმუილს გაიგონებს, იმ წუთში ფანჯარას მივარდება ხოლმე“.

დიახ, ზამთარში, თოვლი რომ მოვა, მგლებიც გამოჩნდებიან ხოლმე სოფელში. ყოველ წელს ასეა. ხან ძალლი იკარგება, ხან – ცხვარი და ხან – ბავშვიც კი. ძალლის საყელური, ფეხსაცმელი ან სხვა ნივთები რომ იპოვო, ერთი ათჯერ მაინც უნდა წახვიდე საძებნელად. თუმცა სადიყეს დაენახა მგლის მოელვარე თვალები და ისიც შეემჩნია, თუ როგორ მიშტერებოდა ექიმის ცოლი მგელს თვალებში. როდესაც სადიყემ დაუძახა, ვერც კი გაიგონა.

მეორედ და მესამედაც რომ ჩამოთოვა, ექიმმა უკვე ვეღარ შეძლო მეზობელ სოფლებში გადასვლა. როდესაც მიხვდა, რომ კვირაში ოთხი-ხუთი დღე მაინც მოუწევდა სახლში დარჩენა, გადაწყვიტა, ჩვენს ყოველდღიურ შეკრებებში მიეღო მონაწილეობა. ეს შეკრებები ქალებისთვის არ იყო, მაგრამ რა უშავდა. თუ ექიმის ცოლიც მოვიდოდა, შეეძლო, ქალებთან გასულიყო. თუმცა მან თქვა, რომ სახლში ერჩივნა დარჩენა. იმ საღამოებზე, როცა ჯერი ექიმის სახლზე მიდგებოდა, მისი ცოლი ბუხართან იჯდა ხოლმე და წიგნს კითხულობდა, ან ფანჯარასთან დადგებოდა და თეთრ ჰორიზონტს, ან კიდევ მეორე ფანჯრიდან – სასაფლაოს და, ჩემი აზრით კი, უფრო სოფლის ლამპიონებს გაჰყურებდა. მგონი, მაშინ ჩვენს სახლში ვიყავით, ექიმმა რომ თქვა, დღეს ადრე უნდა წავიდეო. გზაზე დიდი მგელი ენახა.

– იქნებ ძალლი იყო?! – იკითხა მორთე-ზავიმ.

– ამ ადგილებში ბევრი მგელია, – ვუთხარი ექიმს, – ფრთხილად უნდა იყო. მანქანიდან არ გადმოხვიდე.

– მერე, თქვენი ცოლი? ის რომ მარტოა სახლში, თან – სასაფლაოსთან ახლოს? – ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

– სწორედ ამიტომ მივდივარ ასე ადრე, – თქვა ექიმმა.

შემდეგ კი დასძინა, რომ მისი ცოლი ლომივით უშიშარია და მოყვა, თუ როგორ წამომხტარა ერთ ღამეს საწოლიდან შუალამისას და დაუნახავს, რომ მისი ცოლი

ფანჯარასთან იჯდა სკამზე. როცა ექიმს დაუძახია, უთქვამს, ვერ ვხვდები, ეს მგელი სულ ამ ფანჯარასთან რატომ მოდისო.

ექიმს დაუნახავს, მთვარის მქრქალ შუქზე ღობის გადაღმა როგორ იწვა მგელი და დროდადრო როგორ შეჰქმუოდა მთვარეს.

განა ვინ იფიქრებდა, რომ ფანჯარასთან საათობით ჯდომა და ვეება მგლის ყურება თანდათან საფიქრალს გაუჩენდა ექიმს და, მასთან ერთად, ჩვენ ყველას? ერთ საღამოს ექიმი არ მოვიდა ჩვენს შეკრებაზე. თავიდან ვიფიქრეთ, რომ მისი ცოლი გახდა ავად, ან იქნებ თვითონ ექიმიც, მაგრამ მეორე დღეს ქალი თვითონ მოვიდა სკოლაში სამსახურის მანქანით და გვითხრა, რომ მზადაა, დაგვეხმაროს, თუ ბავშვების ნახატებს მივცემთ.

მართალია, მოსწავლეების რიცხვი ისე შემცირებულიყო, რომ მისი დახმარება აღარც გვჭირდებოდა. ყველა ბავშვი ერთადაც რომ შეგვეყარა ერთ კლასში, ბატონი მორთეზავი მათ მარტოც აუვიდოდა, მაგრამ ვინაიდან არც ჩემი მხატვრობა ვარგოდა და არც მორთეზავისა, ამიტომ ოთხშაბათობით დილის საათები მივეცით. შემდეგ მე მგელზე ჩამოვუგდე საუბარი და ვუთხარი, რომ არ უნდა შეშინებოდა და, თუ კარს ლიას არ დატოვებდა, ანდა გარეთ არ გავიდოდა, საფრთხე არ ემუქრებოდა. ისიც ვუთხარი, რომ შეეძლოთ, ბინა სოფელში ექირავებინათ.

მან კი მიპასუხა:

– არა, გმადლობ, ეს არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

შემდეგ ამისნა, რომ თავიდან მართლაც ეშინოდა. მაგალითად, ერთ საღამოს მისი ყმუილის ხმა რომ შემოესმა, იგრძნო, რომ მგელი ღობეზე გადმოხტებოდა და ფანჯარასთან ან კართან დაჯდებოდა. ქალს სინათლე აუნთია და შეუნიშნავს, მისი შავი ჩრდილი როგორ გადმოევლო ღობეს. შემდეგ მისი ანთებული თვალებიც დაუნახავს.

– თვალები ორ აგიზგიზებულ ნაკვერჩხალს მიუგავდა. მე თვითონაც ვერ ვხვდები რატომ, მაგრამ, როდესაც მას და მის თვალებს ვხედავ, ან მის სიჩუმეს... იცით, ზუსტად მეცხვარე ძალლივით წინა თათებზე დებს თავს და საათობით შეჰქმურებს

ჩვენი ოთახის ფანჯარას.

ვკითხებ:

– მერე, თქვენ რატომ...

მიმიხვდა და მიპასუხა:

– ხომ გითხარით, მე თვითონაც არ ვიცი-მეთქი. დამიჯერეთ, როდსაც მას ვუყურებ, განსაკუთრებით კი, მის თვალებს, ფანჯარასთან ერთ ადგილზე ვქვავდები.

მგონი, ზოგადად მგლებზეც ვისაუბრეთ. მე მოვუყევი, რომ ზოგჯერ, როდესაც მგლები ძალიან დამშეულები არიან, წრიულად დგებიან და ერთმანეთს უყურებენ, ერთი საათი, ორი საათი, იქამდე, სანამ იმათგან ერთ-ერთი ყველაზე სუსტი არ დავადება. ამ დროს დანარჩენები მისცვივდებიან და გლეჯენ. იმ ძალებზეც მოვუყევი, ღროდადრო რომ იკარგებიან და მერე მათ საყელურებსლა პოულობენ. ექიმის ცოლიც მოყვა. თითქოს ჯეკ ლონდონის წიგნები წაეკითხა. ამბობდა, მგლებს ახლა უკვე კარგად ვიცნობო.

შემდეგ კვირას რომ მოვიდა, ყვავილი თუ ფოთოლი დაეხატა ბავშვებისთვის. მე არ მინახავს, გავიგე.

შაბათ დღეს ბავშვებმა მითხრეს, რომ სასაფლაოზე ხაფანგი დაეგოთ. მესამე გაკვეთილის შემდეგ ერთ-ერთ მოსწავლესთან ერთად წავედი და ვნახე. დიდი ხაფანგი იყო. ექიმს ქალაქში ეყიდა და შიგ ხორცის ნაჭერიც ჩაედო. ნაშუადღევს ჩემი ცოლი წავიდა ექიმის ცოლის მოსანახულებლად, მითხრა, ცუდად არისო. თითქოს ექიმის ცოლს მისთვის ეთქვა, რომ ეშინოდა, ვაი-თუ, ბავშვი არ ჰყოლოდა. ჩემს ცოლს უნუგებებია. ჯერ წელიწადი ხდებოდა, რაც იქორწინეს. მერე ხაფანგზე ჩამოუგდია საუბარი და უთქამს:

– აქ, როგორც წესი, ატყავებენ ხოლმე და მერე ქალაქში მიაქვთ.

ცოლმა მითხრა:

– დამიჯერე, წამით თვალები გაუფართოვდა და კანკალი დააწყებინა, თქვა, გეს-მით? წამდვილად მისი ხმააო. მე ვუთხარი, რას ამბობ, ახლა, დღისით, მზისით-მეთქი?

ექიმის ცოლი ფანჯრისკენ გაქცეულა. გარეთ ბარდნიდა. ჩემმა ცოლმა მითხრა:

– ფარდა გადასწია და ფანჯარასთან დადგა. სრულიად დაავინყდა, რომ სტუმარი ჰყავდა.

მეორე დილით მძღოლი და რამდენიმე გლეხი ხაფანგის შესამოწმებლად წავიდნენ. ხელუხლებელი დახვდათ. ცარიელი იყო, არაფერი დაეჭირა. საფარმა ექიმს უთხრა:

– გუშინ, როგორც ჩანს, არ მოსულა.

ექიმმა კი თქვა:

– არა, მოსული იყო. მე თვითონ გავიგონე მისი ხმა. გავიფიქრე, ეს ქალი ნამდვილად სიგიჟის ზღვარზეა-მეთქი. გუშინ საერთოდ არ სძინებია. სულ ფანჯარასთან იჯდა და ველს გაჰყურებდა. შუალამისას მგლის ყმულმა რომ გამაღვიძა, დავინახე, კარის საკეტს აწვალებდა. შევუყვირე:

– რას აკეთებ, ქალო?

მერე კვლავ განაგრძო თხრობა. მის ცოლს ანთებული ფარანი ეჭირა ხელში. ექიმს კი სახეზე ფერი აღარ ედო და მთელი ტანით ცახცახებდა.

– ერთად წავედით ხაფანგის სანახავად. ხაფანგს არაფერი სჭირდა. ხორცის ნაჭერიც ისევ ადგილზე იყო. ნაკვალევზე მივხვდით, რომ მგელი მისულა ხაფანგთან და იქვე წოლილა კიდეც. მისი ნაკვალევი პირდაპირ ჰოსპიტლის ღობემდე მიდიოდა.

ფანჯარაში ქალის სახე დავინახე. ქალი ჩვენ გვიყურებდა. ექიმმა თქვა:

– მე ვერაფერი გავიგე. შენ მაინც უთხრი რამე ამ ქალს.

ქალს თვალები გაფართოებოდა, ისე-დაც ფერმკრთალი სახე კიდევ უფრო გაჰყითორებოდა. შავი თმები შეეკრა და მკერდზე ეფინა. მხოლოდ თვალები მოეხატა. ნეტავ, ტუჩებზეც გადაესვა რამე, ასეთი უფერული რომ არ გამოჩენილიყო.

ვთქვი:

– აქამდე არ მსმენია, რომ დამშეულ მგელს გვერდი აევლოს ხორცისთვის.

ნაკვალევის ამბავი ვუამბე. მან მითხრა, მძღოლს უთქვამს, მშიერი არ იქნებოდაო. რა ვიცი, იქნებ ძალიან ჭკვიანია.

მეორე დღეს ამბავი მოიტანეს, რომ ხაფანგი მოეგლიჯათ. კვალს გაჰყვნენ და ისიც იპოვეს, ცოცხალ-მკვდარი სულს ღაფავდა. ბარის ორი დარტყმით მოკლეს. ძალიან დიდიც არ ყოფილა. ექიმმა რომ დაინახა, თქვა, მადლობა ღმერთსო. მისმა ცოლმა კი სადიიყეს უთხრა:

– მე თვითონ დავინახე დილით, გარიურაჟზე, ღობის გადაღმა იწვა. ის კი, რომე-

ლიც დაიჭირეს, ძაღლი იყო, მგლის მსგავსი სამურავი ან სხვა ცხოველი.

შეიძლება, ეგრეც იყო. როგორც ეტყობა, ეს სიტყვები ექიმს უთხრა, რადგან ის საბრალო მაშინვე უანდარმებთან წასულა. შემდეგ უანდარმები ერთი-ორი დღე ექიმის სახლში დარჩნენ. მესამე ღამეს გასროლის ხმა გავიგეთ. მომდევნო დღეს კი უანდარმები და რამდენიმე გლეხი ჰოსპიტლის მძღოლთან ერთად სისხლიან კვალს გაჰყვნენ, რომელმაც ისინი სოფლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე გორაკზე მიიყვანა. გორაკს იქით, ხეობაში, მგლის ნაკვალევი და სისხლით დასვრილი თოვლი ნახეს. მაგრამ ძვლის სულ პატარა ნატეხიც კი ვერ იპოვეს. მძღოლმა თქვა:

— უწმინდურები, ძვლებიც კი არ დაუტოვებიათ.

ვერ დავიჯერე. საფარ-აყასაც ვუთხარი. საფარმა თქვა:

— ქალმაც, რომ გაიგო, მხოლოდ გაეცინა. თვითონ ექიმმა მთხოვა, წადი, შეატყობინეო. ქალი ბუხრთან იჯდა და თითქოს რაღაცას ხატავდა. კარის ხმა არ გაუგია. როდესაც შემამჩნია, პირველ რიგში, ფურცელი გადააბრუნა.

ქალის ნახატებს ახსნა-განმარტება არ სჭირდება. მხოლოდ იმ მგელს ხატავდა. შავ ფონზე – წითელი მოელვარე თვალები, შავი ფანქრით შესრულებული უკანა თათებზე მჯდარი მგლის ჩანახატი და ერთიც – მგლისა, რომელიც მთვარეს შეჰყმუის. მგლის ჩრდილი უსაშველოდ დიდი იყო, მთელ ჰოსპიტალსა და სასაფლაოს ფარავდა. ერთი-ორგან მგლის დრუნჩის ჩანახატი გაეკეთებინა, რომელიც ძაღლისას უფრო წააგავდა, განსაკუთრებით კი – კბილები. ოთხშაბათ სალამოს ექიმი ქალაქში წავიდა. სადიყემ თქვა, რომ მისი ცოლი შეუძლოდ გრძნობდა თავს. თვითონ ექიმს უთქვამს მისთვის. არ დავიჯერე. ოთხშაბათ დიღას ჩემი თვალით ვნახე, რომ თავის დროზე მოვიდა სკოლაში და ბავშვებს ხატვის გაკვეთილს უტარებდა. ერთ-ერთი იმ ჩანახატ-თავან დაფაზე დაეხატა. თვითონ მითხრა. როდესაც ვკითხე, რატომ მაინცდამაინც მგელი-მეთქი, მიპასუხა:

— რამდენიც არ ვცადე სხვა რამის დახატვა, თავში არაფერი მომივიდა. უფრო

სწორად, როგორც კი მივადე დაფას ცარცი, უნებურად ის დავხატე.

დასანანია, რომ ბავშვებმა დასვენებაზე წაშალეს. შუადღის მერე ერთი-ორი მათგანის ნახატი რომ ვნახე, ვიფიქრე, ბავშვებმა ვერ შეძლეს, სწორად გადმოეხატათ-მეთქი. ასე რომ, საბოლოო ჯამში, ბავშვების ყველა ნახატი ძაღლს ჰგავდა – ჩამოყრილი ყურებითა და მოკაუჭებული კუდით.

ხუთშაბათს შუადღისას, როცა გავიგე, რომ ექიმი ქალაქიდან დაბრუნებულიყო, გავიფიქრე, ცოლი საღამოს ნამდვილად ქალაქში დატოვა და თვითონ თავისი საქმეებისთვის დაბრუნდა-მეთქი. ავადმყოფიც არ ჰყავდა, სხვა სოფლებიდან ხომ არავინ მოდიოდა. მაგრამ ექიმი დიდი პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. მერე, ახთარი რომ მოიკითხა, ყველანი ხეობისკენ წავიდნენ ექიმის მანქანითა და ჰოსპიტლის ჯიპით. მათთან ერთად უანდარმებიც წავიდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

ექიმი ხომ ხმას სულ აღარ იღებდა. გონზე რომ მოეგებოდა, ან ტიროდა, ან უაზროდ გვაშტერდებოდა ყველას სათითაოდ, თავისი ცოლის ფართოდ გახელილი თვალებით. იძულებული გავხდი, მისთვის ერთი-ორი ჭიქა არაყი მიმენოდებინა, რომ ხმა მაინც ამოელო. იქნებ არც უნდოდა სხვების თანდასწრებით რამის თქმა. არა მგონია, ერთმანეთთან რაიმე უთანხმოება ჰქონდათ. თუმცა ვერ ვხვდები, ექიმი ყველას რატომ ეუბნებოდა, დამიჯერე, ჩემი ბრალი არ იყო.

ჩემს ცოლს, სადიყეს და საფარსაც ვკითხე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაიხსენა, რომ ცოლ-ქმარს როდისმე ხმა აემაღლებინოს ერთმანეთზე. მაგრამ მე ხომ ვუთხარი ექიმს, არ წასულიყო. ისიც კი ვუთხარი, რომ ხეობაში უფრო დიდი თოვლი იქნებოდა. თუმცა იქნებ ექიმი მართალიც იყო, არ ვიცი. ბოლოს თქვა:

— არ არის კარგად. ვფიქრობ, აქ ვერ გაძლებს. აბა, ეს ნახატები რაღაა?

მერე ვნახე. მგლის თათების რამდენიმე სურათი დაეხატა, ერთი-ორგანაც – ჩამოყრილი ყურები. მგონი, ეს უკვე ვთქვი.

ექიმს ლაპარაკი უჭირდა, სიტყვები ერეოდა. მაგრამ თითქოს ხეობის სიღრმეში თოვლი მატულობდა, ისე, რომ მანქანის ფანჯრებს ფარავდა. შემდეგ ექიმმა შეამ-

ჩნია, რომ საქარე მინის საწმენდი გაფუჭდა, ალარ მუშაობდა. იძულებული გახდა, გაჩერებულიყო. მითხრა:

— დამიჯერე, ვნახე, საკუთარი თვალით ვნახე, შუა გზაზე როგორ იდგა.

ახთარს უთქვამს მისთვის, რამე გააკეთე, აქ ხომ სიცივისგან გავიყინებითო.

ექიმმა კი უპასუხა:

— ნუთუ ვერ დაინახე?

ექიმმა ხელი გარეთ გაყო, რომ თოვლი ხელით გადაეწმინდა, მაგრამ მიხვდა, რომ ვერ შეძლებდა და ქალს უთხრა, შენც ხომ იცი, რომ აქ ვერ მოვაბრუნებთო.

მართალს ამბობდა. მერე თითქოს ძრავაც ჩაუქრათ. ახთარსაც ფარანი გადაუვარდა. დაინახა, რომ მგელი გზის პირას იჯდა. თქვა:

— ის არის. დამიჯერე, სრულიად უწყინარია. იქნებ მგელი არც არის. სულაც არ არის მგელი, იქნებ მეცხვარეა ან სხვა ძალი. აბა, გადადი და ნახე, იქნებ შეაკეთო.

ექიმმა უთხრა:

— გადავიდე? განა შენ თვითონ არ ნახე? ამას რომ ამბობდა, კბილს კბილზე აცემინებდა. მიტკალივით გათეთრებულიყო, სწორედ ისე, როგორც ახთარი, როდესაც ფანჯარასთან იდგა ხოლმე ფერწასული და გადათეთრებულ ველს გაჰყურებდა, ან კიდევ მგელს მიშტერებოდა. ახთარს უთქვამს, რა იქნება, ჩემი ხელჩანთა რომ გადავუგდოო?

— მერე, ეგ რას გვიშველის? — ჰკითხა ექიმმა.

— რას და, ტყავისაა. სანამ ამას შეჭამს, შენ რამეს მოახერხებ, — უპასუხა ქალმა.

და, სანამ ხელჩანთას გადაგდებდა, ექიმს უთხრა, ნეტავ, ჩემი ტყავის პალტონამომელოო.

ექიმმა მითხრა:

— შენ არ მითხარი, მანქანიდან არ გადახვიდეთ და, კიდევ, კარი არ გააღოთო?!

ახთარმა ჩანთა რომ გადააგდო, ექიმი არ გადასულა მანქანიდან. თქვა:

— გეფიცებით, მისი შავი ჩრდილი დავინახე, გზის პირას რომ იდგა. არც ადგილიდან იძვროდა და არც ყმულდა.

როდესაც ახთარს ფარნით თავისი ჩანთის ძებნა დაუწყია, ვერ უპოვია და უთქვამს:

— მაშინ, მე თვითონ გადავალ.

ექიმმა კი უთხრა, შენ ხომ კაცი ვერაფერს შეგაგნებინებსო. ან იქნებ უთხრა, შენ ხომ ამას ვერ შეაკეთებო. სანამ პასუხს ელოდა, ახთარი უკვე გადასულიყო მანქანიდან. ექიმს არ დაუნახავს, თოვლი უმლიდა ხელს. მისი შეკივლებაც არ გაუგონია. შემდეგ, ალბათ, შიშისგან კარი დაუკეტავს, ან თვითონ ახთარმა მიკეტა. თვითონ არაფერს ამბობდა. პარასკევს დილით კვლავ დავადექით გზას, ამჯერად უკვე მეათედ. ექიმი არ წამოვიდა. ვერ შეძლო. ჯერ კიდევ თოვდა. არავინ ელოდა, რომ რამეს მივაგნებდით. ყველაფერი ერთიანად გადათეთრებულიყო. ყველა ადგილი გადავთხარეთ, სადაც შეიძლებოდა, რამე გვეპოვა. მხოლოდ ტყავის ჩანთა ვიპოვეთ. გზაში საფარის რომ ვკითხე, მითხრა, საქარე მინის საწმენდებსაც არაფერი სჭირსო.

მე სრულიად არაფერი მესმის. სადიყემ ნახატები რომ მომიტანა, უფრო მეტად დავიბენი. მათზე მიურული იყო პატარა ფურცელი, რომელზეც გაკრული ხელით მიეწერა, ნახატები სკოლისთვის საჩუქრად გადაეცათ. როდესაც წასვლა მოინდომა, სადიყესთვის დაუბარებია, რომ, თუ არ გამოკეთდებოდა, ან ოთხშაბათს მოსვლას ვერ შეძლებდა, ეს ჩანახატები ჩემთვის გადმოეცა, რათა ისინი ნიმუშის სახით გამოგვეყნებინა. სადიყეს ხომ ვერ ვეტყოდი, და ვერც ექიმს, მაგრამ ძალის სურათს და, ისიც, ჩვეულებრივი ძალლისას, რა სიკეთე უნდა მოეტანა სოფლის ბავშვებისთვის?

## ფართად ჰასანზადე (დაიბ. 1962 წ.)

თანამედროვე სპარსული საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურის წარმომადგენელი, სცენარისტი და უურნალისტი ფართად ჰასანზადე ირანში ერთ-ერთ წარმატებულ და პოპულარულ ავტორად ითვლება.

იგი დაიბადა ირანის ქალაქ აბადანში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, ჩინურ, მალაიზიურ და ქურთულ ენებზე. ქართულად პირველად ითარგმნება.

ფართად ჰასანზადე 2017 წელს წარდგენილი იყო ასტრიდ ლინდგრენის სახელობის პრემიაზე. არის ირანში საბავშვო და საყმანვილო მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთ დამფუძნებელი.

2018 წლის იანვარში ფ. ჰასანზადე IBBY-ის<sup>1</sup> მიერ ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელობის პრემიაზე<sup>2</sup> წარდგენილ ხუთ კანდიდატს შორის დასახელდა. გამარჯვებულები 2018 წლის 26 მარტს გამოვლინდებიან.<sup>3</sup>

### გთავაზობთ ინტერვიუს ფართად ჰასანზადესთან<sup>4</sup>:

**იქნებ ცოტა რამ ანდერსენის სახელობის პრემიის თაობაზე გვიამბოთ.**

ანდერსენის პრემია, რომელიც ცნობილია, როგორც ნობელის პრემია საბავშვო ლიტერატურის დარგში, მწერალს მრავალნობიანი შემოქმედებითი ძალისხმევისა და გამორჩეული სამწერლო მეთოდების გამო ენიჭება. ანდერსენის პრემიით არ ფასდება მწერლის მხოლოდ ერთი კონკრეტული ნაწარმოები. მწერალი ამ პრემიით ჯილდოვდება მთელი იმ დამსახურებისთვის, რომელიც მას თავისი მკითხველის წინაშე მიუღვის. ანდერსენის პრემიის კანდიდატად დასახელება რამდენიმე ეტაპისაგან შედგე-

ბა. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი საბავშვო წიგნის საბჭო თითოეული მწერლის დოსიეს ამზადებს და მას IBBY-ს უგზავნის. წიგნების რეზიუმეები, წიგნების შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები და მკითხველებთან ერთად გადაღებული ფოტოები ერთ დოსიეში იყრის თავს და იგზავნება, რათა ამ პრემიის კანდიდატი გამოვლინდეს. პრემია ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა, ანუ ჟიურის წევრებს ორი წლის ვადა აქვთ, რათა გაეცნონ მწერლების დოსიეებს და გამოავლინონ კანდიდატები.

### თქვენ სხვადასხვა ლიტერატურულ

<sup>1</sup> International Board on Books for Young People – საყმანვილო ლიტერატურის საერთაშორისო საბჭო.

<sup>2</sup> ჰანს ქრისტიან ანდერსენის პრემია გადაეცემა საუკეთესო საბავშვო წარმოებების ავტორებს და ილუსტრატორებს. იგი დაწესებულ იქნა 1956 წელს იუნესკოს ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო ლიტერატურული საბჭოს მიერ და გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ.

<sup>3</sup> საინტერესოა, რომ საბავშვო ილუსტრატორი ფარშიდ მესყალი გახდა, ხოლო 2012 წელს ამავე ნომინაციაში წარდგენილი იყო ნასრინ ხოსრავი.

ანდერსენის პრემიაზე საბავშვო ლიტერატურის სექციაში სხვადასხვა დროს წარდგენილები იყვნენ ირანელი მწერლები ჰუშანგ მორადი ქერმანი (რომელსაც 1992 წელს აღნიშნული პრემია მიენიჭა), მოპამად რეზა იუსეფი და მოპამად ჰადი მოპამადი.

<sup>4</sup> ინტერვიუ, რომელშიც უურნალისტი მირჯანიანი მწერალს მისი შემოქმედებითი გზის, ანდერსენის პრემიის და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ ესაუბრა, ირანული საინფორმაციო სააგენტოს [www.sarpoosh.com](http://www.sarpoosh.com)-ის კულტურის განყოფილების ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

**უანრში მოღვაწეობთ. ამ უანრებიდან რომელია თქვენთვის უფრო რთული და რომელი - უფრო მიზნიდველი?**

ასე გადაჭრით არ შემიძლია გითხრათ, რომელი უფრო გამიძნელდა და რომელმა უფრო მეტი სიამოვნება მომგვარა, რადგან ყოველი ნაწარმოები, რომელსაც მწერალი წერს, მისთვის სიამოვნების მომგვრელია. გარდა ამისა, მე, როგორც წესი, წინასწარ არ ვირჩევ მკითხველს. მკითხველის ასაკობრივ ჯგუფს თვითონ წიგნის სიუჟეტი განსაზღვრავს. ჩემთვის თითოეული ნაწარმოები, რომელიც კი დამიწერია, თანაბრად არის რთულიც და სასიამოვნოც.

**რამდენად პოპულარულია სატირული ნაწარმოებები ბავშვებში და რამდენად უწყობს ხელს ასეთი ლიტერატურა მკითხველი საზოგადოების აღზრდას?**

ვფიქრობ, ჩემი ნაწარმოებებისადმი ინტერესს სწორედ მათი სატირული ხასიათი განაპირობებს. ინტერესის სფეროში ექცევა არა მარტო საზოგადოდ სატირულ-იუმორისტული ნაწარმოები, არამედ – ისეთი თხზულებაც, რომელიც ამ ტიპის ელემენტებს შეიცავს. ლიტერატურა, გარდა იმისა, რომ სასიამოვნო ნასაკითხი უნდა იყოს, საგანმანათლებლო და აღმზრდელობით დანიშნულებასაც ატარებს. ამ თვალსაზრისით, სატირას დიდი გავლენა აქვს ბავშვის ცნობიერებაზე. რამდენადაც ის იუმორისა და ირონის ელემენტებს შეიცავს და სათქმელს სპეციფიკური ხერხებით გადმოსცემს, ნაწარმოების კითხვა უფრო სასიამოვნო ხდება.

**თქვენ ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტელექტუალური განვითარების ცენტრში ჩამოყალიბდით. ამ ცენტრს დღვანდელ ბავშვებზე და ახალგაზრდებზე რა გავლენა აქვს?**

სამწუხაროდ, ამ ცენტრმა, დღევანდელი სახით, თავისი გავლენის სფეროების დიდი ნაწილი დაკარგა და თითქმის უფუნ-

ქციო ორგანიზაციად იქცა. უნდა ვიცოდეთ, რომ ინტელექტუალური განვითარების ცენტრი არის ორგანიზაცია, რომელიც იმისთვის შეიქმნა, რომ კლასგარეშე განათლების გზით ბავშვებს აზროვნება განუვითაროს და კითხვების დასმისკენ უბიძგოს, მაგრამ გასული წლების განმავლობაში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტელექტუალურ განვითარებაზე პასუხისმგებლობა განათლების სამინისტროს დაეკისრა და სკოლებში ცენტრში არსებული სწავლების მსგავსი მეთოდები დაინერგა, ცენტრის გავლენა შემცირდა. ცხადია, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, რომ ცენტრის აღმზრდელები თავიანთ საქმეს კარგად ასრულებდნენ, მაგრამ ეს პრობლემა მაინც არსებობს.

**რომელი ასაკობრივი ჯგუფის მკითხველისთვის უფრო რთულია სატირული ნაწარმოების დაწერა?**

თუკი სატირის მიზნად მხოლოდ გაცინებას მოვიაზრებთ, მაშინ ბავშვების და ახალგაზრდების გაცინება უფრო ადვილია. მაგრამ ამ ტიპის ნაწარმოების წერისას ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გათავლისწინება, რომ მკითხველი მისი წაკითხვის და გაცინების შემდეგ ბევრ რამეზე უნდა დაფიქრდეს. უფროსებს, როგორც ყოველთვის, ბევრი საფიქრალ-საზრუნავი აქვთ, ამიტომ შესაძლებელია, რომ საინტერესო შინაარსისა და იუმორისტულმა ნაწარმოებმა ისინი გააცინოს. მაგრამ ბავშვისა და ახალგაზრდის შემთხვევაში ასე არ არის; მათ ნაკლები პრობლემა, ნაკლები სადარდებელი აქვთ და, შესაბამისად, ისეთი შინაარსის მოფიქრება, ერთდროულად დასაფიქრებელიც რომ იქნება და სასაცილოც, მათთვის უფრო ძნელია.

**როგორ გახდით სატირიკოსი? თქვენი პირველი სატირული ნაწარმოები რომელი იყო?**

მოთხოვთ ბეჭდის პირველი კრებული, რომელიც დავწერე და რომელიც სატირულ

ელემენტებს შეიცავდა, „აბანოს სიმფონია“ იყო. უურნალ „ქეიპანე ბაჩეპასთან“ („ბავ-შვთა სამყარო“) თანამშრომლობის პერიოდში დავინახე, რომ ამ უურნალში სატირა-იუმორის ნიშა ცარიელი იყო. განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში გახდა ეს ნიშა შესავსები. ამის გამო, ძალიან შევეცადე, რომ „ქეიპანე ბაჩეპაში“ სატირის უანრი დამენერგა. სინამდვილეში, იმ პერიოდში სრულიად არ ვიყავი ასეთი ნაწარმოებების წერაში დახელოვნებული. მაგრამ დავიწყე წერა და, როდესაც დავინახე, რომ ბავშვებს ჩემი იუმორისტულ-სატირული ნაწერები მოსწონდათ, სტიმული მომეცა, რომ სერიოზულად მივყოლოდი ამ საქმეს. სინამდვილეში, სწორედ ბავშვებმა მიბიძგეს, მეტი მეფიქრა სატირული ნაწარმოებების წერაზე და მათთვის უფრო მეტი მნიშვნელობა მიმენიჭებინა. მე ცხოვრებაში საერთოდ არ ვარ მხიარული ადამიანი. იქნებ იუმორისტული ნაწარმოებების წერის უნარი ჩემში ფარული ენერგიის სახით არსებობდა, რომელიც მოგვიანებით გამოვლინდა. შეიძლება, გარეგნულად უხეში და კუშტი ადამიანი ვჩანვარ, მაგრამ ყოველდღიურ საკითხებს

იუმორით ვუდგები. გონიებაში ყოველთვის ბავშვებზე ვფიქრობ, ვაკვირდები, რაზე იცინიან, რა მოსწონთ, რაზე ხუმრობენ და, შესაძლოა, ჩემი იუმორის დიდი ნაწილიც სწორედ მათგან გადავიდე.

**დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, მიიღებთ საბავშვო ლიტერატურის ნობელის პრემიას?**

ამისი პროგნოზირება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მიერ პრემიაზე წარდგენილი ხუთი კანდიდატიდან სიაში მხოლოდ მე დავრჩი და ეს ფაქტი ძალიან მახარებს. პრემიის შესაძლო მიღებაზე მეტად ის მახარებს, რომ ჩემი მრავალწლიანი ძალისხმევა დაფასდა. უფრო იმაზე ვფიქრობ, რომ თვითკმაყოფილებას არ მივეცე. მწამს, რომ ის გზა, რომლითაც აქამდე მოვედი, სწორი გზა იყო, მაგრამ ვიცი, რომ ჯერ სრულყოფა მაკლია და უნდა განვვითარდე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პრემიას მივიღებ, საინტერესო და უკეთესი ნაწარმოებების შესაქმნელად ძალისხმევას არ დავიშურებ.

## სავიზიტო პარატი პატონი ლომისთვის

როდესაც მელაკუდა ცბიერაულმა სა-  
რეკლამო კომპანია გახსნა, ვერავინ იფიქ-  
რებდა, რომ ეს ჯანგალესტანში – ტყეებით  
მდიდარ მხარეში დიდ არეულობას გამოიწ-  
ვევდა და ასე მოხდებოდა. თანამედროვე  
მსოფლიოში და, ასე განსაჯეთ, თანამედ-  
როვე ტყეებშიც კი რეკლამა გუგუნებს. და  
მაინც, რა მოხდა?

მოხდა ის, რომ, როდესაც მელაკუდა  
ცბიერაულმა სარეკლამო კომპანია გახსნა,  
ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს ჯანგალეს-  
ტანში – ტყეებით მდიდარ მხარეში დიდ  
არეულობას გამოიწვევდა და ასე მოხდებო-  
და. თანამედროვე მსოფლიოში და, ასე გან-  
საჯეთ, თანამედროვე ტყეებშიც კი რეკლა-  
მა გუგუნებს. და მაინც, რა მოხდა?.. ბო-  
დიშს გიხდით, ეს სტამბური შეცდომა ჩვენი  
ბრალი არ არის. ეს რეკლამის გუგუნის  
ბრალია. მოხდა ის, რომ, როდესაც ხსენე-  
ბულმა პირმა სარეკლამო კომპანია გახსნა,  
შეკვეთების მისაღებად ტყეში გავიდა და  
დამტკბარი ხმით ხან ერთ ბინადარს მიადგა  
და ხანაც – მეორეს.

– თქვენო მოწყალებავ, ფუტკარეთის  
დედოფალო, ქალბატონო ფუტკარაძევ, ნე-  
ბა მიბოძეთ, თქვენ მიერ დამზადებული  
თაფლის პოპულარიზაციისთვის სარეკლა-  
მო ბილბორდი დაგიმზადოთ.

– თქვენო აღმატებულებავ, ბატონო აფ-  
თარაულო, თქვენ აუცილებლად გჭირდე-  
ბათ ნეონის მოციმციმე ბანერი.

– ჰეი, ჭიანჭველავ – ბატონო გამრჯე-  
ლიანო, მე შენ ფლაერების დასტას დაგიმ-  
ზადებ, რათა ქვეყანას გავაგებინოთ, თუ  
როგორი გამრჯე ხარ.

მაგრამ მელაკუდა ცბიერაულს ყური  
არავინ ათხოვა. ან არ ენდობოდნენ, ან, უბ-  
რალოდ, თავიანთი საქმიანობისთვის რეკ-

ლამის აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. და  
მერე რა მოხდა? მელაკუდამ თავისი საქმი-  
ანობა ანუ მარკეტინგული კვლევა განაგ-  
რძო.

– ბატონო მამალაძევ, ლამაზო და მოხ-  
დენილო, თქვენ გესაჭიროებათ ერთი კარ-  
გი სარეკლამო რგოლი, ანუ იგივე დემო.  
აფსუსი იქნება, რომ თქვენი ვოკალური მო-  
ნაცემები ფართო აუდიტორიისთვის უცნო-  
ბი დარჩეს.

**მამალმა მიუგო:**

– წადი, შენს საქმეებს მიხედე, ჩემო  
ცბიერაულო. კარგად ვიცი მე ეგ ამბები.

ასე რომ, მამლის წაქეზება ამ ყავლება-  
სული ისტორიით ძნელი აღმოჩნდა. რამ-  
დენს არ ეცადა მელაკუდა, ვერას გახდა:  
მამალი ფიქრობდა, ჩემი მოტყუება და მო-  
ნადირება ერთი იქნებაო. ბოლოს და ბო-  
ლოს, მელა მამალს შეეშვა და სხვა კლიენ-  
ტის შესაბმელად წავიდა. მარკეტინგსა და  
სარეკლამო საქმეში მიღებული გამოცდი-  
ლება კარნახობდა, რომ წარმატებული  
„ბიზნესმენი“ არასოდეს კარგავს იმედს და  
რეკლამასაც კარგი რეკლამა სჭირდება.  
მოკლედ, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვა მარკეტინ-  
გულ საქმეს და ბოლოს თვით ბატონი ლო-  
მის შესაბმელადაც გაემართა. ლომმა მას-  
თან მისულ მელაკუდას უთხრა:

– ვხედავ, რომ გაკადნიერებულხარ და  
ფულის შოვნაზე გადასულხარ.

– მე? არა, ბატონო ლომო, მე... ვისი ტი-  
კი-ტომარა ვარ, რომ ვინმეს რამე გამოვძა-  
ლო. ბიზნესი და სარეკლამო საქმიანობა  
წამოვინწყე.

**– ანუ ცრუპენტელობა!**

– რას ბრძანებთ? რეკლამა ტყუილი არ  
არის. გაზვიადებული სინამდვილეა, ანუ  
მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწო-

დებისა და დარწმუნების საშუალება. ყველამ იცის, რომ თეთრი თეთრია, ხოლო ჩვენ ხმამაღლა ვამბობთ თეთრზე, რომ თეთრია. როდესაც ბაზარზე მოთხოვნა არ არის, მაგრამ არსებობს წარმოება, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოთხოვნა წარმოებაზე ორიენტირებული გახდეს.

ლომმა სიტყვა მოუჭრა:

– და მერე რა? ადამიანების ენაზე რატომ მელაპარაკები? ჯანგალესტანის ენაზე დამელაპარაკე, გამაგებინე, რას ამბობ.

მელაკუდამ გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა:

– მერე ის, რომ, არ გნებავთ, სავიზიტო ბარათი დაგიმზადოთ? ორმხრივი. ლამინირებით ან ლამინირების გარეშე.

– ვითომ რისთვისაო?

– რისთვის და, სადაც კი წახვალთ: დასასვენებლად, გასართობად თუ ხელის სათხოვნელად, მისცემთ ყველას თქვენს ბარათს და ეტყვით, ესა და ეს გახლავართ, რაც აქ წერიაო.

– მერე ამით რა?

– ის, რომ ეს ბარათი წარგადგენთ და ყველა გიცნობთ.

შუბლშეჭმუხნილმა ლომმა მელაკუდას ჰკითხა:

– ქალალდის ამ წაგლეჯმა უნდა წარმადგინოს?

– დიახ, ასეა. დღევანდელ მსოფლიოში სისწრაფე ნიშნავს უმოკლეს ინფორმაციას უდიდესი ეფექტით.

ლომმა აშლილ ფაფარზე ხელი ჩამოისვა და მელაკუდას შეთავაზებას დასთანხმდა:

– კარგი, ეგრე იყოს. მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ თვლი.

მელაკუდა ცბიერაულმა უთხრა:

– ხვალ მზად იქნება. ოფისში მობრძანდებით თუ კურიერს გამოვატანო?

ლომმა მელაკუდას ცხვირზე დრუნჩი მიადო და დაუღრიალა:

– შენი ფეხით მომიტან აქ! გაიგე?

მელაკუდამ გაიგო. ამდენ ალიაქოთა-დაც არ უღირდა. მეორე დღეს სავიზიტო ბარათების დასტიტ მიეახლა ლომს. მიესალმა და ბარათების შეკვრა მიართვა. ლომმა ერთი ბარათი ამოილო და დახედა:

– აქ რა წერია?

– კითხვა არ იცი თუ სათვალე არ გაქვს?

– ბევრს ნუ ლაპარაკობ! თქვი, რა წერია.

– აქ წერია: უსიერი ტყის ლომი, ღირსეული, კეთილი და მოსიყვარულე, მშვიდი და კულტურული. ყველა საქმეში თქვენ გვერდით მიგულეთ. მისამართი: ჯანგალესტანი, ფიჭვნარის მოედანი, ბზიდან ოც მეტრში, დამშრალ ჩანჩქერთან.

ლომმა თავი დააქნია. ძალიან ეამა. ყველაფერი კარგად იყო. მაგრამ ერთი რამ განსაკუთრებით მოეწონა და მელაკუდას ჰკითხა:

– მე მართლა ასეთი ვარ? ღირსეული, მოსიყვარულე, მშვიდი და კულტურული?

მელაკუდამ მიუგო:

– ასე ამბობენ.

ლომმა გაიღიმა და თქვა:

– დიდი მადლობა. შევეცდები, ასეთი ვიყო. ღირსეული... მოსიყვარულე... მშვიდი... კულტურული...

და მის წინ მდგომ მომლოდინე მელაკუდას ჰეხედა:

– გისმენ, მოხდა რამე?

მელაკუდა ცბიერაულმა ხელი გაუწოდა და ჰკითხა:

– საფასურს წალდით გადაიხდით თუ ანგარიშის ნომერი მოგცეთ ბარათით გადასახდელად?

ლომს განრისხებისგან ფაფარი აეშალა:

– რა? საფასური? თავი ხომ არ მოგბეზრებია?

თავდაჯერებულმა მელიამ წარბშეურელად მიუგო:

– ყველაფერს თავისი საზღაური აქვს.

მე ხომ შენი ლამაზი თვალებისთვის არ ვირჯები? ბარათების დამზადებას ამდენი დრო დავუთმე, ფოტოშოპში დავამუშავე, დასაბეჭდად წავიღე...

— აი, თურმე რა! შენნაირებისთვის თავი არ უნდა გამეყადრებინა, — უთხრა ლომია და ისე დაიღრიალა, რომ მთელი ბარათები

აზვირთებულ ტალღასავით გაიფანტა ჰა-ერში და ტყეს მოედო. ძალიანაც კარგი, რადგან სარეკლამო აგენტების საჭიროება აღარ შეიქნა. მაგრამ უჩვეულო აურზაური კი ატყდა! აკი გითხარით, ყველგან რეკლა-მა გუგუნებს-მეთქი.

სპარსულიდან თარგმნა  
თინათინ წიკლაურმა

## სარჩევი

|  |            |
|--|------------|
| <b>არაპული ლიტერატურა</b>  |            |
| <b>ალ-ჯაჰიზი, აბუ ალ-ასა იბნ აბდალ-ვაჰაბ იბნ აბდ ალ-მაჟიდ ას-საკაფის<br/>ეპისტოლე ას-საკაფისადმი. თარგმანი ნათელა უვანიასი .....</b> | <b>7</b>   |
| <b>ილიას ხური, ქალაქის კარიბჭეები. თარგმანი დარეჯან გარდავაძისა.....</b>   | <b>30</b>  |
| <b>თურქული ლიტერატურა</b>  |            |
| <b>აიშე ქულინი, ნოველები. თარგმანი მერი წიკლაურისა.....</b>  | <b>65</b>  |
| <b>სელჩუკ ალთუნი, ბიზანტიის სულთანი. თარგმანი ნანა კაჭარავასი .....</b>  | <b>72</b>  |
| <b>სომხური ლიტერატურა</b>  |            |
| <b>ერვანდ ვარდანიანი, ანარქისტების კუნძული. თარგმანი ასია<br/>დარბინიანისა.....</b>  | <b>83</b>  |
| <b>სპარსული ლიტერატურა</b>   |            |
| <b>ამონარიდები ფალაური რელიგიური ძეგლიდან. თარგმანი<br/>მაია სახოკიასი.....</b>  | <b>91</b>  |
| <b>აბულყასემ ფირდოუსი, ესფანდიარისა და როსტომის შეტაკება.<br/>თარგმანი ბელა შალვაშვილისა.....</b>                                    | <b>97</b>  |
| <b>ჰუშანგ გოლშირი, მგელი. თარგმანი ნინო თუშიშვილისა.....</b>   | <b>104</b> |
| <b>ინტერვიუ მწერალ ფარჰად ჰასანზადესთან. თარგმანი<br/>თინათინ წიკლაურისა .....</b>   | <b>109</b> |
| <b>ფარჰად ჰასანზადე, სავიზიტო ბარათი ბატონი ლომისთვის.<br/>თარგმანი მისივე .....</b>   | <b>112</b> |

ყდაზე: ირანული მხატვრობა – რეზა აბასი (XVII ს.). შეყვარებულები.

ტირაჟი 50 (ორმოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწავლული მდივანი 599160619; E-mail: nanio02@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge